ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა “განათლების მეცნიერებები”

ლია დავითაძე

უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის კვლევა (საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების საფუძველზე)

განათლების მეცნიერებათა დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი ქეთევან ჭკუასელი

თბილისი, 2018

სარჩევი

თავი 1. უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს ურთიერთობის თეორია და პრაქტიკა ევროპაში.....17

1. **უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის იდეა და თეორია 17**
1.1. უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა ევროკავშირში..... 17
1.1.1. უნივერსიტეტისა და ბოლონიის პროცესი და ევროკავშირის მხარდაჭერა 20
1.1.2. ცოდნის სამკუთხედი 23
1.1.3. უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ფორმები და მასზე მოქმედი ფაქტორები..... 30
1.1.4. უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის სარგებელი და რისკები..... 35

1.2. ჰელიქსის სამმაგი სპირალის თეორია.....43
1.2.1. სამმაგი სპირალის ძირითადი მეტაფორა..... 44
1.2.2. თანამედროვე უნივერსიტეტი 48

1.3. უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკული მაგალითები 55
1.3.1. ნოვი სადის უნივერსიტეტი, სერბეთი..... 55
1.3.2. სტაფორდშირის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი 58
1.3.3. მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა 61
1.3.4. ედინბურგის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი 63

თავი 2. უნივერსიტეტებისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის თეორია და პრაქტიკა საქართველოში.....67

2.1. საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის საკანონმდებლო დოკუმენტაციის და უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობასთან მიმართებაში არსებული კვლევების მიმოხილვა.....67
2.1.1. კვლევების მიმოხილვა..... 68
2.1.2. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება 74
2.1.3. სტრატეგია 2020 76
2.1.4. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო..... 78
2.1.5. უახლესი დოკუმენტაციის და აქტივობების მიმოხილვა..... 80
2.1.6. ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო 85
2.1.7. კვლევების კომერციალიზაცია 91

თავი 3. უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა საქართველოს რეგიონულ უნივერსიტეტებში (ტექნოლოგიური ფაკულტეტები) 94

3.1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.....95

3.2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 110

კვლევითი ნაწილი - უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს ურთიერთობის პრაქტიკის კვლევა.....117

დასკვნები.....172

რეკომენდაციები.....177

გამოყენებული ლიტერატურა 180

აბსტრაქტი

მოცემული დისერტაცია ეძღვნება საქართველოს რეგიონულ უნივერსიტეტებში უნივრსიტეტისა და სამეწარმე სფეროს თანამშრომლობას. ნაშრომში ყურადღება იყო გამახვილებული საქართველოში რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის აღწერაზე. აღნიშნული თანამშრომლობა, საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, სხვადასხვა დონეზე მოიცავს სამეწარმეო სფეროს ჩართულობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე ავტორიზებული უნივერსიტეტებს, ავტორიზაციის და აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი აქვთ სასწავლო კურიკულუმის განახლების მექანიზები (სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობით), ასევე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული (რომელთა საქმიანობა პირდაპირ თუ ირიბად შეეხება სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობას). კვლევაში შევისწავლეთ როგორია სამეწარმეო სფეროს (დამსაქმებელი, წარმოება, პარტნიორი) ჩართულობა საგანმანთლებლო პროგრამის მოდერნიზებაში, რეალურად. კვლევაში ასევე ყურადღება გავამახვილეთ თანამშრომლობის სხვა კომპონენტების ანალიზზე: ერთობლივი სემინარები, ფორუმები, ერთობლივი კვლევა, კლევების კომერციალიზაცია, ერთობლივი სტატიების გამოცემა და ქართული რეგიონული უნივერსიტეტის მიერ მესამე მისიის შესრულებაზე. და ქართული რეგიონალური უნივერსიტეტის მიერ მესამე მისიის შესრულებაზე.

კვლევაში მონაწილეობდა ორი რეგიონული უნივერსიტეტის - ბსუ და აწსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტები. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტი ახორციელებს 9 მიმართულებას, აქედან 5 საინჟინროს და 4 - აგრარულს და ასევე, ფიზიკა მათემატიკის და კომიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტექნოლოგიური

მიმართულებით არის ორი ფაკულტეტი - საინჟინრო ტექნოლოგიური, სადაც არის სამი დეპარტამენტი: დიზაინის და ტექნოლოგიის, საკვები პროდუქტების და ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტი, ასევე საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი, სადაც ფუნქციონირებს მშენებლობის და ტრანსპორტის დეპარტამენტი, ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტი და მექანიკა - მანქანათმშენებლობის დეპარტამენტი. ჩავატარეთ ჩარღმავებული ინტერვიუ რეგიონული უნივერსიტეტების ადმინისტრაციასა (5 ერთეული), რეგიონული მთავრობის წარმომადგენლებთან (3 ერთეული), ტექნოლოგიური მიმართულების აკადემიურ პირებთან (24 ერთეული), დამსაქმებლებთან (10 ერთეული), კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლებთან (4 ერთეული), ტექნოლოგიური მიმართულების ფაკულტეტების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (10 ერთეული). კვლევის მეორე ეტაპზე კვლევის ფარგლებში შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები გავაცანით ფოკუს - ჯგუფს, რომელშიც შემადგენლობაში შევიდა უნივერსიტეტისა და სამეწარემო სფეროს წარმომადგენლები. ჯგუფი შედგებოდა 6 ადამიანისგან, საიდანაც 2 იყო უნივერსიტეტის ასოცირებული პირი - ერთი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, 1 საერთაშორისო განათლების ექპერტი; 2- სამეწარმეო სფეროს წარმომადგენელი, და 2 ადამიანი - უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყო.

კვლევის შედეგებმა ცხადყო ჰიპოთეზის სისწორე, საქართველოს რეგიონული უნივრესიტეტებში აუცილებელია უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის გაუმჯობესება.

მიღებული შედეგები და რეკომენდაციები პრაქტიკულად ღირებული იქნება უნივერსიტეტის მენეჯმენტის, ხარისხის უზრინველყოფის სამსახურის და რეგიონის პოლიტიკის გამტარებლებისთვის, რათა უკეთესად შემუშავდეს უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომობის ეფექტური მექნიზმები.

საძიებო სიტყვები: უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა, სასწავლ პროგრამის განახლება, მემორანდუმი, ცოდნის სამკუთხედი, ცოდნის ეკონომიკა.

Abstract

This PhD thesis is dedicated to the University-Enterprise (Business) cooperation of in the Georgian Regional Universities. The paper focused on the description of University-Enterprise (Business) cooperation at the technological faculties the regional universities in Georgia. According to international experience, this cooperation, at various levels, , involves Enterprise involvement in planning and development of higher education programs. The authorized universities participating in this study have created the mechanisms to update and modernize curriculum (with the participation of the Enterprise), as well as various structural units (whose activities are directly or indirectly related to the Enterprise). The Study researches the ways the Enterprise is involved in the modernization of the academic program, in reality. The research also focused on the analysis of other components of cooperation: joint seminars, forums, joint research, commercialization of pests, publication of joint articles and the implementation of the third mission by the Georgian Regional University.

Two regional universities - BSU and ATSU participate in the research. Technological faculties of BSU run 9 directions, 5 out of them are engineering directions and 4 – agrarian ones. Moreover, the faculty of physics, mathematics and International sciences also run the higher educational programs in technological direction. The second regional university – Kutaisi Akaki Tsereteli State University. There are two technological faculties at ATSU: the engineering technological faculty comprising three departments: design and technology department, Food Product department and department of Chemical and Environmental Technologies; the second is engineering technical faculty that comprises department of construction and transport, department for energetics and telecommunications and department of mechanics and mechanical engineering. Qualitative research - in-depth interviews was conducted with the administration of the regional universities (5 people),

with the representatives of the regional government (3 people), with academics from the technological faculties (24 people), the representatives of the business world (10), scientific workers of the research institutions (4 people), technological faculty graduates (10 people). The conclusions and recommendations of the research were presented to the focus group that was staffed with 6 people; out of them 2 were academics, one of them is a former accreditation expert and the other is acting faculty quality assurance service; 2 members represent enterprises and the last are the former graduates.

The results of the research have demonstrated the correctness of the hypothesis that in the regional university of Georgia it is necessary to improve the university and Enterprise cooperation.

The obtained results and recommendations will have practical value for the University Management, university quality assurance service and Regional Policy makers to develop better and the effective mechanisms of the University-Enterprise cooperation.

Key words: University _ Enterprise cooperation, program modernisation, memorandum, Knowledge Triangle, Knowledge Economics.

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და წისვლისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია განათლება და მეცნიერება, რომლის კარგი ხარისხი წარმოადგენს ქვეყნის განვითარების გარანტიას. განათლების ხარისხის განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა ადამიანის პიროვნული, პროფესიული და, ზოგადად, სოციუმის განვითარებისთვის.

ევროკავშირის საგანმანათლებლო პოლიტიკა უნივერსიტეტს განიხილავს, როგორც უმაღლესი ხარისხის განათლების მიწოდების ცენტრად, რომელსაც ერთპიროვნულად აკისრია ცოდნის ეკონომიკის რეალიზების უფლება და განსაკუთრებული საზოგადოებრივი მისია (European Communities, 2007:14). 21-ე საუკუნეში განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნება, რომ ეკონომიკური პროგრესი დამოკიდებულია ცოდნაზე და ცოდნის გამოყენებაზე, რასაც საყოველთაოდ ცოდნის ეკონომიკა ეწოდება. თუმცა, ეკონომიკური პროგრესი ყოველთვის იყო დამოკიდებული იყო ახალ იდეებსა და ინოვაციებზე. ცოდნის ეკონომიკის განმარტებად ისტორიულ ქართულ შეიძლება ჩაითვალოს ილია ჭავჭავაძის სიტყვები: "ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავისთავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადაუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია" (ი.ჭავჭავაძე, 1886). ცოდნის ეკონომიკის დღევანდელ განმარტებაში რაც შეიცვალა, არის ის, რომ ცოდნა დღეს ეკონომიკისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კაპიტალი და ბუნებრივი რესურსები. და ის ეროვნულ ეკონომიკურ აქტივს და ეროვნული კონკურენტული უპირატესობის საფუძველს წარმოადგენს (Peters, Humes, 2003:1). შესაბამისად,

განათლება ყველა დონზე, და განსაკუთრებით უმაღლესი განათლება, თავისი პოტენციალით გააძლიეროს პროდუქტულობა კვლევების მეშვეობით, მიჩნეულია ეკონომიკური პოლიტიკის გლობალურ პანაცეად. როგორც საჯარო საინვესტიციო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი სფერო, მსოფლიოს მასშტაბით ყველა მთავრობა, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში, ახდენს მსოფლიოს განათლების სისტემის რესტრუქტურიზაციას, უპირატესად გამჭვირვალე პირობებით, რაშიც აისახება ცოდნის ეკონომიკის ახალი ნიმუში (Peters, Humes, 2003:3). შესაბამისად, დღეს უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ ცოდნის საგანძური, რომელიც ფოკუსირებულია მხოლოდ სწავლებასა და ფუნდამენტურ კვლევაზე. საუნივერსიტეტო საქმიანობა მუდამ ორიენტირებული იყო ცოდნის შექმნაზე, რასაც დღეს დაემატა უნივერსიტეტის საქმიანობის გააქტიურება საზოგადოების განვითარებაში თავისი როლის შესასრულებლად. უნივერსიტეტები, თავისი სამმაგი როლით (როგორც უმაღლესი დონის განათლების, უახლესი კვლევის და ინოვაციის მიმწოდებელი) წარმოადგენს ევროპის განვითარების მამოძრავებელ ორგანიზაციას. მათ აქვთ იმის პოტენციალი, რომ შეასრულონ ევროპის მიზანი, გახდეს მსოფლიოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის და საზოგადოების ლიდერი, გადამწყვეტი განმახორციელებლის როლი. პ. მონტესიონი (Montesinos, P., Carot, J. M., Martinez, J. M., & Mora, F. 2008:264) უნივერსიტეტის მესამე მისიას უწოდებს „საზოგადოების მსახურებას“ და აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტს შეიძლება ჰქონდეს:

- ✓ სოციალური მისია (მომსახურება მონეტარული სარგებლის გარეშე);
- ✓ მწარმოებლური მისია (უნივერსიტეტი დაინტერესებულია ფინანსების ბრუნვის ზრდით);
- ✓ ინოვაციური მისია (საკონსულტაციო კონტრაქტების, წარმოებისთვის პრობლემების გადაჭრის და ა.შ. მეშვეობით).

ცოდნის ეკონომიკის კონტექსტში ახალი ცოდნა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის და განვითარების წინაპირობას. კონკურენტუნარიანობა, როგორც წარმოების, ასევე რეგიონის თუ სახელმწიფოს, დამოკიდებულია სამეცნიერო ცოდნის ასახვასა და გარდაქმნაზე ბაზარზე მოთხოვნად პროდუქტად. აღნიშნულის განსახორციელებლად უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სამგანზომილებიანი ე.წ.

ჰელიქსის მოდელის სათანადო ფუნქციონირებას, რაც საკუთარ თავში მოიაზრებს მეცნიერების, წარმოების და სახელმწიფოს ქმედით ურთიერთთანამშრომლობას (Dzisah, J. & Etzkowitz, H, 2008:105). აღნიშნულ მოდელში უნივერსიტეტი მნიშვნელოვანი აქტორია, რადგან მიიჩნევა, რომ ის არა მხოლოდ ახალ ცოდნას ქმნის, არამედ ახალ შესაძლებლობებს, შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად და აქცევს კვლევის შედეგებს ბაზრისთვის მიმზიდველ პროდუქტად. ევროპულ უნივერსიტეტებში კვლევები შემუშავდება იმგვარად, რომ კურსდამთავრებული აღჭურვილი იყოს ბაზრისთვის აუცილებელი კომპეტენციებით, ხოლო კვლევა ბაზრის და სახელმწიფოს მოთხოვნის რელევანტური უნდა იყოს, რის განხორციელებით უნივერსიტეტი ასრულებს თავის მესამე მისიას - ემსახურება საზოგადოებას და ხელს უწყობს რეგიონის (ქვეყნის) ეკონომიკურ განვითარებას. უნივერსიტეტს, რომელიც ბაზრის დაკვეთით ახორციელებს კვლევას, ქმნის ინოვაციურ პროდუქტს, რომელიც ეკონომიკურად მომგებიანია თოთოეული მხარისთვის. უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მას შემდეგ, რაც ევროკავშირის პოლიტიკის განმსაზღვრელმა პირებმა გადაწყვიტეს, ევროკავშირში ყოფილიყო ყველაზე კონკურენტუნარიანი ეკონომიკა მსოფლიოში.

უნივერსიტეტი-ბიზნესის თანამშრომლობა ძირითადად სამ ასპექტს მოიცავს, ესენია: ურთიერთობა მეცნიერებასა და ეკონომიკას შორის, ინტერორგანიზაციული ურთიერთობები უნივერსიტეტებსა და საწარმოებს შორის და ინტერ-პერსონალური ურთიერთობები პროფესორებს (სამეცნიერო პირებს) და კომპანიის თანამშრომლებს შორის. უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის წარმატებისათვის უმაღლესი განათლების და მისი სამრეწველო სფეროს თანამშრომლობა ორმხრივად უნდა იყოს მომგებიანი. უნივერსიტეტი ცნობს სამეწარმეო სფეროსთან მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროებას, სადაც მისი სტუდენტები იპოვიან დასაქმების ადგილს, მკვლევარები - საკვლევ თემატიკას, და ა.შ. სამეწარმეო სფერო, თავის მხრივ, აღიარებს მათთვის ასეთი თანამშრომლობის დამატებით ღირებულებას. პარტნიორული სტრატეგიების შემუშავების დროს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებები კი ითვალისწინებენ ამ ასპექტს.

2005 წელს საქართველო ოფიციალურად შეუერთდა ბოლონიის პროცესს და მიზნად დაისახა საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების გზით ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია. მიზნიდან გამომდინარე, საუნივერსიტეტო განათლებაში ძირეულად შეიცვალა მიდგომები; შემუშავდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები; დამკვიდრდა სახელმწიფოს, სტუდენტის, შრომის ბაზრისა და საზოგადოების ინტერესებზე დაფუძნებული მიდგომები. ასევე ქვეყანაში კანონმდებლობის დონეზე მოწესრიგდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხი, რაც უნივერსიტეტების თვითშეფასების და ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შედარების ეფექტურ საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, საგანმანათლებლო ბაზარზე შექმნილი კონკურენტული გარემო აიძულებს უნივერსიტეტებს ეძებონ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების გზები. მაგრამ, სიღრმისეული რეფორმების და განხორციელებული ინვესტიციების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გადასაჭრელი საკითხი და ამ გამოწვევებს შორისაა განათლების კავშირი შრომის ბაზართან, სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება უმაღლესი განათლების საფეხურზე.

განათლების სისტემაში მრავალი რეფორმის მიუხედავად, სახეზეა დაბალპროდუქტული შრომის ბაზარი, რომლიც განპირობებულია ე.წ. ცოდნის გაუფასურებით (ვერტიკალური შეუსაბამობა), დისბალანსი თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნად საქმიანობის ტიპებსა და იმ პროფესიებს შორის, რომელსაც დღეს ახალგაზრდები მასობრივად ეუფლებიან უმაღლეს საგანამათლებლო დაწესებულებებში (ამაშუკელი და სხვანი, 2017:7). საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევებში აღნიშნულია ნაკლები კომუნიკაცია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განათლებასა და სამეწარმეო სფერო შორის. ხშირ შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებებს არა აქვთ გაცნობიერებული უნივერსიტეტის ახალი, მესამე მისია - გახდეს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის და საზოგადოების წინამძღოლი, რომელისაც უპირველესი განმახორციელებლის როლი აკისრია თანამედროვე მსოფლიოში. მეორე მხრივ, სამეწარმეო სფერო, ორგანიზაციები და თავად სახელმწიფოც არ განიხილავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

ხელსაყრელ და მომგებიან და დასაყრდენ პარტნიორად, რის გამოც მათ უხდებათ დიდი დანახარჯის გაღება ახალი ტექნოლოგიების და სერვისების შესაძენად.

საკვლევი თემიდან გამომდინარე, ყურადღება იყო გამახვილებული საქართველოში რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის აღწერაზე. აღნიშნული თანამშრომლობა, საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, სხვადასხვა დონეზე მოიცავს სამეწარმეო სფეროს ჩართულობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე ავტორიზებული უნივერსიტეტებს, ავტორიზაციის და აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი აქვთ სასწავლო კურიკულუმის განახლების მექანიზები (სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობით), ასევე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული (რომელთა საქმიანობა პირდაპირ თუ ირიბად შეეხება სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობას). კვლევაში შევისწავლეთ როგორია სამეწარმეო სფეროს (დამსაქმებელი, წარმოება, პარტნიორი) ჩართულობა საგანმანთლებლო პროგრამის მოდერნიზებაში, რეალურად. კვლევაში ასევე ყურადღება გავამახვილეთ თანამშრომლობის სხვა კომპონენტების ანალიზზე: ერთობლივი სემინარები, ფორუმები, ერთობლივი კვლევა, კლევების კომერციალიზაცია, ერთობლივი სტატიების გამოცემა და ქართული რეგიონული უნივერსიტეტის მიერ მესამე მისიის შესრულებაზე. და ქართული რეგიონალური უნივერსიტეტის მიერ მესამე მისიის შესრულებაზე.

უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის სხვადასხვა კომპონენტის განხორციელება არის ზუსტად ის მექანიზმი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად ეფექტურია სისტემა, რომელიც სამეწარმეო სფეროს განვითარების საჭიროებების შესაბამისად ტექნოლოგიური მიმართულებებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების განახლებას ასახავს. ამის მისაღწევად, უნივერსიტეტებს კვლევების მეშვეობით და თანამშრომლობის შედეგად წვლილი შეაქვთ რეგიონის განვითარებაში.

საქართველოში უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის შესახებ სხვადასხვა კვლევა არის განხორციელებული (ი. დარჩია, ნ. ანდღულაძე, თ. ბრეგვაძე, ამაშუკელი, ნ. ჯავახიშვილი), თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ მათში ძირითადად აღწერილია თანამშრომლობის ცაკლეული კომპონენტების თავისებურებები. კერძოდ, უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, კვლევის კომერციალიზაციის შესაძლებლობები საქართველოში, უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში და ა.შ. აღნიშნულ საკითხი სხვადასხვა კუთხით არის ასახული განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევეში, საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯებში, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემულ დოკუმენტებში, რეგულაციებსა და სტრატეგიებში. სტრატეგია (სტრატეგია 2017-2021:37) აცხადებს, რომ მიუხედავად უამრავი რეფორმისა, საგანმანათლებლო პროგრამები აცდენილია დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს). გამოწვევას წარმოადგენს პროგრამებისა და კვლევების ისე შემუშვება, რომ კურსდამთავრებული აღჭურვილი იყოს ბაზრისთვის აუცილებელი კომპეტენციებით, ხოლო კვლევა უნდა იყოს რელევანტური ბაზრის და სახელმწიფოს მოთხოვნისა, რომლის განხორციელებით უნივრსიტეტი შეასრულებს თავის მესამე მისიას - ემსახუროს საზოგადოებას და ხელი შეუწყოს რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ჩვენს კვლევაში შევისწავლეთ უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის არსებული თეორია და პრაქტიკა. საკვლევი **თემის აქტუალობა** განპირობებულია უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის არსებული საერთაშორისო პრაქტიკით და აღნიშული თანამშრომლობის სარგებლებით, რაც გამოიხატება კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობით, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამებით, კვლევების აქტუალური თემატიკით, კვლევების კომერციალიზაციით და სხვა კომპონენტებით; ასევე, უნივერსიტეტის საქმიანობის მნიშვნელობით რეგიონის განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის უმთავრესი მიზანია საქართველოში უნივერსიტეტის და სამეწარმეო

სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის შესწავლა. დადგენა, რამდენად ახდენს აღნიშნული თანამშრომლობა გავლენას საგანამანათლებლო პროგრამების ხარისხზე, უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის იმ ხელისშემშლელი ფაქტორების და პრობლემების განსაზღვრა, მათი მოგვარების გზების დადგენა, რომლებიც გამოიკვეთა ჩვენ მიერ თეორიული კვლევის ჩატარების შედეგად; თანამშრომლობის მსოფლიოში არსებული ფორმების განხილვა და ამ ფორმების შედარება ქართულ რეალობასთან, საქართველოში ჩატარებული კვლევების ანალიზი და მისი დაკავშირება.

კვლევის მიზანია უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის პროცესის შესწავლა.

კვლევის ამოცანებია:

1. სამაგიდე კვლევა (desk research) - საერთაშორისო კვლევების შესწავლა ამ მიმართულებით, მსოფლიოში არსებული უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის მოდელების განხილვა და თეორიული მასალის ანალიზი;
2. კვლევის მეთოდოლოგია - განისაზღვროს საკვლევი ჯგუფი, კვლევის მეთოდები, საგანი, ობიექტი და კვლევის ჰიპოთეზა; შემუშავდეს კვლევის ინსტრუმენტი - ინტერვიუს კითხვარი; მოხდეს ქართულ რეალობასთან მსოფლიოს მოდელების შედარება და საქართველოში განხორციელებული კლევების შედეგების ანალიზი;
3. ემპირული კვლევის განხორციელება;
4. დასკვნების შემუშვება.

კვლევის მეთოდები:

- სამაგიდე კვლევა (desk research) - საერთაშორისო კვლევების შესწავლა ამ მიმართებით, განხილულ იქნეს მსოფლიოში არსებული უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის მოდელები და გაანალიზდეს თეორიული მასალა;

- თვისებრივი კვლევა - ჩარღმავებული ინტერვიუ რეგიონული უნივერსიტეტების ადმინისტრაციასა (5 ერთეული), რეგიონული მთავრობის წარმომადგენლებთან (3 ერთეული), ტექნოლოგიური მიმართულების აკადემიურ პირებთან (24 ერთეული), დამსაქმებლებთან (10 ერთეული), კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლებთან (4 ერთეული), ტექნოლოგიური მიმართულების ფაკულტეტების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (10 ერთეული). ასევე, კვლევის ფარგლებში შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები გავაცანით ფოკუს - ჯგუფს, რომელშიც შემადგენლობაში შევიდა უნივერსიტეტისა და სამეწარემო სფეროს წარმომადგენლები. ჯგუფი შედგებოდა 6 ადამიანისგან, საიდანაც 2 იყო უნივერსიტეტის ასოცირებული პირი - ერთი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, 1 საერთაშორისო განათლების ექპერტი; 2-სამეწარმეო სფეროს წარმომადგენელი, და 2 ადამიანი - უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყო.

კვლევის მეთოდოლოგია:

- **კვლევის საგანი** - სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობის როლის მნიშვნელობის შესწავლა საქართველოს რეგიონული უნივრსიტეტების ტექნოლოგიური მიმართულების საწავლო პროგრამების დაგეგვასა და განვითარებაში.
- **კვლევის ობიექტი:** უნივერსიტეტის და სამეწრმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის პროცესი.
- **შერჩევა**- შეირჩა ტექნოლოგიური მიმართულება, ორი რეგიონული უნივერსიტეტი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რომელიც ახორციელებს პროგრამებს ამ მიმართულებით) და ტექნოლოგიური ფაკულტეტების მიერ პარტიონრად დასახელებული წარმომადგენლები სამეწარმეო სფეროდან. კონკრეტული რესპოდენტის შერჩევისთვის გამოვიყენეთ არაალბათური შერჩევის მიზნობრივი სახე. შერჩევითი ერთობლიობის გამოსავლენად დავუკავშირდით ჩვენი კვლევისთვის

საინტერესო გენერალური ერთობლიობის წევრებს გამოვავლინეთ ჩვენთვის საინტერესო მახასიათებლების მქონე პიროვნებები და ჯაჭვურად გამოვავლინეთ შემდეგი პირები, და ასე გაგრძელდა, სანამ არ ამოიწურა მოცემული ერთობლიობის ჩვენთვის ხელმისაწვდომი წევრები. მიზნობრივ სახეს უპირატესობა მიენიჭა იმის გათვალისწინებით, რომ კვლევა ორიენტირებული იყო სიღმისეულ ანალიზზე.

- **კვლევის ინსტრუმენტი** - კვლევის ჩატარების მიზნით შევიმუშავეთ კითხვარები, რისთვისაც გამოვიყენეთ ჩვენ მიერ შესწავლილი კვლევები, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშვებული სტრატეგიები, ასევე კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების პროფილი და მათ მიერ განხორციელებული სხვადასხვა კვლევა. დოკუმენტებში ფიქსირებული მდგომარეობის გადამოწმების, ასევე ცალკეული უნივერსიტეტის ადგილობრივი სპეციფიკის გამოვლენის მიზნით, ჩავატარეთ თვისობრივი კვლევა როგორც უნივერსიტეტების ხელმძღვანელ რგოლთან, ასეევ აკადემიურ პერსონალთან. თვისებრივი კვლევისთვის გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების ფორმატი. მონაცემთა დამუშავების დროს ანალიზი დაიწყო ინტერვიუების ჩატარების პარალელურად. ჩატარებული ინტერვიუების შედეგების გაანლიზება დაგვეხმარა შემდეგი ინტერვიუების შეკითხვების დახვეწაში. ძირითადი მიდგომა ტექსტური ინფორმაციის ანალიზში გახლდათ კონტენტ - ანალიზი, რომელიც დაიწყო ტექსტების (ერთეულების) შერჩევით. შემდეგ, განისაზღვრა ანალიზის ერთეულები და ანალიზში გამოსაყენებელი კატეგორიები. რესპოდენტების მონათხრობში გამოვყავით თემატური ბლოკები/კოდები, რომლის დროსაც გამოიყო საწყისი თეორიული კომპონენტები. კვლევა გვაწვდის ინფორმაციას კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების ტექნოლოგიური მიმართულების ფაკულტეტების სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობის სტატუსზე, აღნიშნული ურთიერთობის როლზე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და საკვლევი თემატიკის შემუშავებაზე, ასევე ინოვაციებსა და პროდუქციის კომერციალიზაციაზე.

კვლევის ფარგლებში შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები გავაცანით ფოკუს - ჯგუფს, რომელშიც შემადგენლობაში შევიდა უნივერსიტეტისა და სამეწარემო სფეროს წარმომადგენლები.

- **კვლევის ჰიპოთეზა:** უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს არსებული თანამშრომლობა საჭიროებს გაუმჯობესებას.
- **კვლევის შედეგები** მოცემულია კვლევით ნაწილში.

ნაშრომი შედგება სამი თავისგან და კვლევითი ნაწილის და დაკვნებისგან.

პირველ თავში განხილულია უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის იდეა და თეორია, რომელშიც ახსნილია უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის მნიშვნელობა და მისი კავშირი ბოლონიის პროცესთან, ცოდნის სამკუთხედი, უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ფორმები და მასზე მოქმედი ფაქტორები, ასევე თანამშრომლობის რისკები და სარგებელი უნივერსიტეტისთვის და სამეწარმეო სფეროსთვის. დეტალურად არის განხილული ასევე ჰელიქსის სამმაგი სპირალის თეორია და თანამედროვე უნივერსიტეტის მოდელი. ასევე მოცემულია უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკული მაგალითები ოთხი ევროპული უნივერსიტეტის მაგალითზე.

ნაშრომის **მეორე თავში** აღწერილია უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის თეორია და პრაქტიკა საქართველოში. მიმოხილულია საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის კვლევები, საკანონმდებლო დოკუმენტაცია, და საქართველოს მთავრობის განათლების ხარისხის გაუმჯობესების და ინოვაციური პოლიტიკის გატარებისთვის გადადგმული ნაბიჯები.

მესამე თავში აღვწერეთ ორ რეგიონულ უნივერსიტეტში უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ინსტიტუციონალური მოწყობა, რისთვისაც გამოვიყენეთ სხვადასხვა საერთაშორიო პროექტის მიერ გამოყენებული და ასევე საერთაშორისო განზომილების (ტემპუსის პროექტი, რაგუჟევაჩის უნივერსიტეტი; 2010; Cap4Com ტემპუსის პროექტი, ბსუ 2012წ; EMCOSU პროექტის ანგარიში ლუბლიანას უნივერსიტეტი, 2014;) მიერ მოწოდებული/აღწერილი უნივერსიტეტი-

სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის რამდენიმე მახასიათებელის განზოგადოებით მიღებული ინსტრუმენტი.

კვლევით ნაწილში მოცემულია ჩატარებული კვლევის შედეგები.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია კვლევის **დასკვნები**.

თავი 1. უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს ურთიერთობის თეორია და პრაქტიკა ევროპაში

1. უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის იდეა და თეორია

1.1. უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა ევროკავშირში

ევროპას მრავალსაუკუნოვანი აკადემიური ტრადიცია აქვს, რომლის მიხედვით უნივერსიტეტი წარმოადგენდა ადგილს, სადაც მეცნიერები და სწავლულები თავის ცხოვრებას უძღვნიდნენ დამოუკიდებელ აზროვნებას, მეცნიერების განვითარებასა და სტუდენტების სწავლებას. მას შემდეგ, რაც დემოგრაფიულმა პროგრესმა და ტექნოლოგიურმა, ტრადიციული კლასისა და გენდერული როლების ცვლილებამ მნიშვნელოვნად შეცვალა აკადემიური ტრადიცია (European Communities, 2007:14). თეორიულად, 1975 წლიდან ევროპაში უმაღლესი განათლება მეტად მისაწვდომი გახდა. ამასთან ერთად, სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური მიზეზის გამო, სწავლის მსურველთა და მონაწილეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, საუკუნის დასასრულამდე, 1975–

1995 წწ-ში კი - გაორმაგდა. აღნიშნულმა სებამ აიძულა ევროპული უნივესიტეტები, დაეწყოთ საზოგადოებაში თავიანთი როლის ხელახალი განსაზღვრა, რაც ჯერ კიდევ არ დასრულებულა. სტუდენტების რაოდენობის ზრდამ კიდევ ერთი სერიოზული შედეგი გამოიღო. თუ აქამდე ევროპაში უმაღლეს განათლებას სახელმწიფო აფინანსებდა, ის თანდათანობით არასაკმარისი აღმოჩნდა. გაჩნდა ალტერნატიული საშუალებების მოძიების აუცილებლობა, რამაც აიძულა უმაღლესი განათლების სექტორი, მოეძებნა ახალი პარტნიორები (European Communities 2007: 15);

ევროპაში ინტენსიური ცოდნის ეკონომიკის[1] განვითარებით, უმაღლესი განათლების პოლიტიკის შემქმნელებმა დღის წესრიგში უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობას უფრო მეტი ყურადღება დაუთმეს. ამას კონკტრეტული შედეგებით და საჭიროებებით განპირობებული სახსრების შერჩევითი განაწილება მოჰყვა. თანამშრომლობის რამდენიმე წამახალისებელი სქემა შემუშავდა: პარტნიორს სთავაზობენ საწყის ინვესტიციას, შესაბამის ფონდს ან საგადასახადო შეღავათს უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის წარმატებული მოდელის შესამუშვებლად.

ინტერნაციონალიზაციის ფენომენიდან გამომდინარე, გლობალიზაციის და შიდა ევროპული ბაზრის ზრდის პარალელურად, გაჩნდა სტუდენტების საერთაშორისო კარიერისთვის მომზადების და მათი კულტურული ცნობიერების ამაღლების საჭიროება. აღნიშნულში, ტრადიციულ უნივერსიტეტებს ჰქონდათ უპირატესობა, რადგან მათი სამეცნიერო და აკადემიური კვლევების უმეტესი ნაწილი ტრადიციულად საერთაშორისო შინაარსის იყო. ამასთან, უმაღლეს განათლებაში მასშტაბური ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მხარდამჭერები პოლიტიკოსები იყვნენ. ევროკომისიამ თანმიმდევრულად განახორციელა მხარდამჭერი პროგრამები. მაგ. ერაზმუსის გაცვლითი პროგრამა, რომლის ხელშეწყობით ასობით ათასმა ევროპელმა სტუდენტმა განათლება ნაწილობრივ ევროპის სხვა ქვეყანაში მიიღო. ევროპის განათლების მინისტრებმა საკუთარი ინიციატივით აამოქმედეს ბოლონიის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა

[1] ცოდნის ეკონომიკა - ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის წარმოებასა და მენეჯმენტზე/ ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას, რაც გულისხმობს ცოდნის ტექნოლოგიების (ცოდნის ინჟინერია და ცოდნის მენეჯმენტი) გამოყენებას ეკონომიკური სარგებლისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

ევროპული უმაღლესი განათლების რაციონალიზირებას სტუდენტისათვის საერთაშიროსო გამოცდილების მიღების გასამარტივებლად, რაც ამავდროულად, ზრდიდა მათ დასაქმების უნარს და ევროპის ნებისმიერი მოქალაქისთვის ამარტივებდა განსხვავებული ევროპული განათლების ხარისხის მნიშვნელობის გაგებას.

ერთ-ერთ ჯგუფი, ვინც ინოვაციას დამოუკიდებლობის რისკად განიხილავდა იყო მკვლევარები და მეცნიერები, რომელთა საქმიანობა ერთგვაროვანი და ნაკლებად ცვალებად იყო მიუყვებოდა. მათთვის ცვლილებების აუცილებლობა არ იყო მარტივად მისაღები. არ გახლდათ მარტივად მისაღები ცვლილებების აუცილებლობა. ამ დამოკიდებულებას შედეგად ის მოყვა, რომ პირველად პროფესიული განათლების დაწესებულებებმა იპოვეს სიტუაციიდან გამოსავალი. რადგან ისინი პროფესიული განათლების ცენტრები იყვნენ, თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ ჩვეულებრივ უფრო აქტიური კავშირი ჰქონდათ საზოგადოებასთან და კერძო სამეწარმეო სფეროსთან. ასევე, მიმდინარე ცვლილებებმა მოითხოვა ახალი მმართველი მექანიზმები უფრო ადრეულ ეტაპზე, ვიდრე ტრადიციულ უნივერსიტეტებში. იმ პერიოდში უმაღლესი განათლების ეს ახალი ტიპის მენეჯერები ნაკლებ საფრთხეს ხედავდნენ სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობაში, ვიდრე ფაკულტეტის დეკანები (ვინც აქამდე გადაწყვეტილების მთავარი მიმღები პირები იყვნენ უმაღლეს სასწავლებელში). მენეჯერთა უმეტესობამ (ხშირად კრეატიულად და შესაბამისი კანონმდებლობის შემოღებამდეც კი) იპოვა დამატებითი სახსრების მოზიდვის გზები, კერძოდ, ტრენინგის და კვლევითი მომსახურების გაწევის შეთავაზებას უნივერსიტეტის პარტნიორი საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის. ამ მიზნით, მათ დაიწყეს კონსულტაციები სტუდენტების მომავალ დამსაქმებლებთან და მათი „პროდუქციის“ მომავალ „კლიენტებთან“ მათ შორის, საკუთარი კომპეტენციის მათი საქმიანობის შესაბამისობის და კურსდამთავრებულთა დასაქმების ზრდის მიზნით (European Communities 2007:16).

უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა დააფიქსირა სურვილი ჰქონოდა ყველაზე კონკურენტუნარიანი ეკონომიკა მსოფლიოში. მთავარი მიზნები

(ინოვაციური კავშირი, წვდომა საინფორმაციო, ტექნოლოგიურ ან კომუნიკაციურ ობიექტებთან, მეწარმეობის ზრდა) ხაზს უსვამს უნივერსიტეტის როლს საზოგადოებაში, ეჭვქვეშ აყენებს მის ძველ და მანამდე გაბატონებულ მისიას, ეროვნულ თუ საერთაშორისო კომპეტენციებს. უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს ურთიერთობა და მისი მნიშვნელობა აჩენდა ბევრ შეკითხვას და იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. ერთ-ერთი შედეგია უნივერსიტეტების ახალი როლის ჩამოყალიბება საზოგადოებაში მათი როლიდან და (ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე) სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთობიდან გამომდინარე. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა განიცადეს ევოლუცია ინოვაციური ცოდნის შემქმნელი დაწესებულებიდან, რეგიონში საწარმოებთან აქტიური ურთიერთობის მქონე უნივერსიტეტამდე, რომელსაც შესაბამისი კავშირები და კვლევითი კონტრაქტები აქვთ გაფორმებული, და რომლის საქმიანობაც ფინანსდება კერძო და საჯარო სექტორის მიერ (Urayaa, E. 2010:1238). კროასანის და სმით-დოერის მიხედვით (Croissant and Smith-Doerr 2008:698). უნივერსიტეტი-ბიზნესის თანამშრომლობა ძირითადად სამ ასპექტს მოიცავს:

1.ურთიერთობა მეცნიერებასა და ეკონომიკას შორის - მეცნიერების პროდუქტი აქტიურად გამოიყენება ეკონომიკური ზრდისთვის.

2. ინტერორგანიზაციული ურთიერთობები უნივერსიტეტებსა და საწარმოებს შორის - ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვადასხვა მიმართულებით.

3. ინტერ-პერსონალური ურთიერთობები პროფესორებს (სამეცნიერო პირებს) და კომპანიის თანამშრომლებს შორის - პირადი კონტაქტები.

1.1.1. უნივერსიტეტისა და ბოლონიის პროცესი და ევროკავშირის მხარდაჭერა

წინამდებარე პარაგრაფში განხილულია ბოლონიის პროცესის დოკუმენტაცია, სადაც ასახულია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებისთვის უნივერსიტეტის გადამწყვეტი როლი. ქრონოლოგიურად არის მოყვანილი ყველა მნიშევნელოვანი კომუნიკე და სხვა დოკუმენტაცია

ბოლონიის პროცესის[2] მთავარ მამოძრავებელ ძალას მისი გამჭვირვალობა წარმოადგენდა. შემდეგ მას დაემატა ხარისხის უზრუნველყოფის გაძლიერება, დასაქმების შესაძლებლობები, შესაბამისობა და მოქნილობა ინტერნაციონალიზაციის გზით. მობილობის მექანიზმების დახვეწამ, კონკურენტუნარიანი აკადემიური ხარისხის დამკვიდრებამ და საერთო კრედიტების სისტემამ პოზიტიური ზემოქმედება იქონდია უნივერსიტეტებზე (Commission of the European Communities 2007:22). ევროკავშირის ქვეყნების განათლების მინისტრებმა, ჯერ კიდევ ბერგენში 2005 წ შეხვედრაზე მოუწოდეს უნივერსიტეტებს, რათა მათ მოერგოთ სასწავლო და სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამები შრომის ბაზრის მოთხოვნებისთვის, ამით აღნიშნული პროგრამები ასევე ხელს შეუწყობდნენ ინტერდისციპლინარულ სწავლებას და ტრანსფერული უნარების განვითარებას. შესაბამისად, ესდააკმაყოფილებდა ევროპული დასაქმების ბაზარს, რომელიც სულ უფრო და უფრო ეყრდნობოდა მაღალ ტექნოლოგიებსა და რაციონალურ ძალას. თუ წარსულში სილაბუსი შეიცავდა მხოლოდ სტუდენტისათვის სავალდებულო მასალის ჩამონათვალს, რეფორმების შედეგად ის უფრო ზოგადი აღწერილობა გახდა, სადაც განსაზღვრულია ის უნარები, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს სწავლის პერიოდში. ამგვარადე სტუდენტს დასაქმების მეტი საშუალება ქნებოდა უნივერსიტეტიდან გასვლის შემდეგ.
(http://media.ehea.info/file/2005_Bergen/62/8/050519_Norway_Clemet_580628.pdf).

პირველად ეკონომიკაზე აგებული სწავლის სტრატეგიის შესახებ ფორმულირება გვხვდება პრაღის კომუნიკეში 2001 წელს „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში არის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მნიშვნელოვანი ელემენტი. ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება და ეკონომიკაზე აგებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სტრატეგია აუცილებელია მომავალ ევროპაში, რათა პიროვნება მომზადებული შეხვდეს იმ გამოწვევებს, რომელსაც უმზადებს კონკურენცია და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. ეს

[2] ბოლონიის პროცესი წარმოადგენს ევროპული ქვეყნების მინისტრთა შეხვედრებისა და შეთანხმებების სერიას, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის სტანდარტების და ხარისხის შედარებითობის ზრუნველყოსაყოფად. ამ პროცესმა შექმნა ლისაბონის აღიარების კონვენციის ფარგლებში ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე

სტრატეგია ასევე აუცილებელია სოციალური ურთიერთობებისთვის, თანასწორი შესაძლებლობებისა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებისთვის". (http://www.ehea.info/cid100256/ministerial-conference-prague-2001.html).

ბერლინის კომუნიკეში, 2003 ნაახსენებია, რომ მინისტრები ჯეროვან ყურადღებას მიაპყრობენ ევროპის საბჭოს მიერ ლისაბონსა (2000წ) და ბარსელონაში (2002წ) გაკეთებულ დასკვნებს, რომელთა მიზანი იქნება, ევროპაში შეიქმნას „მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი და დინამიური, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა, რომელსაც ექნება სტაბილური ეკონომიკური ზრდის უნარი - სულ უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილებით და უფრო მტკიცე სოციალური თანადგომით", რაც მოითხოვს შემდგომ ნაბიჯებსა და უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ბოლონიის პროცესის კონტექსტში. (http://media.ehea.info/file/2003_Berlin/28/4/2003_Berlin_Communique_English_577284.pdf).

ლონდონის კომუნიკეში, 2007, პირდაპირ გაცხადებულია: „ჩვენი მიზანია ვუზრუნველყოთ, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მუდამ გააჩნდეთ ისეთი რესურსები, რაც აუცილებელია მათი მიზნების განხორციელებისთვის. ეს მიზნებია: სტუდენტების მომზადება დემოკრატიული საზოგადოებისთვის, აქტიური მოქალაქეობისთვის, მომავალი კარიერისთვის და პიროვნული განვითარებისთვის; ფართო, თანამედროვე ცოდნის მიცემა და კვლევის და ინოვაციის ხელშეწყობა". (http://www.ehea.info/cid101763/ministerial-conference-london-2007.html).

ბუდაპეშტი-ვენის დეკლარაცია 2010 ასევე ყურადღებაზე ამახვილებს "ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაზე" და "ცოდნით მამოძრავებელ" მსოფლიოზე. დეკლარაციის მე-3 პუნქტში საუბარია შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე პერსონალით მხარდაჭერილ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომლებსაც შეუძლიათ, განახორციელონ თავიანთი მრავალფეროვანი მისიები „ცოდნაზე დაფუძნებულ" საზოგადოებაში; ხოლო პუნქტში 11 ვკითხულობთ: „დარწმუნებულები ვართ, რომ „ცოდნით მამოძრავებელ" მსოფლიოში უმაღლესი განათლება არის ძირითადი წამყვანი ძალა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა

და ინოვაციებისათვის” (https://media.ehea.info/file/2010_Budapest_Vienna/64/0/Budapest-Vienna_Declaration_598640.pdf).

ბუქარესტის კომუნიკეში 2012 დასტურება, რომ სწავლა სიცოცხლის მანძილზე წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ცვალებადი სამუშაო ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, და ხაზს უსვამს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმთავრეს როლს ცოდნის გადაცემასა და რეგიონული განვითარების გაძლიერებაში, მათ შორის კომპეტენციების უწყვეტ განვითარებას და ცოდნის ალიანსის განმტკიცებას”. (https://media.ehea.info/file/2012_Bucharest/67/3/Bucharest_Communique_2012_610673.pdf)

ერევნის კომუნიკეში (2015) საუბარია იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დღეს დღეს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცე დგას. იგი უპირისპირდება უწყვეტ ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს, უმუშევრობის დრამატულ დონეებს, ახალგაზრდების უფრო მეტ მარგინალიზაციას, დემოგრაფიულ ცვლილებებს, მიგრაციის ახალ თავისებურებებს დ აქვეყნებს შიგნით და ქვეყნებს შორის კონფლიქტებს, ასევე, ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციას. მეორე მხრივ, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაზრდილი მობილობა ხელს უწყობს ორმხრივ ურთიერთგაგებას, მაშინ, როდესაც ცოდნისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება გავლენას ახდენს საზოგადოებასა და ეკონომიკაზე, და უფრო და უფრო მზარდი მნიშვნელობის როლს ასრულებს უმაღლესი განათლებისა და კვლევის ტრანსფორმაციაში(https://media.ehea.info/file/2015_Yerevan/70/7/YerevanCommuniqueFinal_613707.pdf).

1.1.2. ცოდნის სამკუთხედი

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ძირითად საყრდენს წარმოადგენს კავშირი კვლევას, განათლებასა და ინოვაციას შორის, რასაც ცოდნის სამკუთხედი ეწოდა. ამ სამკუთხედში ცოდნა განიმარტება, როგორც კრეატიული და სისტემატური მუშობა, რომელიც განმიზნულია ცოდნის გასაღრმავებლად. მათ შორის

იგულისხმება ცოდნა ადამიანის, კულტურის საზოგადოების შესახებ, და ხდება ამ ცოდნის გამოყენება ახალი განაცხადების შესამუშავებლად. ამავე სამკუთხედის მიხედვით, განათლება - წარმოადგენს სწავლის ან ცოდნის, უნარების, ღირებულებების, რწმენის და ჩვევების მიღების შემსუბუქების პროცესს. ხოლო ინოვაცია არის ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის ეს სამი კონცეფცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ევროკავშირში ცოდნის სამკუთხედით.
(https://ec.europa.eu/education/policy/higher-education/knowledge-innovation-triangle_en).

ევროკავშირის ფორუმზე „უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს დიალოგისთვის“ გაცხადდა: „უნივერსიტეტები, თავისი სამმაგი როლით, როგორც უმაღლესი დონის განათლების, უახლესი კვლევის და ინოვაციის მიმწოდებლები, წარმოადგენენ ევროპის ცოდნის საკუთხედის გულს. მათ აქვთ იმის პოტენციალი, რომ შეასრულონ ევროპის ამბიციის გადამწყვეტი განმახორციელებლის როლი მსოფლიოში - გახდეს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის და საზოგადოების ლიდერი“ (European Commission, 2009). აღნიშნული მისიის შესასრულებლად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტების და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა, სადაც ინტერესთა ჯგუფების მჭიდრო თანამშრომლობა განაპირობებს ამ მოდელის წარმატებას. ასეთ ინტერესთა ჯგუფებს წარმოადგენენ: ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ბ) საწარმოები და გ) ევროკომისია (როგორც პოლტიკის განმსაზღვრელი და გამტარებელი, ხოლო რეგიონულ მოდელში მას ცვლის რეგიონის ადგილობრივი მთავრობა).

საკუთარი პოტენციალის გამოსავლენად უნივერსიტეტებს სჭირდებათ საკუთარი პოზიციის, ნიშანდობლივად, სამეწარმე სფეროსთან ურთიერთობის გადაფასება და გაძლიერება; განსაკუთრებით:

- საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მისადაგება;
- ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა წარმოებაზე ორიენტირებული კვლევებით;

- წარმოებასთან თანამშრომლობის განსაზღვრა კერძო პარტნიორების საპოვნელად, რაც შეიძლება მომავალში ალტერნატიული დაფინანსების წყაროდ გადაიქცეს.

მთელ ევროპაში, ევროკავშირის პროგრამების მეშვეობით, არსებობს წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები უნივერსიტეტს, სამეწარმეო სფეროსა და პოლიტიკის განმსაზღვრელებს შორის. მაგრამ მთავარ პრობლემაა თანამშრომლობის დონე, რაც განსხვავდება ქვეყნის, უნივერსიტეტის და აკადემიური დისციპლინის მიხედვით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოდერნიზაციის საჭიროებას ნათლად გაესვა ხაზი ევროსაბჭოს მიერ. ძირითადი წინაპირობები შემგედგვარად ჩამოყალიბდა:

ლისაბონის სტრატეგია (ლისაბონის სტრატეგია, 2000) - აღნიშნული სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა განათლების პოლიტიკა და ტრენინგის ფორმა. ეს მნიშვნელოვანი საკითხი დასმული იყო სახელმწიფოების მეთაურების და მთავრობების მიერ. ევროპის ეკონომიკის რადიკალური ცვლილებების პარალელურად საჭირო განცდა გამოწვევებით სავსე პროგრამა განათლების სისტემების მოდერნიზაციისთვის. ამ მიზნების და მოთხოვნების მისაღწევად, განათლების მინისტრებმა შეიმუშავეს საერთო ამოცანები ძირითადი მიზნის მისაღწევად - გაუმჯობესდეს განათლების და ტრენინგის სისტემები და სამუშაო პროგრამა (https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/economic-and-fiscal-policy-coordination/eu-economic-governance-monitoring-prevention-correction/european-semester/framework/europe-2020-strategy_en). ეს პროგრამა ცნობილია, როგორც „განათლების და ტრენინგის პროგრამა“ (2010), რომლის განხორციელებამ ხელი შეუწყო გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გაცვლას.

ბონის დეკლარაცია ასევე მოუწოდებდა ყველა დაინტერესებულ მხარეს გაძლიერებულიყვნენ, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდაა ეფექტური და მდგრადი უნივრსიტეტი სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ჩამოყალიბება. ამ დეკლარაციით, არსებობდა პრობლემა დაინტერესებულ მხარეებს შორის სტრუქტურული დიალოგის და გადაწყვეტილებების კუთხით, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების დინამიკასთან დაკავშირებული პროცესებთან

მიმართებაში. ბოლონიის პროცესის მიხედვით, უმაღლესი განათლება დღეს მდებარეობს კვლევის, განათლების და ინოვაციის გზაჯვარედინზე (https://unevoc.unesco.org/print.php?q=bonn+declaration).

დოკუმენტში „ხედვა ევროპული კვლევის სივრცისთვის 2020“ (EU Council, 2008), კონკურენტუნარიანობის საბჭომ ხაზი გაუსვა უმაღლესი განათლების, კვლევის და ინოვაციის - პოლიტიკის სამი ძირითადი მიმართულების მჭიდრო თანამშრომლობის სასიცოცხლო მნიშვნელობას. მოცემული თემები გახდა გიოტენბერგში, 2009 წ 31 აგვისტო - 2 სექტემბერს გამართული კონფერენციის ცოდნის სამკუთხედი - ევროპის მომავლის ფორმირება მთავარი თემა. კონფერენციაზე მკვეთრად აღინიშნა უმაღლესი განათლების ცენტრალური როლი ცოდნის სამკუთხედში და ევროპული კონკურენტუნარიანობისთვის. ასევე საუბარი შეეხო უწყვეტი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების საჭიროებას ევროპული კვლევის სფეროსთან და ევროპულ ინოვაციურ გეგმასთან დაკავშირებით, მთავარი აქცენტი გაკეთდა მჭიდრო კავშირზე განათლებას, კვლევასა და ინოვაციას შორის, როგორც ეროვნულ, ასევე სრულიად ევროპულ დონეზე (რაც გულისხმობს უნივერსიტეტს, რომელიც ახორციელებს კვლევას ბაზრის დაკვეთით, რის შედეგადაც იქმნება ინოვაციური პროდუქტი, რომელიც ეკონომიკურად მომგებიანია უნივერსიტეტისა და ეკონომიკისთვის. (http://www.uka.se/download/18.12f25798156a345894e2bbb/1487841904645/0926R.pdf)

ევროკომისიამ კონკრეტული სფეროებისთვის შეიმუშავა რამდენიმე საკანონმდებლო დოკუმენტი ევროკავშირის აქტივობებთან დაკავშირებით: საკანონმდებლო ინსტრუმენტები, მოსამზადებელი აქტები, პრეცედენტული კანონი და სხვა. დოკუმენტაცია შეიძლება დაიყოს გამოყენების სფეროების მიხედვით. უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობასთან დაკავშირებით, შესაძლებელია აქტივობების რამდენიმე მთავარი ჯგუფის გამოყოფა:

- ევროკავშირის პოლიტიკა კვლევის და ინოვაციის სფეროში[3]
- ევროკავშირში დიპლომების და კვალიფიკაციების აღიარება [4]

[3] https://ec.europa.eu/info/research-and-innovation_en

- ლისაბონის სტრატეგია

კერძოდ, პირველი (კვლევის და ინოვაციის პოლიტიკა) წარმოადგენდა საკანონმდებლო ინსტუმენტების, მოსამზადებელი აქტების და სასამართლო გადაწყვეტილებების ნაკრებს, რაც მოიცავდა აღნიშნული საკითხის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს:

- ტექნოლოგიური ინსტიტუტების დაარსება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა;
- ცოდნის ტრანსფერის აქტივობებში ინტელექტუალური საკუთრების მართვა;
- ევროკავშირის მიღმა ქვეყნებთან თანამშრომლობა;
- განათლების და ტრენინგის გზით შემოქმედობითობის და ინოვაციის ხელშეწყობა;
- შესაბამისი კვლევის სფეროების საბჭოების ჩამოყალიბება.

ასევე, ლისაბონის სტრატეგიის თანახმად, ევროკომისია აღნიშნავდა, რომ

- ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება და ეკონომიკა საჭიროებს ძირითადი კომპეტენციების ადეკვატურ დონეს;
- დასაქმებულთა უნარების და კომპეტენციების ზრდა აუმჯობესებს პროდუქტიულობას, რადგან უნარებით აღჭურვილ სამუშო ძალას შეუძლია უკეთ უპასუხოს დინამიურ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ცვლილებებს, ხოლო აღმატებული უნარების და კომპეტენციების მქონე ადამიანები უკეთ შეძლებენ სოციალურად ინტეგრირაციას, გახდებიან სრულყოფილი და აქტიური მოქალაქეები;
- ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას მოახდენსინვესტიციები უნარებსა და კომპეტენციებში, რომელიც უნდა გავრცელდეს ყველა ჯგუფზე, მათ შორის დაბალი კვალიფიციკაციის მქონე მოქალაქეებზე და ასაკოვანი მოქალაქეებზე.

1980 წლიდან ევროკომისიამ მხარი დაუჭირა და წაახალისა უნივერსიტეტი-

---

4 https://www.ucc.ie/archive/hdsp/Recognition%20of%20diplomas%20in%20the%20European%20Union_introduction.htm

სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელშესაწყობად. ასევე ის განიხილებოდა განათლების შრომის ბაზართან მზარდი შესაბამისობის საშუალებად, ასევე კურსდამთვრებულთა დასაქმების და ცოდნის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობად. 1986 წ. ევროკომისიამ აამოქმედა პროგრამა „კომეტა' უნივერსიტიტი-სამეაწრმეო სფეროს თანამშრომლობის გასაძლიერებლად (პროფესიული განათლებისა და ტექნოლოგიების სფეროში). ამ პროგრამის მეშვეობით გაფორმდა არაერთი ხელშეკრულება პარტნიორობის და გრანტების კუთხით უნივერსიტეტებსა და წარმოებებს შორის. პარტნიორების გუნდმა გაანალიზა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების მონაწილეები (სოკრატე, ერაზმუსი და ლეონარდო), რათა შეესწავლათ უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს გარდამავალი ბარიერები და დაედგინათ წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორები. ამ ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციებითანამშრომლობის სამომავლო მოდელების და სტრატეგიების შესახებ.

2005 წლის ოქტომბრიდან, უნივერსიტეტები ევროკავშირის პოლიტიკის ფორმირების დონეზე აღიარეს განათლების უმაღლესი დონის მიმწოდებლად, რადგან მხოლოდ მათ აქვთ პოტენციალი, იყვნენ ცოდნის ეკონომიკის გამტარებელი და ეკონომიკურ აღორძინებაში საზოგადოების წინამძღოლები. ლისაბონის სტრატეგიის მიხედვით, კომისიის შემოთავაზება უნივერსიტეტების მოდერნიზებას და მას შემდეგ მოდერნიზაციის გეგმა გახდა ცოდნაზე დაფუძნებული გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. 2006 წლის გაზაფხულზე ევროსაბჭო გამოვიდა ევროპის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაარსების წინადადებით. მისი მთავარი იდეა იყო, ინსტიტუტს თავისი წვლილი შეეტანა ევროპის შესაძლებლობების გაუმჯობესებაში სამეცნიერო განათლების, კვლევის და ინოვაციისთვის, მულიტიდისციპლინარული მიდგომის განვითარებითა და სამეწარმეო სფეროსთან ძლიერი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით. წარმოების სფეროში მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს Manufuture[5]. მისი მიზანი იყო კვლევასა და ინოვაციაზე დაფუძნებული სტრატეგიის შემოთავაზება,

[5] http://www.manufuture.org

რაც უზრუნველყოფს დასაქმების დამატებით ღირებულებას და ქმნის მსოფლიოს წარმოების პროდუქციის ძირითად წილს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში (ცოდნის ეკონომიკაში).

უნივერსიტეტებისთვის მოდერნიზაციის განრიგის ავტორებმა (Council resolusion, 2007)[6] მოუწოდეს საბჭოს, მხარი დაუჭიროს ყველა წევრ ქვეყანას უნივერსიტეტის დღის წესრიგის მოდერნიზაციას უნივერსიტეტებსა და სამეწარმეო სფეროს შორის თანამშრომლობის წახალისების გზით. 2008 წელს გამართულმა პირველ უნივერსიტეტი-ბიზნეს ფორუმზე შეიქმნა დაინტერესებულ პირებს შორის სტრუქტურული დიალოგის ახალი პლატფორმა, რამაც მხარეებს მისცა საშუალება, გაეცვალათ აზრები, შეხედულებები, გაეზიარებინათ კარგი პრაქტიკა და გაემართათ დიალოგი. ფორუმები იმართება რეგულარულად, წელიწადში რამდენჯერმე, სხვადასხვა მნიშვნელოვან თემატიკაზე. ქვემოთ მოცემულია გამართული ფორუმების ნუსხა[7]:

- ✓ უნივერსიტეტი - ბიზნესის ფორუმი, 28-29 თებერვალი ,2008;
- ✓ თემატური ფორუმი «Continuing Education and Lifelong Learning» 30 ივნისი, 2008, ბრიუსელი;
- ✓ თემატური ფორუმი «Curriculum Development and Entrepreneurship» 30-31 ოქტომბერი 2008, ტენეფირი;
- ✓ თემატური ფორუმი «Knowledge Transfer; Intellectual Property Rights», 7 ნოემბერი 2008, ბრიუსელი;
- ✓ უნივესიტეტი - ბიზნესის ფორუმი; 5-6 თებერვალი, 2009;
- ✓ თემატური ფორუმი «U-B Cooperation and New Skills for NewJobs» 22-23O ოქტომბერი, 2009, დუბლინი;
- ✓ თემატური ფორუმი «U-B Cooperation: Opening up to non-EU countries»,3-4 დეკემბერი 2009 (ETF);
- ✓ თემატური ფორუმი «U-B Cooperation and the current crisis», 2-3 თებერვალი 2010, ბრნო;

[6] https://ec.europa.eu/education/sites/education/files/university-business-assessment-2009_en.pdf
[7] https://ec.europa.eu/education/policy/higher-education/university-business-cooperation_en

- ✓ თემატური ფორუმი «Enlarging the scope to other levels of education», 24-25 მარტი 2010, ბრუსელი;
- ✓ უნივესიტეტი - ბიზნესის ფორუმი პლენარული ფორუმი; მაისი, 2010;
- ✓ თემატური ფორუმები გაიმართა 2013 წ. ვარშავაში, 2014 წ. მადრიდში, რომში, სტოკჰოლმში და ბერლინში, ხოლო 2015 წ ვილნიუსსა და კაუნასში;
- ✓ 2013 წ ივნისში ჩატარდა მე 5 გაერთიანებული ფორუმი, ხოლო 2015 წ მარტში, მე-6 გაერთიანებული ფორუმი;
- ✓ უახლეს პერიოდში თემატური ფორუმები ჩატარდა 2016 წლის ოქტომბერში - სან სებასტიანში, თებერვალში - ვენაში, ივნისში - ჰელსიკში.

ყველა ამ შეხვედრის, რომელიც გეგმიურად გრძელდება, მიზანი უპირველესად არის ისეთივე, რაც იყო 2008 წელს - სტრუქტურული დიალოგი და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება. ასევე, 2013 წელს ყველა მონაწილე ქვეყანამ წარმოადგინა ინდივიდუალური ანგარიში, სადაც მოცემულია თანამშრომლობის მაგალითები. ასევე, ამოქმედდა Yammer[8] პლატფორმა, რომელზეც ხდება აზრთა და გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა. 2017 წლის აპრილში გაიმართა მე-7 ფორუმი ბრიუსელში.

უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ფორუმების განხილვის შედეგად კომისიის ორ უდიდეს ინიციატივას წარმოადგენს HEInnovate[9] - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის თვით შეფასების ინსტრუმენტი და Knowledge Alliances[10], რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დაფუძნებულ პარტნიორობას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კომპანიებს შორის. დღეს ისინი ავითარებენ პროექტებს კრეატიულობის, ინოვაციის და მეწარმეობის ხელსაშესაწყობად სწავლებასა და სწავლაში ახალი მიდგომების შემუშავებით.

1.1.3. უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ფორმები და მასზე მოქმედი ფაქტორები

[8] https://www.yammer.com/universitybusinesscooperationnetwork/
[9] https://heinnovate.eu/en
[10] https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/opportunities/organisations/innovation-good-practices/knowledge-alliances_en

უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა ნიშნავს თანამშრომლობას სტუდენტებს, სამეცნიერო წრეებს, დასაქმებულებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, მეწარმეებს, სხვადასხვა ორგანიზაციას, მთავრობის წარმომადგენლებს და რეგიონის პოლიტიკის გადამწყვეტ პირებს/დაწესებულებებს შორის. უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა ვითარდება მრავალი ფორმით, სადაც რესურსების, პერსონალის, და/ან ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება შემდეგი გზებით:

- კვლევა - კვლევითი კონტრაქტები, ერთობლივი საწარმო, ლიცენზიები, ერთობლივი სამეცნიერო სტატიები;
- სწავლა - ტრენინგი-ტრენინგების ორგანიზება/უზრუნველყოფა კომპანიებში, პრაქტიკა სტუდენტებისა და დოქტორანტებისთვის, კურსდამთავრებულთა დასაქმება, კონფერენციები, ვორქშოფები და სემინარები;
- კონსულტირება-საკონსულტაციო სამსახურები ბიზნეს-პარტნიორების ან სახელმწიფოსთვის;

ბოლო პუნქტი ახალია უნივერსიტეტების დღის წესრიგში (განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტების) და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროფესორის ან მკვლევარის პროფილზე. ჩვეულებრივ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ ირჩევენ კონსულტაციის საჭიროების დროს, მაგრამ სწორი მიდგომით ამის შეცვლა შეიძლება (შესაბამისი ინფრასტრუქტურა, წვდომა ბაზებზე, შესაბამისი პერსონალი, უნივერსიტეტის მიმართ ნდობა, მომსახურების ხარისხი და სხვა). პერკმანი ნაშრომში „აკადემიური პირების ჩართულობა: აკადემიური კონსულტირების სამი ფორმა და მათი გავლენა უნივერსიტეტებზე და წარმოებაზე" (Perkmann, M. and Walsh., K. 2008:1887) აყალიბებს აკადემიური კონსულტირების ტიპოლოგიას და ასხვავებს შემდეგი ტიპის კონსულტირებას: შესაძლებლობით - მამოძრავებელი (opportunity-driven), კომერციალიზაციით მამოძრავებელი (commercialization-driven) და კვლევით-მამოძრავებელი (research-driven) კონსულტირება. უმცროსი (ასისტენტი/ასისტენტ-პროფესორები) პროფესორები ახორციელებენ შესაძლებლობით - მამოძრავებელ კონსულტირებას, რადგან მათი ინტერესია შემოსავლის მიღებით; ამ ტიპის კონსულტირება უფრო მეტად

ფოკუსირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ვიდრე რაიმე ახალი პროდუქციის ან იდეის შეთავაზებაზე. კომერციალიზაციით მამოძრავებელი კონსულტირება არის ტექნოლოგიური განვითარება. მის შინაარსს შეადგენს შედეგების ლიცენზირება და პროფესორები ინარჩუნებენ მჭიდრო კავშირს ბიზნეს პარტნიორთან დახმარების კონტრაქტის (assisstence contract) ფარგლებში. კვლევით-მამოძრავებელი კონსულიტრება იყენებს კვლევის შესაძლებლობას, მოიცავს გრძელვადიან ურთიერთობას ბიზსნესპარტნიორთან (Perkmann, M. and Walsh K. 2008:1887).

უნივერსიტეტი-წარმოების ურთიერთობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. ტექნოლოგიური პროგრესი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან მაღალტექნოლოგიურ წარმოებას სჭირდება უნივერსიტეტები, რომლის გარეშეც არ მზადდება მაღალტექნოლოგიური წარმოებისთვის საჭირო კადრი; ცოდნის საზოგადოება, რომელიც მუდმივად საჭიროებს ადამიანურ რესურსს, ვერ მოახდენს უნივერსიტეტების იგნორირებას;

2. გლობალიზაცია ყველა პიროვნების ძირითად უნარებს ისეთ ახალ მოთხოვნებს უმატებს, როგორიცაა: კომუნიკაცია, ანგარიში, პრობლემის გადაჭრა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და თანამშრომლობა. უცხო ენების ცოდნის მნიშვნელობა უახლოეს წლებში გაიზარდა, რის შედეგადაც გაჩნდა მოთხოვნა ტრენინიგზე. მკაცრი საერთაშორისო კონკურენცია მუდმივად ცვლის მოთხოვნებს კურსდამთავრებულთა მიმართ, რაც უკვე ჩვენი გარემოს სტატიკურ მახასიათებლად იქცა. ყოველი უნივერსიტეტისთვის აუცილებელია ფეხი უნდა აუბას ამ ცვლილებებს. და ამიტომ, სამეწარმეო სფეროსთან კავშირი მნიშვნელოვანია;

3. შრომის ბაზრის საჭიროებები - ყველა საბაზრო ცვლილება არ უკავშირდება ტექნოლოგიურ პროგრესს ან გლობალიზაციას. ცვალებადი შრომის ბაზარი შეიძლება იყოს მაგ. ადგილობრივი განვითარების შედეგი, როდესაც რომელიმე სექტორი ვითარდება, ან აქცენტი ერთიდან მეორეზე გადადის, მაგ. სოფლის მეურნეობიდან ტურიზმზე. ადგილობრივი წარმოებების ჩართვა ადგილობრივ პარტნიორულ ურთიერთობებში შესაძლოა არ იყოს საკმარისი ადგილობრივი ცვლილებების წინასწარ განსასაზღვრად. სიახლის წინასწარ განსაჭვრეტად, საჭიროა

მეტად ფართო სპექტრის თანამშრომლობა სხვადასხვა დაწერესებულებასა და ოფიციალურ პირთან, როგორიცაა სავაჭრო პალატა, ადგილობრივი ან რეგიონული ოფიციალური პირები;

4. სამეცნიერო წრეების კულტურა ხშირად შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს, რადგან პროგრესის მიუხედავად, სამეცნიერო წრეები ძირითადად, კონსერვატიულად ერთგულია ტრადიციების. გარდა ამისა, სწავლების სამყარო, საკმაოდ დასაბუთებულად, ყოველთვის განსაკუთრებულად იცავდა თავის დამოუკიდებლობას. და ბოლოს, მსოფლიოში განათლებაზე ტიპური ხარჯები უჩვენებს, რომ დღესაც კი უმაღლესი განათლება პრივილიგებული რჩება. ამიტომ გასაგებია, რომ ცვლილებები აკადემიურ სამყაროში ძნელად პოულობს საყრდენს (European Commission 2011:18);

5. დაფინანსება შეიძლება იყოს როგორც მამოძრავებელი, ასევე მამუხრუჭებელი ფაქტორი. განათლებაზე მასობრივმა წვდომამ გამოიწვია ერთ სტუდენტზე გათვლილი ბიუჯეტის შემცირება, რამაც აიძულა ყველა უნივერსიტეტი მოეძიათ ბიუჯეტის დეფიციტის შევსების გზები. სახელმწიფო დაფინანსების გარდა, ბევრმა უნივერსიტეტმა მოახერხა დამატებითი სახსრების მოძიება კომერციული კონტრაქტების მეშვეობით ბიზნეს პარტნიორებთან. ამ შემთხვევაში ფულს მამოძრავებელი ძალა აქვს. უნივერსიტეტებთან სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის წახალისების მიზნით, საგადასახადო შეღავათები ან საწყისი ინვესტიცია ასევე ქმედითია. აღნიშნული განსაკუთრებულად ეფექტურია მაშინ, როდესაც ბიზნესის სფერო ფინანსურად შეზღუდულია იმდენად, რომ მას ტრენინგზე მინიმალური დანახარჯის გაწევა არ შეუძლია. მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა სრულად დონორის დაფინანსებაზე იქნება დამოკიდებული, მისი შანსები გადარჩეს პროექტის ეტაპის შემდეგ ძალიან მწირია.

6. ინსტიტუციური მართვა - მასობრივი წვდომა ქმედით ადმინისტრაციულ პროცედურებს მოითხოვს. წარმატებული, გრძელვადიანი პარტნიორობა უნივერსიტეტებს და საწარმოებს შორის დამოკიდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტის სურვილზე, განავითაროს ახალი

ხედვა და დანერგოს ახალი ამოცანები. თანამშრომლობითი პროექტების შესასრულებლად უნივერსიტეტის მენეჯმენტს სჭირდება მოქნილობა. თანამშრომლობის აქტივობების დაწყებამდე, როგორც მსხვილი ორგანიზაციისათვის, ასევე უნივერსიტეტისათვის აუცილებელია მკაფიო სტრატეგიული ხედვა, რას მოელის თითოეული მხარე თანამშრომლობიდან. აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელია მისია, ამოცანები და აქტივობები, ასევე არსებული რესურსების გამოვლენა, და ბაზრის ზედმიწევნითი ანალიზი, რომ შეირჩეს თანამშროლობის შესაბამისი ტიპი და ის სფერო, სადაც უნივერსიტეტს უპირატესობა აქვს.

7. განათლების პოლიტიკა და კანონმდებლობა - პოტენციურად ხელს უნდა უწყობდეს უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობას. თუმცა, პრაქტიკაში ის ნაკლებად არის დამხმარე და ხანდახან დაბრკოლებასაც კი წარმოადგენს. ევროპული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამ სფეროს კანონმდებლობას აქვს პრაქტიკის გათვალისწინების ტენდენცია. წარსულში არსებობდა გამოცდილება, როდესაც უმაღლესი განათლების დაწესებულებები გვერდს უვლიდნენ მკაცრ წესებს, სამეწარმეო საქმიანობის შესათავსებლად. როდესაც დამატებითი (გვერდითი) საქმიანობა, რითაც ისინი დაკავებულნი იყვნენ ძალიან გაიზარდა, კანონმდებლები იძულებულნი გახდნენ კანონში შეეტანათ ცვლილებები, რომ მიეცათ უმაღლესი განათლების სექტორისთვის კანონის შესაბამისობაში მოქმედების შესაძლებლობა. პოლიტიკა და განათლება შესაძლებელია იყოს ყველაზე ძლიერი ფასილიტატორი. მარტივი შესაძლებლობა, უნივერსიტეტს შეეძლოს სახსრების მოზიდვა - გადასახადით, კომერციული კვლევით თუ საკონსულტაციო კონტრაქტით - შესაძლოა ძლიერი სტიმული გახდეს. რის მეშვეობით მოხდება წარმოების წახალისება მათი უნივერსიტეტებთან დასაახლოებლად. ხელისუფლებას ასევე შეუძლია მათი საჯაროობის შესაძლებლობების გამოყენება ცნობადობის ამაღლების მიზნით. თუმცა ურთიერთობა ხელისუფლებას და საზოგადოებას შორის გარდამავალ ქვეყნებში საკმაოდ განსხვავდება დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული ურთიერთობებისგან. მთავრობას შეუძლია თანამშრომლობაზე ზეგავლენის მოხდენა ფინანსური

წახალისებების შემოღებით. საგადასახადო შეღავათების გარდა, შესაძლებელია საწყისი დაფინანსების უზრუნველყოფა. ასევე, ევროპაში მთავრობა ფართოდ იყენებს სახსრების შეწყვილების პრინციპს, სადაც უმაღლესი განათლების დაფინანსების ნაწილი წარმოადგენს ერთიანად გადახდილ თანხას შეთანხმებული ფორმულით, ხოლო დამატებითი დაფინანსება მიიღება განსაზღვული პირობების საფუძველზე. შეწყვილებული დაფინანსებით მთავრობა ახდენს პროექტებიდან და კომერციული კონტრაქტებიდან მიღებული სახსრების შეწყვილებას საჯარო დაფინანსების პროცენტულ ნაწილთან (European Commission 2011:22).

1.1.4. უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის სარგებელი და რისკები

უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა წარმატებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც უმაღლესი განათლების და მისი სამრეწველო სფეროს თანამშრომლობა ორმხრივად მომგებიანია. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულება ცნობს სამეწარმეო სფეროსთან მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროებას, სადაც მისი სტუდენტები პოულობენ დასაქმების ადგილს, მკვლევარები - საკვლევ თემატიკას, და ა.შ. სამეწარმეო სფერო, თავის მხრივ, ასევე აღიარებს მათთვის ასეთი თანამშრომლობის დამატებითი ღირებულება.ს პარტნიორული სტრატეგიების შემუშავების დროს უნივერსიტეტები ითვალისწინებენ ამ ასპექტს.

უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობას ორივე მხარისთვის აქვს როგორ დადებითი შედეგები, ასევე უარყოფით შედეგების რისკი.

ა) უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის სარგებელი და რისკები სამეწარმეო სფეროსთვის:

სამეწარმეო სფეროსთვის ძირითად სარგებელ მომენტებად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი გარემოებები:

- ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში;
- კეთილგანწყობა და პოზიტიური იმიჯის შექმნა;

- გავლენა განათლებისა და ტრენინგის შესაბამისობაზე კურიკულუმის ინოვაციის გზით, ახალი კვლევითი და სასწავლო პროგრამების შემუშავება, საუნივერსიტეტო პროგრამების შექმნის ხელშეწყობა ახალი პროფესიებისთვის;
- სტუდენტების სამუშაო გამოცდილების გაზრდა და შრომის სამყაროსთან უკეთესად ადაპტირებულ კურსდამთავრებულთა დასაქმება;
- კომპანიებში ინოვაციების დანერგვა, ახალი ან გაუმჯობესებული პროცესების, ახალი პროდუქტების, ახალი სტრატეგიის ბაზრის განვითარების და გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობის ფორმით;
- სახელმწიფოდან საშეღავათო პოლიტიკის მიღება საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობისათვის;
- ტექნოლოგიურ ცვლილებებთან უკეთესად გამკლავება, მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში უახლესი ინფორმაციის მიღება, პირდაპირი წვდომა კვლევის შედეგებთან და ამ შედეგების საბაზრო პროდუქციად გადაქცევა.

ბიზნესის თვალსაზრისით, კვლევას და განვითარებას მთავარი ყურადღება ეთმობა და შესაძლებელია იმის დემონსტრირებას, რომ კვლევა და განვითარება წარმოადგენს მომგებიან ინვესტიციას გრძელვადიან პერსპექტივაში, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს წარმოების ზრდაში.

ზოგადად, უნივერსიტეტთან თანამშრომლობა შეიძლება იყოს ფორმალური და/ან არაფორმალური (Ortiz 2012:146). არაფორმალური თანამშრომლობა დამახასიათებელია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის, რომელთა ინტერესს წარმოადგენს სწრაფი, მობილური წვდომა ეკონომიკურ და რელევანტურ ინფორმაციასთან და ღიაა უნივერსიტეტთან თანამშრომლობისთვის. მსხვილი კომპანიები უპირატესობას ანიჭებენ ფორმალურ თანამშრომლობას ერთობლივი საწარმოს ან კონტრაქტის სახით. ერთობლივი საწარმო გულისხმობს რამდენიმე კომპანიის მიერ ახალი საწარმოოს შექმნას უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მიზნით. ამ გრძელვადიან პროცესში პარტნიორები დებენ თავიანთ კომპეტენციებს, რესურსებს და კვლევის ამოცანა არის საერთო. აღნიშნული თანამშრომლობის ნეგატიურ ასპექტი გამომდინარეობს სხვადასხვა საორგანიზაციო კულტურიდან, ნორმიდან, თითოეული პარტნიორის ღირებულებიდან, განსხვავებული სამუშაო

პროცედურებიდან და შეთანხმების მიღწევამ შეიძლება დიდი ძლისხმევა და ენერგია მოითხოვოს.

კვლევის კონტრაქტის ფარგლებში ფორმალურ თანამშრომლობას მოკლე ან საშუალო ხანგრძლივობა აქვს. პროფესორების, მკვლევარების და კომპანიის თანამშრომლების ერთიანი ჯგუფები მუშაობენ და იკვლევენ საერთო ამოცანებს. აღნიშნული კონტრაქტის უპირატესობა არის რისკის და ხარჯების გაზიარება და პარტნიორების მინიმალური გავლენა. ამ ტიპის თანამშრომლობას მხარს უჭერს სახელმწიფო ძირითადად ე.წ. კონსორციუმების დაფინანსებით. კონსორციუმი წარმოადგენს ასოციაციებს უნივერსიტეტებსა და კომპანიებს შორის კვლევის და განვითარების საკითხებში. ბიზნესის პერსპექტივიდან, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიას ჰქონდეს აბსორბციის შესაძლებლობა, უნარი განსაზღვროს, შეითვისოს და გამოიყენოს საერთო პროექტებიდან მიღებული ცოდნა (Cohen, Levinthal 1990:143).

ბელდერბოსის მიხედვით, კომპანია თანამშრომლობს ჰორიზონტალურად კონკურენტებთან, ვერტიკალურად მომწოდებლებთან და ინსტიტუციონალურად უნივერსიტეტებთან და კვლევით ინსტიტუტებთან (Belderbos, R., Carree, M., Diederen, B., Lokshin, B., Veugelers, R., 2004:1253).

ინსტიტუციური თანამშრომლობას უნივერსიტეტებთან აქვს სხვადასხვა მოტივაცია და რისკი. სტრატეგიული თვალსაზრისით, კომპანია დაინტერესებულია ეკონომიკურ წარმატებაში, რომელიც ეფუძნება გონივრულ, მდგრად და კონკურენტუნარიან უპირატესობებს. აღნიშნული შესაძლებელია განვითარდეს კომპანიის შიგნით, კვლევებით და განვითარებით, პროდუქციის ინოვაციით, კრეატიული თანამშრომლებით, ჩადებული ინვესტიციების მეშვეობით ან ის შეიძლება მიღებული იყოს გარე წყაროებიდანაც. ამ სახის ერთ-ერთი წყაროა უნივერსიტეტი, რომელიც ჩვეულებრივ წარმოადგენს კომპეტენციებისა და ცოდნის საბადოს. უნივერსიტეტთან თანამშრომლობის უპირატესობას წარმოადგენს დაჩქარებული ინოვაციური პროცესი, ეტაპების შემცირება (მაგ. დრო პროდუქციის იდეას და ბაზარზე წარდგენას შორის). ფინანსური თვალსაზრისით, უნივერსიტეტთან კოოპერაციას მოაქვს ხარჯების განაწილება კვლევასა და

განვითარებას შორის (ეს ხარჯები ჩვეულებრივ ძალიან მაღალია, მაგ. ფარმაცევტულ წარმოებაში ან ბიოტექნოლოგიებში) და ამცირებს რისკს და გაურკვევლობას (განსაკუთრებით ფუნდამენტალური კვლევების შემთხვევაში). ეკონომიკური თვალსაზრისით, უნივერსიტეტთან თანამშრომლობას მოაქვს დიდი მასშტაბის ეკონომია, რადგან არ არის ინფრასტრუქტურის ინვესტიციის ან განსაკუთრებული პერსონალის დაქირავების საჭიროება. სამეცნიერო თვალსაზრისით, ეს თანამშომლობა მას აძლევს ბაზრის და განვითარების პერსპექტივის ცვლილებების იმპულსს. ზოგადად, კომპანია ეძებს პრობლემის გადაჭრის გზას, რასაც ის ვერ ახერხებს თავისი კომპეტენციებითა და უნარებით. მაშასადამე, რესურსებში ჩადებული ინვესტიცია შეიძლება არ იყოს ეფექტური, ხოლო უნივერსიტეტთან პარტნიორობით კი - ხარჯი ნაკლებია. ამასთან, კომპანიისთვის რთულია ყველა აუცილებელი კომპტენციის ერთ დროს ერთ ადგილას თავმოყრა, ხოლო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობა უსაფრთხო მოდელია, რადგან ის იძლევა ინოვაციური შედეგების მიღებასა და უახლოეს აღმოჩენებთან წვდომას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ორმხრივად მომგებიანი ასპექტებისა, ორტიცი გამოყოფს ბიზნესითვის რამდენიმე რისკს, რაც უნივესიტეტთან თანამშრომლობას უკავშირდება (Ortiz 2012:169):

- კოორდინირების და ინფორმირების პრობლემები: თითოეული მხარე ხასიათდება თავისი იერარქიით და ბიუროკრატიით, რაც იმას ნიშნავს, რომ შიდა პროცედურები შესაძლოა ნეგატიურად აისახოს საერთო პროექტების ინფორმაციასა და კოორდინირებაზე;
- შედეგების საკუთრება და კომერციალიზაცია: მკაფიო განმარტების გარეშე არსებობს რისკი, რომ ერთ მხარეს შეუძლია გამოიყენოს შედეგები საკუთარი მიზნებისთვის;
- სიახლის (ნოუ-ჰაუ) მეკობრეობა: პროექტის გუნდის წევრები არიან უნივერსიტეტთან აფილირებული პირები და კომპანიის თანამშრომლები; შესაბამისად, რთულია ხელი შეუშალო ცოდნის კომპირებას. ამიტომ,

მნიშვნელოვანია განიმარტოს კონტრაქტში ურთიერთობის და თანამშომლობის პირობები, თითოეული მხარის წვლილი, პასუხისმგებლობები და უფლებები.

ბ) უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის სარგებელი და რისკები უნივერსიტეტისთვის:

ქვემოთ განვიხილავთ რა სარგებელი მოაქვს უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობას უნივერსიტეტისთვის, და რა რისკის შემცველი ფაქტორები არსებობს ასეთი თანამშრომლობის ფარგლებში.

უნივერსიტეტისთვის უმთავრეს სარგებელს წარმოადგენს:

- განათლების და კვლევების უკეთესად მისადაგება საზოგადოების რეალურ საჭიროებებთან;
- სტუდენტების საწარმოს პრაქტიკული ცოდნის გაზრდა და პროფესიული პრაქტიკისთვის სწავლება;
- სტუდენტების მომზადება დასაქმებისთვის და სამუშაო შესაძლებლობების გაფართოება;
- განათლებაში საერთაშორისო განზომილების შეტანა;
- უნივერსიტეტის პერსონალის და მკვლევარების გადამზადება და უნივერსიტეტის სწავლების გაუმჯობესება სწავლების ახალი მიდგომების დანერგვით;
- კომპანიის ფიზიკური რესურსების და ექსპერტიზის გამოყენება, რომლებიც უფრო თანამედროვეა უნივერსიტეტებთან შედარებით;
- პროფესიული და ფინანსური დახმარება, დამატებითი შემოსავლის მიღება;
- ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების შედეგების ტრანსფერი;
- უნივერსიტეტის რეპუტაციის ამაღლება რეგიონში, ან ქვეყანაში, ან საერთაშორისო დონეზე:

უნივერსიტეტის თვალსაზრისით, სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობა კვლევით პროექტებში აძლევს უნივერსიტეტს საშუალებას შეასრულოს მეორე მისია (კვლევა). სწავლების პირველ მისიასთან ერთად, კვლევა არის უნივერსიტეტის წვლილი საზოგადოების კეთილდღეობასა და განვითარებაში. კომპანიისათვის

კვლევა და განვითარება ღირებულების ჯაჭვის აქტივობებია, და ხორციელდება საინვესტიციო გეგმის მიხედვით. კვლევას მოაქვს კონკურენტუნარიანი უპირატესობები, ხოლო უნივერსიტეტებში კვლევა ასრულებს სწავლების აქტივობას (უმრავლეს შემთხვევაში პროფესორების სამუშაოს აღწერილობა შეიცავს როგორც სასწავლო, ასევე კვლევით აქტივობებს). არ არის სავალდებულო მათ კვლევები ორიენტირებული იყოს ბაზრის საჭიროებებზე, ეფუძნებიან მათი კვლევები მეტად სამეცნიერო პრინციპებს ეფუძნება, ვიდრე ეკონომიკურს.

რა ფაქტორები განაპირობებს უნივესიტეტის სურვილს ითანამშროლოს ბიზნესთან? როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირის გადაწყვეტილება, ჰქონოდა ყველაზე მეტად კონკურენტუნარიანი ეკონომიკა მსოფლიოში, მოქმედებს განსაკუთრებით ინოვაციებზე, კვლევასა და განვითარებაზე. ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტაცია „ითარგმნა“ ყველა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში. შესაბამისად საწარმოო და ინოვაციური პოლიტიკა მოიცავს წახალისების და შეღავათების სერიას ინოვაციისა და განვითარების უფრო მაღალი პოტენციალისთვის. ეს ახალი დამოკიდებულება შთაგონებული იყო ბიზნესის მიერ დაფინანსებული წარმოებასა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის წარმატებული ამერიკული გამოცდილებით, რომელიც დღეს გლობალურ კვლევით ცენტრებად გადაიქცა (ჰარვარდი, სტენფორდი, და სხვა). 1980 წ. ბეიდოილის (Bayh-Dole) აქტი[11] არის ის დოკუმენტი, რომელმაც გამოიწვია აღმასვლა ამერიკაში, გააუმჯობესა რა პატენტთან და კომერციული სასაქონლო ნიშნანთან დაკავშირებული კანონმდებლობა. უნივერსიტეტებმა მიიღეს პატენტების დარეგისტრირების უფლება, ასევე უფლება გაეცათ ლიცენზიები მათ კვლევების საფუძველზე, ასევე საჯარო დაფინანსების პროექტებში; პროფესორებმა მიიღეს უფლება, გამხდარიყვნენ მეწილეები შვილობილ კომპანიებში (საწარმოები, რომლებიც იყენებენ კვლევით პროექტებში შემუშვებულ ბიზნესიდეებს ან ტექნოლოგიებს). აღნიშნულმა დოკუმენტმა გაამარტივა ტრანსფერი უნივერსიტეტებს, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის, რაც განხორციელდა

[11] Bayh-Dole Act ან Patent და Trademark Law Amendments Act (Pub. 96-517, 12 დეკემბერი, 1980) არის შეერთებული შტატების კანონმდებლობა, რომელიც ეხება ინტელექტუალურ საკუთრებას, რომელიც არის ფედერალური მთავრობის მიერ დაფინანსებული კვლევის შედეგი

ტექნოლოგიური ტრანსფერის ოფისების მეშვეობით და კვლევების კომერციალიზაციის დარეგულირებით. წარმოებისთვის ევროკავშირმა 2009 წელს შემოიღო ე.წ. ინოვაციის დაფინანსების მეთოდი (ვაუჩერი), რაც წარმოადგენს ტექნოლოგიური ტრანსფერის ინსტრუმენტებს უნივერსიტეტებსა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შორის და ამარტივებს წვდომას უნივერსიტეტის ან კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშვებულ ინოვაციურ სერვისებთან. აღნიშნული დაფინანსება ფარავს დაშვებული ხარჯების 90%-ს.

როგორც ზემოთ ნახსენებია, ბიზნესთან თანამშრომლობა ასევე მოიცავს ფინანსური და მატერიალური სარგებლის სპექტრს. ცხადია, ფინანსური კომპონენტი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ რეალობაში სხვა სარგებელსაც უნდა გაესვას ხაზი, მაგ. პერსონალის კმაყოფილება, პრესტიჟი, რეპუტაცია, უნივერსიტეტის საქმიანობაში წვლილის შეტანა. ეს შედეგები ყოველთვის აღინიშნება რანჟირებულ და ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში, მნიშვნელოვან ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში სიტყვით გამოსვლის დროს, კონფერენციებზე, ვორქშოფებზე და სხვა. ამავდროულად, უნივერსიტეტებისთვის რეკომენდებულია ღია მეცნიერებისთვის[12] ბრძოლა ან შედეგების გავრცელება საზოგადოდ.

ამ ტიპის თანამშრომლობაში უნივერსიტეტისთვის მთავარ უპირატესობებს წარმოადგენს:

- ფინანსების ფონდი - პროფესორებისთვის ეს ნიშნავს კვლევაში თავისუფლებას; მათ შეუძლიათ, თავისუფლად აარჩიონ საინტერესო თემა, უნივერსიტეტი ნაკლებად ზემოქმედებს კვლევის სახსრების განაწილებაზე;
- პრაქტიკაზე ფოკუსირებული კვლევა - ახალი კვლევის სფეროები ღიაა; პროფესორებს აქვთ შედეგების, ახალი მეთოდების და ტექნიკის ტესტირების შესაძლებობა;
- კვლევის შედეგებით საგნის შინაარსის განახლება (ახალი სახელმძღვანელოების შემუშავება, სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილება,

[12] ღია მეცნიერება - სამეცნიერო კვლევის, მონაცემთა და გავრცელების მოძრაობის მოძრაობა, რომელიც ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოების, მოყვარულთათვის ან პროფესიონალთათვის ყველა დონეზე

საბაკალავრო და სამაგისტრო დისერტაციების განვითარება, სტუნდეტების მიერ ჩატარებული გამოყენებით კვლევების საფუძველზე);

- წვდომა საწარმოს ცოდნაზე - პროფესორებს ეძლევათ საბაზრო რელობის გაცნობის საშუალება და სახეზეა ორივე მხარეზე სასწავლო ეფექტი.

მოცემული სარგებელი პოზიტიურად მოქმედებს უნივერსიტეტის პროფილზე, იძლევა განვითარების საშუალებებს (მაგ. ბიზნეს ადმინისტრირების პროფესორები მონაწილეობენ საკონსულტაციო პროექტებში), მაგრამ ასევე ბადებს შეკითხვებს, უნივერსიტეტის ფუნქციებთან და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტებიდან კომერციალიზაციის შედეგების ეთიკურ ასპექტებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის მთავარ ფუნქციებს წარმოადგენს სწავლება და კვლევა. თუმცა, საზოგადოებაში უნივესიტეტის ახალი როლის, ბიზნეთან ურთიერთობების, და საჯარო სახსრების შემცირების გამო, უნივერსიტეტები დღეს დგანან კომერციალიზაციის გამოწვევის წინაშე (რომელიც ცნობლია, როგორც უნივერსიტეტის მესამე მისია). ეს ახალი მისია კომპლექსური და მრავალწახნაგოვანია; და უნივერსიტეტებს ახალ მდგომარეობაში აყენებს. მონტესიონი (Montesinos, P., Carot, J. M., Martinez, J. M., & Mora, F.2008:265) აღნიშნავს მესამე მისიას „საზოგადოების მსახურების“კონტექსტში და ხაზს უსვამს, რომ უნივერსიტეტს შეიძლება ჰქონდეს:

ა) სოციალური მისია (მომსახურება) მონეტარული სარგებლის გარეშე;

ბ) მწარმოებლური მისია (უნივერსიტეტი დაინტერესებულია კაპიტალის ბრუნვის ზრდით);

გ) ინოვაციური მისია (საკონსულტაციო კონტრაქტების, წარმოებისთვის პრობლემების გადაჭრის მეშვეობით).

უპირატესოებების გარდა წარმოებასთან თანამშროლობა შეიძლება შეიცავდეს საფრთხეებს. უნივერსიტეტის ბიუროკრატიული სტრუქტურა, სპეციალური პერსონალის ნაკლებობა მარკეტინგის ან ტექნოლოგიური ტრანსფერის განყოფილებებში, მაღალი ადმინისტრაციული ხარჯი, ფინანსური დამოკიდებულება მოცემული თანამშრომლობის საფრთხეების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. იმავდროულად, გარე დამფინანსებელს შეუძლია, უნივერსიტეტს

თავს მოახვიოს საკვლევი თემები, რომლებსაც შეუძლიათ კვლევის თავისუფლების შეზღუდვა, ან გამოიწვიოს პროფესორთა და მკვლევართა კერძო სექტორში „გადინება “მომხიბვლელი პირობების გამო.

1.2. ჰელიქსის სამმაგი სპირალის თეორია

ცნება „Triple Helix" ან „სამმაგი სპირალი (ან სამგანზომილებიანი ხვია) - უნივერსიტეტი-მთავრობა-სამეწარმეო სფერო ცოდნის ინოვაციური განვითარების სოციოლოგიაში შემოიტანეს ჰენრი ეტკოვიჩმა და ლოეტ ლიდესდორფი 2000 წ. გიბონსის და სხვათა მიერ ცოდნის მეორე ტიპის[13] წარმოებაზე კრიტიკული პასუხის სახით. 2007 წელს მასში იყო შეტანილი შესწორება სინგაპურში კონფერენციაზე, ეტკოვიჩის და ჟოუს მოხსენებაში: „ინოვაციის რეგიონული ინიციატორი - მეწარმე უნივერსიტეტი სამმაგი სპირალის სხვადასხვა მოდელში“, რომელშიც ხაზგასმულია ადგილობრივი მახასიათებლების განსაკუთრებული როლი სპირალის ტრიპლექსის ცირკულარულ ურთიერთქმედებაში. უნივესიტეტები ქმნიან იდეებს, მთავრობა აყალიბებს ნორმატიულ ბაზას, ხოლო ბიზნესი უზრუნველყოფს რესურსებს (მე-6 ბიენალე საერთაშორისო კონფერენცია სამმაგი ჰელიქსის შესახებ, საკონფერენციო მასალები). მთავრობის როლი განათლების სისტემის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში უდაოდ მნიშნვნელოვანია. ჯერ კიდევ 1978 წ. იაპონელი მკვლევარი მასაკო ოკავა აცხადებდა, რომ „მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ყველა მთავრობა ყოველთვის ღრმად არის ჩართული უმაღლეს განათლებაში, რადგან ეს უკანასკნელი სრულიად საზოგადოებას საჯარო სარგებელს სთავაზობს. კონკრეტულად კი, მთავრობა ყოველთვის ასრულებს წამყვან როლს სტუდენტების რაოდენობის და სტუდენტური ორგანოების გასაზღვრაში, ასევე ის განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების გაფართოების სისწრაფეს და მიმართულებას, ასევე მათ მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯების დაფინანსების მეთოდებს (Ohkawa; 1978:4).

2000 წელს გენეტიკოსმა და ევოლუციონერმა ბიოლოგმა ლევონტინმა (ლევონთინი; 2000) პირველმა გამოიყენა სიცოცხლის სამმაგი სპირალის მოდელი

[13] ცოდნის მეორე ტიპი - მულტიდისციპლინარული გუნდი იკრიბება დროის მოკლე პერიოდის განმავლობაში, რომ გადაჭრას რეალური სამყაროს სპეციფიკური პრობლემები ცოდნის წარმოებითვის.

(გენი, ორგანიზმი, გარემო) ბიოლოგიური ცოდნის კონტექსტში. აღნიშნული მოდელი, მისი აზრით, იძლეოდა სიცოცხლის სირთულის, როგორც მეცნიერული ცოდნის, წარმოდგენის საშუალებას, რომლის დაკვირვებადი ფენომენები წარმოადგენს სამი აქტიური საწყისის ურთიერთქმედების შედეგს (ბიოლოგიური პროცესის ერთგვარი სუბიექტების): გენომის აქტიურობა, ცოცხალი ორგანიზმი და გარემოს ფაქტორები.

სამმაგი სპირალის იდეას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა შინაარსობრივი შემადგენელი. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს შემდეგი ვარიანტები:

1.მეცნიერება-ტექნოლოგია-საზოგადოება;

2. მეცნიერება-წარმოება-ბუნება;

3. მეცნიერება-ეკონომიკა-მთავრობა.

ე. ეტკოვიჩი სამმაგი სპირალის უნივერსიტეტი - მეწარმეობა - ხელისუფლების ურთიერთობებს ადარებს იმ ალტერნატიულ მოდელებს, რომელიც გამოიყენება თანამედროვე კვლევითი სისტემების ახსნისათვის თავიანთ სოციალურ კონტექსტში (Etzkowitz, Leydesdorff, 2000:109). სამმაგი სპირალის თეზისის მიხედვით უნივერსიტეტი არის ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია ითამაშოს გაძლიერებული როლი სიახლეების დანერგვაში, განსაკუთრებით მზარდ ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. მეცნიერება-ეკონომიკა-მთავრობის პროტოტოპად მოვლენილი უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს შორის არსებობს კომუნიკაციის და მოლოდინების ე.წ. ქსელი, რაც ზოგადად ზეპირსიტყვიერ შეთანხმებას ან ზოგად მემორანდუმს ეყრდნობა რეალობაში. ჰელიქსის სამგანზომილებიანი ხვია კონცენტრირებულია ამ კომუნიკაციებისა და სამომავლო მოლოდინების ქსელების გადაფარვაზე, რომელიც ახალ ფორმას სძენს არსებულ (ინსტიტუციონალურ) სისტემატიზაციას უნივერსიტეტებს, სამეწარმეო სფეროს და სამთავრობო უწყებებს შორის.

1.2.1. სამმაგი სპირალის ძირითადი მეტაფორა

სამმაგი სპირალის (სამგანზომილებიანი ხვია) იდეის საფუძველს წარმოადგენს სამი სხეულის ფარდობითი აღწერის მათემატიკური ამოცანის მეტაფორა, რომელსაც

არა აქვს საერთო ამოხსნა, მაგრამ შესაძლებელია კონკრეტული ამოხსნა რამდენიმე კონკრეტული საწყისი პირობისთვის. ის მოსახერხებელია ინოვაციური განვითარების არახაზოვან, პოლივარიანტულ და სტატისტიკურად განსაზღვრულ პროცესებთან მიმართებაში (Etzkowitz, Leydesdorff, 2000). მეცნიერების რუსულ ფილოსოფიაში (სინერგეტიკა)[14] აღნიშნული მოდელი ან მეტაფორა ფართოდ დაინერგა 80-იანი წლების ბოლოდან თვითორგანიზების უთანაბრო, არახაზოვან პროცესების ასაღწერად. ეტკოვიჩის მიხედვით, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ტრანსდისციპლინარულობის სამმაგი სპირალი ცოდნის საზოგადოებაში მოქმედებს შემდეგი პრინციპით: სამი სპირალიდან ყოველი ორი მესამესთან მიმართებაში ქმნის ინტერვალური სიტუაციის სასაზღვრო პირობებს, ხოლო მესამე (გარდამავალი) – „შუა“ გარემოს წარმოქმნის. ამავდროულად, თითოეულ გამოყოფილ გარდამავალს წყვილში შეუძლიათ ამ ჩარჩო ფუნქციების შესრულება. სპირალების ხარისხობრივი განსხვავების გათვალისწინებით, თითოეული მათგანი დამატებით განისაზღვრება მეორეს მეშვეობით. მაგ. უნივერსიტეტი-საწარმოს მეშვეობით, მთავრობა-ბიზნესის ლობირების სტრუქტურების მეშვეობით და სხვა. ინოვაციები, რაც სამმაგი სპირალის - უნივერსიტეტი-მთავრობა-სამეწარმეო სფეროს ქმედების შინაარსს წარმოადგენს. ტრადიციული გაგებისგან განსხვავდება იმით, რომ მათში ახალი ცოდნის წარმოქმნა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი მომენტია. ინოვაციებს ტექნიკაში ან საქმიანობის სხვა სფეროებში ყოველთვის წინ უსწრებს სოციალური ინოვაციები ტრანსინსტიტუციონალური ცენტრების, სამუშაო ჯგუფების, კომპანიების და სხვა შექმნის ფორმით, რომლებიც თავს უყრიან მეცნიერების, ბიზნესმენების და პოლიტიკოსების განცალკევებულ ჯგუფებს. უნდა შეიქმნას განსაკუთრებული „ტოპოსები“ (ცოდნის ინკუბატორები), რომლებიც ეფექტური იქნება მხოლოდ კონტრეტული პრობლემის გადასაჭრელად - „ტრანსინსტიტუციონალური ურთიერთქმედების სივრცეები“. მათში ყალიბდება განსაკუთრებული ენა, რომლის ლექსიკონი მუდმივად ფართოვდება, ასევე ტრანსდისციპლინური კომუნიკაციის მოცემულ სიტუაციაში სპეციფიკური, ეფექტური დისკურსული პრაქტიკა და კონცეპტუალურ-მეტაფორული სისტემები.

[14] https://iphlib.ru/greenstone3/library/collection/newphilenc/document/HASHa66330a063a538e5cc6ca6

შესაბამისად ყალიბდება ტრანსინსტიტუციონალური ურთერთქმედების მონაწილეთა სპეციფიური საკომუნიკაციო კომპეტენციები. ჩნდება თანამშრომლობის პროფესიონალები ე.წ. „მთარგმნელები“ ან „პროფესიონალები“, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციური პროცესის მონაწილეთა ენებს შორის თარგმანს და მათ ინტერესების შეთანხმებას (Etzkowitz, 2003:309).

ინოვაციური განვითარების სამმაგი სპირალის კრიტიკა და ფილოსოფია ამახვილებს ყურადღებას მოდელების გამოყენების ევრისტულ სარგებელზე და მათ არა - შემთხვევით გამოჩენას მეცნიერების სოციოლოგიური ანალიზის ენაში (Shinn, 2002:602). ინოვაციამ ამ კონტექსში ბოლო ხანებში შეიძინა უფრო ფართო მნიშვნელობა. ჰელიქსის სამმაგი სპირალი გულისხმობს ინოვაციის საერთო ფორმატს, მაგრამ მის გზას გააჩნია სხვადასხვა ამოსავალი წერტილი. მთავრობის სახელმწიფო მოდელი, რომელიც აკონტროლებს აკადემიასა და ინდუსტრიას და Laissez-faire[15]-ის მოდელი, სადაც ინდუსტრია, აკადემია და მთავრობა განცალკევებულია ერთმანეთისგან, მოკრძალებულად ურთიერთმოქმედებენ მხოლოდ ძლიერი საზღვრების მასშტაბით.

ინსტიტუციონალური სფეროების ერთდროულად კონკურენტი და თანამშრომელი ჰელიქსის სამმაგი სპირალის მოდელი განსხვავდება იმ სიტუაციებისგან, რომელშიც სახელმწიფო მოიცავს ინდუსტრიასა და უნივერსიტეტს, მაგალითად ყოფილი საბჭოთა კავშირი და ზოგიერთი ევროპული და ლათინურ-ამერიკული ქვეყნები. იმ ეპოქაში, როცა გაბატონებული იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმო, როცა ურთიერთობები ორგანიზებული იყო ინსტიტუციონალურ სფეროებს შორის, მთავრობა თამაშობდა მაკოორდინირებელ როლს. ამ ურთიერთობების ერთი მოდელი ლათინურ ამერიკაში მოწოდებული იყო არგენტინელი ფსიქოლოგის ხორხე საბატოს[16] მიერ. მისი წინადადება იყო განვითარების დაღმავალი მოდელი, როცა მთავრობა კოორდინირებს ინდუსტრიასა და აკადემიას მათი ერთამანეთის მიმართ „შიდა „ და „გარე“ ურთიერთობებით, წინ წევს უფრო ტრადიციულ მოდელს და კოორდინირებას უწევს თითოეულ სფეროს რათა წაახალისოს ტექნოლოგიური

[15] https://en.wikipedia.org/wiki/Laissez-faire
[16] ხორხე ალბერტო საბატო - არგენტინელიფიზიკოსი და ტექნოლოგი

განვითარება (Etzkowitz, 2003:311). ჰელიქსის სამგანზომიანი სპირალის სახელმწიფო მოდელის ვერსიის იდეა არის ის, რომ ქვეყანამ უნდა შეინარჩუნოს მისი ადგილობრივი ტექნოლოგიური ინდუსტრია დანარჩენ სამყაროში მიმდინარე მოვლენებისგან გამოყოფილად.

სახელმწიფო ფორმატში, სადაც აკადემია და ინდუსტრია კონტროლდება მთავრობის მიერ, ცვლილებებისკენ პირველი ნაბიჯი არის დაღმავალი კონტროლის შესუსტება და სამოქალაქო საზოგადოების შექმნა. სახელმწიფო მოდელის პოლარული ალტერნატივაა ცალკეული ინსტიტუციონალური სფეროების laissez-faire[17]-ის მოდელის ჰელიქსის სამგანზომიანი სპირალი, სადაც ხალხი უფრო კონკურენციას გასწევს, ვიდრე ითანამშრომლებს. მკაცრი დიფერენცირება იძლევა ინსტიტუციონალური სფეროების ვიწრო განმარტებას, ძლიერ საზღვრებს და ამ სფეროების ურთიერთმოქმედების მაღალ სტანდარტებს.

ჰელიქსის სამგანზომიანი სპირალის რეჟიმი ჩვეულებრივი იწყება მაშინ, როდესაც უნივერსიტეტი, სამეწარმეო სფერო და მთავრობა შედის ორმხრივ ურთიერთობაში ერთმანეთთან, სადაც თითოეული ცდილობს გააძლიეროს მეორეს მიერ შესრულებული საქმე. მსგავსი ინიციატივების მეტი ნაწილი ვლინდება რეგიონალურ დონეზე, სადაც სპეციფიკური პრობლემები ინდუსტრიულ ჯგუფებში, აკადემიური განვითარება და მმართველი ორგანოების ნაკლებობა გავლენას ახდენს ჰელიქსის სამგანზომიანი სპირალის განვითარებაზე. ჰელიქსის სამგანზომიანი სპირალის მიმართ პირველი ნაბიჯი არის თანამშრომლობა, რომელიც მათი ტრადიციული როლების მეშვეობით ადგილს იკავებს ინსტიტუციონალური სფეროებს შორის. ჰელიქსის სამგანზომიანი სპირალის შემდეგი ნაბიჯი განვითარებისკენ, გარდა ტრადიციული ამოცანების შესრულებისა, არის ის, რომ თითოეული ჰელიქსის სამგანზომიანი სპირალის პარტნიორი იღებს მეორის როლს“. Triple Helix-ის მესიჯი არ არის ის, რომ უნივერსიტეტი ხდება ფირმა ან მთავრობა ხდება ბიზნესი. პირიქით, რამდენადაც თითოეული მოდელი იძენს მეორეს ზოგიერთ შესაძლებლობას/უნარს, ასევე თითოეული ინსტიტუტი ინარჩუნებს მის უშუალო როლს და თვითმყოფადობას. აქედან გამომდინარე,

[17] ეკონომიკური სისტემა, რომელშიც კერძო პირებს შორის გარიგებები თავისუფალია ისეთი სამთავრობო ჩარევებისგან, როგორიცაა რეგულირება, პრივილეგიები, ტარიფები და სუბსიდიები

თითოეული ინსტიტუციონალური სფერო სავარაუდოდ, ხდება ინოვაციის შემოქმედებითი წყარო ინოვაციაში და ეხმარება შემოქმედების გამოჩენას, რომელიც წარმოიშობა სხვა სპირალებში. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, წარმოება განაგრძობს საქონლისა და მომსახურების წარმოებას, და ასევე ახორციელებს კვლევას, მაგრამ ამის გარდა, მზარდად უზრუნველყოფს ტრენინგებს უფრო მაღალ დონეებზე, და აისახება შემდეგ ფაქტში - ბევრ კომპანიას ახლა უკვე გააჩნია საკუთარი „უნივერსიტეტები", ყოველ შემთხვევაში საკუთარ განსაკუთრებულ სფეროში. მთავრობა პასუხისმგებელია უზრუნველყოს თამაშის წესები, მაგრამ ასევე ხელმისაწვდომს ხდის ვენჩურულ კაპიტალს[18], რათა დახმარება გაუწიოს ახალ საწარმოებს (Etzkowitz, 2004:72).

რობერტ აბერკომის მიხედვით, Triple Helix არის ისტორიული მოდელი. უნივერსიტეტის, საწარმოსა და მთავრობის ეს სამი სფერო ძირითად შემთხვევაში იკავებს ცენტრალურ ადგილს ინოვაციაში. Triple Helix არ უნდა განიხილებოდეს როგორც ხისტი ჩარჩოების მქონე სტრუქტურა. იმ შემთხვევაში, თუ აკლია ერთი ელემენტი და ჩნდება მეორე, აუცილებელია ანალიზის/სამოქმედო გეგმისთვის ეს ელემენტი იყოს ჩართული ჩარჩოში (Abercrombie, 2014:108). ბერტონ კლარკი თავის ნაშრომში უმაღლესი განათლების სისტემა: აკადემიური ორგანიზაცია კროს-ნაციონალურ პერსპექტივაში აღნიშნავს, რომ აკადემიური ოლიგარქიის სიძლიერის გათვალისწინებით, კონტინიუმი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებიდან ბაზრამდე გადის შეიძლება სამკუთხედის მოდელად ტრანფორმირდეს. აღნიშნული წარმოადგენს სახელმწიფო, საბაზრო და ოლიგარქიული ფორმების კოორდინირებას. ამ შემთხვევაში სამკუთხედის თითოეული წახნაგი მაქსიმალურად ემსახურება ერთი ფორმის სრულად და ორი დარჩენილი ფორმის ნაკლებად გამოხატვას, ხოლო სამკუთხედის შემადგენლობა ემსახურება ამ სამი ელემენტის გაერთიანების ასახვას. (Кларк, 201:89).

1.2.2. თანამედროვე უნივერსიტეტი

დღეს უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ ცოდნის საგანძური, რომელიც

[18] ინვესტიცია ახალ ან მცირე საწარმოში, რომელიც ჩვეულებრივ აქციათა პაკეტის მნიშვნელოვანი წილის ინვესტორის საკუთრებაში გადასვლის სანაცვლოდ ხორციელდება.

ფოკუსირებულია მხოლოდ ფუნდამეტურ კვლევაზე. საუნივერსიტეტო საქმიანობა მუდამ ორიენტირებული იყო ცოდნის შექმნაზე, რასაც დღეს დაემატა უნივერსიტეტის საქმიანობის გააქტიურება საზოგადოების განვითარებაში თავისი როლის შესასრულებლად.

ინოვაციების ხაზოვან მოდელში, უნივერსიტეტი გადასცემს ცოდნას სამეწარმეო სფეროს სტატიკური ფორმით; ფუნდამენტურ კვლევას შეაქვს წვლილი პროდუქტის და მომსახურების განვითარებაში; უნივერსიტეტის კვლევა შეიცვალა ფორმა 1-დან - ხაზოვანი და ჰომოგენიური ფორმა, მკაცრი შეზღუდვით კვლევებსა და გამოყენებას შორის - ფორმა 2-ით - ჰეტეროგენული მოდელი, სადაც ცოდნა წარმოადგენს ტრანსდისციპლინური თანამშრომლობის შედეგს (Gibbons, at al, 2005:53). უნივერსიტეტი კარგავს მონოპოლიას ცოდნის წარმოებაში, პირდაპირ კონკურენციაშია დამოუკიდებელ კვლევით ინსტიტუტებთან, მსხვილი კომპანიების კვლევით ლაბორატორიებთან, სამთავრობო სააგენტოებთან და საკონსულტაციო კომპანიებთან. ყველა ჩამოთვლილი აწარმოებს და იყენებს ახალ ცოდნას, რაც აქტუალურია ბაზრისთვის. შედეგად, უნივერსიტეტი მაქსიმალურად დაინტერესებულია კომერციალიზაციით, ხოლო კომპანია - იმის პოზიციონირებით, რომ ის ინოვაციური ორგანიზაციაა (Gibbons, at al, 2005:59).

უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა ასევე მოიცავს მესამე მხარეს, რომელსაც სახელმწიფო წარმოადგენს (ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე). სახეზეა სამმხრივი ურთიერთობა, სადაც მხარეთაგან ერთ-ერთი ასრულებს მეორეს როლს; უნივერსიტეტი ხელოვნდება მარკეტინგის და მენეჯმენტის საქმიანობაში, ხოლო კომპანიამ შეიძლება განავითაროს აკადემიური კომპონენტი შიდა ცოდნის გაზიარებით ან დასაქმებულთა კვალიფიცირებით - ტრენინგის ორგანიზების მეშვეობით. საჯარო პირები შეიძლება ჩართული იყვნენ პროექტებში განათლების და რეგიონის სამეწარმეო სფეროს წინადადებების პოპულარიზაციის მიზნით. ამ სახის თანამშრომლობამ გავლენა მოახდინა ჰელიქსის სამმაგი სპირალის (სამგანზომილებიანი ხვიის) თეორიაზე (Etzkowitz, H. and Leydesdorff, L. 1997). ჯიზაჰის და ეტკოვიჩის მიხედვით (Dzisah, J. & Etzkowitz, H., 2008), განვითარების ცნება შეიცვალა ცენტრალიზაციიდან თანამშრომლობასა და

კოლაბორაციაზე დაფუძნებულ ფორმამდე. (ცენტრალიზაციის ფორმის დროს სახელმწიფოა კვლევის პირველიინიციატორი, წარმოება ტექნოლოგიურ ტრანსფერზეა პასუხისმგებელი და უნივერსიტეტი - სპეციალიზირებული სამუშაო ძალის ექსკლუზიური მიმწოდებელი).

ჰელიქსის სამმაგი სპირალი კონცენტრირდება ახალ აქტივობებზე როგორც პოტენციური პროდუქტიული ინოვაცია ინოვაციაში. ჰელიქსის სამმაგი სპირალის მოდელში ინსტიტუტები მოქმედებენ ორ ღერძზე, x ღერძი, სადაც ისინი ასრულებენ ტრადიციულ როლებს და y ღერძი, სადაც მათ აქვთ ახალი როლები. ჰელიქსის სამმაგი სპირალის მოდელი აერთიანებს ძველ და ახლა როლებს და უნივერსიტეტის, სამეწარმე სფეროს და მთავრობის ინსტიტუციონალურ სფეროებს შორის ურთიერთობებს. ინსტიტუციონალური მოდელების მეტ ნაწილში, თითოეული ინსტიტუტი ასრულებს ერთ კონკრეტულ ამოცანას. აქედან გამომდინარე, ჰელიქსის სამმაგი სპირალის მოდელის მეორე არსებითი მახასიათებელი, გარდა უნივერსიტეტის გაძლიერებული მნიშვნელობისა, არის იმის აღიარება, რომ ინსტიტუტებს შეუძლიათ შეასრულონ მრავალი ფუნქცია. (Blumenthal, D. et al. 1986:243).

არსებობდა აკადემიის განვითარების გრძელვადიანი სისტემა კოლეჯიდან კვლევით უნივერსიტეტამდე (პირველი აკადემიური რევოლუცია) და ახლა, მიმდინარეობს კვლევითი უნივერსიტეტიდან სამეწარმეო უნივერსიტეტამდე (ტექნოლოგიური მიმართულების) განვითარების პროცესი (მეორე აკადემიური რევოლუცია). სამეწარმეო უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს ინდუსტრიისა და სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ხარისხი, მაგრამ ასევე ამ ინსტიტუციონალურ სფეროებთან ურთიერთმოქმედების მაღალი ხარისხი. პირველი რეკვიზიტი არის ის, რომ თავის სტრატეგიულ მიმართულებაზე უნივერსიტეტს გააჩნია გარკვეული კონტროლი. მეორე რეკვიზიტი არის მისი სხვა სფეროებთან ახლო ურთიერთქმედებაში ყოფნა, რომ იგი არ არის საზოგადოებისგან იზოლირებული სპილოს ძვლის კოშკში მოთავსებული უნივერსიტეტი. ე.ი. უნივერსიტეტს აქვს განვითარების და პარტნიორებთან ურთიერთობის სტრატეგიული ხედვა (Clark, B. 1999:143).

სრულფასოვანი სამეწარმეო უნივერსიტეტის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ის, რომ კვლევის პრობლემის განსაზღვრება მოდის გარე წყაროებიდან, ისევე როგორც უნივერსიტეტისა და სამეცნიერო დისციპლინებიდან. სრული სახით, კვლევითი პრობლემების განსაზღვრება წარმოიქმნება უნივერსიტეტის მკვლევარებისა და გარე წყაროების, როგორც გაერთიანებული პროექტის ურთიერთქმედებით. სამეწარმოეო უნივერსიტეტი იღებს ცოდნის გამოყენების ინიციატივას (Dzisah, J. & Etzkowitz, H.,2008:38).

შემდგომი განვითარება არის სამეწარმეო უნივერსიტეტის ახალი სახეობა, რომელიც ორგანიზებულია სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკის, კვლევითი ინსტიტუტის ან ფირმების ჯგუფების საფუძველზე. სამეწარმეო უნივერსიტეტი აერთიანებს და აგრძელებს კვლევითი უნივერსიტეტის ტრადიციებს მხოლოდ იმიტომ, რომ კვლევითი უნივერსიტეტი აერთიანებს და აგრძელებს საწყის ტრადიციებს. უნივერსიტეტის კვლევით ინსტიტუტთან ან კორპორატიულ ლაბორატორიასთან შედარებითი უპირატესობა არის მისი სტუდენტების ნაკადი, ასევე სტაბილური პერსონალი. მას აქვს მოქნილი რესურსები, ჰყავს დიდი რაოდენობის ხალხი, ვისი დრო პოტენციურად მოქნილია და აქვთ მისაწვდომობა ადამიანურ რესურსებთან, სტუდენტებთან, ვისი ორგანიზებაც შეიძლება ახალი პროექტების შესასრულებლად.

მეწარმე უნივერსიტეტი არის ახალი ფენომენი, რაც აკადემიური განვითარების „შიდა ლოგიკის“ ფარგლებს გარეთ მუშაობით მიღებულ შედეგია. სამეწარმეო უნივერსიტეტი არის ემბრიონული მახასიათებლების აღორძინება, რაც პოტენციურად არსებობს აკადემიურ დაწესებულებაში. სამეწარმეო უნივერსიტეტი შეიძლება გამოხატული იქნას შიდა კავშირების მქონე თეორემების ნაკრების ფორმით: კაპიტალიზაცია, ურთიერთდამოკიდებულება, ჰიბრიდიზაცია და რეფლექსურობა (CIIHR) (Dzisah, Etzkowitz, H. 2008:14). აკადემიური მეწარმეობის ხუთი ნორმა და კონტრ-ნორმა თანაარსებობს კრეატიული დაძაბულობის პირობებში, რაც საკმაოდ პროდუქტიულია ინოვაციის კუთხით. ოპტიმალური აკადემიური ფორმატი ამ ელემენტებს შორის არსებობს ბალანსირებულ მდგომარეობაში. ეს პრინციპები მომდინარეობს სამეწარმეო აკადემიური განვითარების ანალიზიდან,

რომელიც განხორციელდა შტატებში, ევროპასა და ლათინურ ამერიკაში და შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ინსტიტუციური განახლების სახელმძღვანელო.

თეორემა 1: კაპიტალიზაცია - ცოდნა იქმნება და გადაიცემა გამოყენებისთვის, და ასევე დისციპლინური პროგრესისთვის;

თეორემა 2: ურთიერთდამოკიდებულება - სამეწარმეო უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საწარმოსა და მთავრობასთან; ეს არ არის საზოგადოებისგან იზოლირებული სპილოს ძვლის კოშკის უნივერსიტეტი;

თეორემა 3: დამოუკიდებლობა - სამეწარმეო უნივერსიტეტი შედარებით დამოუკიდებული ინსტიტუტია; იგი არ არის სხვა ინსტიტუციონალურ სფეროზე დამოკიდებული ქმნილება;

თეორემა 4: ჰიბრიდიზაცია - ურთიერთდამოკიდებულების და დამოუკიდებლობის პრინციპებს შორის არსებული დაძაბულობის მოგვარება არის ჰიბრიდული ორგანიზაციული ფორმატების შექმნის მამოძრავებელი ძალა;

თეორემა 5: რეფლექსურობა - გრძელდება უნივერსიტეტის შიდა სტრუქტურის განახლება, რადგან მისი დამოკიდებულება საწარმოსა და მთავრობასთან იცვლება, და უნივერსიტეტისა და მთავრობის დამოკიდებულება უნივერსიტეტთან ახლდება.

არსებობს უნივერსიტეტის, როგორც საწარმოს განვითარების სამი ეტაპი და ფაზა. საწყის ფაზაში (სამეწარმეო უნივერსიტეტი ერთი) აკადემიური ინსტიტუტი ღებულობს მისი მიმართულების სტრატეგიულ ხედვას და იძენს შესაძლებლობას ჩამოაყალიბოს საკუთარი პრიორიტეტები, ჩვეულებრივ რესუსრსების მომწოდებლებთან მოლაპარაკებების გზით. მეორე ფაზაში (სამეწარმეო უნივერსიტეტი ორი) აკადემიური ინსტიტუტი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მისი ფაკულტეტის, პერსონალისა და სტუდენტების აქტივობებით მიღებული ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციაში. მესამე ფაზაში (სამეწარმეო უნივერსიტეტი სამი) აკადემიური ინსტიტუტი პროაქტიულ მონაწილეობას ღებულობს მისი რეგიონული ინოვაციური გარემოს ეფექტურობის გაუმჯობესებაში, ხშირ შემთხვევაში საწარმოსა და მთავრობის აქტორებთან თანამშრომლობით. მეწარმე უნივერსიტეტი ითვისებს და ავრცობს კვლევით უნივერსიტეტს და აძლიერებს მას. სამეწარმეო უნივერსიტეტი იჭერს აქტიურ პოზიციას ცოდნის

გამოყენებასა და აკადემიური ცოდნის შექმნაში წვლილის გაფართოებაში. ამდენად, ის უფრო ინოვაციის ინტერაქტიული მოდელით მოქმედებს, ვიდრე ხაზოვანი მოდელით. უნივერსიტეტი, იმისათვის რომ იყოს სამეწარმეო, უნდა იყოს სახელმწიფოსგან და ინდუსტრიისგან მეტ ნაკლებად დამოუკიდებელი, მაგრამ ასევე უნდა ჰქონდეს ამ ინსტიტუციონალურ სფეროებთან ურთიერთობის მაღალი ხარისხი.

სამეწარმეო უნივერსიტეტი შეიძლება ასევე ჩამოყალიბდეს სწავლების საფუძველზე, სასწავლო გეგმაში სამეწარმეო ტრენინგის დანერგვის გზით. ევროპულმა უნივერსიტეტებმა შექმნეს სამეწარმეო სატრენინგო პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს ფირმების შექმნას და ახალ დისციპლინაში სტუდენტების განათლებას. ამ მოდელში, რომელიც შემუშავდა შვედეთში, სტუდენტებმა უნდა შეასრულონ სამეწარმეო როლი კვლევითი პროცესის უნივერსიტეტის გარეთ გატანით და ფირმებად ქცევის გზით. თუმცა აშშ-ს უნივერსიტეტებს უფრო გააჩნიათ სატრენინგო პროგრამები თავის ბიზნესის სკოლებსა და „სასათბურეებში“, რათა წაახალისონ სტუდენტი მეწარმეები, ევროპაში დიდი ყურადღება ეთმობა უფრო სტუდენტებს, ვიდრე ფაკულტეტს, მეწარმეებს, რისი მიზეზიც ნაწილობრივ არის აკადემიური ნორმებისა და კულტურების განსხვავება. თანამედროვე სამეწარმეო უნივერსიტეტი არის აკადემიური პროგრესის უკანასკნელი ეტაპი, საიდანაც გამომდინარეობს ისეთი ახალი ამოცანა, როგორიცაა ადრე მიღებული აკადემიური მისიებისგან გადახვევა, ინტეგრირებულია ძველთან და საბოლოოდ ხდება მისაღები საკუთარი უფლებებით. ეს გადასვლები იყო სადავო: ზოგიერთი აკადემიკოსისთვის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების, როგორც აკადემიის მისიის დანერგვა ეჭვქვეშ აყენებდა უნივერსიტეტის, როგორც კვლევითი ინსტიტუტის მიზანს, ისევე, როგორც კვლევის, როგორც აკადემიის მისიის დანერგვა არღვევდა თავისთავად ნაგულისხმევ ვარაუდს, რომ უნივერსიტეტი არის ერთი მიზნის საგანმანათლებლო დაწესებულება.

კვლევა ამჟამად ითვლება ტრადიციულ აკადემიურ მისიად, მაგრამ ეს ყოველთვის არ იყო ასე. მე-19 საუკუნის ბოლოს, სტენფორდის უნივერსიტეტის რამდენიმე კვლევაზე ორიენტირებული პროფესორი კამათობდა, რომ კვლევა უნდა

იყოს უნივერსიტეტის სწავლების თანაბარი მისია, ბევრი ტრადიციული პროფესორი კი აცხადებდა საპირისპირო აზრს - უნივერსიტეტის მისია არის განათლება. თუმცა ის მასწავლებლები, რომლებიც ახორციელებდნენ კვლევას, პასუხობდნენ, რომ ახალი ცოდნის აღმოჩენით შეიძლება სტუდენტების სწავლება უფრო მაღალ დონეზე. დღეისათვის, არსებობს დაძაბულობა უნივერსიტეტში კვლევასა და სწავლებას შორის. ესაა საკითხი, რომელიც არასოდეს გადაწყდება, მაგრამ ეს არის პროდუქტიული დაძაბულობა, რადგან პროფესორებმა აღმოაჩინეს, რომ ისინი სტუდენტებთან ერთად გაცილებით უკეთეს კვლევებს ახორციელებენ. მსგავსად, არსებობს დებატები იმასთან დაკავშირებით უნდა იყოს თუ არა ინტეგრირებული უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მესამე მისია. მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეს ახალი ფუნქცია ინტეგრირდება უნივერსიტეტში უფრო მეტად, ვიდრე კვლევა იყო ინტეგრირებული სწავლებასთან უფრო ადრე, როცა ინკუბატორები აერთიანებდა საკლასო ოთახებსა და ლაბორატორიებს. აქტივობების განცალკევებულად შესრულება არ არის პროდუქტიული ძირითადი ან გამოყენებითი კვლევებისთვის, ტექნოლოგიისა და ახლი პროდუქტის განვითარებისთვის. უფრო შედეგიანია თუ ინოვაციას დავინახავთ არასწორხაზოვნად, სადაც ძირითადი საკვლევი პრობლემები შეიძლება გამოვლინდეს პრაკტიკული საკითხებიდან, ისევე როგორც დისციპლინის პრობლემები. სახელმწიფო გადასცემს გადაწყვეტილების მოდელს რეგიონულ დონეზე, სამეწარმეო სფერო ჩართულია როგორც ინოვაციურ, ასევე ტექნოლოგიურ ტრანსფერის პროცესში, ხოლო უნივერსიტეტი თამაშობს ინოვაციურ როლს საზოგადოებაში, აქტიურია კვლევის „თარგმანში", წარმოების მომზადებაში თუ საზოგადოების განვითარებაში.

მოდელის დიდი მაშტაბის მიუხედავად, კუკი (Cooke 2005:22) აკრიტიკებს მოდელს, რადგან თვლის რომ ის არის მაკრო-ეკონომიკური მოდელი, და ეფუძნება ინსტიტუციონალური შეთანხმებებს რეგიონის რეალობის, ადამიანთა შორის ურთიერთობის, და ბიზნესის გავითარების გათვალისწინების გარეშე. ევანსი (Evans, 2010:430) ამტკიცებს, რომ უნივერსიტეტს, კომპანიასა და სახელმწიფოს შორის კავშირების მკვეთრად გამიჯვნა ასუსტებს ამ ქსელს. მაგრამ დღეს უნივერსიტეტი

ხშირად აწყდება თავისუფალი ბაზრისთვის დამახასიათებელ საქმიანობას, ფიქრობს სტრატეგიულად მოკლევადიანი მარკეტინგის პოლიტიკასა და ინსტრუმენტებზე, კონკურენტული უპირატესობების განვითარებაზე, ქირაობს კვალიფიცირებულ პერსონალს და სხვა და იძულებულია გლობალური კაპიტალისტური აზროვნების ადაპტირება მოახდინოს (Slaughter Sh., Rhoades, G. 2004:78).

1.3. უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკული მაგალითები

1.3.1. ნოვი სადის უნივერსიტეტი, სერბეთი

უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის მაგალითს წარმოადგენს ნოვი სადის უნივერსიტეტი, სერბეთი. უნივერსიტეტი-საწარმოს თანამშრომლობასთან დაკავშირებული ნათლად განსაზღვრული პროცედურა გაერთიანებულია ნოვი სადის უნივერსიტეტის წესდებაში[19], რომლის მიხედვით, ნოვი სადის უნივერსისტეტი ხელს უწყობს, აყალიბებს და ავითარებს უნივერსიტეტისა და საწარმოს თანამშრომლობას. ეს პროცესი თანადროულად მიმდინარეობს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, რაც გამოცდილების და ცოდნის გაცვლას ისახავს მიზნად. ეს კი იწვევს განათლების ხარისხისა და ერთობლივი გამოყენებითი კვლევების გაუმჯობესებას და ასევე თანამშრომლების ორმხრივ მობილობას. ნოვი სადის უნივერსიტეტი რეგულარულად ამყარებს კონტაქტს დაინტერესებულ კომპანიებთან, აწარმოებს ოქმებსა და კონტრაქტებს ორმხრივი (ან მრავალმხრივი) თანაშრომლობის, პერსონალის გაცვლის და სემინარების ორგანიზების, საინფორმაციო დღეებისა თუ სტუდენტების პრაქტიკის თაობაზე. საწარმოს წევრები ამჟამად, არ არიან ჩართული მენეჯმენტის სტრუქტურაში ანუ გადაწყვეტილების მიმღებ სეგმენტში თუ უნივერსიტეტის ორგანოებში.

ნოვი სადის უნივერსიტეტში შეიქმნა ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრი (TTC), რაც გახდა პირველი ნაბიჯი ნოვი სადის სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკის

[19] https://www.uns.ac.rs/index.php/en/

შექმნისკენ. სამართლებრივად, TTC ჩანერგილია უფრო ფართო მასშტაბით, რასაც ეწოდება უნივერსიტეტის ინოვაციური ცენტრი. იგი დაარსდა ნოვი სადის უნივერსიტეტსა და სერბეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინოსტროს თანამშრომლობით. გარდა ამისა, ნოვი სადის ინკუბაციური ცენტრი (NOSIC) არსებით როლს თამაშობს ნოვი სადის ეკონომიკური განვითარების კასეტურ პროგრამაში. ამ ცენტრის სივრცისა და დამატებითი სერვისების არსებობა მნიშვნელოვნად ზრდის შემოსავალს, ხოლო ბიზნესის საწყისებსსამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკის მნიშვნელოვან ნაწილად აქცევს.

ცენტრში არსებობს მონაცემთა ბაზა სხვადასხვა საწარმოში ვაკანსიებისა, რომელსიც ემსახურება კარიერულ განვითარებას, ასევე ახორციელებს სტუდენტებსა და კომპანიებს შორის კონტაქტების გაცვლის ორგანიზებას. ნოვი სადის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების აქტივობები ხორციელდება რამდენიმე დონეზე: სტუდენტური ორგანიზაციები, დეპარტამენტები, ფაკულტეტები და უნივერსიტეტი (რექტორატი). საუნივერსიტეტო დონეზე არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალური ოფისი, რომელიც ჩამოყალიბდა 2001 წელს, როგორც ერთ-ერთი საჭირო მექანიზმი ბოლონიასთან დაკავშირებულ აქტოვობებში, პროექტებსა და რეფორმებში უნივერსიტეტის მონაწილოების გაზრდისა და გაძლიერების მიზნით. სტუდენტებისა და პერსონალის მობილობა საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისის პრიორიტეტია. მარკეტინგული ერთეულები არსებობს მხოლოდ ფაკულტეტების დონეზე. რამდენიმე ასეთი ერთეული გამორჩეულია და კარგად არის ორგანიზებული, მაგალითად, ტექნიკური მეცნიერებების ფაკულტეტის მარკეტინგი. ამ ერთეულების ძირითად აქტოვობებში შედის ვებ-პრეზენტაცია და მიკრო ვებგვერდი, ბეჭდური და სატელევიზიო რეკლამები, ღონისძიებები და კონფერენციები, ფაკულტეტის ღია კარის დღეები. უნივერსიტეტის დონეზე მხოლოდ PR-ოფის არსებობს.

საწარმოს წარმომადგენლები (IRITEL – ბელგრადი, ICM ელექტრონიკა–ნოვი სადი, და სხვ.) ჩართულნი არიან გამოყენებით ელექტრონიკაში მასტერ პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენაში, რომელსაც დახმარებას უწევს WUS (მსოფლიო საუნივერსიტეტო სერვისი) ავსტრიაში. მრავალი სამეწარმეო ტრენინგი ნოვი სადის

უნივერსიტეტში ორგანიზებულია ტექნოლოგიური ინოვაციის კონკურსისა და UNESCO-ს სამეწარმეო კვლევების კათედრის მიერ. პროფესიული ტრენინგი და განათლება ასევე უზრუნველყოფილია სტუდენტური კარიერის განვითარების ცენტრის, ტექნიკური მეცნიერებების ფაკულტეტის და CISCO-ს სამეწარმეო ინსტიტუტის მიერ. TNA და უნარ-ჩვევების დეფიციტის ანალიზები განხორციელდება HELP-ის (უმაღლესი განათლების სასწავლო პარტნიორობა) პროექტის ფარგლებში. ნოვი სადის უნივერსიტეტის და ინდუსტრიული პარტნიორების ერთობლივი კვლევითი პროექტები რეალიზებულია: ზოგიერთ ფაკულტეტსა და დაინტერესებულ კომპანიებს შორის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) კონტრაქტების, სერბეთის რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიური განვითარების სამინისტროს მიერ დაარსებული ინოვაციური პროექტების, ევროკავშირის მიერ დაარსებული EUREKA-ს პროექტების მეშვეობით, რომელთაც სავალდებულოდ ესაჭიროებათ და ევალდებულებათ პარტნიორება, როგორც აკადემიის, ისე ინდუსტრიის მხრიდან.

დამატებითი კომპანიების დაფუძნებასა და განვითარებას ხელს უწყობს ნოვი სადის უნივერსიტეტის ინკუბაციური ცენტრი (NOSIC), რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნოვი სადის ეკონომიკური განვითარების კასეტურ პროგრამაში. გარდა მედიცინისა და ხელოვნებისა, თითქმის ყველა სასწავლო პროგრამა ხელს უწყობს მეწარმეობას სტუდენტებსა და უფრო ფართო საზოგადოებებში. საუკეთესო ტექნოლოგიური ინოვაციური კონკურსი ერთ-ერთი გზაა, რისი გავლითაც ნოვი სადის. უნივერსიტეტმა (UNS) დაიწყო მომავალი და არსებული მაღალი ტექნოლოგიების მქონე მეწარმეების სწავლება, ამჟამინდელი სამეწარმეო ცოდნისა და ინოვაციური კულტურის შეცვლის მიზნით. სხვადასხვა სპეციალიზებული სტუდენტური ორგანიზაცია, კარიერის განვითარების ცენტრი და სტუდენტური საბჭო აწყობს სტუდენტების გაცვლასა და დასაქმებას. ზოგიერთ ფაკულტეტზე არიან მასწავლებელები, რომელთაც სამუშაო გამოცდილება აქვთ წარმოებაში, ან დაკავებული არიან კონსულტაციებით, თანამშრომელთა სწავლებით და კომპანიების ოპერირების კუთხით. ევროპის სამეწარმეო ქსელი სერბეთში

გვთავაზობს ინფორმაციას ევროკავშირის ბაზრისა და ქვეყნის შიდა შესაძლებლობების შესახებ.

ნოვი სადის უნივერსიტეტმმა მცირე წარმოებისთვის (SME) ძალზედ ხელსაყრელი თანამშრომლობა დაამყარა რესპუბლიკის სააგენტოსთან, განსაკუთრებით ვოივოდინას პროვინციის ფილიალთან "Alma-Mons"-თან, რესპუბლიკის კომერციულ პალატასთან, ვოივოდინას ავტონომიის აღმასრულებელი საბჭოს სტრატეგიული ეკონომიკური კვლვების ცენტრთან "Vojvodina-CESS". ნოვი სადის უნივერსიტეტის ზოგიერთი პროფესორი ჩართული იყო რეგიონული და ეროვნული სტრატეგიების განვითარებაში. ნოვი სადის უნივერსიტეტი არის ევროკავშირის მრავალი პროექტების პარტნიორი, მაგ. FP7, TEMPUS, EUREKA, SEE-ERA.NET, და სხვ.

1.3.2. სტაფორდშირის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს სტაფორდშირის უნივერსიტეტი[20]. მისი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პოლიტიკის განხორციელებას, შემუშავდა საწარმოსა და კომერციული განვითარების ცენტრის მეშვეობით. იგი აწარმოებს გამოყენებით კვლევას, უნივერსიტეტის საწარმოო საქმიანობით აქტივობებს და ავითარებს ცოდნის გადაცემის ღონისძიებებს, ხელს უწყობს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას აკადემიკოსებსა და მცირე და მსხვილ ორგანიზაციებს შორის, როგორც კერძო, ისე არაკომერციულ სექტორებში. კვალიფიციური (knowledge based) ექსპერტიზის შედაგად მიღბული ინფორმაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის შიგნით დაფუძნებული ტექნოლოგიებითა და ინტელექტუალური კაპიტალის მეშვეობით საწარმოსა და კომერციული განვითარების ცენტრს შეუძლია დაეხმაროს სამეწარმეო ორგანიზაციებს გარდაქმნის ძიებაში, ინოვაციების დანერგვასა და ბიზნესის მდგრადობის ამაღლებასა და განვითარებაში. ცენტრს გააჩნია ფართო სპექტრის ინოვაციურ დამხმარე პროგრამებზე წვდომა, როგორიცაა ცოდნის

[20] http://www.staffs.ac.uk

გადაცემის (knowledge transfer) პარტნიორობა, ინოვაციური ვაუჩერები[21] და ფინანსური კონცეფციის მტკიცებულება. სტაფორდშირის უნივერსიტეტმა ნათლად განსაზღვრა პროცედურები, რომელიც ეხება სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობას. იგი შეიტანა იურიდიულ დოკუმენტში სათაურით - სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობა და საწარმოს პოლიტიკა. ფაკულტეტები, სკოლები და დამსაქმებლებზე ორიენტირებული სფეროები - კარიერული ცენტრი, გაყიდვები და სტუდენტების დასაქმება, სტაჟირება, საწარმო და კომერციული განვითარება და KTP ერთად მოქმედებს მომხმარებლის ურთიერთობის მენეჯმენტის სისტემის გამოყენებით, რათა გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო შესაძლებლობები გახდეს მაქსიმალური და ხელი შეუწყოს დამქირავებლების სამუშაო უზრუნველყოფას ზონის ფარგლებში.

სტაფორდშირის უნივერსიტეტის სამუშაო გამოცდილების პროგრამა მიზნად ისახავს ადგილობრივი ახაგაზრდების წლიურად 100-ზე მეტი სტრუქტურული სამუშაო გამოცდილებით, სტაჟირებით უზრუნველყოფას. ასევე, სასწავლო პროგრამაში ახალგაზრდებისთვის უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ასევე სასწავლო პროგრამაში საწარმოს ფორმალურად ჩართვას ისე, რომ ყველა სტუდენტს ჰქონდეს მათი სამეწარმეო სურვილების და უნარების გაფართოების შესაძლებლობა. გარდა ამისა, სტრაფორდშირის უნივერსიტეტის სტუდენტების წახალისდებიან დაიწყონ და მართონ ბიზნესი როგორც საკარიერო არჩევანი და საჭიროების შემთხვევაში, მიიღებენ პრაქტიკულ მხარდაჭერასაც. ამ მხრივ გათვალისწინებულია საწარმო და მეწარმეობა სასწავლო პროგრამაში - შესაბამისი ჯილდოები. უნივერსიტეტი ავითარებს სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას საწარმო კულტურის შემდგომი დანერგვისთვის. განვითარების სტრატეგიას გააჩნია სამი ხაზი: საწარმო - სასწავლო პროგრამაში; დამხმარე აკადემიკოსები - სამეწარმეო განათლების მისაღებად; აკადემიური საწარმოს განვითარება. სტაფორშირის უნივერსიტეტმა შეიმუშავა ახალბედა ბიზნესის დახმარების ახალი მიდგომა, რომელიც გათვლილია პირველი ორი სასიცოცხლო მნიშვნელობის წლებისთვის. მან დააპროექტა მცირე ბიზნესის სასტარტო ხარისხის ფონდი. პროგრამის მონაწილეები, ერთდროულად, სწავლობენ

[21] http://www.oecd.org/innovation/policyplatform/48135973.pdf

და იწყებენ ბიზნესს. ისინი უზრუნველყოფილნი არიან მაღალი ხარისხის სამუშაო გარემოთი, რომელიც შექმნილია უნივერსიტეტის არსებული ბიზნეს-სოფლებიდან ერთ-ერთში. ეს ავტომატურად ანიჭებს პრესტიჟული საქმიანი მისამართის უპირატესობას, აძლევს საუკეთესო ინფორმაციული ტექნოლოგიების აღჭურვილობას და ეხმარება, ჰქონდეს წვდომა უფრო ფართო საუნივერსიტეტო სერვისებთან. სწავლება ორიენტირებულია წარმატებული საწარმოს შექმნისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენაზე. ბიზნესის სოფლები შეიცავენ წარმატებულ საწარმოებს, რომლებსაც ჰყავთ თავიანთი ახალი კლიენტები.

საწარმო და სასტიპენდიო სქემა სტაფორშირის უნივერსიტეტში მეწარმეობის საუკეთესო წახალისებაა. სტრაფორდშირის უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა პროგრამა - SPEED, რომელიც უნდა გააძლიეროს და დაეხმაროს სტუდენტებს სტუდენტური საწარმოების შექმნაში. SPEED სქემა უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ დახმარებას, რათა სტუდენტების ბიზნეს იდეები აქციოს კომერციულ რეალობად მას შემდეგ, როდესაც საკუთარი კომპანიის სამართავად მათთვის საჭირო უნარებს ჩამოუყალიბებენ. სქემა არის თანამშრომლობითი პროგრამა, რომელიც უნივერსიტეტშია დაფუძნებული და მთელი დასავლეთ მიდლანდის მასშტაბითაა და ეროვნული SPEED ვებგვერდი, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე ბიზნეს სიახლეებისა და ღონისძიებების მოწოდებას, მასზე წვდომა აქვს ყველა სტუდენტს მთლიანი გაერთიანებული სამეფოს მასშტაბით, რომელმაც დაიწყო ბიზნესი SPEED-ის დახმარებით.

ასევე, სტაფორდშირის უნივერსიტეტის წვლილი შეაქვს რეგიონული და ქვე-რეგიონული გადაწყვეტილებების მიღებაში. უნივერსიტეტის მრავალ სააგენტოსთან პარტნიორობის დემონსტრირებით რეგიონი ინფორმირებული ხდება, რაც სტაფორდშირის ევროპული პარტნიორობით (SEP) ხორციელდება (რომელიც უზრუნველყოფს ევროპული პროგრამების განახლებებს ჩრდილოეთ სტრაფორდშირის შიგნით).

პროექტის გარე გუნდი არის პირველი საკონტაქტო პუნქტი იმ პერსონალისთვის, ვისაც სურს განავითაროს ახალი ევროპული პარტნიორობა, რათა გააძლიეროს არსებული თანამშრომლობა მათი კვლევებისა თუ საწარმო პროექტების

სასარგებლოდ. უდაოდ, ახალი პარტნიორული ურთიერთობის დამყარება, თუნდაც უნივერსიტეტებთან, საჯარო სექტორებთან თუ მცირე საშუალო საწარმოებთან (SME), ევროპის შიგნით, საჭიროებს დროსა და ენერგიას; ამიტომ, რეგიონული პოლიტიკის ოფიცრებთან ერთად, პროექტის გარე გუნდა ეხმარება რეგიონული კონტაქტების დამყარებაში შეხვედრების გაძლერებით თუ ქსელური შესაძლებლობებით.

1.3.3. მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა

მასარიკის უნივერსიტეტი[22] ასევე წარმოადგენს უნივერსიტეტისა და ბიზნესის თანამშრომლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. უნივერსიტეტს მიღებული აქვს შესაბამისი შიდა საქვეუწყებო კანონების სრული პაკეტი და ხორციელდება ფაკულტეტის მასშტაბით. ფაკულტეტებს გააჩნიათ ავტონომიური სტრატეგიები და პოზიციები, საკმაოდ განსხვავებული. მათ ასევე შეუძლიათ გამოიყენონ ცენტრალური გაერთიანებების სერვისები. ზოგადი სტრატეგიის შექმნას დასჭირდა დაახლოებით 2-3 წელი. რწმუნებულთა საბჭოს რამდენიმე წევრი საწარმო სექტორიდანაა, მაგრამ ამ ორგანოს არ გააჩნია რაიმე პირდაპირი გავლენა უნივერსიტეტის მენეჯმენტზე.

ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრის ფუნქციაა შესთავაზოს ცოდნასა და ნოუ-ჰაუ ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ სერვისები და შეეცადოს იმოქმედოს ერთგვარი ინდუსტრიული მოკავშირის რანგში.

მასარიკის უნივერსიტეტის (MU) კარიერული ცენტრი დაარსდა 2008 წლის 1 იანვარს და კონცენტრირებულია სტუდენტებსა და პერსპექტიულ დამქირავებლებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბება - გაძლიერებაზე, განსაკუთრებით, როცა ამთავრებენ უნივერსიტეტს და შედიან შრომით ბაზარზე. სტაჟირები, სამუშაო შემოთავაზების მონაცემთა ბაზა მუდვივ განახლებაშია. მასარიკის უნივერსიტეტის რექტორის ოფისში არსებობს საჯარო ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახური. ტექნოლოგიის გადაცემის ოფისები სთავაზობენ როგორც რეგულარულად დაკრედიტებულ კურსებს - „კვლევა და განვითარება პრაქტიკაში“, - ისე

[22] https://www.muni.cz/en

ინდივიდუალურ ტრენინგებს მკვლევართა ჯგუფებისთვის. კურსები და ტრენინგები ამკვიდრებენ სამეწარმეო ცნობიერებას და მოიცავენ მნიშვნელოვანი პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარებას, ასევე მენეჯმენტის პრაქტიკას. არსებობს მსგავსი სემინარებიc, რომელიც იმართება ბიზნესის და ადმინისტრაციის და იურიდიული ფაკულტეტების თანამშრომლობით.

მასარიკის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიო-მედიცინის ტექნოლოგიების ტექნოლოგიური ინკუბატორი INBIT. უნივერსიტეტი ეხმარება სპინ-ოფებს[23], მაგრამ მხოლოდ საკანონმდებლო და ორგანიზაციულ დონეზე. ჯერ არ არსებობს „კონცეფციის მტკიცებულების“ რეგულარული სახსრები თუ ინტელექტუალური საკუთრების საკითხები. მობილობის აქტივობები ხორციელდება საერთაშორისო კვლევების ოფისის მიერ. ოფისი პასუხისმგებელია საერთაშორისო მობილობაზე, კონსულტაციებისა და რჩევების გაცემაზე, „სწავლა სიცოცხლის მანძილზე“ პროგრამისა და სხვა საერთაშორისო პროგრამების (CEEPUS,AKTION, ERASMUS MUNDUS, და სხვ.), პროექტების მომზადების პროცესში. თუმცა, საერთაშორისო მობილობა არ არის შეტანილი სასწავლო პროგრამაში, ანუ მასარიკის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მობილობის პროგრამაში მონაწილეობა არ არის სავალდებულო.

„სწავლა სიცოცხლის მანძილზე“ პროგრამის სწავლება პირველად შეტანილია მასარიკის უნივერსიტეტის 2015-2010 წლის სტრატეგიულ გეგმაში, ასევე, მის ყველა განახლებაში, როგორც მასარიკის უნივერსიტეტის ერთერთი პრიორიტეტი. ყურადღება გადატანილი იყო კურსებზე, რომლებიც აღრმავებს პროფესიონალების განათლებას და ასევე გრძელვადიანი პარტნიორობის ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას იმ საწარმოებთან, რომლის თანამშრომლებს განათლება მასარიკის უნივერსიტეტში ექნებათ მიღებული. მასარიკის უნივერსიტეტი არის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორი ქსელის Utrecht-ის და Compostela-ს ჯგუფის დიდი ხნის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულს გააჩნია გარკვეულწილად განსხვავებული აქცენტები, ორივე დაინტერესებულია საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებით, მათი საქმიანობა მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: აკადემიკოსებისა და სტუდენტების გაცვლა, სატრენინგო პროგრამა

[23] Spin-off - შვილობილი კომპანია, რომელიც გაიყიდა, იქმნება რა ახალი კომპანია

ადმინისტრაციის პერსონალისთვის საზაფხულო სკოლების ხელშეწყობა და სხვა მსგავსი მოვლენები, საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება და სამეცნიერო ნაშრომის პუბლიკაცია.

მასარიკის უნივერსიტეტი არის ტექნოლოგიური გადაცემის და კვლევის მობილობის ორი წამყვანი სააგენტოს - სამხრეთ მორავიის ინოვაციური ცენტრისა და სამხრეთ მორავიის საერთაშორისო მობილობის ცენტრის დამფუძნებელი წევრი. მასარიკის უნივერსიტეტი აქტიურად მოქმედებს სამხრეთ მორავიის რეგიონში რეგიონული ინოვაციური სტრატეგიის მომზადებისა და განხორციელებისთვის არის რამდენიმე მსგავსი პროექტის კოორდინატორი თუ პარტნიორი.

1.3.4. ედინბურგის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

ედინბურგის უნივერსიტეტი, ასევე, უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამრომლობის კიდევ ერთ საყურადღებო მაგალითს წარმოადგენს თავისი მკაფიოდ განსაზღვრული თანამშრომლობის სტრუქტურით[24]. ედინბურგის უნივერსიტეტს აქვს ნათელი პოლიტიკა, მისია და ხედვა უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამრომლობის სფეროში. უნივერსიტეტის მისია არის, მიაღწიოს სრულყოფილებას. იგი სარგებლობს საერთაშორისო ავტორიტეტით ინოვაციური კვლევისთვის ისეთ დისციპლინებში, რომლებიც წარმოადგენს ინდუსტრიული სექტორის ფართო სპექტრის ინტერესს. ამ კვლევას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ცოდნის ბევრ სფეროზე, რასაც შედეგად მოჰყვა რიგი მნიშვნელოვანი პროდუქტის აღმოჩენა და მრავალი ტექნოლოგიური კომპანიის დაარსება. სტრატეგიული გეგმა განისაზღვრა 2008-2012 წლებში და მრავალჯერ განახლდა შემდეგი მთავარი სტრატეგიული ამოცანით: სრულყოფილება კომერციალიზაციასა და ცოდნის გაცვლაში.

ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრი სთავაზობს ცოდნისა და ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუს ტრანსფერის სერვისებს. მის ძირითად აქტივობებს წარმოადგენს მაღალი ზრდის საწყისი ბიზნესისა და სპინოფ კომპანების ადრეული ეტაპის ინკუბაციური დახმარების პირობა, შემდგომში, განვითარების ადრეულ ეტაპებზე ამ კომპანიებზე

[24] https://www.ed.ac.uk

გასაქირავებელი საპრექტო ოფისისა და ლაბორატორიის უზრუნველყოფის პირობა. ედინბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ღრმად ფასდებიან დამქირავებლების მიერ და კარიერის სერვის ოფისი სთავაზობს მომსახურებას როგორც ამჟამინდელ, ისე ყოფილ სტუდენტებს დასაქმების დახმარების კუთხით. იგი ასევე მასპინძლობს დასაქმების რიგ ღონისძიებებს, იზიდავს ძირითად დამსაქმებლებს მთლიანი გაერთიანებული სამეფოდან. გარდა ამისა, საერთაშორისო სტუდენტებს შეუძლიათ შეუერთდნენ შოტლანდიურ საერთაშორისო ქსელებს, რაც აძლევს წვდომას მათ პოტენციურ დამქირავებლების ქსელურ საქმიანობასთან და კონკურენციულ ბრძოლის შესძლებლობას პრესტიჟული სამუშაო ადგილისთვის

ინსტიტუციონალური ოფისი უზრუნველყოფს ფართო სპექტრის მომსახურებას სტუდენტებისა და კომპანიების დახმარების კუთხით. უნივერსიტეტის მასშტაბით კოლეგებმა განსაზღვრეს მარკეტინგული საკითხების განხილვის საჭიროება. და უნივერსიტეტის მიდგომებისა და აქტივობების გაუმჯობესებების მიზნით ამ სფეროში მოიწვიეს სპეციალისტების ჯგუფი. შედეგად კი დამტკიცდა აზრი დროებითი მარკეტინგული სტრატეგიული ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც ამ სფეროში შემავალ საკითხებს დეტალურად განხილავს. ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომსახურებაა დასაქმების სერვისი, საწარმოს დახმარების სერვისი (სტუდენტებისთვის), პერსონალური და კარიერული სახელმძღვანელო, კომუნიკაციები და მარკეტინგი.

უნივერსიტეტისა და ფართო მასშტაბის სამეწარმეო აქტივობის, ღონისძიებებისა და ინიციატივების კოორდინირების მიზნით შეიქმნა ცალკე ვებ-გვერდი[25] [28]. ტექნოლოგიის გადაცემის ოფისი სთავაზობს რამდენიმე ტრენინგს. უნივერსიტეტმა მიიღო EPSRC[26]-ის დაფინასება სამეწარმეო სფეროში ტრენინგების თუ კურსების ორგანიზებისთვის. თანხის ოდენობა ეფუძნება EPSRC-ს მიერ დაფინანსებული დოქტორანტებისა და კვლევითი პერსონალის რაოდენობას. უნივერსიტეტს უკვე გააჩნია ბიზნესისა და საწარმოს ვორქშოფების პროგრამა და ასევე, სხვა აქტივობებების ჩამონათვალი ამ სფეროში. პროფესიული ტრენინგებისა

[25] https://www.ed.ac.uk [ბოლო შესვლა_02.11.2015]
[26] https://epsrc.ukri.org

და განათლების უმეტესი ნაწილი ეფუძნება განათლებისა და საზოგადოების დეპარტამენტს, რომელშიც შედის საგანმანათლებლო სოციოლოგიის ცენტრი - საგანმანათლებლო ხელმძღვანელობისა და საგანმანათლებლო შეფასების ერთეული. ასევე აღსანიშნავია სხვა დეპარტამენტების მნიშვნელოვანი წვლილი, მათ შორის, საგანმანათლებლო კვლევები.

2004 წლის იანვარში, ედინბურგის კვლევითმა და ინოვაციურმა ცენტრმა ჩამოაყალიბა წინა-ინკუბატორული სქემა (EPIS) - ედინბურგის უნივერსიტეტის, შოტლანდიური საწარმო ედინბურგი და ლოტიანის (SEEL) და ევროპული რეგიონალური განვითარების ფონდის (ERDF) ერთობლივი ინიციატივა. EPIS არის უნიკალური ინიციატივა, პირველი შოტლანდიაში, რომელიც ცდილობს ბარიერების დანგრევას აკადემიასა და კომერციას შორის, რათა წაახალისოს ახალი მეწარმეები ცოდნაზე დაფუძნებული ბიზნეს იდეების განვითარებისკენ უნივერსიტეტის კამპუსში.

ძირითადი მიგნებები:

- ✓ მასიფიკაციამ, გლობალიზაციამ, ინტერნაციონალიზაციამ, ასევე ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა მიზეზებმა, რის შედეგადაც ევროპაში უმაღლესი განათლება მეტად მისაწვდომი გახდა და გაიზარდა სწავლის მსურველთა და მონაწილეთა რიცხვი, აიძულა ევროპული უნივერსიტეტები, დაეწყოთ საზოგადოებაში თავიანთი როლის ხელახალი ფორმულირება.
- ✓ ახალი ფორმულირებით, უმაღლესი განათლება წარმოადგენს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, როცა ყველა უმაღლესი სასწავლებელი პასუხობს საზოგადოების ფართო საჭიროებებს თავისი მისიების მრავალფეროვნებით.
- ✓ ევროპაში ინტენსიური ცოდნით გაჯერებული ეკონომიკის განვითარებამ, უმაღლესი განათლების პოლიტიკის შემქმნელების დღის წესრიგში დააყენა უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა.
- ✓ უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა ნიშნავს თანამშრომლობას სტუდენტებს, სამეცნიერო წრეებს, დასაქმებულებს,

კურსდამთავრებულებს, ასევე დამსაქმებლების, მეწარმეების, სხვადასხვა ორგანიზაციის, მთავრობის წარმომადგენლებსა და რეგიონის პოლიტიკის გადამწყვეტ პირებს/დაწესებულებებს შორის.

- ✓ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს კავშირი კვლევას, განათლებასა და ინოვაციას შორის კავშირი. საკუთარი პოტენციალის გამოსავლენად უნივერსიტეტებს სჭირდებათ საკუთარი პოზიციის, განსაკუთრებით, სამეწარმეო სფეროსთან ურთიერთობის გადაფასება და გაძლიერება. უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა რომ წარმატებული იყოს, უმაღლესი განათლების და მისი სამრეწველო სფეროს თანამშრომლობა ორმხრივად უნდა იყოს მომგებიანი.
- ✓ ევროპის საგანმანათლებლო სისტემამ უზრუნველყო უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზა, პროექტების დაფინანსება, სტრუქტურული დიალოგი და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება. სხვადასხვა კვლევით შესწავლილ იქნა უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს გარდამავალი ბარიერები და დადგინდა წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორები.
- ✓ ჰელიქსის თეორიის მიხედვით, უნივერსიტეტი არის ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია ითამაშოს უდიდესი როლი სიახლეების დანერგვაში, განსაკუთრებით მზარდ ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. დღეს უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ ცოდნის საგანძური, რომელიც ფოკუსირებულია მხოლოდ ფუნდამეტურ კვლევაზე. საუნივერსიტეტო საქმიანობა მუდამ ორიენტირებული იყო ცოდნის შექმნაზე, რასაც დღეს დაემატა უნივერსიტეტის საქმიანობის გააქტიურება საზოგადოების განვითარებაში თავისი ფუნქციის შესასრულებლად. დღეს უნივესიტეტები ქმნიან იდეებს, მთავრობა აყალიბებს ნორმატიულ ბაზას, ხოლო ბიზნესი უზრუნველყოფს რესურსებს.
- ✓ თითოეული უნივერსიტეტი დამოუკიდებლად წყვეტს, თუ როგორი სტრუქტურული ერთეულებით უზრუნველყოფს სამეწარმეო სფეროსთან

თანამშრომლობას.

თავი 2. უნივერსიტეტებისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის თეორია და პრაქტიკა საქართველოში

2.1. საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის საკანონმდებლო დოკუმენტაციის და უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობასთან მიმართებაში არსებული კვლევების მიმოხილვა

წინამდებარე თავში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განხილულია საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული კანონები და ნორმატიული აქტები, ასევე განათლებისა და მეცნიერების მინისტრების ბრძანებები, განათლების და მეცნიერების სამინისტროს სამოქმედო გეგმები, წლიური ანგარიშები და ასევე სხვადასხვა პარტნიორის მიერ შემუშვებული კვლევის ანგარიშები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ეხება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის არსებულ მდგომარეობას, საჭიროებას და თანამშრომლობის სხვადასხვა კომპონენტს: კურიკულუმის შემუშავებაში დამსაქმებლის ან წარმოების ჩართულობა, სწავლა სიცოცხლის მანძილზე, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ, კარიერული სერვისების განვითარება და სხვა.

2005 წელს საქართველო ოფიციალურად შეუერთდა ბოლონიის პროცესს და მიზნად დაისახა საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების გზით ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია. მიზნიდან გამომდინარე, საუნივერსიტეტო საგანათლებლო მიდგომები ძირეულად შეიცვალა, შემუშავდა არსებითად ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, დაიგეგმა სახელმწიფოს, სტუდენტის, შრომის ბაზრისა და საზოგადოების ინტერესებზე დაფუძნებული

სწავლების პრინციპების დამკვიდრება; ქვეყანაში კანონმდებლობის დონეზე მოწესრიგდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხი, რაც უნივერსიტეტების თვითშეფასების და საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებითობის ეფექტურ საშუალებას იძლევა.

2.1.1. კვლევების მიმოხილვა

განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ 2008 წლის ნოემბერში მომზადებულ ანგარიშში ბოლონიის ინდიკატორის მიხედვით, რომელიც შეეხებოდა უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგებს (კვლევის ანგარიში, 2008), აღნიშნულია, რომ იმ დროისთვის უმაღლესი სასწავლებლების 85% აღნიშნავდა, რომ ატარებდა ღონისძიებებს სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობისათვის. უსდ-ების 45%-ს ჰქონდა ხელშეკრულებები ბიზნეს ორგანიზაციებთან დასაქმებასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით. 27% ორგანიზებას უწევდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს პოტენციურ დამსაქმებლებთან. უსდ-ების 10% აწარმოებდა დიალოგს დამსაქმებლებთან საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საკითხებზე. ბაზრის შესწავლასა და არსებული ვაკანსიების აღრიცხვას აწარმოებდა, შესაბამისად, უსდ-ების 9% და 11% (კვლევის ანგარიში 2008:23). იგივე ანგარიში ასახავს დამსაქმებლებთან ურთიერთობის ფორმებს გავრცელებულობის მიხედვით. უმაღლესი სასწავლებლები, ძირითადად, თანამშრომლობდნენ ბიზნესსექტორთან დასაქმების საკითხებზე (80%). უსდ-ების ნახევარზე მეტს ბიზნესსექტორი ჩართული ჰყავდა სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში. 6 უმაღლესი სასწავლებლებელი (17%) თანამშრომლობდა ბიზნესთან მართვის საკითხებზე და ექვსივე უმაღლესი სასწავლებელი კერძო იყო.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ დამსაქმებლებთან ურთიერთობას ამ კონტექსტში ასევე ახორციელებდა განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი 2009 წლიდან გეგმავდა დარგობრივი საბჭოების შექმნას, სადაც სავალდებულო წესით იქნებოდნენ წარმოდგენილი

დამსაქმებლები. 2015 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შექმნა დაგობრივი საბჭოები, მხოლოდ პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით და, თან, დამსაქმებლები არ აიყვნენ მათში წარმოდგენილნი სავალდებულო წესით. იმავე ანგარიშის მიხედვით, 2008 წლისთვის უნივერსიტეტებს, დამსაქმებლების მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ჯერ შეზღუდული ჰქონდათ ნაწილობრივ- ხარისხის დაბალი კულტურის გამო - ხოლო, არსებითად, იმ მიზეზით, რომ იმ ეტაპზე განხორციელებული ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმები ძირითადად რაოდენობრივი იყო და თვისებრივ მაჩვენებლებს ნაკლებად გულისხმობდა. ინსტიტუციური აკრედიტაციის ახალი კრიტერიუმების შემოღებამ ისევე, როგორც პროგრამული აკრედიტაციის პროცესის დაწყებამ მნიშვნელოვნად წამოწია წინ დამსაქმებლების როლი, რადგანაც აქცენტი რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან გადაინაცვლა შინაარსობრივ ასპექტებზე. იმ ეტაპზე დამსაქმებლების ჩართულობა შემოიფარგლებოდა პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობით, პრაქტიკის უზრუნველყოფით (უსდ-ების 45%) და ასევე ნაშრომების დაცვასა და კონფერენციებზე დასწრებით (შესაბამისად 7% და 6%). როგორც ზევით უკვე აღინიშნა, მხოლოდ 6 უმაღლესი სასწავლებლებელი (17%) თანამშრომლობდა ბიზნესთან მართვის საკითხებზე და ექვსივე კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო.

განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ისტიტუტის მიერ მომზადებულმა კვლევამ „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში" (დარჩია 2009;) გამოავლინა, რომ 2009 წლისთვის, საქართველოში სახელმწიფოს მიერ აღიარებული (აკრედიტებული და იმ დროისთვის ახლად ლიცენზირებული) 60 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მხოლოდ 3 უსდ–ს, ანუ 5 %–ს ჰქონდა ვებგვერდზე განთავსებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, 5 უსდ–ს, ანუ 8 %–ს ჰქონდა ვებგვერდზე მისია, 4 უსდ–ს, ანუ 6 %–ს აქვს უწყვეტ და/ან ზრდასრულთა განათლებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, 3 უსდ–ს, ანუ 5 %–ს ჰქონდა ასახული უწყვეტი, ზრდასრულთა განათლება, სასერტიფიკატო კურსები მისიასა და/ან სტრატეგიაში, 8 უსდ-, ანუ 13 % ახორციელებდა ზრდასრულთა

განათლების სასერტიფიკატო კურსებს, ხოლო 8 უსდ–ს, ანუ 13 %–ს ჰქონდა წარდგენილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამები სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის მიღების მიზნით. ანგარიში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის ამოცანებად ასახელებს უნივერსიტეტების ეკონომიკური გაძლიერებას დამატებითი შემოსავლის წყაროს გაჩენით; საზოგადოების ფართო ფენების მომსახურებით უნივერსიტეტის როლისა და მნიშვნელობის გაძლიერებას, რეგიონის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის განხორციელების შემდეგ, მოსალოდნელი იყო საზოგადოებაში უნივერსიტეტების მიმართ ნდობის ზრდა და მათი გავლენის გაძლიერება; ასევე მოქალაქეების დასაქმების მაჩვენებლის ზრდა და ბოლოს, საუნივერსიტეტო კურიკულუმის, სწავლების ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, მათი მოდერნიზაცია (დარჩია 2009:9). ასევე, აღნიშნული ანგარიში “სწავლა სიცოცხლის მანძილზე” განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს შორის ასახლებს ადგილობრივი თანამშრომლობის გაღრმავებას (დარჩია 2009:11). რეკომენდაციის მიხედვით, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა ეზრუნათ ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის გარღმავებაზე, პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან და ასოციაციებთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან. მათი აქტიური ჩართვით უნდა შექმნილიყო უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო პოლიტიკა, რომლის თანახმად თეორიული და პრაქტიკული პრობლემების მოგვარებაში, დაფინანსების მოძიებასა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ.

თსუ-ს კვლევის ანგარიშის - “სტუდენტთა დასაქმების ხელშეყობა უმაღლესი დაწესებულების მიერ” (ჯავახიშვილი, 2011) - კვლევის შედეგებით ვლინდება სუსტი კავშირი უნივერსიტეტებსა და დამსაქმებლებს შორის; ხოლო არსებული კავშირი კი,

ძირითადად, აგებული იყო პირად ურთიერთობებსა და კონტაქტებზე, ხშირად არც ერთი მხარე არ ენდობოდა ერთმანეთს და თავიდან იცილებდა ხელშეკრულების გაფორმებას. კვლევის მიხედვით, არ ჩანდა უნივერსიტეტებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის სურვილი. ორივე მხარეს ერთმანეთთან პრეტენზიები ჰქონდათ, მაგრამ არ ხდებოდა მათი გაზიარება. მომავალი კადრის მომზადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაშიც კი დამსაქმებელი არ ცდილობდა მიემართა სასწავლო დაწესებულებისთვის სიტუაციის გამოსწორების მიზნით, ხოლო სასწავლო დაწესებულება თითქმის არ მიმართავდა დამსაქმებელს თავისი მოსაზრებების კურიკულუმში გათვალისწინების მიზნით (ჯავახიშვილი 2011:48). წინამდებარე კვლევა აღნიშნავს, რომ დამსაქმებლებს ხშირად არ ესმით კურიკულუმზე ერთობლივი მუშაობის საჭიროება და პოტენციალი. უმაღლესი სასწავლებლები, მათი წარმომადგენლების მიხედვით, კურიკულუმის შედგენისას, ყოველთვის ითვალისწინებდნენ ამ ფაქტორს და ცდილობდნენ სწავლების პროცესში სტუდენტებისთვის, როგორც კონკრეტული, დარგობრივი უნარების, ასევე ტრანსფერული უნარების განვითარებას. თუმცა კვლევის შედეგების მიხედვით, დამსაქმებლების კონსულტაციებს, როგორც შედეგებიდან გამოჩნდა, ხშირ შემთხვევაში, არ მიმართავენ და ეყრდნობიან ზოგად ცოდნას და თავიანთ წარმოდგენას - რა შეიძლება დაჭირდეს სტუდენტს მუშაობისას. ამ მდგომარეობის შედეგია ის, რომ დამსაქმებლები სხვა კომპეტენციებზე აკეთებენ აქცენტს, ხოლო უნივერსიტეტები - სხვა. ანუ, მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამებოდა მიწოდებას. ამ მხრივ, შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო თბილისის რამდენიმე კერძო უმაღლეს სასწავლებელში (ჯავახიშვილი 2011:47). აღნიშნული კვლევის მიხედვით, დამსაქმებლების პასიურობის ერთ-ერთი მიზეზი მათი სუსტად განვითარებული კადრების პოლიტიკა, პერსონალის მართვის სამსახური და თანამშრომელთა არასათანადო კვალიფიკაცია იყო. ასევე შრომის ბაზრის გაჯერება დიპლომის მფლობელებით, რადგან დამსაქმებელი მაინც შოულობდა მისთვის დამაკმაყოფილებელ კადრს. 2011 წელს, კვლევის მიხედვით, არსებობდა მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც, უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც აწვდიდნენ მათ სტუდენტებს, ესენია: თავისუფალი უნივერსიტეტი, კავკასიის

უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი. ამ უმაღლეს სასწავლებლებს აერთიანებდათ ის, რომ ყველას ჰქონდა კარიერის სამსახური, ანუ, კარგად ესმოდათ მისი მნიშვნელობა. მოცემული კვლევის შედეგებით, არ არსებობდა სტანდარტული მოდელი უნივერსიტეტებში სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობებისთვის; თუმცა, უნივერსიტეტები კმაყოფილებას გამოხატავდნენ არსებული მდგომარეობით, და რასაც ასაბუთებდნენ დასაქმების სტატისტიკის/რაოდენობრივი მაჩვენებლებით (ჯავახიშვილი 2011:50); ასევე, 2011 წლისთვის, კვლევის მიხედვით, კერძო სასწავლებლები უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებულნი სტუდენტების დასაქმების აღრიცხვით. კერძო სასწავლებლებში ძირითადად ჩამოყალიბებული იყო სტუდენტების კარიერის სამსახური და ისინი უფრო უწყობდნენ ხელს სტუდენტების დასაქმებას, ვიდრე ეს სახელმწიფო უნივერსიტეტებში ხდებოდა.

ტემპუსის ეროვნული ოფისის ანგარიშში „უმაღლესი განათლება საქართველოში“ მცირე ქვეთავი დაეთმო საქართველოში უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანაშრომლობას (განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2012:8). ანგარიშის მიხედვით, დიალოგი წარმოებასა და აკადემიურ სამყაროს შორის საკმაოდ სუსტია; კვლევაში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების თითქმის 80% აცხადებდა, რომ ჰქონდა თანამშრომლობის ხელშეკრულებები კერძო ბიზნესთან (მემორანდუმი). თანამშრომლობის ძირითად ასპექტს წარმოადგენდა კურსდამთავრებულთა დასაქმება და სტუდენტთა პრაქტიკა. ამ მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს წარმოებებთან და წარადგენდნენ საკუთარ პროგრამებს. ანგარიშის მიხედვით, თანამშრომლობა აქტიური იყო ბიზნესის მართვის და იურისპრუდენციის სფეროში, ნაკლებად, მაგრამ მაინც, მეცნიერებებსა და ჰუმანიტარულ სფეროებში. ზოგი უნივერსიტეტი (11%), ასევე, აწარმოებდა შრომის ბაზრის კვლევას კურსდამთავრებულთა მოთხოვნის დადგენის მიზნით. უნივერსიტეტების 10% თანამშრომლობდა წარმოებასთან კურიკულუმის შემუშავების დროს და მხოლოდ 6 უნივერსიტეტი (ყველა კერძო) თანამშრომლობდა უნივერსიტეტის მართვის სფეროში, იწვევდა ბიზნესის წარმომადგენლებს მმართველ

ორგანოებში (ნდობის საბჭო, ან კონსულტანტთა საბჭო).

განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ მომზადებული კვლევაში „უმაღლესი განათლების და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში" V - უმაღლესი განათლება და დასაქმება" მოცემულია ევროპის ქვეყნებში უმაღლესი განათლების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გასაზრდელად ჰიპოთეტური მოდელის ორიენტირები (ბრეგვაძე 2013:9). ამ უკანასკნელის მიხედვით აუცილებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კურსდამთავრებულთა რაოდენობის მონიტორინგი ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში, შეუსაბამობის შეგროვება, ანალიზი და პროგნოზირება; ასევე კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის მონიტორინგი და განათლების სისტემის ხარისხის და კვალიფიკაციის სტრუქტურის რეფორმირება აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად; ჰიპოთეტურ მოდელში, ასევე, საყურადღებოა პუნქტი - დაინტერესებული მხარეების როლისა და პასუხისმგებლობების დაზუსტება მოთხოვნა - მიწოდების შესახებ ბალანსის უზრუნველყოფის მიზანთან მიმართებაში (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მთავრობა, დამსაქმებლები) და განსაკუთრებით, დამსაქმებლის როლის გაზრდა სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და მიწოდებაში, ხარისხის უზრუნველყოფის სქემებსა და აკრედიტაციის პროცესებში. ჰიპოთეტურ მოდელში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორიენტირს, ასევე, წარმოადგენს ახალგაზრდების დასაქმებისა და თვითდასაქმების მაჩვენებლების გაზრდის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს უმაღლესი სასწავლებლების ჩართულობას ინფორმაციის მიწოდების, მენტორინგისა და კონსულტირების, ფინანსური დახმარებისა და ინფრასტრუქტურული მხადაჭერის პროგრამებში (ინკუბატორები და ახალგაზრდული ბიზნეს ქსელები).

წინამდებარე კვლევაში ასახულ ჰიპოთეტური მოდელის ორიენტირებთან ერთად, მოცემულია საქართველოს სიტუაციური ანალიზი ამ მიმართულებით, რომლის მიხედვით, უმაღლესი განათლებისა და სამუშაო ბაზრის ურთიერთმიმართების შესახებ ინფორმაცია საქართველოში 2013 წლისთვის ძალიან

მწირი იყო, უპირველსად ბაზრისა და განათლების სიტემის ურთიერთკავშირის ანალიზისათვის სისტემური მიდგომის ეროვნულ დონეზე არ არსებობის გამო (ბრეგვაძე 2013:10). ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტი ავალდებულებდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მოერგოთ პროგრამები ბაზრის მოთხოვნებზე, სტანდარტის შესაბამისი პუნქტების შესრულების ინდიკატორები და გადამოწმების წყაროები ბუნდოვანი იყო, შესაბამისად, არც საკმარისად დეტალიზირებული თვითშეფასებისა და გარე შეფასების ინსტრუმენტები არ იძლეოდა ამ კუთხით მდგომარეობის სრულად და ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას ცალკეული პროგრამების, ისევე, როგორც მთლიანად უმაღლესი სასწავლებლის დონეზე. ამავე კვლევაში, დასკვნის სახით მოცემულია რამდენიმე პუნქტი, მათ შორის პუნქტი 3, რომელიც უმაღლესი განათლების უკუგების ზრდის შემაფერხებელ ფაქტორებს შორის ასახელებს უმაღლესი განათლების მქონე პირთა კომპეტენციების ნაკლებ თავსებადობას ბაზრის მოთხოვნებთან (ბრეგვაძე 2013:13).

კვლევა „უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე" (მაჩაბელი, ანდღულაძე, ბრეგვაძე, აფხაზავა 2013) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა საუნივერსიტეტო განათლების ხარისხის მონიტორინგის სქემებში კონტროლის მექანიზმების გაძლიერება, რომლებიც, ავტორების აზრით, მნიშვნელოვანია საქართველოში უმაღლესი განათლების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის გაზრდისათვის. კვლევის მიხედვით, უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების სქემებში მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს დასაქმების მაჩვენებლებზე, კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობის ფორმების მრავალფეროვნებასა და ინტენსივობაზე. ასევე მნიშვნელოვანია აკადემიური პროგრამების შეფასებაში მეტი ყურადღება დაეთმოს ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების განვითარებას (მაჩაბელი, ანდღულაძე, ბრეგვაძე, აფხაზავა 2013:36).

2.1.2. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების[27] ხელმოწერით საქართველომ მიზნად დაისახა, გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა და მოახდინოს ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია. ინტეგრაციის სრულყოფის წინაპირობას წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ურთიერთდაკავშირებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით განპირობებული ღონისძიებების განხორციელება. საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშკრულებას ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს. აღნიშნული დოკუმენტი ქრონოლოგიურად განათლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ - ერთი საეტაპო დოკუმენტია, რომელშიც განათლების საკითხებს დაეთმო ერთ თავი. იგი ითვალისწინებს განათლებისა და მეცნიერების სფეროში საქართველოს დაახლოვებას ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან, განსაკუთრებული აქცენტი უმაღლეს განათლებაზეა. უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება თანხვედრაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა“ და ბოლონიის პროცესთან. შეთანხმების მიხედვით გაძლიერდება თანამშრომლობა აკადემიურ სფეროში, რაც გულისხმობს, როგორც ინსტიტუციური თანამშრომლობის გაზრდას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ასევე, ევროპული გამოცდილების გაზიარებას კურიკულუმების შემუშავების, უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ადმინისტრირების ახალი მეთოდების დანერგვისა და სხვა საკითხებში; ასევე, სტუდენტებისა და უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამების გაზრდასა და პარტნიორი ქვეყნების სტუდენტების მონაწილეობას ერთობლივ სამაგისტრო ხარისხის პროგრამების სრულ ციკლში. შედეგად მოსალოდნელია ხარისხიანი ევროპული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა ქართველი სტუდენტებისთვის ევროპულ სასტიპენდიო და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გზით, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას ევროკავშირის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში. ამასთან, შეთანხმება ხელმისაწვდომს გახდის ქართველი

[27] http://infocenter.gov.ge/202-evrokavshiris-shethankhmeba-ghrma-da-yovlismomcvleli-thavisufali-savatcro-sivrcis-shesakheb-da-saqarthvelo.html

მეცნიერებისთვის პარტნიორი ქვეყნების შესაბამის პროგრამებს, გაზრდის ქართველ მკვლევართა ჩართულობას ევროკავშირის კვლევით პროგრამაში, ხელს შეუწყობს ერთობლივი პროექტების განხორციელებას, მკვლევარების გაცვლასა და სხვა. შეთანხმება ითვალისწინებს, აგრეთვე, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა-სწავლების წახალისებასა და თანამშრომლობას პროფესიული განათლებისა და პროფესიული დარგების განვითარების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს დასაქმებას (ასოცირების ხელშკრულება, კარი VI, თავი 16).

2.1.3. სტრატეგია 2020

საქართველოს მთავრობამ შეიმუშვა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით N400 2014 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი. აღნიშნულ სტრატეგიაში მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებს მოსახლეობის კეთლდღეობის ზრდის მაჩვენებლის გაუმჯობესებას სხვა აქტივობებთან ერთად, გეგმავს დასაქმების შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობას.

საქართველოს მთავრობამ განვითარების ძირითად მიმართულებად აირჩია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, რაც გულისხმობს დოვლათის შექმნასა და განაწილებაში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას. აღნიშნული, ძირითადად, ხორციელდება საბიუჯეტო არხებით დოვლათის გადანაწილებით, სუბსიდირებით, საგადასახადო მანიპულირებით და კომპენსაციებით. ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება მიიღწევა, უპირველესად, რეგიონული განვითარების გზით. მნიშვნელოვანია თითოეული რეგიონის განვითარების პრიორიტეტების გამოვლენა და ძირითად ღონისძიებებში თვითმმართველობების ჩართულობა. სტრატეგიაში ჩამოთვლილი პრობლემების გადასაჭრელად და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად სამთავრობო სტრატეგია ასახელებს რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას, მათ შორისაა ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი საკითხი - შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება. სტრატეგიაში ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის აღნიშნულია: მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა იმის მოლოდინი, რომ პირდაპირი

უცხოური ინვესტიციები ხელს შეუწყობდა ახალი ცოდნის მიღებას და ტექნოლოგიების დანერგვას, რაც ექსპორტის ზრდისა და დივერსიფიცირების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა, აღნიშნული არ განხორციელდა იმ მასშტაბით, რომ ხელი შეეწყო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის.

სტრატეგია ერთ-ერთ პრიორიტეტად ასახლებს ინოვაციის და ტექნოლოგიური განვითარების დონის ამაღლებას, მასში მოცემულია აღნიშნული მიმართულების განსახორციელებელი პოლიტიკის სტრატეგიები (საქართველოს მთავრობის დადგენილება No 400, 2017:.25) ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულების განვითარების წინაპირობად მოყვანილია შემდეგი საკითხები: სახელმწიფო და კერძო სექტორის დაბალი დანახარჯები კვლვასა და განვითარებაზე, ინოვაციის განხორციელების დაბალი მაჩვენებელი, ახალი კომპანიების შექმნის დაბალი მაჩვენებელი, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის არადამაკმაყოფილებელი დონე. სტრატეგიის მიხედვით, აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების მიზნი, სახელმწიფო გააუმჯობესებს კვლევას, განვითარებისთვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, ხელს შეუწყობს მათ კომერციალიზაცას, ასევე, განავითარებს ინოვაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას, გააძლიერებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას, ხელს შეუწყობს ეკონომიკაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენებას, მოიზიდავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებზეა ორიენტირებული. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარ შედეგებს შორისაა, როგორიცაა კომპანიების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, ინოვაციების დამაკმაყოფილებელი დონის არსებობა, და ამის შედეგად, ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუექტებზე ორიენტაცია. სტრატეგია მთავარ შედეგად ასევე ასახელებს სამეცნიერო წრეებსა და ბიზნესს შორის კავშირის გამყარებას (საქართველოს მთავრობის დადგენილება No 400, 2017:27).

შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის

განვითარების არსებული ვითარების მიმოხილვის დროს სტრატეგია 2020 აცხადებს, რომ უმაღლესი განათლების სისტემები, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ნაკლებად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს (საქართველოს მთავრობის დადგენილება No 400 2017:38). შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარების მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებებში სტრატეგია ასახელებს ბაზრის განვითარების ხელშეწყობას, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს შრომის ბაზრის კვლევების ინსტიტუციონალიზაციას და მონაცემთა ბაზრის შექმნა/განვითარებას; დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის ეფექტური კავშირის უზრუნველყოფას (საქართველოს მთავრობის დადგენილება No 400, 2017:44), ასევე, უწყვეტი განათლების მხარდაჭერას;

აღნიშნულ სტრატეგიაში პრიორიტეტულ საკითხად გამოყოფილია უმაღლესი განათლების სისტემის და მეცნიერების განვითარება (სტრატეგია 2017:47). სტრატეგიის განხორციელების შემდეგ, უმაღლესი განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება, მუდმივად იზრუნოს მისი ხარისხის განვითარებაზე და მოიპოვოს საერთაშორისო ნდობა, მოამზადოს ლოკალური და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ახალგაზრდები. ამით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელს შეუწყობენ ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას და ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნას. საქართველოს მთავრობის დადგენილებით N400 2014 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის - „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთ ღონისძიების თაობაზე“- დაევალათ შესაბამის სამინისტროებს აღნიშნული სტრატეგიის შესასრულებლად საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება.

2.1.4. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული განათლების სისტემის დანერგვით არის დაკავებული და აღნიშნულს ახორციელებს აშშ-ს მთავრობის ათასწლეულის

გამოწვევის კორპორაციის (MCC) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი 140 მლნ აშშ დოლარის გრანტის (კომპაქტის) მეშვეობით. ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტი გაფორმდა საქართველოს მთავრობას და აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას შორის 2013 წელს და მისი რატიფიცირება მოახდინა საქართველოს პარლამენტმა (დადგენილება #141-Iს). კომპაქტის მოცულობა 140 მლნ აშშ დოლარია. პროექტის განხორციელება დაიწყო 2014 წლის უმაღლესი განათლების პროგრამის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება STEM-ის სფეროში და ახალი, პროფესიონალი, საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანი ინჟინრებისა და ტექნოლოგების მომზადებას. 2014 წელს საქართველოს მთავრობამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო მილენიუმის გამოწვევის ფონდის მეორე კომპაქტის განხორციელება. სამი ქართული უნივერსიტეტის კონსორციუმის ბაზაზე ხორციელდება 30 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია. საწყის ეტაპზე, პროექტის ფარგლებში სამი ქართული უნივერსიტეტის კონსორციუმის ბაზაზე შეიქმნა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები ელექტრულ ინჟინერიაში, კომპიუტერულ მეცნიერებაში, ქიმიასა (ბიოქიმიის განხრით) და კომპიუტერულ ინჟინერიაში. მომავალში ასევე იგეგმება საბაკალავრო პროგრამების ამოქმედება სამოქალაქო ინჟინერიასა და სამრეწველო მშენებლობაში. სტუდენტების მიღება დაიწყო 2015-2016 სასწავლო წლიდან. პროგრამის განმახორციელებლები აცხადებენ, რომ აღნიშნულის დანერგვით არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში შეიქმნა პრეცენდენტი იმისა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მაღალხარისხიანი პროგრამები, რომლითაც ინტერესდებიან უცხოელი პარტნიორები და სტუდენტები. პროგრამის ავტორების აზრით, ამერიკული უნივერსიტეტი ქართულ უნივერსიტეტებთან ერთად სტუდენტებს სთავაზობს ხარისხიან განათლებასა და ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს (http://www.mcageorgia.ge/index.php/main/read_project/3).

2.1.5. უახლესი დოკუმენტაციის და აქტივობების მიმოხილვა

განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2013-2014 წლების ანგარიშში შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოებული პროგრამების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მხოლოდ პროფესიულ განათლებას. პროგრამის შემუშავებაში GIZ[28] მონაწილეობს. იგი მოიცავდა ბაზრის კვლევის ფორმირებას, პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ჰარმონიზებისას და ამ პროცესში ევროპის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას; 2014 წლის სამოქმედო გეგმით და GIZ-ის მხარდაჭერით პროფესიული განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად შემუშავდა ისეთი მნიშვნელოვანი კვლევების მეთოდოლოგია, როგორიცაა: სტუდენტთა, დამსაქმებელთა განწყობებისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევა პროფესიულ განათლების მიმართულებით. უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით, ანგარიშში ხაზგასმულია, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან და არსებული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის პროგრამული მიმართულები, სადაც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო. პროგრამის მიზანი იყო ხელმისაწვდომობის გაზრდა და სახელმწიფო უნივერსიტეტების პროგრამული დაფინანსების ხელშეწყობა. პირველ ეტაპზე განისაზღვრა 17 პრიორიტეტული მიმართულება. 2014 წლისთვის - 21 მიმართულება. მნიშვნელოვანია, რომ პრიორიტეტული მიმართულებების ჩამონათვალს დაემატა აგრარული მეცნიერებები.

2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია და გეგმის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმა (დადგენილება No. 732, 2014). საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის მიხედვით (დადგენილება No. 732, 2014) დაბალია კადრების მომზადების სისტემის შრომის ბაზარზე ორიენტაციის ხარისხი, განუვითარებელია განათლების სისტემაც (თავი 1.სიტუაციური ანალიზი, პუნქტი დ). სტრატეგიის მიხედვით, „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მიწოდება გულისხმობს, სხვა აქტივობებთან ერთად, სამუშაოს მაძიებელთა

[28] გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება

ინფორმირებას და კონსულტირებას დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და სისტემატიზაციას, ვაკანსიის შესაფერისი კადრის ოპერატიულად შერჩევას და მონაცემების დამსაქმებლისთვის მიწოდებას (საშუამავლო მომსახურება); ადგილობრივი და რეგიონული ბაზრის შესწავლას/ანალიზს, ტრენინგების ორგანიზებას, დამსაქმებელთან ინტენსიურ ურთიერთობას და თანამშრომლობას; დასაქმების ფორუმების პერიოდულად ორგანიზებას“ (დადგენილება No. 732, 2014:7). დამსაქმებლისა და სამუშოს მაძიებელის ოპერატიულ კავშირს, ვაკანსიის შესაბამისი კადრის შერჩევას და დამსაქმებლისთვის შეთავაზებას, ინფორმაციული ბაზის შექმნას სამუშაოს მაძიებლისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ; საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზებით სტრატეგიაში ეკისრება დასაქმების ხელშეწყობის მომსახურების მიმწოდებელი ერთეულების უზრუნველყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტრატეგიის განხორციელებასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვის, შრომის და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო განათლების და მეცნიერებათა სამინისტრო სხვა პარტნიორებთან ერთად, წარმოადგენს პასუხისგებელ პარტნიორ სტრუქტურას.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში (2015 -2020წ) პროგრამა - „უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამაში“ (პროგრამული კოდი 3204) განსაზღვრულია სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ, უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად უმაღლესი განათლების სფეროში განსახორციელებული ამოცანები: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივად გამოყენება, ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადების და მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, სწავლის, სწავლების და სამეცნიერო კვლევის ინტეგრირების ხელშეწყობა. განსახორციელებელ ღონისძიებებში ხაზგასმულია საინოვაციო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა.

განათლების და მეცნიერების სამინისტროს დოკუმენტში „განათლების და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები”

(განსახილველი ვერსია), ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად დასახელებულია სოციალური პარტნიორობის თავსებადობის გაზრდა - განვითარება ბაზრის მოთხოვნებთან, საამისოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხელს შეუწყობს სტუდენტური და კარიერული სერვისების განვითარებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ასევე, პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების განვითარებასა და დასაქმების ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელებას; ზრდასრულთა სწავლების მოკლევადიანი, ალტერნატიული, მოქნილი და მრავალფეროვანი პროგრამების დანერგვას, საჯარო სექტორისა და ბიზნესის პარტნიორობას სწავლებისა და კვლევის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების, ასევე კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის. დოკუმენტის მიხედვით, 2016 წლისთვის დაიგეგმა განათლების სისტემაში ჩართული ადამიანური რესურსების მომზადებისა და გადამზადების განახლებული პროგრამების ამოქმედება და ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტების კარიერული სერვისის ცენტრების გამართული ფუნქციონირება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2015 წლის ანგარიშში პრიორიტეტად ასახელებს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობას. ანგარიშის მიხედვით, უმაღლესი განათლება და მეცნიერება-შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით - უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სახელმწიფომ სრულად დააფინანსა 21 პრიორიტეტულ საბაკალავრო პროგრამა (ანგარიში 2015:19). ასევე, ანგარიშის მიხედვით, სამეცნიერო კვლევებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით დამტკიცდა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებში გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დაფინანსება, რაც ემსახურება ახალი სამეცნიერო პერსონალის მოზიდვას; სამეცნიერო კვლევებისათვის პირობების გაუმჯობესებას; ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებასა და წარმოებაში მათი დანერგვის ხელშეწყობას (ანგარიში 2015:24).

2015 წლის ნოემბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით ჩატარდა მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო

კვირეული[29], რომლის მიზანს წარმოადგენდა მეცნიერების პოპულარიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა საქართველოს სახელმწიფო/ კერძო უნივერსიტეტების ბაზაზე არსებულ სამეცნიერო და კვლევითი ცენტრების; აკადემიების, ეროვნული მუზეუმებისა და ბიბლიოთეკებისათვის. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა 120-მდე სამეცნიერო ღონისძიება (სემინარი, ლექცია, გამოფენა, კონფერენცია და სხვ.), რომელშიც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ინსტიტუტებმა: მაიკროსოფტი-საქართველომ, სან დიეგოს უნივერსიტეტმა, შპრინგერის გამომცემლობამ, ცერნის ბირთვული კვლევების ევროპულმა ცენტრმა - მოძრავი გამოფენით „ცერნი დღეს“ და „LHC ინტერაქტიული გვირაბი“. ასევე, გამოყენებითი კვლევებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა პროგრამებში თანამშრომლობისათვის, სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის, ბიზნესისა და მეცნიერების თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის გაფორმდა მემორანდუმი რუსთაველის სამეცნიერო ფონდს, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოსა/GITA, და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტს“ შორის.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის განვითარების ხელშესაწყობად, ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონმდებლობაში და ავტორიზაციის სამი სტანდარტი შეიცვალა შვიდი სტანდარტით (ანგარიში 2016:2). ანგარიშში მოცემულია, რომ დაიწყო პროექტის „უმაღლესი განათლება დასაქმებისა და განვითარებისთვის“ განხორციელება (ანგარიში 2016:2), რომლის ფარგლებშიც უცხოელი ექსპერტები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემის მოდიფიკაციისა და განათლების ხარისხის განვითარების სისტემის მოდერნიზაციის მიზნით.

„განათლების და მეცნიერების სტრატეგია 2017-2021“ მიხედვით, სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება საკითხების ჩამონათვალი, მათ შორისაა განათლების და სერვისების ხარისხი, განათლების კავშირი შრომის ბაზართან, სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება განათლების

[29] http://mes.gov.ge/content.php?id=6039&lang=geo

ყველა საფეხურზე, მეცნიერების და კვლევების ხელშეწყობა. იმის გათვალისწინებით, რომ გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა წარმოქმნა ახალი შესაძლებლობები განათლებისა და დასაქმების სფეროში და ციფრულმა ტრანსფორმაციამ შეცვალა შრომის ბაზარი და შექმნა ახალი უნარების განვითარების საჭიროება. სტრატეგიის მიხედვით, განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდები ახალი გამოწვევების შესაბამისი კომპეტენციით, ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა მიაღწიოს შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი ცვლილებებით განათლების ყველა დონეზე (განათლების და მეცნიერების სტრატეგია სტრატეგია, 2017:7). სტრატეგიაში მოცემულ swot ანალიზში, 2017 წლისთვის განათლების სისტემის სუსტ მხარეებად სახელდება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან განათლების სისტემის შეუსაბამობა, და ასევე, კვლევის და განვითარების ინსტიტუტებისა და კერძო სექტორის არასაკმარისი თანამშრომლობა (განათლების და მეცნიერების სტრატეგია, 2017:10). რეკომენდაციის ნაწილში, სტრატეგია ამბობს, რომ იმისთვის რომ კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანი იყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე, აუცილებელია განახლებული და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამები. და, რომ ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები მოითხოვს უნივერსიტეტების შეფასებაში საერთაშორისო ექსპერტების, სტუდენტებისა და დამსაქმებლის ჩართვას და მიზნად ისახავს ხარისხის ამაღლებას (განათლების და მეცნიერების სტრატეგია, 2017:34). აღნიშნული სტრატეგიის პირველი ამოცანა, რომელიც ეხება უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი მოდერნიზაციას, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობასა და ხარისხის ამაღლებას, პირდაპირ ასახელებს, რომ სოციალური, პიროვნული და პროფესიული განვითარების პარალელურად, უმაღლესი განათლება უნდა უქმნიდეს ინდივიდს ღირსეული დასაქმების შესაძლებლობას. მაგრამ რეალობა მკვეთრად განსხვავებულია და საგანმანათლებლო პროგრამები აცდენილია შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სტრატეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევას, საგანმანათლებლო პროგრამების ორიენტირებას

შრომის ბაზართან და უნივერსიტეტებში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების გაძლიერებას.

2.1.6. ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

საქართველოში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის, ინტელექტუალური პროდუქტების, ინოვაციების და ტექნოლოგიების საექსპორტო პროდუქციად ქცევის, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების, საქართველოს მეცნიერების და ეკონომიკის ყველა სფეროში ინოვაციების შეღწევისა და მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ასევე ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოსაყალიბებლად, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაქმნელად, მისგან გამომდინარე მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის დადგენილებით (დადგენილება No. 172) 2014 წლის 5 მარტს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან.შეიქმნა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების საგენტო. სსიპ საქართველოს ონოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულება მიღებულია 05.03.2014. მასში შევიდა რამდენიმე ცვლილება, ბოლო ცვლილება თარიღდება 14.11.2016 წლით.

სააგენტოს დებულების მიხედვით მისი სტრუქტურა შემდეგგვარად გამოიყურება:

ა) სტრატეგიული განვითარების მიმართულება;

ბ) ანალიტიკური მიმართულება;

გ) ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მიმართულება. (მუხლი 4)

ინოვაციების და ტექნოლოგიური სააგენტოს მიზნები მრავალფეროვანია, მათ შორის არის ქვეყნის ინოვაციების და ტექნოლოგიების ერთიანი პოლიტიკის და სტრატეგიის პროცესის ხელშეწყობა და კოორდინირება (დებულება, მუხლი 2. თავი 1. ბ.) ხოლო სხვა, მრავალ ფუნქციას შორის აღნიშნულია ინოვაციების და ცოდნის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება (დებულება, მუხლი 2. თავი 2. ა.), ასევე ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების, პროექტების, პროგრამების, ინფრასტრუქტურის ფორმირება და დაფინანსების უზრუნველყოფა

(დებულება, მუხლი 2; თავი 2; ბ); უნდა აღინიშნოს ასევე ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ცენტრების, ონოვაციების ლაბორატორიების, აქსელერატორების და ბიზნეს ინკუბატორების შექმნაში მონაწილეობა და მათი განვითარების ხელშეწყობა (გ) და, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ბიზნესის და აკადემიური წრეების კოოპერაციის ხელშეწყობა (მუხლი 2. თავი 2.დ.). უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის და აკადემიური წრეების კოოპერაციის ხელშეწყობა ანალიტიკური მიმართულების სტრუქტურული ერთეულის ფუნქციაში შედის.

საჯარო დაწესებულების ანგარიშის ფორმით სააგენტომ გამოაქვეყნა ორი ანგარიში, ერთი 2014 წელს, ხოლო მეორე 2016 წელს. პირველი ანგარიში, თითქმის, არ შეიცავს ინფორმაციას, ხოლო მეორე - 2016 წლის ანგარიში, მხოლოდ პროცედურულ ინფორმაციას შეიცავს. გაწეული საქმიანობა დოკუმენტში არ არის აღწერილი.

ინოვაციების და ტექნიკური სააგენტოს გააჩნია ოფიციალური ვებგვერდი - www.gita.gov.ge, რომელიც ამავდროულად სააგენტოს ფეისბუქგვერდს წარმოადგენს. ფეისბუქგვერდი შეიქმნა 2014 წ. აპრილში და განხორციელებული ღონისძიებები მოცემულია ივენთების განყოფილებაში. ასევე განთავსებულია ტექნოპარკის ვებგვერზე. ტექნოპარკი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" ერთ-ერთ მთავარ პროექტს, რომელიც ორიენტირებულია ქვეყანაში ინოვაციური წარმოების შექმნასა და განვითარებაზე. თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიქმნა საქართველოს მთავრობის მიერ 27.10.2015 წ. ტექნოპარკი საქართველო, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2016 წლის იანვარში აშენდა. მაღალტექნოლოგიური სივრცე ოქროყანაში 18 ათას მ2 ტერიტორიაზე მოეწყო. ტექნოპარკის დანიშნულებაა გააერთიანოს სხვადასხვა მიმართულებისა და იდეების მქონე ადამიანები და ხელი შეუწყოს მათ ტექნოპარკის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, შექმნან ახალი ტიპის, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოებები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. რაც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესის ხელშწყობას. ტექნოპარკის მიზანია,

გახდეს საქართველოში ინოვაციური და ტექნოლოგიური პროცესების ბირთვი. ნებისმიერი დაინტერესებული პირი მიიღებს კონსულტაციას იდეის დამუშავებიდან მის პროტოტიპად ჩამოყალიბებასა და ბიზნესად განვითარებამდე. ტექნოლოგიური პარკის საშუალებით სახელმწიფო ახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანაა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვა. ტექნოლოგიური პარკი დამწყებ და პატარა კომპანიებს სთავაზობს აქამდე ძნელად ხელმისაწვდომ რესურებს. ასევე, იძლევა შესაძლებლობას, საქართველოში დაფუძნდეს საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლობები და მოხდეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ტექნოპარკი მოიცავს როგორც მცირე ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ისე დიდ ოფისებს კომპანიებისთვის, ერთობლივ სამუშაო ადგილებსა და რეკრეაციულ სივრცეს. პარკის ტერიტორიაზე მოქმედებს მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრენინგცენტრები და შოურუმები (საჩვენებელი ოთახები), მაღალტექნოლოგიური ინკუბატორი, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია (FabLab), საერთო სამუშაო სივრცე (co-working), საკონფერენციო დარბაზი და სხვა სერვისები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებას[30].

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო სხვადასხვა უფასო მომსახურებასთან ერთად, დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურებას. სააგენტომ ტექნოპარკში განათავსა საკონსულტაციო კომპანიების - „საქპატენტი “, „დელოიტი “, „მართვის აკადემია “- ოფისები, რომლებიც სტარტაპებს მომსახურებას უწევენ სხვადასხვა მიმართულებით:

1) „საქპატენტი“ უზრუნველყოფს სტარტაპების კონსულტაციებს საკუთრების დაცვის საკითხში;

2) ,,დელოტი“ ეხმარება ინოვატორებს ფინანსური საკითხების დაგეგმვასა და სამუშაო პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში;

[30] http://techpark.ge//Technopark

3) მართვის აკადემია სტარტაპებს კონსულტაციას უწევს მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულებით.

საიტის მიხედვით, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით აფინანსებს ტრენინგების მასშტაბურ ციკლს. სპეციალისტებს უფასოდ უტარდებათ ტრენინგი ვებ და მობილური აპლიკაციების საფუძვლებში. 2014 წლიდან სააგენტომ განახორციელა მრავალი აქტივობა: სტარტ-აპ ტერასა, ტრენინგი ტრენერებისთვის კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, ანდროიდის დეველოპმენტში, სემინარი - კომპიუტერული თამაშის განვითარება, საქართველოს ინოვაციების კვირეული, ინოვაციების და ინიციატივების მართვის ტრენინგი, შესავალი IOS პროგრამირებაში, Java პროგრამირება, ხარისხის მართვა და ტესტირება, ტრენინგი - სახსრების მოძიება მწარმოებლებისთვის, გამოფენა-გაყიდვა, ვებდეველოპენტი, გამოფენა-გაყიდვა, ბიზნესი ფაბლაბთან ერთად, ბიზნესინკუბატორის ღია კარის დღე და სხვა[31]. ტრენინგებს ატარებენ ტრენერები, რომლებიც მომზადდნენ 2015-2016 წლებში უკრაინული ტრენინგ ცენტრის Skill Up-ის ტრენერების მიერ. პროექტი ეხმიანება საქართველოს მთავრობის სტრატეგია - 2020-ს, რომლის ფარგლებში 2020 წლისთვის, ქვეყნის მასშტაბით 40 000 IT სპეციალისტი უნდა მომზადდეს. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში, რომელიც ინოვაციების სააგენტომ დაიწყო 2014 წელს, 186 ტრენერი მომზადდა, ხოლო მომზადებულმა ტრენერებმა, 2015-2016 წლებში - 1,100-მდე IT სპეციალისტს ჩაუტარეს ტრენინგები. ტრენინგების გასავლელად საჭიროა სააგენტოს მიერ შემუშავებული სააპლიკაციო ფორმის მეშვეობით გაიაროს რეგისტრაცია. აპლიკაცია განთავსებულია დაწესებულების საიტზე, ტრენინგების განყოფილებაში. ტექნოპარკის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ინოვაციების სააგენტომ შექმნა მენტორთა ქსელი, რომელიც აერთიანებს კვალიფიციურ ადამიანებს სხვადასხვა დარგში. მენტორთა ქსელის ეფექტურად მუშაობისთვის, სააგენტომ შექმნა ზემოთ აღნიშნული გვერდი - http://gita.gov.ge/mentors/index.html, სადაც განთავსდება მენტორების საკონტაქტო ინფორმაცია (გვერდი ამჟამად არ მუშაობს, ბოლო შესვლა 02.08.2017). ვებგვერდის საშუალებით ერთი მხრივ,

[31] https://www.facebook.com/pg/GITA.gov.ge/events/?ref=page_internal

სტარტაპებს შეუძლიათ აირჩიონ მენტორი, რომელთანაც კონსულტაციის გავლის სურვილი აქვთ, ხოლო მეორე მხრივ, დარგის პროფესიონალებსა და გამოცდილ ადამიანებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ მენტორთა ქსელში და გაუზიარონ თავისი ცოდნა და გამოცდილება ინოვატორებს.

ინოვაციის სააგენტომ ტექნოპარკსა და სხვადასხვა უნივერსიტეტში დააარსა ფაბლაბი[32]. აღნიშნული აქტივობის მიზანს წარმოადგენს მსოფლიოს შესთავაზოს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის თავისი უნიკალური მოდელი, რომელიც მნიშვნელოვანია პერსონალური წარმოების განსავითარებლად და ახალი სტარტაპ ბიზნესების ჩამოსაყალიბებლად, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანისთვის სასურველი ინდივიდუალური დიზაინისა თუ ფუნქციების მქონე პროდუქტის მისაღებად არ იქნება საჭირო დიდი ქარხნის აშენება. ეს ყველაფერი მოხდება ლოკალურად, ფაბლაბების ბაზაზე. არსებული ფაბლაბები, როგორც თბილისის, ისე რეგიონების მასშტაბით, აღჭურვილია ზუსტად იმ აპარატურული ციკლით, რომლის ანალოგებიც მასაჩუსეთის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში - MIT-შია. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში ბოლო პერიოდის თანამედროვე აპარატურაა განთავსებული, რომლის დანიშნულებაცაა ახალი წამოწყებების სრულყოფა და დამწყები ბიზნესმენების პროექტების განვითარება. ფაბლაბის მიზანია, მსოფლიოს შესთავაზოს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის უნიკალური მოდელი. მისი განვითარება მნიშვნელოვანია ახალი სტარტაპბიზნესების ჩამოსაყალიბებლად. საქართველოს მასშტაბით 22 სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაა გახსნილი. 2018 წლის 29 აპრილისთვის ფაბლაბი ითვლის 800 ზე მეტ შესრულებულ პროექტს, 400 ზე მეტ რეგისტრირებულ მომხმარებელს და 50-ზე მეტ წარმატებულ სტარტაპს.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით (დადგენილება No. 206, 2016) 2016 წლის ივნისიდან ქვეყანაში ამოქმედდა პროგრამა „სტარტაპ საქართველო “, რომელიც მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის ნაწილია. სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს. სტარტაპ ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი ეკოსისტემის განვითარება მოიცავს სხვადასხვა

[32] http://fablab.gov.ge/geo/static/41/ra-aris-fablabi

კომპონენტებს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე შესაბამისი განათლების ხელშეწყობასაც. ინოვაციების სააგენტო სტარტაპებს (დამწყები ბიზნესი) უფასოდ სთავაზობს საერთო სამუშაო სივრცეს ე.წ. co-working-ს, სადაც ბიზნეს-ინკუბატორის გუნდებს, ტექნოპარკის წევრებს და დამწყებ კომპანიებს შეუძლიათ განთავსდნენ და ამავდროულად, ისარგებლონ ტექნოპარკისა და სააგენტოს სხვადასხვა მომსახურებით, თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებით. ტექნოპარკი დაინტერესებულ პირებს საკონფერენციო დარბაზით სარგებლობასაც სთავაზობს. დარბაზი აღჭურვილია საკონფერენციო აპარატურით: გახმოვანების სისტემით, პროექტორითა და ეკრანით.

პროექტის კოორდინატორები არიან საპარტნიორო ფონდი და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალური მაღალტექნოლოგიური ინოვაციური იდეებისთვის. მთლიანად პროგრამისთვის პირველ ეტაპზე გამოიყო 11 მილიონი ლარი, რაც შემდეგ 35 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

მაღალტექნოგიურ იდეად ითვლება: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები, ტელეკომუნიკაცია. მაღალტექნოლოგიური ბიზნესიდეის შემთხვევაში პროექტის აფასებენ საერთაშორისო ექსპერტები სილიკონველიდან (აშშ). საინვესტიციო დაფინანსება 100,000 ლარამდეა. განმცხადებელს არ მოეთხოვება თანხობრივი თანამონაწილეობა. 2018 წლის 29 აპრილსთვის სტარტაპ საქართველოში[33] შესულია 1718 პროექტი და აქედან გამარჯვებულია 85. ტექნოპარკის „ბიზნეს ინკუბატორი“ არის დამწყები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა და მისი 6-თვიანი პროგრამა სტარტაპებისთვის რამდენიმე ეტაპს მოიცავს. ტექნოლოგიური პარკი ამოქმედდა რეგიონებშიც (ზუგდიდი, ჭოპორტი, ბაღდადი, ხარაგაული).

[33] http://startup.gov.ge/geo/home

2.1.7. კვლევების კომერციალიზაცია

მეცნიერების კომერციალიზაცია დღეს უმნიშვნელოვანესია უნივერსიტეტის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. გამოყენებითი მეცნიერების უპირველესი მიზანია მისი შედეგების ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება. მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები თითქმის ორი დეკადის განმავლობაში ახდენენ საკუთარი სამეცნიერო ნაწარმის შედეგების კომერციალიზაციას. აღნიშნულით, ხდება, ერთი მხრივ, ქვეყნისა, და არა მხოლოდ, მასშტაბით შექმნილი პროდუქტის გავრცელება, მეორე მხრივ, აღნიშნულით უნივრსიტეტს უჩნდება შემოსავალი, რაც მისივე განვითარების ერთ - ერთი დამატებითი წინაპირობაა. კვლევების კომერციალიზაცია წარმოადგენს პროცესს, რომელიც პროდუქტს, ან სერვისს გადააქცევს კომერციულად მომგებიან პროდუქტად. ის წარმოადგენს ბაზრის მოთხოვნების პასუხს, რომელიც იკვეთება კვლევის პროცესში, იქცევა საბაზრო პროდუქტად და არის სარგებლის მომტანი ხალხისთვის.

ტექნოლოგიების გადაცემის ისტორია დაწიყო 1980 წელს Bay Dole აქტის მიღების შემდეგ ამერიკაში, რამაც საფუძველი დაუდო ერთიანი საპატენტო პლიტიკის შექმნას. აღნიშნული აქტის მიღების შედეგად, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ კვლევებში ინტელექტუალური საკუთრება უნივერსიტეტებსაც მიეკუთვნებოდა. ეს პროცესი ხორციელდება ე.წ. ტექნოლოგიების გადაცემის ოფისების მეშვეობით, რომლებიც შეიქმნა უნივერსიტეტებში. მხოლოდ სახელმწიფო არ არის ერთპიროვნულად პატენტის გამოყენების მფლობელი, მასს შეუძლია მარჩ-ინ რაითის[34] უფლებით ჩაერიოს, როდესაც ვერ ხდება კომერციალიზაიცია. (ხიჩიაური, 2017: 3)

ტექნოლოგიების ტრანსფერი, ანუ ტექნოლოგიების გადაცემის ციკლი მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

- სამეცნიერი საქმიანობა - კვლევა

[34] იგი საშუალებას იძლევა, დამფინანსებელმა სააგენტომ საკუთარი ინიციატივით ან მესამე მხარის მოთხოვნით, მოახდინოს მინიჭებული პატენტის ექსკლუზიურობის იგნორირება , აქტის საფუძველზე და მიანიჭოს დამატებითი ლიცენზირება სხვა "გონივრულ განმცხადებლებს"

- ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაცია - გამოგონების გახსნა
- შესწავლა: ინტელექტუალური საკუთრების შესწავლა და ბაზრის შესწავლა
- გამოგონების დაცვა პატენტის მეშვეობით ან სხვა მექანიზმებით
- მარკეტინგი: ლიცენზირება, სპინ-ოფ კომპანია
- კომერციალიზაცია და შემოსავალი

კვლევების კომერციალიზაციისთვის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მნიშვნელოვანია ლიცენზირება და ე.წ. სპინოფ კომპანია[35]. ლიცენზირება წარმოადგენს კონტრაქტის სახეს, რომლითაც ლიცენზიანტს ენიჭება გარკვეული პირობებით პატენტის გამოყენების უფლება, რაც ნიშნავს პროდუქტის ბაზარზე გატანის ნულოვან ხარჯს, ასევე წარუმატებლობის დაბალ რისკს, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების შენარჩუნებას და შემოსავლის მიღებას. სპინოფ კომპანია კი წარმოადგენს ტენოლოგიების გადაცემის ეფექტურ გზას უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში. იგი თამაშობს შუამავალ რგოლს მკლევარებს და ინდუსტრიას შორის, რის შედეგად კვლევით ინსტიტუტები ორიენტირებული იქნებიან კვლევაზე და არა კომერციალიზაციაზე (ხიჩიაური, 2017: 7).

კვლევების კომერციალიზაციისთვის საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს[36] პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს ინოვაციების პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო, ინოვაციების ინფრასტრუქტურა, ინოვაციების მეწარეობის ხელშეწყობა და დაფინანსების მექანიზმების შემუშავება. 2017 წლისთვის უნივერსიტეტების ბაზაზე ჯერ კიდევ არ არსებობს ტექნოლოგიების გადაცემის ოფისი, ტექნოლოგიების გადაცემის შესახებ ცნობიერების დონე დაბალია, არ არსებობს ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკა, ასევე, დაურეგულირებელია როიალტის[37] გადანაწილების საკითხი (ხიჩიაური, 2017: 9).

ტექნოლოგიების გადაცემის ციკლში უმნიშვნელოვანესი პოზიციაზე არის უნივერსიტეტი, კვლევითი ინსტიტუტი და მეცნიერი, რომელიც თავის ნაშრომს

[35] https://www.merriam-webster.com/dictionary/spin-off
[36] https://gita.gov.ge
[37] საავტორო უფლების, პროგრამული უზრუნველყოფის, პატენტის ნახაზის, მოდელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისთვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის გადაცემისგან მიღებული შემოსავალი

გადასცემს ტექნოლოგიების ცენტრს, სადაც ხდება ტექნოლოგიური და ბიზნეს მზაობის დონის შეფასება. ამის შემდეგ უნდა მომზადდეს ინტელექტუალური საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ბიზნეს პაკეტი, ასევე მომზადდება და დაიდება ხელშეკრულება და შემოსავლის სახით უკიგება (ბაიჩანი, 2013:34).

მრავალ ტექნიკურ საკითხთან ერთად, ტექნოლოგიების სააგენტო სამომავლო გამოწვევებს შორის ასახელებს ბიზნესსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობასა და გაძლიერებას, მეცნიერებისა და მკვლევარების ცნობიერების ამაღლებას კომერციალიზაციასთან დაკავშირებით. ინოვაციების სააგენტოს მიხედვით, კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტებს წარმოადგენს (ხიჩიაური, 2017: 11):

- სფეროს დაცვა: რადიოეკოლოგიური მდგომარეობის შემოწმება; ნარჩნების მართვა და გადამუშვება;
- ჯანდაცვა: კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა სისხლის პლაზმით; ჰერპესის მკურნალობა
- ბირთვული უსაფრთხოება: რადიაციის დეტექტორები
- ბაქტერიოფაგები: ანტიბიოტიკების ბაქტერიოფაგებით ჩანაცვლება
- კიბერნეტიკა: ყალბი პროდუქციისგან დაცვის ჰოლოგრაფიული სისტემა
- ბიოტექნოლოგიები: ბიოლოგიურად სუფთა სურფაქტანტები

საქართველოს კანონში საჯარო სამართლის შესახებ (საქართველოს კანონი, 1999) მოცემულია: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა, თუ შესაბამისი კანონით სხვა რამე არ არის განსაზღვრული. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა;

ბ) საგამომცემლო საქმიანობა

გ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზება

დ) სამეცნიერო - კვლევით და ლაბორატორიული საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის (გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის) წარმოება და რეალიზება;

ე) დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობა თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინინებულ შემთხვევაში (საქართველოს კანონი საჯარო სამართლის შესახებ; 2.1).

2015 წელს თ. ბრეგვაძის მიერ განხორციელებული საჭიროებათა კვლევის შედეგების მიხედვით, სამეცნიერო სექტორი ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს კვლევის შედეგების კომერციალიზაციას, თუმცა მეცნიერები ეჭვობენ, რომ შესაძლებელია ამ მიმართულებით წარმატების მიღწევა იმ სირთულეების გათვალისწინებით, რასაც ამ პროცესის განმავლობაში აწყდებიან. უმთავრეს შემაფერხებელ ფაქტორებად მეცნიერებს კომერციალიზაციის პროცესისათვის მნიშვნელოვანი კომპეტენციებისა და ინფორმაციის დეფიციტი მიაჩნიათ, ასევე ხელიშემშლელ ფაქტორებად თვლიან ინსტიტუციებისა და ქვეყნის დონეზე კომერციალიზაციის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის, შუამავალი სტრუქტურების ნაკლებობას. შუამავალ და ტექნოლოგიური ტრანსფერის უწყებებს ამ პროცესში მეცნიერებიცა და ბიზნესმენებიც, ზოგადად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, თუმცა არსებული მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი ძალიან დაბალია. მაგალითად, მეცნიერთა უმეტესობისათვის, ცნობილი არ არის საქპატენტში მათთვის მოქმედი შეღავათები. (ბრეგვაძე 2015:27-39).

თავი 3. უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა საქართველოს რეგიონულ უნივერსიტეტებში (ტექნოლოგიური ფაკულტეტები)

როგორც ზემოთ იყო განხილული, არსებობს უნივერსიტეტი-ბიზნესის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმა, მოდელი და მახასიათებელი; ქართული უნივერსიტეტების ბიზნესთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალური მოწყობის

აღსაწერად, გამოვიყენეთ სხვადასხვა საერთაშორიო პროექტის მიერ გამოყენებული და ასევე საერთაშორისო განზომილების (ტემპუსის პროექტი, რაგუჟევაჩის უნივერსიტეტი; 2010; Cap4Com ტემპუსის პროექტი, ბსუ 2012წ; EMCOSU პროექტის ანგარიში ლუბლიანას უნივერსიტეტი, 2014;) მიერ მოწოდებული/აღწერილი უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის რამდენიმე მახასიათებელი, რაც შემდგომში მდგომარეობს:

1. უნივერსიტეტის სტრატეგიაში, პოლიტიკაში, მისიასა და ხედვაში გაწერილი - უნივერსიტეტი-ბიზნესის თანამშრომლობის რეალიზაციის გზა;
2. უნივერსიტეტისა და ბიზნესის თანამშრომლობის რეალიზაციისთვის ფუნქციონალური სტრუქტურების და მხარდაჭერის სერვისების შექმნა; იმ პირების განსაზღვრა, რომლებიც იქნებიან დაკავებულნი მხოლოდ უნივერსიტეტსა და წარმოებას შორის თანამშრომლობისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი აქტივობებით;
3. წარმოების ჩართულობა სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) განახლებასა და მოდერნიზებაში;
4. უნივერსიტეტის და წარმოების მიერ განხორციელებული ერთობლივი კვლევა;
5. ადგილობრივ და რეგიონულ განვითარებაში ჩართულობა - რამდენად მონაწილეობს უნივერსიტეტი რეგიონულ განვითარებაში.

ზემოთ აღნიშნული მახასიათებლების საფუძველზე წარმოგიდგენთ საქართველოს რეგიონულ უნივერსიტეტებში არსებული ან დაგეგმილი უნივერსიტეტი-ბიზნესის თანამშრომლობის აღწერას.

3.1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტი-საწარმოს თანამშრომლობასთან დაკავშირებული მიზნები და რეალიზაციის გზა გადმოცემულია 2018-2024 წწ. ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმაში[38] (შენიშვნა: სამეწარმეო სფერო მისიაში წარმოდგენილია რამდენიმე სხვადასხვა ცნებით: ბიზნესი, დამსაქმებელი, დაინტერესებული მხარე); თავი 1.6-ის

[38] https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_60_1.pdf

მიხედვით, უნივერსიტეტი ღია უნდა გახდეს პარტნიორობის, დიალოგისა და თანამშრომლობისათვის. ის ბიზნესპარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად გაერთიანდება ეკონომიკური პროფილის მქონე სხვადასხვა კავშირებსა და ორგანიზაციებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე და საკუთარ პოტენციალსა და ინფრასტუქტურას შესთავაზებს სხვადასხვა არაკომერციული პროექტის განსახორციელებლად. იმავე სტრატეგიული გეგმის მიხედვით, საჭიროა სამეცნიერო მუშაობის გაფართოება (სტრატეგიული განვითარების გეგმა; თავი 3.2.) და ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობა, მათთვის საინტერესო სამეცნიერო კვლევების თემატიკის განსაზღვრით, რაც ასევე ხელს შეუწყობს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაციას (სტრატეგიული განვითარების გეგმა; თავი 3.2. ამოცანა 1);

სტრატეგიის მიხედვით უნივერსიტეტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის, მეცნიერისა და ექსპერტის აქტიური ჩართულობა (სტრატეგიული განვითარების გეგმა; თავი 4.4.; მიზანი 5).

ბსუ-ში 2017 წლამდე ფუნქციონირებდა სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახური, რომლის ძირითად ფუნქციებს ვებგვერდის მიხედვით[39], წარმოადგენდა სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება, სტუდენტური სასწავლო, სამეცნიერო, კულტურული და სხვა პროექტების განხორციელების ხელშეწყობა, დასაქმების ბაზრის კვლევებისა და სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის დახმარება უნივერსიტეტის საერთო ცხოვრებაში ინტეგრირებისა და მათი პრობლემების მოგვარების მიზნით, სტუდენტებისათვის პერიოდულად სპეციალურ სასწავლო და აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგების გამართვა, სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით სოციალური პროექტის მომზადება და განხორციელება. აღნიშნული სამსახურის ბაზაზე, ბსუ-მ თანამშრომლობის რეალიზაციისთვის ფუნქციონალური სტრუქტურის სახით,

[39] https://bsu.edu.ge/sub-22/page/3-248/index.html

სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახურის საფუძველზე 2017 წელს აამოქმედა კარიერული განვითარების ცენტრი[40], რომელიც მოგვიანებით გადაკეთდა სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურის და სპორტის დეპარტამენტად. ვებგვერდის მიხედვით, აღნიშნული სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტის დამსაქმებელთან ურთიერთობას, შექმნის დამსაქმებლის მუდმივად განახლებად ბაზას, ასევე ვაკანსიების მუდმივად განახლებად საინფორმაციო ბაზას და პერმანენტულად დააკვირდება კურსდამთავრებულთა კარიერის განვითარებას, დასკვნებს გამოიტანს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურობის, კურსდამთავრებულის უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარების (და ა.შ.) შესახებ (სტრატეგიული განვითარების გეგმა, თავი 5.1.); კარიერული ცენტრი შეიქმნა 2017 წლის ნოემბერში. დებულების მიხედვით ამოქმედდა სტუდენტური პორტალი[41], რომლის დანიშნულებაა დამსაქმებლის და სტუდენტების დაკავშირება, თუმცა აღნიშნული პორტალი, გამოკითხული სტუნდეტების მიხედვით, ნაკლებად გამოყენებადია ტექნოლოგიური მიმართულების სტუდენტებისთვის.

საგანმანთებლო პროგრების შემუშვებაში, განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში სხვა მხარეებთან ერთად, სტრატეგიაში დასახელებულია, ასევე, დამსაქმებელი, რომლიც ინტერესთა ჯგუფის სახით არის წარმოდგენილი და ხაზგასმულია მისი მონაწილეობა პროგრამების შემუშვების და განხორციელების პროცესში (სტრატეგიული განვითარების გეგმა, თავი 5.2.). დამსაქმებელთან ორმხრივად სასარგებლო, რეალური და მოქმედი თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და განხორციელება სტრატეგიის ცალკე თავშია მოცემული, რომლის ამოცანების მიხედვით სტაჟირებით უნდა შეიცვალოს პრაქტიკა, უნივერსიტეტი შესთავაზებს დამსაქმებელს თანამშრომელებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფასიან კურსებს; ასევე უნივერსიტეტი მოიწვევს წარმატებული ბიზნესმენებს სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, უნივერსიტეტი შესთავაზებს საქმიან წრეებს მათი პროდუქტების განვითარებას სტუდენტების პრაქტიკის/სტაჟირების, თუ საბაკალავრო და

[40] https://bsu.edu.ge/main/page/9452/index.html
[41] https://portal.bsu.edu.ge

სამაგისტრო ნაშრომების განხორციელების ფარგლებში (სტრატეგიული განვითარების გეგმა, თავი 5.3.)

სტრატეგიაში ცალკე პუნქტი აქვს დათმობილი ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორსა და მკვლევარს შორის ინფორმაციისა და მონაცემთა გაცვლის, სწავლებისა და კვლევის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პუნქტი სხვადასხვა ამოცანისგან შედგება, როგორიცაა სტარტაპების და ბიზნეისდეების კონკურსები დამსაქმებლის მხარდაჭერით, კვლევითი იდეების კონკურსები, ამ პუნქტში ყურადსაღებია შემდეგი ფორმულირება: უნივერსიტეტი შეეცდება დამსაქმებლის, კვლევითი ინსტიტუტის და დარგობრივი დეპარტამენტის მონაწილეობით განახორციელოს ექსპერიმენტული პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სწავლების პროცესი დაიგეგმება წარმოების პროცესში დასაქმებული სტუდენტის მოთხოვნების შესაბამისად (სტრატეგიული განვითარების გეგმა, თავი 5.4.; ამოცანა 30);

უნივერსიტეტი სტატეგიული პარტნიორების ჩამონათვალში მესამე პუნქტად პარტნიორებს გამოყოფს საქმიან სფეროში (სტრატეგიული განვითარების გეგმა; მიზანი 6.3). და ბოლოს, სტრატეგიის მიერ განსაზღვრულ სტრატეგიული პარტნიორების ჩამონათვალში საქმიან სფეროში საწარმო დასახელებულია პრიორიტეტულად და განმარტებულია, რომ უნივერსიტეტს ეყოლება მსხვილი ბიზნესპარტნიორი, რომელთანაც განსაკუთრებული, ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობები ექნება (სტრატეგიული განვითარების გეგმა, თავი 6.2. ამოცანა 1).

2017 წლის 15 ივნისს ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ გამოსცა დადგენილება N37 ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 1. ზოგადი დებულებები, პუნქტი 4 ამბობს „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობს შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი, სამეცნიერო პერსონალი (არსებობის შემთხვევაში), სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და პროფესიული ასოციაციები”; იმავე დოკუმენტის მუხლი 3-ის მიხედვით თითოეულ ფაკულტეტთან დგება კურიკულუმის კომიტეტი, რომლის დანიშნულებაა

კურიკულუმის შიდა ექსპერტიზა. კურიკულუმის კომიტეტის შემადგელობაში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, უნდა შედიოდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. თითოეული ფაკულტეტის ვებ გვერდზე მოცემულია კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობა, თუმცა აკადემიური პირების გარდა სხვა (სტუდენტი, დამსაქმებელი ან კურსდამთავრებული განსაზღვრული არ არის), მაგ. იურიდიული ფაკულტეტი[42]; ტექნოლოგიური ფაკულტეტი[43].

ამჟამად ბსუ-ს თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება/მემორანდუმი აქვს დადებული 101 უცხოურ სასწავლო დაწესებულებასთან და 175 საქართველოს უნივერსიტეტთან და სხვადასხვა ქართულ ორგანიზაციასთან[44]. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ტექნოლოგიური მიმართულების მემორანდუმების ამონარიდი საერთო ნუსხიდან.

	მემორანდუმი	მხარეთა ვალდებულებები
2	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ინდმეწარმე „არჩილ ჭაღალიძეს“ შორის	1. „აგროსერვის ცენტრი“ უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის - „მეფუტკრის“ - სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას და სხვა გათვალისწინებული საკითხების შესწავლას 2. კომპანიის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში; 3. კომპანია პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ ტექნიკური აღჭურვილობითა და სასწავლო რესურსებით
4	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სენი-კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს	1.პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის

[42] https://www.bsu.edu.ge/sub-34/page/2-222/index.html
[43] https://www.bsu.edu.ge/sub-34/page/2-222/index.html
[44] https://www.bsu.edu.ge/sub-19/page/2-168/index.html

	შორის	ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო და პროფესიული პრაქტიკის გავლას; 2. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში და ექსპერტიზაში; 3. დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლიც სამეცნიერო სემინარებსა და კონფერენციებს; 4. უზრუნველყოფს შესაბამის საგანმანათლებლო ინფორმაციაზე წცდომას.
8	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს „ჯმს 4“-ს შპროს	შპს „ჯმს 4“ უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის „ბუღალტერ-ტექნიკოსის“ პროგრამის სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას და სხვა გათვალისწინებული საკითხების შესწავლას 2. მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში; 3. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ ტექნიკური აღჭურვილობითა და სასწავლო რესურსებით.
9.	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს „ჯეოსელს“ შორის	კომპანია ვალდებულია: 1. შექმნას ერთიანი პლატფორმა მობილური და ვებ აპლიკაციების სახით; 2.მოიპოვოს სტუდენტთა ელექტრონული თანხმობა პროექტში მონაწილეობასა და კომპანიისა და/ან მისი კონტრაქტორისთვის უნივერსიტეტის მიერ პერსონალური მონაცემების მიწოდებაზე მათ მიერ შემდგომი დამუშავების მიზნით; 3. უზრუნველყოს პროექტის შესახებ საზოგადოებაში ცნობადომის ამაღლება; 4. ნებისმეირ მარკეტინგული აქტივობა რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის სახელთან, წინასწარ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით

		შეათანხმოს უნივერსიტეტთან; 5. უნივერისტეტის ინტელექტუალური საკუთრების (სასაქონლო ნიშანი, დიზაინი და სხვა) გამოყენება წინასწარ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით შეათანხმოს უნივერსიტეტის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან. **კომპანია უფლებამოსილია:** მოსთხოვოს უნივერსიტეტს ამ მემორანდუმით და მისი დანართებით შეთანხმებული პირობების მართლზომიერად და ჯეროვნად შესრულება. **უნივერსიტეტი ვალდებულია:** 1. შეასრულოს მემორანდუმით და მისი დანართებით შეთანხმებული პირობები მართლზომიერად და ჯეროვნად; 2. უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის გამართულად და შეუფერხებლად მუშაობა და ბაზაში არსებული ინფორმაციის სისწორე; 3. სტუდენტის თანხმობის საფუძველზე მოახდინოს კომპანიისა და მისი კონტრაქტორის დაშვება მონაცემთა ბაზასთან და მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რაც საჭიროა პროექტის ხარისხიანად და დროულად შესრულებისთვის; 4. გამოყოს საკონტაქტო პირი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრას; 5.მიაწოდოს კომპანიას ამ მემორანდუმისა და მისი დანართების შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაცია; 6. მოახდინოს მყისიერი რეაგირება კომპანიის მიერ პრობლემების იდენტიფიცირების შემთხვევაში; 7. გააფორმოს იდენტურ ან/და მსგავს პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულება/მემორანდუმი და/ან სხვა დოკუმენტი სხვა სატელეკომუნიკაციო კომპანიებთან მხოლოდ კომპანიის მიერ წინაწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

		8. მხარი დაუჭიროს ცნობადობის ამაღლებისთვის გამიზნულ ღონისძიებებს. **უნივერსიტეტი უფლებამოსილია:** 1. მოსთხოვოს უნივერსიტეტს ამ მემორანდუმით და მისი დანართებით შეთანხმებული პირობების მართლზომიერად და ჯეროვნად შესრულება. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეათანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი პირობები, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებასა და ინტერესებს.
10	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს „სერვის-ექსპრესს“ შორის	1. შპს „სერვის-ექსპრესი” უზრუნველყოფს პროფესიული მოდულური პროგრამის „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკის შემკეთებელის“ სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას და სხვა გათვალისწინებული საკითხების შესწავლას 2. კომპანია მონაწილეობას მიიღებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში; 3. კომპანია პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ ტექნიკური აღჭურვილობითა და სასწავლო რესურსებით
11	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს „საბატა“-ს შორის	1. შპს „საბატა“ უზრუნველყოფს პროფესიული მოდულური პროგრამის „ვებ-ინტერფეისის დეველოპერი“-ს, „ვებ-ინტერფეისის დიზაინერისა“ და „ვებ-პროგრამისტის“ სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას და სხვა გათვალისწინებული საკითხების შესწავლას 2. კომპანიის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში;

		3. კომპანიის წარმომადგენლები პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ ტექნიკური აღჭურვილობითა და სასწავლო რესურსებით
12	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს „პროგრეს ტექ“-ს შორის	თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მხარეები იღებენ ვალდებულებას: 1. ხელი შეუწყონ/უზრუნველყონ მემორანდუმის მიზნების შესაბამისი ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება; 2. კომპანიის წარმომადგენლები უზრუნველყონ ინფორმაციის გაცვლა და მოლაპარაკებები მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობის სფეროს საკითხებზე ერთობლივი მიზნების მისაღწევად; 3.გააფორმონ ურთერთ სასარგებლო ხელშეკრულებები, თავიანთი ინტერესების სფეროდან გამომდინარე.
15	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და „მაქსნეტი MAX.net“-ს შორის	„მაქსნეტი MAX.net“-ი უზრუნველყოფს 1.პროფესიული მოდულური პროგრამის „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკის შემკეთებელი“-ს სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას და სხვა გათვალისწინებული საკითხების შესწავლას 2. კომპანიის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში; 3. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ ტექნიკური აღჭურვილობითა და სასწავლო რესურსებით.
16	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ინდივიდუალურ მეწარმე „ნაყობია აბიბო“ შორის	1.პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის

		ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტთა სასწავლო და პროფესიული პრაქტიკის გავლას; 2.დაგეგმავენ და განახორციელებენ სტუდენტთა ერთობლივ დასაქმებით პროგრამებს; 3. მხარეები უზრუნველყოფენ მატერიალური ბაზით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.
19	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სპს „ბაკურიძე და კომპანია“-ს შორის	შპს„ბაკურიძე და კომპანია“-ს უზრუნველყოფს 1. პროფესიული პროგრამის „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამის სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას და სხვა გათვალისწინებული საკითხების შესწავლას 2. კომპანიის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში; 3. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ ტექნიკური აღჭურვილობითა და სასწავლო რესურსებით,
22	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს „აჭარგანათება“-ს შორის	შპს „აჭარგანათება“უზრუნველყოფს 1. პროფესიული მოდულური პროგრამის „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკის შემკეთებელი“-ს სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას და სხვა გათვალისწინებული საკითხების შესწავლას 2. კომპანიის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში; 3. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ ტექნიკური აღჭურვილობითა და სასწავლო რესურსებით.
23	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო	მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლება, მათი

	უნივერსიტეტსა და და შპს „ალტა სოფთვეარი“-ს შორის	პიროვნული პოტენციალის რეალიზაცია, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი განათლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება; საინფორმაციო ტექნოლოგიების ეკონომიკური საქმოანობისთვის გამოყენების პოპულარიზაციას, ეკონომიკური ინფორმატიკის დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული და სასწავლო საქმიანობის მხარდაჭერას.
25	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს „TV ERA”-ს შორის	შპს „TV ERA“ უზრუნველყოფს 1. პროფესიული მოდულური პროგრამის „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკის შემკეთებელი“-ს სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას და სხვა გათვალისწინებული საკითხების შესწავლას 2. კომპანიის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში; 3. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ ტექნიკური აღჭურვილობითა და სასწავლო რესურსებით.

2017 წლიდან გაფორმებული ყველა მემორანდუმის ტექსტი სტანდარტულია, ითვალისწინებს ერთი მხრივ, უნივერსიტეტის მიერ კომპანიის, დაწესებულების საქმიანობის პოპულარიზაციას თავად უნივერსიტეტში, პარტნიორის თანამშრომლებისთვის ბიბლიოთეკის საარქივო ფონდით სარგებლობის შესაძლებლობას, თანამონაწილეობას ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებაში, და პარტნიორისთვის სამეცნიერო და მეთოდოლოგიური დახმარების გაწევას. პარტნიორი კომპანია, დაწესებულება კი, თავის მხრივ, ახდენს უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემების პოპულარიზაციას, როგორც თავად

კომპანიაში, ისე მის პარტნიორ ორგანიზაციებში; ასევე, იწვევს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და მეცნიერ-თანამშრომლებს სსაჯარო ლექციების წასაკითხად კომპანიაში/დაწესებულებაში; ასევე, კომპანიის/დაწესებულების პროფილის შესაბამისი ფაკულტეტების სტუდენტებს საწარმოო გამოცდილების მიღება შეუძლიათ კომპანიაში/დაწესებულებაში. ორმხრივი მჭიდრო თანამშრომლობა მიზნად ისახავს კომპანიის პროფილის შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებმა შექმნან კომპანიის/დაწესებულების განვითარებაზე ორიენტირებული ან არსებული ტექნოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები; რამდენიმე მემორანდუმში, ასევე, მოცემულია დათქმა, რომ კომპანია/დაწესებულება მომავალში კომპანიის/დაწესებულების პროფილის შესაბამისი ფაკულტეტების სტუდენტებისთვის შექმნის კომპანიის/დაწესებულების სახელობით სტიპენდიას, რომელიც გაიცემა წარჩინებული სტუდენტებისთვის;

ბსუ-ში ცალკეულ ფაკულტეტებთან დაარსდა საკონსულტაციო მომსახურების კლინიკები. იურიდიულ ფაკულტეტთან ფუნქციონირებს **იურიდიული კლინიკა**[45]. ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დებულების მიხედვით (დებულება, თავი II, მუხლი 3. ფაკულტეტის მართვის ორგანოების და სტრუქტურა) იურიდიული კლინიკა წარმოადგენს სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზანია იურიდიული განათლების მეთოდების დანერგვა, რაც პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის საშუალებას მისცემს სტუდენტებს პრაქტიკოსი იურისტებისა და ფაკულტეტის პერსონალის დახმარებით, ასევე, რეალურ საქმეებში ჩართვისა და იურიდიული მომსახურების გაწევის გზით. კლინიკაში პრაქტიკული სწავლების კურსი შეიძლება გაიარონ ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის ბაკალავრიატის მესამე - მეოთხე კურსის და მაგისტრატურის სტუდენტებმა. იურიდიული კლინიკა საზოგადოების დაუცველ ფენას უსასყიდლოდ სთავაზობს კონსულტაციას: სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეებზე სათანადო დოკუმენტაციის შედგენით და მომსახურებით.

[45] http://blog.bsu.edu.ge/2018/01/blog-post_10.html

ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებობს **ფსიქოლოგიური კლინიკა**[46], რომელიც წარმოადგენს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს (ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულეტეტის დებულება, თავი II, მუხლი 3). ფაკულტეტის ფსიქოლოგიის კლინიკის მიზანია, ფსიქოლოგიური განათლების ალტერნატიული მეთოდების დანერგვა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს პრაქტიკოსი ფსიქოლოგებისა და ფაკულტეტის პერსონალის დახმარებით, რეალურ საქმეებში ჩართვისა და ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის გზით, შეიძინონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები (ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულეტეტის დებულება, თავი II, მუხლი 12). ბსუ-ს ფსიქოლოგები ფსიქო-სოციალურ დახმარებას უწევენ ძალადობის მსხვერპლ ან რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებს, ახალგაზრდებს, მათი ოჯახის წევრებს, შშმ და გსსმ პირებს; კლინიკის ბაზაზე გახსნილია სპეციალურად აღჭურვილი ზრდასრულთა ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიის ოთახები. მოქმედებს საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შექმნილი „ბავშვთა და ახალგაზრდების ადვოკატირების ცენტრი“. ფსიქოლოგიის კლინიკაში მუშაობა მიმდინარეობს შემდეგი პროგრამებით: ABA თერაპია, ადრეული განვითარების ინდივიდუალური და ჯგუფური პროგრამა, მშობელთა გაძლიერების პროგრამა, ენისა და მეტყველების თერაპია. ცენტრს უკვე ჰყავს 20-მდე ბენეფიციარი. კლინიკის მუშაობაში აქტიურად არიან ჩართული ფსიქოლოგიის პროგრამის ბაკალავარიატის და მაგისტრატურის სტუდენტები, რომლებიც კლინიკის კოორდინატორისა და სპეციალისტების ხელმძღვანელობით თანამშრომლობენ ბაღებთან, სკოლებთან. უკვე ჩატარდა ტრენინგები სკოლებში შემდეგ თემებზე: „აირჩიე პროფესია“, „გარდატეხის ასაკის კრიზისი“, „როგორ დავიცვათ თავი ძალადობისგან?“. სტუდენტები კლინიკის ბაზაზე აწარმოებენ კვლევებს და მონაწილეობენ ბენეფიციართა დიაგნოსტირებასა და მოკლევადიანი მიზნების განხორციელებაში.

[46] https://www.facebook.com/pg/BSUBatumi/photos/?tab=album&album_id=1388663337895517

2016 წ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა ,,ბსუ დენტი“[47] გაიხსნა. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების თავი 2, მუხლი 3 განსაზღვრავს სტომატოლოიურ კლინიკას, როგორც ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს, რომლის მიზანია ფაკულტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (პრაქტიკული/კურაციული მეცადინეობების), რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების, დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ცალკეული კურსების/მოდულების კლინიკის ბაზით უზრუნველყოფა (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება, მუხლი 13). კლინიკაში სტომატოლოგიის სპეციალობის დამამთავრებელი კურსისა და რეზიდენტურის სტუდენტები კლინიკურ მეცადინეობებს გადიან. „ბსუ დენტში'' სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის სასწავლო ორთოპედიის, ოდონტოლოგიის, საფანტომო, თერაპიის, რადიოვიზიოგრაფიისა და დეკონტამინაციის კაბინეტებია განთავსებული. კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით: პორტატული სტომატოლოგიური დანადგარებით, ფანტომებით, მულაჟებით, აუდიო-ვიდეო მონიტორებითა და კომპიუტერული ტექნიკით. საუნივერსიტეტო კლინიკაში ''ბსუ დენტი'' კლინიკურ სწავლებასთან ერთად, პაციენტთა მიღება ხორციელდება. სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები პაციენტთა მიღების დროს პროფესორ-მასწავლებლებს ასისტირებას უწევენ, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, მოტივაციის გაზრდასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის მომსახურების შეღავათიანი პაკეტებია შეთავაზებული.

ბსუ-სა და სსიპ ,,საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ შორის 2015 წელს გაფორმებული მემორანდუმისა და 2015 წლის 1 დეკემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, ბსუ-ში დაარსებული

[47] https://www.bsu.edu.ge/main/page/6311/index.html

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის - ფაბლაბის (Fab Lab) ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა **„ფაბლაბი“**[48]. აღნიშნული ლაბორატორია საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტშიც არსებობს და ისინი საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს საგრანტო კონკურსის შედეგად შეიქმნა. უნივერსიტეტის ვებსაიტის მიხედვით, ლაბორატორიის მიზანია იდეების გენერირება და გამოგონებების შექმნა. FAB LAB BSU აღჭურვილია თანამედროვე ციფრული ტექნიკით: 3D პრინტერებით, ლაზერული მჭრელებით და უახლესი დაზგა-დანადგარებით, რაც სტუდენტებსა და ნებისმიერ მსურველს საკუთარი იდეისა და პროექტის განხორციელების და საკუთარი პროდუქციის შექმნის საშუალებას აძლევს. ფაბლაბი არის საინჟინრო მიმართულების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, რომელიც ნებისმიერ ადამიანს აძლევს საშუალებას რეალობად აქციოს საკუთარი ინოვაციური იდეა.

იმავე საიტის მიხედვით, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები საინჟინრო გადაწყვეტილებების მოდელირებით სხვადასხვა სახის კონსტრუქციებსა და შენობა-ნაგებობების მაკეტებს ქმნიან. ამჟამად, მიმდინარეობს FAB LAB BSU-ს საერთაშორისო ქსელში ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს აქ გაჩენილი ინოვაციური იდეებისა და პროექტების საერთაშორისო ასპარეზზე გატანას. ფაბლაბი სთავაზობს შემდეგ სერვისებს: ლაზერით მომსახურება, 3D პრინტერით ბეჭდვა, 3D სკანირება, თერმო წნეხის აპარატურა, CNC ჩარხი და სასერი პლოტერი. Fab Lab Bsu დაეხმარა ახალგაზრდა მეწარმეებს თავისი იდეის განხორციელებასა და პირველი ქართული longboard - ის დამზადებაში. სტარტაპ კომპანია IG Longboards - არის პირველი კომპანია, რომელმაც დაიწყო საქართველოში ლონგბორდის დაფების წარმოება. ფაბლაბი მონაწილეობს ბსუ-ს სასწავლო პროცესში. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები Fab Lab Bsu-ს ლაბორატორიის დახმარებით საინჟინროსა და არქიტექტურის პრაქტიკას გადიან. სტუდენტები საინჟინრო გადაწყვეტილებების მოდელირებით ქმნიან შენობა-ნაგებობის მაკეტებებს, მოძრავ მექანიზმებს და კონსტრუქციებს. სასწავლო პროცესში განხორციელებული პროექტები მომავალ ინჟინრებსა და არქიტექტორებს პროფესიულ დაოსტატებაში ეხმარება. ბსუ-ს

[48] https://bsu.edu.ge/sub-46/page/2-364/index.html

სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად თანამშრომლობენ Fab Lab Bsu-სთან ერთობლივი პროექტების შესაქმნელად. ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა ტექნოლოგიური სიახლით გამორჩეული მოწყობილობების (უსინათლოთა მეგზური, ჰაერის ტენიანობისა და ხარისხი საზომი) კორპუსები ფაბლაბის ლაბორატორიაში დაამზადეს.

3.2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ერთ-ერთ უძველესი სასწავლებელია. აწსუ-ს მისიაში ნათქვამია[49]: „უნივერსიტეტი ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებს, „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები“. უნივერსიტეტი აცნობიერებს რა თავის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, მიზნად ისახავს თავის საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. რის მიღწევასაც იგი უზრუნველყოფს ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებით, ახალი ცოდნის გენერირება-გავრცელებითა და სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში ჩართულობით. (აწსუ, სტრატეგიული გეგმა, გვ. 2). აწსუ-ს სტრატეგიული გეგმის მიხედვით, უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოფდეს ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც რეალურ საჭიროებებზეა მორგებული და უფრო მეტად უნდა იყოს ჩაბმული რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში. (აწსუ, სტრატეგიული გეგმა, გვ.3). დასახული მიზნების მისაღწევად განსაზღვრულია უნივერსიტეტის საზოგადოებაზე ზეგავლენის შემდეგი ტიპები: გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ზეგავლენა, ეკონომიკური ზეგავლენა და

[49] https://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=617&Itemid=847&lang=en

სოციალური პასუხისმგელობა, კულტურული ზეგავლენა, ორგანიზაციული ზეგავლენა.

განაცხადის პუნქტი 3-ის მიხედვით, რომელიც ეხება ეკონომიკურ პროგრამებს/ღონისძიებებს, აწსუ-ს აკადემიური და პროფესიული პროგრამების, ასევე კვლევით საქმიანობის მრავალფეროვნება განაპირობებს უნივრსიტეტის ჩართულობას და მისი კურსდამთავრებულების დასაქმებას ყველა სფეროში. კონკრეტულად,დასაგეგმ აქტივობებს შორისაა:

ა) ადგილობრივი და რეგიონალური მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პროგრამები;

ბ) ბიზნეს ინკუპატორების დაარსება/ხელშეწყობა;

გ) უფასო ბიზნეს კონსულტაციების გაწევა - ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრის დაარსება.

დ) დასაქმების ბაზრის კვლევა და განვითარების ტენდენციების გამოვლენა;

ე) მონაწილეობა რეგიონის და ქალაქის სტრატეგიული განვითარების შემუშვებასა და განხორციელებაში. (აწსუ, სტრატეგიული გეგმა; პუნქტი 3).

საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურეობა, რომლის მიხედვით უნივერსიტეტი წარმოადგენს გამოცდილებისა და პროფესიონალური ცოდნის გაზიარების წამყვან ცენტრს საზოგადოებისათვის, მიმდინარე, დაგეგმილ ღონისძიებებაში გამოტანილია: უფასო იურიდიული კონსულტაციების გაწევა აწსუ-ს იურიდიული კლინიკების მიერ, მედიაციიის და კონფლიქტების გადწყვეტის ცენტრის საქმიანობა და უფასო კონსულტაციები აბიტურიენტებისთვის.

მიმდინარე აქტივობებს შორის აღსანიშნავია:

ა) უნივერსიტეტის თანამშრომელთა ინდივიდუალური პროფესიონალური კონსულტაციები და ინტერვიუები მედია - წარმომადგენლებისთვის.

ბ) სხვადასხვა საექსპერტო მომსახურება, პროფესიული კონსულტაციები, უნივერსიტეტის აკადემიური რესურსებისა და მატერიალური ბაზის გამოყენებით.

აღნიშნულ პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის სრულყოფის ეფექტიანი მექანიზმების ამუშავებასა და სწავლების ახალი, თანამედროვე ფორმების დანერგვას, ბაზრის ახალი სეგმენტების ათვისების აუცილებლობას, როგორებიცაა კორპორატიული მომსახურება, კონსულტირება, მარკეტინგული კვლევები და სხვა.

სტრატეგიულ გეგმაში დიდი ყურადღება ეთმობა თანამშრომლობას ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან, ქალაქისა და რეგიონის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან მათი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართვის, სასწავლო პრაქტიკის ორგანიზების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების, სამეცნიერო-კვლევითი და სხვადასხვა აქტუალური პროექტების განხორციელების მიზნით (აწსუ, სტრატეგიული გეგმა; თავი 6.2).

სტრატეგიული მიმართულება - სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარება პირველ, სამომავლო შედეგად ასახელებს პროგრამების განვთარების შესაძლებლობას ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე და მათ შემდგომ განხორციელებას. ასევე, პროგრამის განვითარების პროცესში შესაძლოა სხვა საგანმანათლებლო, კვლევით, საჯარო და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და/ან საერთაშორისო პარტნიორების მოზიდვაც. (აწსუ, სტრატეგიული გეგმა:10). ამავე სტრატეგიული მიმართულების ერთ-ერთ სამომავლო შედეგს წარმოადგენს რეგიონის განვითარების პოლიტიკისა და პროცესების ხელშემწყობი კვლევების წარმოება, რის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი რეგიონის, ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით ყველა რელევანტურ ორგანიზაციასთან ითანამშრომლებს, მისი უნივერსიტეტის საზოგადოებრივი მისიის განხორციელებას შეუწყობს ხელს; უნივერსიტეტი განსაკუთრებით ეცდება ჰქონდეს პარტნიორობა ადგილობრივ მმართველობის ორგანოებთან და შესთავაზებს კვლევით (მათ შორის გამოყენებითი ან უბრალოდ fact finding) პროექტებს რეგიონის განვითარებისათვის მნიშვნელოვან სფეროებში; ასევე უნივერსიტეტი ეცდება განავითაროს მის ბაზაზე აკადემიური და საზოგადოებრივი დისკუსიების პლატფორმა (აწსუ, სტრატეგიული გეგმა:12).

ყურადსაღებია შემდეგი სტრატეგიული მიმართულება: საუნივერსიტეტო სერვისების განვითარება, რომლის მიხედვით იგეგმება სტუდენტთა კარიერული განვითარების სერვისი დანერგვა, სტუდენტებისათვის სწავლების პერიოდში და სწავლების დასრულების შემდეგ დასაქმების ხელშეწყობა. ასევე, სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე - განათლების (Lifelong Learning) სერვისების დანერგვა, საუნივერსიტეტო საზოგადოების, თემის და რეგიონის მოსახლეობის საჭიროებებზე დაფუძნებული მრავალფეროვანი აკადემიური და პროფესიული განვითარების პროგამების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით.

სტრატეგიაში ხაგასმულია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო პროცესებში ჩართულობის მნიშვნელობა მათი ცოდნის, გამოცდილებისა და მართვის უნარების გადაცემის მიზნით. აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კურსდამთავრებულთა ქსელის[50] და მათთან კომუნიკაციის არხის განვითარება. სერვისები ორიენტირებული უნდა იყოს საგანმანათლებლო და კვლევით პროექტებში კურსდამთავრებულთა ჩართულობის უზრუნველყოფისაკენ. კურსდამთავრებულთა წარმომადგენლები აქტიურად უნდა ჩაერთონ უნივერსიტეტში მოქმედ სხვადასხვა საკონსულტაციო საბჭოებში (მაგალითად, დაგეგმილია უნივერსიტეტის მეგობართა კლუბის შექმნა) (აწსუ,სტრატეგეიული გეგმა:18)

სამეწარმეო სფეროსთან აქტიური თანამშრომლობის მიზნით სტრატეგიის ერთ-ერთ გეგმად სახელდება დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და და ამოქმედება. მისი მთავარი მიზანია უნივერსიტეტის მმართველობით, საგანმანათლებლო და კვლელვით პროცესებში მაღალი (აწსუ,სტრატეგეიული გეგმა:19).

აწსუ-ში შექმნილია უწყვეტი განათლების ცენტრი[51], ფუნქციონირებს 2011 წლის დეკემბრის თვიდან, მისი დებულება[52] დამტკიცდა 2018 წლის 28 თებერვალს. ცენტრი, როგორც საზოგადოების ფართო წრეებს, აგრეთვე რეგიონის ორგანიზაცია-დაწესებულებებს, უწევს დახმარებას კვალიფიციური კადრების მომზადებასა და

[50] https://www.facebook.com/pg/აწსუ-კურსდამთავრებულთა-ქსელი-ATSU-Alumni-Network-661748464036060/posts/
[51] https://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=346&Itemid=594&lang=en
[52] https://atsu.edu.ge/images/pdf/uwyeti-ganatlebis-centris-debuleba.pdf

გადამზადებაში. ასევე, რეგულარულად წარმოებს შეხვედრები დამსაქმებლებთან მათი საჭიროებებისა და შრომის ბაზარზე კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის შესწავლის მიზნით.

ცენტრის მიზნებია:

- ✓ სწავლა-სწავლების უწყვეტობის პრინციპის ხელშეწყობა, ახალ გამოწვევებზე რეაგირება, საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზება;
- ✓ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, დაინტერესებული სამიზნე ჯგუფების კვალიფიკაციის ამაღლება რეგიონის ფარგლებში;
- ✓ ტრენინგ- პაკეტებისა და სასწავლო კურსების, განმავითრებელი საზაფხულო სკოლების შემუშავება-განხორციელება;
- ✓ თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, არასამთავრობო/სამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნეს სექტორთან
- ✓ საუნივერსიტეტო აქტივობებსა და ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა.

2012 წლიდან დღემდე უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ გადამზადდა 3500-მდე მსმენელი. ცენტრი ახორციელებს 94-მდე ტრენინგ-მოდულსა და სასერტიფიკატო კურსს[53]. უწყვეტი განათლების ცენტრს ემსახურებიან უნივერსიტეტის ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილების მქონე კვალიფიციური ტრენერები. ცენტრის აქტიური/მოთხოვნადი ტრენინგ-მოდულებია:

- პრეზენტაციის უნარ-ჩვევები
- ეფექტური კომუნიკაცია
- ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- კომპიუტერული უნარ-ჩვევები

[53] https://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=346&Itemid=594&lang=en

- წარმატებული კარიერის შექმნა
- ინკლუზიური განათლება, რთული ქცევის მართვა
- სწავლების ინტერქტიური მეთოდები
- სასწავლო რესურსების შემუშავება
- თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში
- სკოლამდელი განათლების მზაობის პროგრამა
- სწავლა/სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები
- პრაქტიკული/სამოქმედო კვლევა მასწავლებლებისათვის
- მოზარდთა რეპროდუქციული განვითარება და ჯანმრთელობა
- უცხო ენების შემსწავლელი კურსები
- მოსწავლეთა და სტუდენტთა განმავითარებელი საზაფხულო სკოლა
- გაყიდვების მენეჯმენტი
- ბუღალტრული აღრიცხვა და კომპიუტერული პროგრამა ORIS ბუღალტერია
- ძვირფასი ლითონებისა და ქვების ექსპერტიზა
- ელექტრიკოსი
- შემდუღებელი
- მეჯამბარე

აწსუ-ში მოქმედებს **ფაბლაბი**[54]**,** რომლის მიზანია იდეების გენერირება, გამოგონებებისა და საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნა, რომელიც წაახალისებს საქართველოში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესს. ის აღჭურვილია შემდეგი დანადგარებით: 3D პრინტერებით, ლაზერული მჭრელით, ჩარხით, ვაკუუმის აპარატით და სხვა ტექნიკით. საიტის განაცხადის მიხედვით, ლაბორატორიის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებას. FABLAB-ი საშუალებას მისცემს მოტივირებულ, შედეგზე ორიენტირებულ ადამიანებს იმუშავონ სხვადასხვა თანამედროვე ტექნიკასთან თუ ტექნოლოგიებთან და მოახდინონ საკუთრი იდეების რეალიზება.

[54] https://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=category&layout=blog&id=57&Itemid=844&lang=

აწსუს თანამშრომლობის ხელშეკრულება[55] 48 უნივერსიტეტთან აქვს დადებული. ინფორმაცია, სხვა პარტნიორებთან ურთიერთობის ან თავად მემორანდუმის ტექსტის შესახებ, არ არის საჯაროდ მისაწვდომი. აწსუ-თან მოქმედებს იურიდიული კლინიკა[56], რომელიც, საიტის მიხედვით სწევს უფასო მომსახურეობას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები (დავები თვითმმართველობებთან);
2. საოჯახო-სამემკვიდრეო (განქორწინება; ალიმენტი; მამობის დადგენა; ანდერძი; იურიდიული ფაქ. დადგენა);
3. ვალდებულებითი (სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ურთიერთობები)
4. სანივთო; უძრავი ქონების დარეგისტრირება
5. სამეზობლო დავები და ა.შ.

ძირითადი მიგნებები:

1. ორივე უნივერსიტეტის სტრატეგიაში, პოლიტიკაში, მისიასა და ხედვაში აღნიშნულია უნივერსიტეტი-ბიზნესის (დამსაქმებლის, საზოგადოების, სამეწარმოს სფეროს) თანამშრომლობის მნიშვნელობა, გაწერილია რეალიზაციის ინსტრუმენტები;
2. ორივე უნივერსიტეტში შექმნილია სხვადასხვა ფუნქციონალური სტრუქტურები, მხარდაჭერის სერვისები, რომლებმაც, ძირითადად, უნდა უზრუნველყონ, დამსაქმებელთან თანამშრომლობის რეალიზაცია;
3. პასუხისმგებელი პირები, რომლებიც დაკავებულნი არიან მხოლოდ უნივერსიტეტსა და წარმოებას შორის თანამშრომლობის აქტივობების განხორციელებით და თანამშრომლობის ხელშემწყობი აქტივობებით, არ გამოვლინდა.
4. წარმოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) განახლებასა და მოდერნიზებაში ორივე უნივრსიტეტში შექმნილია კურიკულუმის კომიტეტი;

[55] https://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=85&Itemid=610&lang=en
[56] https://www.juridipedia.com/XX/Unknown/291004387597121/იურიდიული-კლინიკა---Law-Clinic

კვლევითი ნაწილი - უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს ურთიერთობის პრაქტიკის კვლევა

საკვლევი თემიდან გამომდინარე, ყურადღება იყო გამახვილებული საქართველოში რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის აღწერაზე. აღნიშნული თანამშრომლობა, საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, სხვადასხვა დონეზე მოიცავს სამეწარმეო სფეროს ჩართულობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე ავტორიზებული უნივერსიტეტებს, ავტორიზაციის და აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი აქვთ სასწავლო კურიკულუმის განახლების მექანიზები (სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობით), ასევე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული (რომელთა საქმიანობა პირდაპირ თუ ირიბად შეეხება სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობას). კვლევაში შევისწავლეთ როგორია სამეწარმეო სფეროს (დამსაქმებელი, წარმოება, პარტნიორი) ჩართულობა საგანმანთლებლო პროგრამის მოდერნიზებაში, რეალურად. კვლევაში ასევე ყურადღება გავამახვილეთ თანამშრომლობის სხვა კომპონენტების ანალიზზე: ერთობლივი სემინარები, ფორუმები, ერთობლივი კვლევა, კლევების კომერციალიზაცია, ერთობლივი სტატიების გამოცემა და ქართული რეგიონული უნივერსიტეტის მიერ მესამე მისიის შესრულებაზე.

უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის სხვადასხვა კომპონენტის განხორციელება არის ზუსტად ის მექანიზმი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად ეფექტურია სისტემა, რომელიც სამეწარმეო სფეროს განვითარების

საჭიროებების შესაბამისად ტექნოლოგიური მიმართულებებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების განახლებას ასახავს. ამის მისაღწევად, უნივერსიტეტებს კვლევების მეშვეობით და თანამშრომლობის შედეგად წვლილი შეაქვთ რეგიონის განვითარებაში.

საქართველოში უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის შესახებ სხვადასხვა კვლევა არის განხორციელებული (ი. დარჩია, ნ. ანდღულაძე, თ. ბრეგვაძე, ამაშუკელი, ნ. ჯავახიშვილი), თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ მათში ძირითადად აღწერილია თანამშრომლობის ცაკლეული კომპონენტების თავისებურებები. კერძოდ, უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, კვლევის კომერციალიზაციის შესაძლებლობები საქართველოში, უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში და ა.შ. აღნიშნულ საკითხი სხვადასხვა კუთხით არის ასახული განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევეში, საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯებში, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემულ დოკუმენტებში, რეგულაციებსა და სტრატეგიებში. სტრატეგია (სტრატეგია 2017-2021:37) აცხადებს, რომ მიუხედავად უამრავი რეფორმისა, საგანმანათლებლო პროგრამები აცდენილია დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს). გამოწვევას წარმოადგენს პროგრამებისა და კვლევების ისე შემუშვება, რომ კურსდამთავრებული აღჭურვილი იყოს ბაზრისთვის აუცილებელი კომპეტენციებით, ხოლო კვლევა უნდა იყოს რელევანტური ბაზრის და სახელმწიფოს მოთხოვნისა, რომლის განხორციელებით უნივრსიტეტი შეასრულებს თავის მესამე მისიას - ემსახუროს საზოგადოებას და ხელი შეუწყოს რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ჩვენს კვლევაში შევისწავლეთ უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის არსებული თეორია და პრაქტიკა. საკვლევი **თემის აქტუალობა** განპირობებულია უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის არსებული საერთაშორისო პრაქტიკით და აღნიშული თანამშრომლობის სარგებლებით, რაც გამოიხატება კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობით,

ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამებით, კვლევების აქტუალური თემატიკით, კვლევების კომერციალიზაციით და სხვა კომპონენტებით; ასევე, უნივერსიტეტის საქმიანობის მნიშვნელობით რეგიონის განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის უმთავრესი მიზანია საქართველოში უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის შესწავლა. დადგენა, რამდენად ახდენს აღნიშნული თანამშრომლობა გავლენას საგანამანათლებლო პროგრამების ხარისხზე, უნივერსიტეტის და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის იმ ხელისშემშლელი ფაქტორების და პრობლემების განსაზღვრა, მათი მოგვარების გზების დადგენა, რომლებიც გამოიკვეთა ჩვენ მიერ თეორიული კვლევის ჩატარების შედეგად; თანამშრომლობის მსოფლიოში არსებული ფორმების განხილვა და ამ ფორმების შედარება ქართულ რეალობასთან, საქართველოში ჩატარებული კვლევების ანალიზი და მისი დაკავშირება.

კვლევის მიზანია უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის პროცესის შესწავლა.

კვლევის ამოცანებია:

5. სამაგიდე კვლევა (desk research) - საერთაშორისო კვლევების შესწავლა ამ მიმართულებით, მსოფლიოში არსებული უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის მოდელების განხილვა და თეორიული მასალის ანალიზი;
6. კვლევის მეთოდოლოგია - განისაზღვროს საკვლევი ჯგუფი, კვლევის მეთოდები, საგანი, ობიექტი და კვლევის ჰიპოთეზა; შემუშავდეს კვლევის ინსტრუმენტი - ინტერვიუს კითხვარი; მოხდეს ქართულ რეალობასთან მსოფლიოს მოდელების შედარება და საქართველოში განხორციელებული კლევების შედეგების ანალიზი;
7. ემპირული კვლევის განხორციელება;
8. დასკვნების შემუშვება.

კვლევის მეთოდოლოგია:

- **კვლევის საგანი** - უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკა და მისი როლის მნიშვნელობის შესწავლა საქართველოს რეგიონული უნივრსიტეტების ტექნოლოგიური მიმართულების საწავლო პროგრამების, საკვლევი თემატიკის დაგეგმვასა და განვითარებაში.
- **კვლევის ობიექტი:** უნივერსიტეტის და სამეწრმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის პროცესი.
- **კვლევის ჰიპოთეზა:** უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის პროცესი საჭიროებს გაუმჯობესებას (რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიურ ფაკულტეტებზე).
- **კვლევის მეთოდებად** ჩვენს მიერ გამოყენებულია სამაგიდე კვლევა, გავაანალიზეთ თეორიული მასალა; ასევე, ჩატარდა თვისებრივი კვლევა - ჩარღმავებული ინტერვიუ რეგიონული უნივერსიტეტების ადმინისტრაციასა (5 ერთეული), რეგიონული მთავრობის წარმომადგენლებთან (3 ერთეული), ტექნოლოგიური მიმართულების აკადემიურ პირებთან (24 ერთეული), დამსაქმებლებთან (10 ერთეული), კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლებთან (4 ერთეული), ტექნოლოგიური მიმართულების ფაკულტეტების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (10 ერთეული). ასევე, კვლევის ფარგლებში შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები გავაცანით ფოკუს - ჯგუფს, რომელშიც შემადგენლობაში შევიდა უნივერსიტეტისა და სამეწარემო სფეროს წარმომადგენლები. ჯგუფი შედგებოდა 6 ადამიანისგან, საიდანაც 2 იყო უნივერსიტეტის ასოცირებული პირი - ერთი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, 1 საერთაშორისო განათლების ექპერტი; 2- სამეწარმეო სფეროს წარმომადგენელი, და 2 ადამიანი - უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყო.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური პირები, კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლები, სამეწარმეო სფეროს წევრები, რეგიონული მთავრობის წარმომადგენლები და ტექნოლოგიური მიმართულების ფაკულტეტების კურსდამთავრებულები.

შერჩევა - შეირჩა ტექნოლოგიური მიმართულება, ორი რეგიონული უნივერსიტეტი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რომელიც ახორციელებს პროგრამებს ამ მიმართულებით) და ტექნოლოგიური ფაკულტეტების მიერ პარტიონრად დასახელებული წარმომადგენლები სამეწარმეო სფეროდან. კონკრეტული რესპოდენტის შერჩევისთვის გამოვიყენეთ არაალბათური შერჩევის მიზნობრივი სახე. შერჩევითი ერთობლიობის გამოსავლენად დავუკავშირდით ჩვენი კვლევისთვის საინტერესო გენერალური ერთობლიობის წევრებს გამოვავლინეთ ჩვენთვის საინტერესო მახასიათებლების მქონე პიროვნებები და ჯაჭვურად გამოვავლინეთ შემდეგი პირები, და ასე გაგრძელდა, სანამ არ ამოიწურა მოცემული ერთობლიობის ჩვენთვის ხელმისაწვდომი წევრები. მიზნობრივ სახეს უპირატესობა მიენიჭა იმის გათვალისწინებით, რომ კვლევა ორიენტირებული იყო სიღმისეულ ანალიზზე.

კვლევის ინსტრუმენტი - კვლევის ჩატარების მიზნით შევიმუშავეთ კითხვარები, რისთვისაც გამოვიყენეთ ჩვენ მიერ შესწავლილი კვლევები, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშვებული სტრატეგიები, ასევე კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების პროფილი და მათ მიერ განხორციელებული სხვადასხვა კვლევა. დოკუმენტებში ფიქსირებული მდგომარეობის გადამოწმების, ასევე ცალკეული უნივერსიტეტის ადგილობრივი სპეციფიკის გამოვლენის მიზნით, ჩავატარეთ თვისობრივი კვლევა როგორც უნივერსიტეტების ხელმძღვანელ რგოლთან, ასეევ აკადემიურ პერსონალთან. თვისებრივი კვლევისთვის გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების ფორმატი. მონაცემთა დამუშავების დროს ანალიზი დაიწყო ინტერვიუების ჩატარების პარალელურად. ჩატარებული ინტერვიუების შედეგების გაანალიზება დაგვეხმარა შემდეგი ინტერვიუების შეკითხვების დახვეწაში. ძირითადი მიდგომა ტექსტური ინფორმაციის ანალიზში გახლდათ კონტენტ - ანალიზი, რომელიც დაიწყო ტექსტების (ერთეულების) შერჩევით. შემდეგ, განისაზღვრა ანალიზის ერთეულები და ანალიზში გამოსაყენებელი კატეგორიები. რესპოდენტების მონათხრობში გამოვყავით თემატური ბლოკები/კოდები, რომლის

დროსაც გამოიყო საწყისი თეორიული კომპონენტები. კვლევა გვაწვდის ინფორმაციას კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების ტექნოლოგიური მიმართულების ფაკულტეტების სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობის სტატუსზე, აღნიშნული ურთიერთობის როლზე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და საკვლევი თემატიკის შემუშავებაზე, ასევე ინოვაციებსა და პროდუქციის კომერციალიზაციაზე.

საკითხის კვლევა დაიწყო 2013 წლიდან. შეირჩა ტექნოლოგიური მიმართულება ორი რეგიონული უნივერსიტეტი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივესივერისტეტის და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ახორციელებს პროგრამებს ამ მიმართულებით და ასევე, ტექნოლოგიური ფაკულტეტების მიერ პარტნიორად დასახელებული წარმომადგენლები სამეწარმეო სფეროდან. აღნიშნულ ორ უნივერსიტეტზე შევჩერდით შემდეგი კრიტერიუმის გამო: ორივე დაწესებულება სახელმწიფო უნივერსიტეტია, ორივე მდებარეობს რეგიონში და ორივე უნივერსიტეტში ხორციელდება ტექნოლოგიური მიმართულებებით პროგრამები.

უნივერსიტეტების შერჩევის კიდევ ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენდა ასევე საერთაშორისო პროექტებში და რეგიონში მიმდინარე აქტიურ ეკონომიკურ განვითარებაში მონაწილეობა. ტექნოლოგიური მიმართულების შერჩევის საფუძველი გახლდთ მზარდი საინვესტიციო პროექტები რეგიონებში, განსაკუთრებით ბათუმში წყლისა და წყალანირების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საინვეტიციო პროქტები, რომლებიც 2005 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება; მხოლოდ ბათუმში, პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 173 მლნ ევროს, საიდანაც აღნიშნული თანხის დაახლოებით 10% დაიხარჯა საკონსულტაციო მომსახურეობაზე. 2017 წლიდან აჭარის მთავრობა ახორციელებს საინვესტიციო პროგრამას აჭარის მუნიციპალიტეტებში აჭარის წყლის ალიანსის მეშვეობით, რომლის საერთო ოდენობა შეადგენს 60 მლნ ევროს, საიდანაც 50 მლნ ევრო მოხმარდება ფიზიკურ ინვესტიციას, ხოლო 10 მლნ ევრო საკონსულტაციო მომსახურებას. შევისწავლეთ აღნიშნული პროექტი და მასთან ასოცირებული ყველა საჯარო თუ კერძო, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ისეთი

კომპანიები, როგორებიცაა: „MACS“, ldt “EGIS Lamayer”ltd, “Posh and Partner Hydro-engineering”, ltd, შპს. „ბათუმის წყალი“, სს აჭარის წყლის ალიანსი“. აღნიშნული კომპანიების და სრულად პროექტის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ რეგიონული უნივერსიტეტის ჩართულობა რაიმე სახით აღნიშნულ პროექტებში არის მინიმალური (და ურთიერთობის ინიციატორი ყოველთვის კერძო კომპანია იყო) ან საერთოდ ნულის უტოლდება.

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონულ უნივერსიტეტს სტარატეგიული განვითარების გეგმაში ნათლად უწერია რეგიონის განვითარებაში მონაწილეობა, დაინტერესებული პირების ჩართულობით სასწავლო პროგრამების შემუშავება, ბიზნეს-სფეროს საჭიროებებზე მორგებული კვლევების წარმოება, და ა.შ. დავინტერესდით როგორ თანამშრომლობს ეს უკანასკნელი სამეწარმეო სფეროსთან.

ბსუ-ს (კვლევაში მონაწილე რეგიონული უნივერსიტეტი) ტექნოლოგიური ფაკულტეტი ახორციელებს 9 მიმართულებას, აქედან 5 საინჟინროს და 4 - აგრარულს და ასევე, ფიზიკა მათემატიკის და კომიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. ასევე შევარჩიეთ მეორე რეგიონული უნივერსიტეტი - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ტექნოლოგიური მიმართულებით არის ორი ფაკულტეტი - საინჟინრო ტექნოლოგიური, სადაც არის სამი დეპარტამენტი: დიზაინის და ტექნოლოგიის, საკვები პროდუქტების და ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტი, ასევე საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი, სადაც ფუნქციონირებს მშენებლობის და ტრანსპორტის დეპარტამენტი, ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტი და მექანიკა - მანქანათმშენებლობის დეპარტამენტი.

პირველ ეტაპზე, ორივე უნივერსიტეტის ტექნოლოგიური მიმართულებებიდან ინტერვიუსთვის შეირჩა ფაკუტელტეტების დეკანები, და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური პირები - ასისტენტ პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, და მიმართულების კურსდამთავრებულები. ასევე შევარჩიეთ კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების ვებ-გვერდზე განთავსებული,

მემორანდუმით განპირობებული, პარტნიორი სამეწარმეო სფეროს სუბიექტები. მსხვილი (მჭიდრო თანამშრომლობით გამორჩული) პარტნიორების გამოსავლენად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს გამოკითხვის დროს ვთხოვეთ სამი ყველაზე აქტიური პარტნიორის დასახელება, და **შემდგომ ეტაპზე,** დასახელებულ პარტნიორების წამომადგენლებთან ჩავატარეთ ინტერვიუ. პარალელურად, არაალბათური შერჩევის მეთოდით შეირჩა და გამოიკითხა აღნიშნული ფაკულტეტების სტუდენტები და კურსთამთავრებულები.

კვლევის **მესამე ეტაპზე,** წინა ორ ეტაპზე მიღებული შედეგების საფუძველზე ინტერვიუსათვის მივმართეთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. და **ბოლოს**, ჩვენს მიერ მიღებული შედეგების და რეკომენდაციები, მათ თაობაზე საზოგადოებრივი აზრის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფი. მოვახდინეთ ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა და მოდერატორის რეკრუტირება შევარჩიეთ ჩატარების ადგილი. ღონისძიება გაგრძელდა 1.5 სთ. ჩაწერილი მასალა გავაანალიზეთ და მოვამზადეთ ანგარიში.

გამოკითხვის მეთოდი - ჩაღრმავებული, ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ.

გამოკითხვის დროს გათვალისწინებული იყო შემდეგი გარემოებები:

ა) განისაზღვრა გამოკითხვის მიზნები და ამოცანები;

ბ) განისაზღვრა გამოკითხულ პირთა კატეგორია (შეირჩა შესაბამისი აკადემიური პირები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლები);

გ) შეიქმნა კითხვარი და შემოწმდა;

დ) განისაზღვრა ინტერვიუში მონაწილე პირთა შეჩევის მეთოდი და რაოდენობა;

ე) შეირჩა ინტერვიუში მონაწილე პირები და ჩატარდა ინტერვიუები.

ვ) კვლევის ფარგლებში შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები გავაცანით ფოკუს - ჯგუფს, რომელშიც შემადგენლობაში შევიდა უნივერსიტეტისა და სამეწარემო სფეროს წარმომადგენლები.

კვლევის **ვალიდობა** ემყარება მოპოვებული მასალების სანდოობას, მასალების და მიღებული შედეგების დამაჯერებლობას, მონაცემთა შემოწმებადობას და

საიმედოობას. ასევე, მიგვაჩნია, რომ ცალკეული მიმართულებებით, მიდგომების კომბინაციით მიღწეული იყო გადამოწმებისა და შეჯერებულობის მნიშვნელოვანი ხარისხი. კვლევის თეორიული ჩარჩოს შესაქმნელად შევისწავლეთ თემის ირგვლივ არსებული კვლევები თუ თეორიული ლიტერატურა, რის მიხედვითაც მოვახდინეთ არსებული თეორიული და პრაქტიკული ლიტერატურის ანალიზი. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის სისტემის გამოსავლენად შესწავლილი იყო არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ოფიციალური დოკუმენტები, არამედ, უნივერსიტეტების და ცენტრების მიერ შემუშავებული სხვადასხვა დონისა და დანიშნულების დოკუმენტაცია. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატში შემუშავებულ რეგულაციებსა და ნორმებზე, რომლებიც განსაზღვრავდნენ/აზუსტებდნენ უმაღლესი განათლების სისტემაში განსახორციელებელ ცვლილებებს ან მათ შედეგებს.

დოკუმენტებში ფიქსირებული მდგომარეობის გადამოწმების, ასევე ცალკეული უნივერსიტეტის ადგილობრივი სპეციფიკის გამოვლენის მიზნით, ჩავატარეთ თვისობრივი კვლევა როგორც უნივერსიტეტების ხელმძღვანელ რგოლთან, ასეევ აკადემიურ პერსონალთან. თვისებრივი კვლევისთვის გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების ფორმატი. მონაცემთა დამუშავების დროს ანალიზი დაიწყო ინტერვიუების ჩატარების პარალელურად. ჩატარებული ინტერვიუების შედეგების გაანლიზება დაგვეხმარა შემდეგი ინტერვიუების შეკითხვების დახვეწაში. ძირითადი მიდგომა ტექსტური ინფორმაციის ანალიზში გახლდათ კონტენტ - ანალიზი, რომელიც დაიწყო ტექსტების (ერთეულების) შერჩევით. შემდეგ, განისაზღვრა ანალიზის ერთეულები და ანალიზში გამოსაყენებელი კატეგორიები. რესპოდენტების მონათხრობში გამოვყავით თემატური ბლოკები/კოდები, რომლის დროსაც გამოიყო საწყისი თეორიული კომპონენტები.

მესამე თავის ძირითად მიგნებებში არის აღნიშნული, ორი უნივერსიტეტის შესწავლის შემდეგ გამოვლინდა, რომ ორივე უნივერსიტეტს ბიზნესთან თანამშრომლობის რეალიზაციისთვის შექმნილი აქვთ ფუნქციონალური

სტრუქტურული ერთეულები და მხარდაჭერის სერვისები, მაგრამ გამოვლენილი არ არის კონკრეტული პირები, ვინც იქნებიან დაკავებულნი მხოლოდ უნივერსიტეტსა და წარმოებას შორის თანამშრომლობის აქტივობების განხორციელებით და თანამშრომლობის ხელშემწყობი აქტივობებით; ასევე, ორივე უნივერსიტეტის სტრატეგიაში, პოლიტიკაში, მისიასა და ხედვაში აღნიშნულია უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის მნიშვნელობა და რეალიზების გზები და წარმოების ჩართულობა სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) განახლებასა და მოდერნიზებაში უზრუნველყოფს კურიკულუმის კომიტეტი; აღნიშნული ფაქტორები ავიღეთ ინტერვიუს კითხვებად იმის გამოსავლენად, ვინ/რა სქტურუქტურ(ებ)ა ითავსებს თანამშრომლობის აქტივობებს, ასევე როგორ მუშაობს თანამშრომლობის რეალიზების მექანიზმი; ეფექტურია თუ არა კურიკულუმის კომიტეტი სასწავლო პროგრამის შემუშავება/მოდერნიზებაში სამეწარმეო სფეროს ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ასევე, გვაინტერესებს უნივერსიტეტის და წარმოების მიერ განხორციელებული ერთობლივი კვლევები, სამაგისტრო/სადოქტორო კვლევების აქტუალობის გამოვლენის გზები, კონსულტაციის და საექსპერტო მომსახურეობის გაწევის შესაძლებლობები, კვლევების კომერციალიზაციის სტატუსი და ბოლოს ადგილობრივ და რეგიონულ განვითარებაში უნივერსიტეტის ჩართულობა.

მონაცემების გადამოწმების და შეჯერების მიზნით, ინტერვიუები ჩავატარეთ უნივერსიტეტის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და განსაკუთრებით პოტენციურ და არსებულ დამსაქმებლებთან. ინტერვიუების ფორმატში მოპოვებული მასალების შემოწმებადობის და საიმედოობისთვის, უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოყენებული კითხვარის ძირითადი ნაწილი იყო ურთიერთდაკავშირებული ან მსგავსი, ამიტომ ინტერვიუს შედეგებს წარმოგიდგენთ კონსოლიდირებულად.

1. რა ინფორმაციას ფლობთ უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის შესახებ?

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილე პირთა დიდი ნაწილი

სამეწარმეო სფეროში დამსაქმებელს მოიაზრებს და აუცილებელი წესით ახსენებს უნივერსიტეტის მიერ დადებულ **მემორანდუმს** სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლებთან, რომლის ტექსტი ორთავე უნივერსიტეტისთვის არის სტანდარტული. დამსაქმებლის პოტენციალის გარდა, უნივერსიტეტის აკადემიური პირების და ადმინისტრაციის შუა რგოლის უმეტესი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის სხვა პოტენციური ასპექტების შესახებ. განსხვავებას წარმოადგენს კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების ადმინისტრაციის უმაღლესი რგოლი (რექტორები, პრორექტორები) და რამდენიმე აკადემიური პირი, რომელიც ფლობდა ინფორმაციას მემორანდუმის სხვა პუნქტების შესახებ.

მაშასადამე, მემორანდუმი წარმოადგენს უნივერსიტეტის მცდელობას იმუშაოს ბაზარზე მაგრამ საქართველოს შემთხვევაში ეს აუცილებელი პირობა იქცა სავალდებულო პირობად. მემორანდუმის მიზანის პრაქტიკაში წარმოადგენს მოაწესრიგოს დასაქმება და პრაქტიკა. უნივესიტეტი მომხმარებლურად ეკიდება სამეწარმეო სფეროს, რადგან მიიჩნევს მას აკრედიტაციის სტანდარტის შესრულების რესურსად. უნივერსიტეტის ხედვა სამეწარმეო სფეროსთან დაკავშირებით არის ცალსახად მომხმარებლური და დამოკიდებულია ცალსახად საკუთარ გადარჩენაზე.

2. აღწერეთ რა სახის თანამშრომლობა გაქვთ სამეწარმეო სფეროსთან (ოფიციალური, არაოფიციალური ფორმალური, სისტემატური, ასისტემატური, მრგვალი მაგიდა, სტუდენტების პრაქტიკა, სამაგისტრო/სადოქტორო თემაზე ერთობლივი მუშაობა, თუ რომელიმე სხვა)?

კვლევაში მონაწილე ადმინისტრაციის საშუალო რგოლი აცხადებს, რომ სამეწარმეო სფეროსთან შეხვედრას აქვს **რეგულარული, სისტემური ხასიათი,** სადაც იმართება დიალოგი ბიზესის წარმომადგენლებთან. წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეხვედრის ფოტომასალა და ინფორმაცია ვებ-საიტზე. თუმცა, კვლევაში მონაწილე არც ერთ ფაკულტეტზე არ მოიპოვება ჩასატარებელი შეხვედრების განრიგი. კვლევაში მონაწილე აკადემიურ პირთა უმეტესი ნაწილი კი აღნიშნავს, რომ ეს შეხვედრები ფორმალური და არამდგრადია. „შეიძლება ორივე სამყაროს ერთი და იგივე მიზანი გვაქვს, მაგრამ ამ მიზნებისკენ სავალი გზები ვერ გავაერთიანეთ, რის გამოც ამ

ურთიერთობას **ფორმალური** ხასიათი აქვს“[57]. ასევე, აკადემიური პირების მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ სამეწარმეო სფეროსთან ურთიერთობას, უმეტესწილად მხოლოდ სარეკლამო ხასიათი აქვს.

როგორც პირველი შეკითხვიდან გამოვლინდა, კვლევაში მონაწილე ყველა აკადემიური პირი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი ერთხმად აცხადებს, რომ სავალდებულოა სამეწარეო სფეროსთან თანამშრომლობა და დადებული **მემორანდუმი წარმოადგენს** ოფიციალური შეხვედრის საფუძველს. ხელშეკრულების ტექსტი ორივე უნივერსიტეტისთვის არის სტანდარტული. მიუხედავად იმისა, რომ მემორანდუმის სტანდარტული ტექსტი მოიცავს უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს მსოფლიოში აპრობირებული თანამშრომლობის ყველა ასეპექტს, ადმინისტრაცია და აკადემიური პირების ნაწილი აღნიშნავს, რომ საწარმოებთან დადებული თანამშრომლობის მემორანდუმის მთავარ სარგებელს წარმოადგენს **სტუდენტური პრაქტიკა** იმ პროგრამებისთვის, სადაც პრაქტიკული კომპონენტი არის შესასრულებელი. მაგ. ფაკულტეტები ტექნოლოგიური ფაკულტეტის მიმართულებით: სამთო ინჟნერია, მშენებლობა, სასურსათო ტექნოლოგიები. კვლევაში მონაწილე აკადემიური პირების გარკვეული ნაწილი, სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სტუდენტური პრაქტიკის გარდა, მემორანდუმის სხვა ასპექტები ფორმალობაა და მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. „უნივერსიტეტის - სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობა შემოიფარგლება დამსაქმებელთან ურთიერთობით და ისიც, ქაღალდზე მხოლოდ. ქაღალდზე ყველაფერია. მე როცა ხარისხი ვიყავი, დავიარე უბრალოდ ყველა შესაბამისი კომპანია, ვისთანაც ახლოს ვიყავი, ხათრით მოვაწერინე ხელი მემორანდუმზე, მაგის გარეშე აკრედიტაციას ვერ გავივილიდით. ეს დარჩა ფურცელზე“[58]. გამოთქმულ აზრს ადასტურებს აღნიშნული მიმართულებების მიერ მსხვილ და მნიშვნელოვან პარტნიორად დასახელებული კომპანიების წარმომდგენლების გამოკითხვა, სადაც რამდენიმე შემთხვევაში განაცხადეს, რომ მემორანდუმი დაიდო რამდენიმე წლის წინ, ფაქტობრივად ფორმალურად და ხელმოწერის დღიდან არანაირი თანამშრომლობა არ ხორციელდება მათსა და უნივერსიტეტს შორის „საუბარი იყო

[57] გ.რ, ასოც.პროფ. ტექნოლოგიური
[58] გ.შ, ასისტ.პროფ. ტექნოლოგიური

ასევე ტექნიკური მიმართულებით თანამშრომლობაზე - კადრების ერთად მოძიებაზე, მაგრამ დოკუმენტს [მემორანდუმს] არ გასდენია ეს. [59]

უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის კიდევ ერთ გამოკვეთილ ფორმას წარმოადგენს პარტნიორში **კურსდამთავრებულთათვის დასაქმების ადგილების ძიება** და ამ მიზნით კომუნიკაცია. აკადემიურ და ადმინისტრაციულ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა თანამშრომლობის უპირატეს მნიშვნელობად სტუდენტების სამომავლო დასაქმების საშუალებას მიიჩნევს. შესაბამის ფაკულტეტზე არ მოიპოვება სანდო სტატისტიკა, რომლის მიხედვით შეიძლებოდა მსჯელობა იმის თაობაზე, კურსდამთავრებულთან რა ნაწილი არის დასაქმებული პროფესიით.

კვლევაში მონაწილე აკადემურმა პირებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში განხორციელდა რამდენიმე **ტემპუსის საგრანტო პროექტი** და მათ განხორციელების პერიოდში სავალდებულო იყო შესაბამისი მიმართულებით სამეწარმეო გარმოსთან თანამშრომლობა. ერთ-ერთის, iCo-op-ის[60], განხორციელებაში უნივერსიტეტის აკადემიური პირების გარდა, სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართულნი. ამ ორგანიზაციებთან ურთიერთობა პროქტის დასრულების შემდეგ არ გაგრძელებულა. ასევე, ტემპუსის პროექტ Cap4Com-ის[61] მიზანს წარმოადგენდა უმაღლესი განათლების შესაბამისობა საბაზრო ეკონომიკის გამოწვევებთან; საწარმოებთან მდგრადი თანამშრომლობის მექანიზმების დანერგვა; სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების წარმოებაში დანერგვის ხელშეწყობა; სამეცნიერო და პრაქტიკულ კვლევებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა[62]. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ცენტრის შექმნა (რომლის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო, გაშუქდა ტელევიზიით, მაგრამ რეალობაში ეს ცენტრი არ შეიქმნა). კიდევ ერთი Tempus-ის პროექტი არის

[59] გ.შ, კომპანია ორბი

[60] Industrial Cooperation and Creative Engineering Education based on Remote Engineering and Virtual Instrumentation (530278-TEMPUS-1-2012-1-DE-TEMPUS-JPHES

[61] 9 516613-TEMPUS-1-2011-1-BE-TEMPUSJPHES) - Building capacity for university-enterprise partnerships towards competency based training in Armenia, Georgia and Ukraine; - „უნივერსიტეტი - საწარმო" თანამშრომლობის გაძლიერება კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების გზით სომხეთში, საქართველოსა და უკრაინაში.

[62] https://www.bsu.edu.ge/sub-25/page/764/index.html

ENGITEC-ი[63], რომლის მიზანი იყო პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტების შესაძლებლობის გაძლიერება ინჟინერიაში ევროპული სწავლების მეთოდოლოგიის გაზიარებით; სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მოდერნიზაცია ახალი ინტერდისციპლინარული მოდულების შემოტანით; „აკადემიური საზოგადოება - მრეწველობა" დიალოგის ახალი პლატფორმის შექმნა უმაღლესი საინჟინრო განათლებისთვის ტექნოლოგიების გამოწვევების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელი პროექტის შედეგად, პროექტის გუნდმა შექმნა გარემოდაცვითი ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა, დამატებით აქტივობის სახით, რომელიც სამეწარმეო ბაზრის საჭიროების მიხედვით შეიქმნა, მაგრამ, გარკვეულ მიზეზთა გამო, აღნიშნული პროგრამა არ ამოქმედდა.

გამოკითხვამ ასევე გამოავლინა, რომ **კომუნიკაცია და მჭიდრო თანამშრომლობა კურსდამთავრებულთან** წარმოადგენს უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის კიდევ ერთ ფორმას. „სამეწარმეო სფეროსთან პრიმიტიული ფორმა გვაქვს: პრაქტიკულად, ურთიერთობა გვაქვს ჩვენს კურსამთავრებულებთან, რომლებიც არიან დასაქმებულნი და მათი მეშვეობით ურთიერთობა დამსაქმებლებთან"[64]. გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ **კურსდამთავრებული საიმედო და ერთგული პარტნიორია, რომელსაც გული შესტკივა თავის უნივერსიტეტზე და ასევე, შემდგომში, თავად წარმოადგენს დამსაქმებელს.** იმ ფაკულტეტებზე, სადაც ჩატარდა გამოიკითხვა, კურსდამთავრებულებთან კავშირი ორგვარია; ერთი მხრივ, - სოციალური ქსელის თემატური ჯგუფები, რაც ნაკლებად ეფექტურია, მაგრამ მაინც იძლევა რაღაც სახის უკუგებას და მეორე მხრივ, ყველა ფაკულტეტის ხარისხის სამსახური პერიოდულად აწარმოებს კურსდამთავრებულთა ელექტრონულ გამოკითხვას[65], რის შედეგების ანალიზიც საჯაროდ წვდომადია უნივერსიეტის გვერდზე[66]. რამდენიმე აკადემიურ პირს მაგალითად მოჰყავს უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება, სადაც

---

[63] 530244-TEMPUS-1-2012-1-SE-TEMPUS-JPCR) - Modernizing higher engineering education in Georgia, Ukraine and Uzbekistan to meet the technology challenge - „უმაღლესი საინჟინრო განათლების მოდერნიზაცია საქართველოში, უკრაინასა და უზბეკეთში ტექნოლოგიების გამოწვევების შესაბამისად".

[64] ნ.კ. დასოც.პროფ. IT ტექნოლოგიები

[65] https://graduate.bsu.edu.ge

[66] https://employer.bsu.edu.ge/graduate.php

არსებობს სამსახური ან ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია კურსდამთავრებულებთან მუდმივ კონტაქტზე. „წელიწადში ერთხელ ყველა ფაკულტეტი იწვევდა თავის კურსდამთავრებულებს. კავშირი ბიზნეს პროცესთან ამით ჰქონდათ, განხილვები მიმდინარეობდა. ასე უნდა იყოს აქ. ეს უნდა აისახოს შემდეგ სასწავლო გეგმაში. ეს სამსახური არ გვაქ ჩვენ. კარიერული განვითარების სამსახური მხოლოდ სტუდენტებზეა ორიენტირებული, მე კურსდმთავრებულებს ვგულისხმობ. ეს რომ განვითარდეს მაგ მიმართულებით, სასარგებლო იქნება“[67].

თანამშრომლობის კიდევ ერთ, **არაფორმალურ/არაოფიციალურ** მოდელს წარმოადგენს კერძო მომართვა. აკადემიურ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ კერძო სექტორი ხშირად მიმართავს სატელეფონო ზარით, თხოვს ან კადრს, ან რაღაც პროფესიული პრობლემის გადაჭრას. რამდენიმე გამოკითხული აცხადებს, რომ კერძო მომართვა მისთვის მეტად მომგებიანია, როგორც ფინანსურად, ასევე დროის მოგების მიზნით, რადგან არ არის დარეგულირებული ფინანსური ანგარიშგების მექანიზმი უნივერსიტეტის დონეზე. მსგავსი თანამშრომლობის დამადასტურებლად, კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტს მოჰყავს 50 ნაშრომის მოკლე ამონარიდი, რაც დერეფანში კედელზე აქვთ გამოფენილი. აღნიშნული ნაშრომები, მათი განცხადებით, წარმოადგენს იმ ამოცანების გადაჭრას, რაც წამოვიდა კერძო მომართვებიდან.

მაშასადამე,

- დამსაქმებელთან თანამშრომლობა სავალდებულოა, განპირობებულია რა შიდა დოკუმენტაციით, რომელიც ეფუძნება აკრედიტაციის სტანდარტს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობა სავალდებულოა საერთაშორისო განზომილების შედეგად.
- სავალდებულოობა გაგებულია პრაქტიკაში, როგორც მინიმალური სტანდარტის შესრულება, რაც ზემოთ აღნიშნული ორი კომპონენტით გადმოიცემა. საერთაშორის გამზომილება (ტემპუსის პროგრამები) კი ადგენს არა მინიმალურ ზღვარს, არამედ იდეალურ მექანიზემებს.

[67] დ. თ, ასოც.პროფ. IT ტექნოლოგიები

- თანამშრომლობის ფორმა (ფორმატი, სიხშირე, შემადგენლობა) განპირობებულია ძირითადი მოთხოვნებით. ადმინისტრაცია თანამშრომლობის ფორმატს ადგენს აღებული ვალდებულებების ფარგლებში. მთელი ეს პროცესი არ ითვალისწინებს ციკლურობას.
- კურსდამთავრებულს უნივერსიტეტი თვლის თავის რესურსად, მაგრამ არ არსებობს აღნიშნულ რესურსთან მუშაობის მექანიზმი (წახალისების სქემა, მუდმივი კომუნიკაცია). აღნიშნული სისტემა განპირობებულია მხოლოდ ფორმალური ვალდებულებებით.
- კვლევით გამოვლინდა, მეწარმეობა თანამშრომლობის არსებულ მოდელში ეკონომიკურად დაზარალებული მხარე გამოდის. საწარმოს უნივესიტეტთან თანამშრომლობა ძირითადად განპირობებულია არა საწარმოოს ინტერესებით, არამედ სხვადასხვა მხარის: კერძო პირები, სახელმწიფო სტრუქტურები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - პირადი მცდელობებით. კვლევების შედეგებით გამოვლინდა, რომ სამეწარმეო სფეროს ინტერესი უნივერსიტეის მიმართ (იაფი მუშაო ხელი, სამომავლო კადრი, პატენტი, ინოვაცია, კვლევა, ექსპერტიზა, და. ა.შ.) არსებობს, მაგრამ არ არსებობს რეალიზების შესაბამისი მექანიზმები და სტრატეგია.
- კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე ეფექტურ, თუმცა არაფორმალიზებულ მექანიზმს წარმოადგენს პირად კავშირებზე/ინტერესებზე დამყარებული ურთიერთობები.
- კვლევით დადგინდა თანამშრომლობის სხვა მოდელების განხორციელების ერთეული მცდელობები, რომლებიც წარუმატებლად დასრულდა თანამშრომლობის გამართული მექანიზმის არ არსებობის გამო.
- კვლევაში მონაწილე ფაკულტეტებზე ერთობლივი პროექტი, სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომი ან სტატია არ მოიპოვება.

3. აღწერეთ, როგორ აგზავნით სტუდენტს პრაქტიკაზე, რა სირთულეებს აწყდებით პრაქტიკის ორგანიზების პროცესში?

რადგან გამოკითხვის შედეგად ყველაზე მეტად დასახელებულ თანამშრომლობის მოდელს წარმოადგენს ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში არსებული სტუდენტური პრაქტიკა, გადავწყვიტეთ ეს საკითხი უფრო ღრმად შეგვესწავლა.

ბსუ-ში/აწსუ-ში საბაკალავრო პროგრამა შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებიდან. პრაქტიკული კომპონენტი განისაზღვრება სხვადასხვა კრედიტის ოდენობით (5-10კრედიტი). ძირითადად პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება დამამთავრებელ კურსზე, მეორე სემესტრში. პარტნიორის შერჩევის დროს გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამის სპეციფიკა, მაგ. მეტყევის პროგრამისთვის შერჩეულია სატყეო დეპარტამენტი, სასურსათოს პროგრამისთვის გადამამუშვებელი საწარმოები ენერგეტიკოსი - შესაბამისი ენერგო კომპანია. სტუდენტი პრაქტიკაზე იგზავნება ტრადიციულად. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის შესრულების მიზნით, მე-8 სემესტრში. ყოველ პროგრამას სჭირდება შესაბამისი პროფილის პრაქტიკა. აკადემიური პერსონალი თვლის, რომ პრაქტიკაზე სტუდენტები იღებენ იღებენ იმ უნარ-ჩვევებს და კომპეტენციებს, რაც მათ აკლიათ.

რამდენიმე ფაკულტეტზე სტუდენტური პრაქტიკის მიზნით ჩამოყალიბებულ ურთიერთობას პროგრამული კავშირებს უწოდებენ, რაც სტუდენტური პრაქტიკის ან სტაჟირების წინაპირობაა. მემორანდუმის საფუძველზე, პარტნიორთან სტუდენტის პრაქტიკაზე გასაგზავნად იწერება ოფიციალური წერილი დეპარტამენტიდან, რომელშიც სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის გავლის ვადებია გაწერილი. საჭიროა დამადასტურებელი წერილის მიღება პარტნიორიდან. რამდენიმე გამოკითხული აღნიშნავს, რომ წერილთან ერთად, მათ უხდებათ დამატებით რამდენჯერმე დარეკვა. იყო შემთხვევევბი, არსებული მემორანდუმის მიუხედავად, პრაქტიკის ორგანიზება არ მოხერხდა. რამდენიმე აკადემიური პირი ღიად აღნიშნავს, რომ სტუდენტური პრაქტიკა, რომლის ორგანიზებას დიდი ძალიანსხმევა სჭირდება, ხშირ შემთხვევაში არაორგანიზებულია. აკადემიური პირების ნაწილი აღნიშნავს, რომ პრაქტიკა არაორგანიზებულია, ან მისი ორგანიზება გართულებულია, მიუხედავად არსებული მემორანდუმებისა. ერთ-ერთ ფაკულტეტზე თვლიან, რომ

ყველაზე საიმედოდ მაინც პრაქტიკაზე სტუდენტი იგზავნება იმ პარტნიორთან, სადაც ყოფილი კურსდამთავრებულები მუშაობენ და ფაქტობრივად, მათთან არიან მიმაგრებულნი.

ზოგიერთ ფაკულტეტზე ბაკალავრიატში პრაქტიკა არ არის ჩასმული. ამის მრავალი მიზეზი არსებობს. პირველი ის, რომ პროგრამის შემუშავების დროს არ იყო პრაქტიკის აუცილებლობაზე მოთხოვნა. მეორე, პრაქტიკის არ არსებობას ფაკულტეტის ადმინისტრაცია ხსნის ამჟამად არსებული 40 სტუდენტის პრაქტიკაზე განაწილების და მონიტორინგის სირთულით. ასევე, წარმოება, პარტნიორი და ბაზა არ არსებობს ან რთულია ბიზნეს კომპანიებთან ურთიერთობა. ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ მომდევნო აკრედიტაციისთვის მოუხდებათ ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრა და პრაქტიკის კომპონენტის გათვალისწინება. თუმცა, იმავე ფაკულტეტის აკადემიური პირების შეფასებით, კურსი ისეა აგებული, რომ პრაქტიკის ბაზა ელექტონული ბაზებით და საინფორმაციო ცენტრით არის შექმნილი და სტუდენტები ფაქტობრივად ადგილზე აკეთებენ ყველაფერს.

აკადემიური პირების ერთი ნაწილი კი პრაქტიკას დროის გაფლანგვად მიიჩნევს და თვლის, რომ დაწესებულებებში ნაკლებია გამჭვირვალეობა, არავინ ასწავლის სტუდენტებს მუშობის სპეციფიკას. არსებობს შემთხვევები, როდესაც სტუდენტები, რომლებიც დამოუკიდებლად პოულობენ მეტად ღირებულ პრაქტიკას და ამჯობინებენ მას ფაკულტეტის მიერ შეთავაზებულ პრაქტიკას.[68] კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც აკადემიური პირების ნაწილის შეფასებით, პრაქტიკას არა აქვს ღირებულება, გახლავთ ის, რომ პრაქტიკის დანერგვის საშუალება არ არსებობს. „სტუდენტს ნასწავლის პრაქტიკულად განხორციელების ნაცვლად უწევს მხოლოდ დღეში 4 საათი ე.წ. ექსკურსია, რომლის განმავლობაში ხედავს პროცესს და არ მონაწილეობს მასში[69]“.

რამდენიმე კომპანიამ, რომელიც ფაკულტეტებმა პრაქტიკის მჭიდრო პარტნიორად დაასახელა, საერთოდ უარყო მსგავსი ურთიერთობის არსებობა უნივერსიტეტთან[70]. მათი მხრიდან სურვილის არ არსებობა ახსნეს სხვადასხვა

[68] ლ. გ, ასისტ.პროფესორი
[69] თ.გ. ასისტ.პროფესორი
[70] გ.ე. სამშენებლო კომპანია

მიზეზით. უპირველესად მაინც სახელდება სტუდენტი - როგორც ზედმეტი პრობლემა, განსაკუთრებით სამშენებლო მოედანზე, სადაც ელემენტარული წესების დაუცველობას შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყვეს. ასევე, სტუდენტის სამუშაო მოედანზე ყოფნა უკავშირდება დამატებით პერსონალის (სამუშაოთა მწარმოებელი მუდამ ადგილზე იყოს) და აღჭურვილობის (თითქმის არასდროს აქვთ უსაფრთხოების ჩაფხუტი და ჟილეტი) ხარჯებს.

პარტნიორი ნაკლებად არის მონდომებული და დაინტერესებული პრაქტიკაზე სტუდენტის მიღებით. სტუდენტური პრაქტიკის კონტექსტში პარტნიორის ნაკლები ინტერესის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება აუნაზღაურებული პრაქტიკა. რამდენიმე აკადემიური, ადმინისტრაციული პირის და პროგრამის ხელმძღვანელის აზრით, პრაქტიკა უნდა იყოს ანაზღაურებული სასწავლო დაწესებულების მიერ. პრაქტიკაზე სტუდენტის შესაყვანად, საჭიროა ლექტორი განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდეს. სხვა შემთხვევაში, საჭიროა პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობის ნაწილის ანაზღაურება მაინც დაერიცხოს მიმღებს, სხვაგვარად დაინტერესების ხარისხი არ გაიზრდება. სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლები მიესალმებიან ანაზღურებლ პრაქტიკას, თუმცა რამდენიმე მათგანი თვლის, მათი უპირატესი ინტერესი არის არა ანაზღაურება, არამედ დამსაქმებლის მოტივაცია, კვალიფიციური კადრის პოვნის შესაძლებლობა პრაქტიკის შეთავაზებით. კიდევ ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ადმინისტრაციის ზერელე დამოკიდებულება სტუდენტების აღჭურვილობისადმი“. 30 კაცი უნდა წასულიყო {ზმნის ფორმა შეცვლილია] პრაქტიკაზე - კასკა და ჟილეტი მოვითხოვე, წერილობით. არა თუ შეისყიდეს, არამედ, წერილიც ვერ ვიპოვე, დღეს რო ბავშვი წაიყვანო პრაქტიკაზე - უნდა სთხოვო სტუდენტს - იყიდოს კასკა და ჟილეტი“[71].

ამავდროულად, პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაციები [უმეტესწილად საჯარო] აღნიშნავენ, რომ პრაქტიკის პროგრამაში გაწერილი საკითხები თითქმის შეუსაბამობაში მოდის იმ საკითხებთან, რაზეც ისინი მუშაობენ. ისინი ეჭვქვეშ აყენებენს სტუდენტისთვის მსგავსი პრაქტიკის სარგებელს.[72] თავად კვლევაში მონაწილე სტუდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ პრაქტიკის პროგრამის და რეალურ

[71] გ.ჩ. ასსისტ.პროფესორი
[72] ე.ბ.ასოც.პროფესორი, ფინანსთა სამინისტრო

გარემოში არსებული საჭიროებების აცდენას. მაგ, საქართველოში ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბუმის მიუხედავად, სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტები აცხადებენ, რომ მსგავს ობიექტზე პრაქტიკა არა აქვთ. ამავდროულად, კვლევაში მონაწილე სტუდენტთა და კურსდამთავარებულთა აბსოლუტური უმრავლესობა მკაფიოდ აღნიშნავს პრაქტიკის მნიშნელობას და საჭიროდ თვლიან პრაქტიკის სულ მცირე 6-თვიანი გახანგრძლივებას. უმრავლესობამ ასევე აღნიშნა, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში ისინი თანხმდებიან მუშაობს სტუდენტობის პერიოდში, რაც ერთი მხრივ, ვნებს სასწავლო პროცესს, მაგრამ მეორე მხრივ, მათ ეძლევათ საშუალება პრაქტიკული უნარების და ცოდნის შეძენის. თითქმის ყველა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით მათი დასაქმება შეუძლებელი იყო დამატებითი ტრენინგებისა და პრაქტიკის გარეშე.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ასევე თვლის, რომ პრაქტიკა ფორმალურ ხასიათს ატარებს და ფიქრობს, ჩაანაცვლოს შედეგებზე ორიენტირებული სტაჟირებით. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, პრაქტიკა არის სასწავლო პროგრამის კომპონენტი, რომლის განხორციელების ინიციატორსაც უნივრსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი წარმოადგენს, ხოლო სტაჟირებას, რომელიც უმეტესწილად ფინანსურად ანაზღაურებადია, აცხადებს პარტნიორი. ამ შემთხვევაში სასურველ პირთა რაოდენობა პარტნიორის მიერ არის განსაზღვრული და ხშირად ტარდება შესარჩევი კონკურსი. სტაჟირების ინიციატორი ამჟამად არის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელიც სტაჟიორთა შესარჩევად აცხადებს კონკურსს. ერთ-ერთ ფაკულტეტზე, 84 მონაწილე სტუდენტისგან კონკურსში გაიმარჯვა მხოლოდ 26-მა. უნივესიტეტის პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებები აცხადებენ, მისასალმებელი იქნება თუ სტუდენტის სტაჟირების ანაზრაურებას ან უნივერსიტეტი ან სახელმწიფო დაფარავს. სახელმწიფოს წარმომადგენლებმა (ეკონომიკის სამინისტრო) საუბრის დროს განაცხადეს, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სამეწარმეო სფეროს მოტივაცია უნივერსიტეტის სასარგებლოდ. სამინისტრო მზადაა, გაზარდოს პრაქტიკის ე.წ. კვოტა და დააფინანსოს სტუდენტური სტაჟირება ან პრაქტიკა, რომელსაც ბიზნესი წაიყვანს პრაქტიკაზე. უნივერსიტეტის ნაცვლად, სახელმწიფო გადაიხდის **მათი**

პრაქტიკის ფასს. აღნიშნული მოსაზრება წარმოადგენს განხილვის და დამუშავების საგანს.

მაშასადამე,

- იმ ფაკულტეტებზე, სადაც სტუდენტური პრაქტიკა არის სასწავლო პროგრამით სავალდებულო, ის წარმოადგენს უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის მთავარ პრიორიტეტს.
- კვლევით დადგინდა, რომ სტუდენტსაც კი, რომელიც ჯერ კიდევ განათლების მიღების პროცესშია, შეუძლია პრაქტიკის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემის იდენტიფიცირება. ის ხედავს, რომ მისი ცოდნა არის არასაკმარისი და არასათანადო. კურსდამთავრებული ასევე ხედავს რომ მისი ცოდნა და პრაქტიკა გამოუსადეგარია.
- ის რომ პრაქტიკის შესრულება არის არაღირებული და უშედეგო, ხედავს მასში უშუალო მონაწილე. მხოლოდ ფაკულტეტის ხელმძღვანელობა ხედავს ამ პროცესს ფორმალურ ჩარჩოებში, მიიჩნევს ამ პროცესს საკმარისად, ვერ ხედავს მისი გაუმჯობესების საჭიროებას.
- უნივერსიტეტთან სტუდენტური პრაქტიკის კუთხით თანამშრომლობა სამეწარმეო სფეროსთვის კომერციული თვალსაზრისით არ არის საინტერესო (არარენტაბელურია დროის და ფინანსების თვალსაზრისით). უნივერსიტეტისთვის - არის ფორმალური.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს უნივერსიტეტის საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფაზე ფორმალური მოთხოვნების მიმართ, არსებული და პოტენციური დამფინანსებლების მიზნების შესატყვისად. ის ზრუნავს სტრატეგიულ განვითარებაზე. ფაკულტეტის ადმინისტრაცია კი ზრუნავს სასწავლო პროცესის გამართულობის უზრუნველყოფაზე. ფუნქციათა განაწილების არსებული სისტემის პირობებში ფაკულტეტის ადმინსიტრაციას ევალება უზრუნველყოს სასწავლო პროცესის შესრულება პრაქტიკული კომპიონენტის ჩათვლით, ხოლო უნივერსიტეიტის ადმინიტრაციას - საქმიანობის შესაბამისობა ფორმალური მოთხოვნების და მიმართ, და დამფინანებლის ინტერესების გათვალისწინებით. ამ

პირობებში ფაკულტეტის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია არსებულ ხარვეზებზე კონცენტრირება. ადმინისტრაცია პრაქტიკის პრობლემას ხედავს გამოკითხვის შედეგებით.

4. ურთიერთობისას რომელი მხარე იჩენს ინიციატივას? არის თუ არა უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი პირი ფაკულტეტის/უნივერსიტეტის დონეზე?

კვლევაში მონაწილე აკადემიურ და ადმინისტრაციულ პირთა აბოლუტური უმეტესობა აცხადებს, რომ თანამშრომლობის ინიციატივას უნივერსიტეტის/შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენელი იჩენს. ამასთან, არც ერთ გამოკითხულ ფაკულტეტზე არ არსებობს უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობაზე ოფიციალურად პასუხისმგებელი პირი. ცალკეულ შემთხვევებში აღნიშნული ფუნქცია შეთავსებული აქვს დეკანის მოადგილეს ან რომელიმე ასისტენტ პროფესორს.

მაშასადამე, უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ინიციატივას ძირითადად იჩენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტის დონეზე არ არსებობს აღნიშნულ თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი პირი.

5. რა წინადადებებით მიგიმართავთ სამეწარმეო სფეროსთვის, რა წინადადებით მოუმართავთ მათ თქვენთვის?

როგორც კვლევის შედეგებით უკვე დადგინდა, სტუდენტის პრაქტიკაზე მიღება და და სამეწარმეო სფეროში დასაქმების ადგილების ძიება არის ორი უმთავრესი შემოთავაზება უნივერსიტეტისაგან.

ორივე უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აკადემიურმა პირებმა განაცხადეს, რომ ჰქონდათ მცდელობა სხვა წინადადებებით მიემართათ ბიზნესისთვის მათ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდა ყველა სამშენებლო კომპანია. ინიციატივის მიზანი იყო ბიზნესის და სწავლების დაახლოება ერთმანეთთან კონკრეტული საკითხების გადაჭრის შეთავაზებით. აკადემიური

პირების თქმით, ისინი სთავაზობდნენ ახალ ტექნოლოგიებს, ტექნოლოგიური ხაზების განვითარებას; ასევე ერთობლივი გრანტებს და, წილობრივი მონაწილეობის გარდა, პატენტის წილს და მზა პროდუქციას წარმოებაში ჩასაშვებად. მსგავსი ტიპის შეხვედრები რამდენჯერმე გაიმართა ორივე უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტების მიერ. აღნიშული შეხვედრები უშედეგოდ დასრულდა. აწსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის აკადემიური პირები ასევე ცდილობდნენ მზა პროდუქციით წარმოების დაინტერესებას, მაგრამ აქაც უშედეგოდ.

ერთ-ერთმა დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ხშირად აქვთ შეხვედრა პარტნიორ-დამსაქმებელთან (ვერ ვუწოდებთ სამეწარმეო სფეროს, რადგან სახელმწიფო ორგანიზაციაზე არის საუბარი). აღნიშნული შეხვედრები იმართება პარტნიორის ინიციატივით და ძირითადად, ეხება სტაჟირებას და ტრენინგებს პარტნიორის მხრიდან.

მაშასადამე, უნივერსიტეტი და სამეწარმეო სფერო მიმართავს ერთმანეთს სტუდენტის პრაქტიკის, სტაჟრების ან დასაქმების წინადადებით. ცალკეულ შემთხვევაში, უნივერსიტეტებისთვის მიუმართავს სამეწარმეო სფეროს კონკრეტული წინადადებებით, რაც უშედეგოდ/ნაწილობრივ შედეგით დასრულდა. ასევე, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ინსტიტუციონალურ კონსულტანტმა, ერთეული შემთხვევის სახით, მიმართა ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტს ერთობლივ სამაგისტრო თემასთან დაკავშირებით. არც აღნიშნული ფაქტი დასრულდა შედეგით.

6. **გაქვთ თუ არა კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა და რა მიზნით შექმენით?**

კურსდამთავრებულთა მონაცემეთა ბაზა მოიპოვება კველევაში მონაწილე ყველა ფაკულტეტზე; ბაზას ძირითადად მართავს ფაკულტეტის ხარისხის სამსახური და მისი ძირითადი დანიშნულებაა, ელექტრონულად კურსდამთავრებულთა გამოკითხვის წარმოება.

კურსდამთავრებულთა ბაზა არსებობს, უმთავრესად ელექტრონული გამოკითხვისთვის.

7. რამდენად დაახლოებულია თქვენი მიმართულების სასწავლო პროგრამები პრაქტიკასთან?

ტექნოლოგიური მიმართულების კვლევის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ აკადემიურ პირთა, ასევე ადმინისტრაციის და სამეწარმეო სფეროს წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა აცხადებს, **რომ თეორია და პრაქტიკა აცდენილია ერთმანეთთან.** აკადემიური პირთა ნაწილის აზრით, საუნივერსიტეტო სივრცეში **დასაშვებია ასწავლო ისეთი თეორია, რომელიც კურსდამთავრებულმა შესაძლოა საერთოდ ვერ გამოიყენოს პრაქტიკაში**, მაგრამ ეს გამართლებულია, რადგან ეს უნივერსიტეტია და არ ხედავს შეცვლის საჭიროებას.

კვლევაში მონაწილეთა ნაწილი თვლის, რომ **თეორიია მოიცავს თემატიკას,** რომელიც მოწყვეტილია **რეალობას და ხშირად არა ადაპტირებადია პრაქტიკასთან.** ამავდროულად, მისაღებია შესაბამისი პროგრამების დახვეწა თეორიის პრაქტიკიდან დაბალანსების მეშვეობით, რისი წყაროც რეგიონის განმსაზღვრელი თემატიკა და სამეწარმეო სფეროს შეხედულებებია. „ჩვენთან არის თითიდან გამოწოვილი თემები, პრაქტიკასთან ხშირად არა ადაპტირებადი. „ძირითადი პრობლემა პროგრამების მაინც არის ნაკლები ურთიერთობა პრაქტიკასთან“[73]. თეორიის პრაქტიკასთან აცდენის მაგალითად სამეწარმეო სფერო ასახელებს კურსდამთავრებულების უნარებს, რომლებიც არარელევანტურია რეალურ სფეროსთან. თეორიის პრაქტიკასთან აცდენის მაგალითს წარმოადგენს სასწავლო პროგრამების ხარვეზები პრაქტიკული კუთხით. აკადემიური პირების ნაწილი აცხადებს, რომ ზოგადი უნარ-ჩვევების სწავლება არის უმთავრესი პრიორიტეტი და არა იმ უნარებში დახვეწა, რომლისთვისაც კურსდამთავრებულს ხშირად სჭირდება დამატებით სასერტიფიკატო კურსები. მეორე ნაწილი კი თვლის, რომ **საუნივერსიტეტო სივრცეში პროგრამის სწორად აგების და ხშირი განახლების შემთხვევაში შესაძლებელია სასერტიფიკატო კურსების შინაარსი საუნივერსიტეტო სივრცეში მოექცეს.** ასევე სასწავლო პროგრამის პრაქტიკული ნაწილის თვალსაჩინო ხარვეზია ბაკალავრიატის სტუდენტების პროფესიულ პროგრამებზე დაბრუნების (ჩაბარების

[73] ბ.ბ. ასოც.პროფესორი

მაგალითები), რაც მიუთითებს სასერტიფიკატო და პროფესიული პროგრამების უპირატესობაზე აკადემიურ პროგრამებთან მიმართებაში.

კვლევით დადგინდა, რომ აკადემიურ პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი ხედავს **თეორიის პრაქტიკასთან დაახლოების საჭიროებას ზოგადი მიმართულების შენარჩუნებით, მაგრამ იმის სწავლებით, რაზეც არის მოთხოვნა სფეროდან.** მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული აკადემური პირების, ადმინისტრაციის და სამეწარმეო სფეროს დიდი უმრავლესობა აღიარებს პრაქტიკის დიდ როლს თეორიასთან ერთად და ხაზგასმით აღნიშნავს მათი დაბალანსების მნიშვნელობას. მაგ. ბსუ-ს ადმინისტრაციამ, ბსუ-სთან არსებული კვლევითი ინსტიტუტების პრაქტიკოსი მკვლევარები ჩართო სასწავლო პროცესში და ზრდის მათი დატვირთვის რაოდენობას ყოველწლიურად.

რამდენიმე აკადემიური პირი კი პირიქით, თვლის რომ **თეორია და პრაქტიკა მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული; მათი აზრით თეორიის შემქმნელებს არაფერი საერთო უნდა ჰქონდეთ პრაქტიკის განმახორციელებლებთან.** დაახლოების ერთ-ერთი წინააღმდეგობად აღინიშნა ის ფაქტი, რომ ფუნდამენტური განათლების მქონე აკადემიურ პირებს პრაქტიკაში არსებულ აპარატურასთან მხოლოდ სტუდენტის გავლით აქვს შეხება, ხოლო გამოყენებითი ცოდნის მქონე კურსდამთავრებულებს არა აქვთ საკმარისი აკადემიური დონე.

მაშასადამე, აღმოჩნდა, რომ საუნივერსიტეტო სწავლებაში თეორია და პრაქტიკა აცდენილია ერთმანეთთან. თეორიია მოიცავს თემატიკას, რომელიც მოწყვეტილია რეალობას და ხშირად არა ადაპტირებადია პრაქტიკასთან. ძირითადი პრობლემა პროგრამების მაინც არის ნაკლები ურთიერთობა პრაქტიკასთან. თეორიის პრაქტიკასთან აცდენის მაგალითს წარმოადგენს სასწავლო პროგრამების ხარვეზები პრაქტიკული კუთხით. საუნივერსიტეტო სივრცეში პროგრამის სწორად აგების და ხშირი განახლების შემთხვევაში შესაძლებელია სასერტიფიკატო კურსების შინაარსი საუნივერსიტეტო სივრცეში მოექცეს. გამოკითხულთან უმეტესი ნაწილი აღნიშნავს თეორიის პრაქტიკასთან დაახლოების საჭიროებას ზოგადი მიმართულების შენარჩუნებით, მაგრამ იმის სწავლებით, რაზეც არის მოთხოვნა სფეროდან.

რამდენიმე აკადემიური პირის აზრით, დასაშვებია ასწავლო ისეთი თეორია, რომელიც კურსდამთავრებულმა შესაძლოა საერთოდ ვერ გამოიყენოს პრაქტიკაში. რამდენიმემ კი აღნიშნა, რომ თეორია და პრაქტიკა მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული; მათი აზრით თეორიის შემქმნელებს არაფერი საერთო უნდა ჰქონდეთ პრაქტიკის განმახორციელებლებთან.

8. **როგორ აახლებთ კურიკულუმს, ითვალისწინებთ თუ არა სამეწარმეო სფეროს შეხედულებებს/მოსაზრებებს სასწავლო კურსის შედგენის/მოდერნიზაციის დროს?**

კვლევაში მონაწილე აკადემიური პირების ნაწილი **აუცილებლობად** მიიჩნევს სასწავლო პროგრამის განახლებას **სამეწარმეო სფეროს განვითარებისა და საჭიროებების შესაბამისად**. მათი შეფასებით, პროგრამა უნდა იყოს აბიტურიენტისთვის საორიენტაციო უნივერსიტეტის შერჩევის დროს და ამის გამო, იძულებულნი ხდებიან [ციტირება ზმნის] სიახლე ძირითად კურსად თუ არა, არჩევითად მაინც ჩასვან პროგრამაში. ინტერვიუს მეშვეობით დადგინდა, ტექნოლოგიური მიმართულების ფაკულტეტებმა მოახდინეს თეორიულ კურსებში მართვის ისეთი თანამედროვე ავტომატიზირებული სისტემების [პრაქტიკული სასწავლო კურსების, კომპიუტერული პროგრამების] ინტეგრირება, როგორიცაა: ავტოკადი, არჩიკადი, ლირა და სხვა. „ძველ ტელევიზორებს ჰქონდათ ელემენტი - ელექტრონული მილაკი, ეს ძველი თეორიაა, უნდა გავამახვილოთ ყურადღება, მაგრამ არა იმდენად. რადგანაც, თანამედროვე არის - თხევად კრისტალური. მილაკმა და პლაზმურმა დაიხია უკან და გამოვიდა ახალი ტექნოლოგიები. თუ დაჯდები და მილაკების კვლევას გააგრძელებ, დარჩები მილაკში”[74]. ეს განახლება ეფუძნებოდა ფაკულტეტის ხარისხის მიერ ჩატარებულ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ელექტრონული გამოკითხვის შედეგებს.

აკადემიურ პირთა კიდევ ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ სილაბუსს აახლებს **ხარისხის მხოლოდ სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად**. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ ფორმატის ხშირი შეცვლის გამო. ამავდროულად, ახდენენ ლიტერატურის ხანდახან განახლებას და პრაქტიკული ამოცანების დამატებას. ერთ-

[74] გ. ს. ასოც. პროფ. დეკანი

ერთი ფაკულტეტის აკადემიური პირები, რომლებიც მუშაობენ ახალ პროგრამაზე, აცხადებენ, რომ **არსებობს სტანდარტი,** რომლის მიხედვით მოცემულია რა საგნები უნდა ისწავლებოდეს. გაწერილია კომპეტენციები და თვლიან, რომ **არ არის საჭირო სამეწარმეო სფეროს აზრის გათვალისწინება პროგრამის შემუშავების დროს.** ხოლო, ერთ-ერთ ფაკულტეტზე, კვლევის პერიოდში მიმდინარეობდა ახალი პროგრამის შემუშავება, **საგნების ჩამონათვალი უბრალოდ აიღეს იმ მოდულებისგან, რაც არ შევიდა წინა პროგრამაში.**

კვლევაში მონაწილე აკადემიური პირების ნაწილი ფიქრობს, რომ რეალობაში ორგანიზებულ შეხვედრებს არა აქვს სისტემატური და მდგრადი ხასიათი იმდენად, რომ მოხდეს სამეწარმეო სფეროსთვის საინტერესო საკითხების განხილვა და ასახვა პროგრამებში. ნაწილი არ თვლის სამეწარმეო სფეროს იმდენად კვალიფიციურად, რომ მათი რეკომენდაცია ღირებული იყოს. ნაწილი კი მიიჩნევს, მსგავს შეხვედრებზე წამოჭრილი საკითხების განზოგადოებით შესაძლებელია საინტერესო კომპონენტი შეემატოს პროგრამას და აღნიშნავს, რომ „ეს პროცესები - ამოცანის გადაჭრის გზები პროგრამაშიც აისახება, პირველ ეტაპზე - საბაკალავრო, სამაგისტრო თემის სახით, შემდგომ ეტაპზე - სასწავლო კურსებში, მაგრამ სჭირდება დრო. ეს არის წმინდა გამოყენებითი ნაწილი, რომლის ინტეგრაცია ხორციელდება ჩვენს პროგრამებში” [75].

სამეწარმეო სფერო თავის მხრივ, თვლის, რომ მათთვის საჭირო შედეგებზე ვერ გადიან კურსდამთავრებულები და უწევთ არა მხოლოდ სამთვიანი კურსების გავლა, არამედ ფუნდამეტალური ცოდნის გაღრმავება. კურსდამთავრებული ამ ცოდნას სასერტიფიკატო ან საკვალიფიკაციო კურსებში ეძებს, რის საფასურს ან კომპანია ფარავს, ან დასაქმებული. უმეტესწილად, დასაქმებული. ამავდოულად, სამეწარმეო სფერო ფიქრობს, რომ ისინი ვერ მოახდენენ გავლენას პროგრამის განახლებაზე იმ შეხვედრების სიხშირიდან გამომდინარე, რაც არსებობს, ამის საშუალება არ არის. მეორე მხრივ, უფრო ხშირი და ინტენსიური შეხვედრები მოითხოვს მეტი დროის რესურსს, რისი საშუალებაც მათ არა აქვთ. ასევე, სხვადასხვა პარტნიორად დასახელებული კომპანიის უმაღლესი აღმასრულებელი პირები ადასტურებენ, რომ ქართული კომპანიები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კადრების

[75] ნ. დ, ასოც.პროფ. ხარისხი

შერჩევის საკითხს. ასევე ნაკლებად არიან მაღალტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებზე ორიენტირებული.

აკადემიური პერსონალი აცხადებს, რომ იმდენად ხშირად უწევს სილაბუსის ფორმის ცვლილება, მას ფაქტიურად არც დრო და არს სურვილი არა აქვს სხვა რამის კეთების. ადმინისტრაცია დანაშაულად თვლის მოძველებული ლიტერატურის და მეთოდიკის არსებობას სილაბუსში „1974 წელს გამოცემული ლიტერატურა რომ აქვს მითითებული, და მსგავი განახლებულის სახელმძღვანელო 2015 რო გამოვიდა, ძველი რატო გაქვს? და პასუხი ასეთია - გეთქვათ და განვაახლებდი!"[76] ადმინისტრაცია თვლის, რომ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს აკადემიური პირებისთვის დირექტივების მიცემის საჭიროება არა მხოლოდ სილაბუსთან მიმართებაში, ასევე მათი პასუხისმგებლობის და დამოკიდებულების დაბალი ხარისხი. ამავდროულად, აკადემიური პირები აცხადებენ, რომ უნივერსიტეტი შეფასების ფარგლებში არ ახდენს პროფესორის აკადემიური ზრდის შეფასებას და არ არსებობს აკადემიური ზრდის მექანიზმი. მხოლოდ - ადმინისტრაციული ზომები. შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად რჩება სტატიების რაოდენობა.

ადმინისტრაცია სილაბუსის განახლების მოთხოვნის გარდა, სასწავლო პროგრამების განახლებისთვის კვლევის ინტეგრირებას მიმართავს. სასწავლო პროცესში ჩართული სამეცნიერო პოტენციალის რაოდენობა ყოველ წელს იზრდება. მეცნიერ-თანამშრომელთა ნაწილი თვლის, რომ მსგავსი ინტეგრაციით ვერ მოხდება სასწავლო პროგრამების განახლება, რადგან სილაბუსსა და პროგრამაზე ზემოქმედების საშუალება არა აქვთ. ადმინისტრაციის და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები ასევე აცხადებენ, რომ აკადემიური პირების დაინტერესება სამეწარმეო სფეროსთან ურთიერთობით საკმაოდ რთულია, რადგან აკადემიური პირები რთულად ეგუებიან ცვლილებებს, და მათ აუცილებლად სჭირდებათ ტრენინგი ამ ურთიერთობის ღირებულებების კარგად გასაგებად.

მაშასადამე,

[76] მ.მ. ადმინისტრაცია

- უნივერსიტეტის თეორიული კურსები წარმოადგენს პროფესორიების მიერ დადგენილი (სილაბუსებში) ცოდნის ერთობლიობას რომლის გადაცემას სტუდენტებისთვის ისინი მიიჩნევენ აუცილებლობად. საქართველოში მოქმედი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი პროგრამული აკრედიტაციის დროს ახორციელებს აღნიშნული სილაბუსების (პროგრამების) რელევანტურობის შეფასებას აკრედიტაციის სტასტანდარტებთან. **აღნიშნულის მიუხედავად, როგორ კვლევით დგინდება, კურსების დიდი ნაწილთან მიმართებაში არ არის სათანადო მიმართება თეორიასა და პრაქტიკას შორის.** უნივერსიტეტი ცდილობს არსებული სილაბუსების ცვლილებას ხარისხის სტანდარტის შესაბამისად, მაგრამ პრობლემა მდგომარეობს შემდეგში - **აღნიშნულ პროცედურებს ხშირად ატარებს და მეორე მხრივ, პრობლემის მიზეზთან დაკავშირებით არა აქვს ეფექტური პოლიტიკა.** კერძოდ, პროფესორთან დაკავშირებით, ძირითადი ინსტრუმეტი არის კონსკურსი, და აკადემიური პირი თითქმის არ იყენებს კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა შესაძლებლობებს საკუთარი პროგრამის გასაუმჯობესებლად, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული საშუალებები უნივერსიტეტში საკმაოდ მოიპოვება/ ან იყენებს, მაგრამ აღნიშნულის შედეგეი ნაკლებად აისახება სასწავლი კურიკულუმზე.
- აღმოჩნდა, რომ არ არსებობს სამეწარმეო სფეროს პროგრამის შემუშვება/მოდერნიზაციაში ჩართვის ეფექტური მექანიზმი; აკადემიური პირების ნაწილი თვლის, საკუთარი პრაქტიკის განათლებაში გამოყენებით ახდენს თეორიის და პრაქტიკის დაახლოებას და პროგრამის მოდერნიზებას ამ გზით. აკადემიურ პირთა ნაწილი კი თვლის, რომ თავად ხედავს ბაზრის მოთხოვნებს და თეორიული და პრაქტიკული ნაწილი არის მათი მუშაობის შედეგი. ხოლო ის ნაწილი, რომელიც არც მიმართულების განმსაზღვრელია და არც საკუთარი პრაქტიკა აქვს, ნათლად ხედავს სამეწარმეო სფეროს ჩართულობის აუცილებლობას თეორიის და პრაქტიკის დაახლოებაში/პროგრამების მოდერნიზაციაში.

- უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის საჭიროება არ არის დამოკიდებული ორგანიზაციულ, ფუნქციონალურ თუ ფორმალურ ფაქტორებზე. თანაბარ პირობებში წარმოიშვება აზრთა სხვადასხვაობა (იმის გათვალისწინებით, რომ ნაწილი არის პასუხისგებელი სტუდენტურ პრაქტიკაზე, ნაწილი - საგანტო პროექტების ავტორი, ნაწილი მუშაობს მხოლოდ დაკვეთბზე, ხოლო ნაწილს აინტერესებს კარიერული სვლა). სავარუდოდ, განსაზღვრელი არის პიროვნული ფაქტორი.
- ბსუ-ს ადმინისტრაცია თვლის, რომ სილაბუსის განახლების მოთხოვნის გარდა, კვლევით ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომელთა ჩართულობის რაოდენობის ზრდით სასაწავლო ნაწილში ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობას და პროგრამების განახლებას. ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული ცვლილების პროცესი ფოკუსირებული უნდა ყოფილიყო სასწავლო პროგრამების განახლებაზე, რამდენადაც პრაქტიკული უნარ-ჩვევების კომპონენტის და მნიშვნელობის დატვირთვის ზრდაზე, რადგან კვლევით ინსტიტუტების თანამშრომლების საქმიანობა მთლიანად უკავშირდება პრაქტიკას. არასწორია აზრი იმის შესახებ, რომ კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებს გავლენა არა აქვთ პროგრამაზე, რადგან დეკლარირების დონეზე მაინც, აკადემიური თანამდებობის დაკავების დროს, თანაბარ პირობებში იმყოფებიან (მსგავსი პრეცენდენტი არ გვაქვს). აქედან გამომდინარე, კვლევით ინსტიტუტების ჩართულობა გულისხმობს ა) აკადემიური კომპონენტის გაუმჯობესებას, ბ) პრაქტიკული კომპონენტეის გაუმჯობესებას, გ) კონკურენციის პირობების ხელშეწყობას, დ) შიდა და გარე მობილობის ხელშეწყობას. რეალობაში კი - კვლევით მიმართულებები ძირითადად მოწვეული მასწავლებლების (თეორია, პრაპქტიკა) სტატუსით არიან წარმოდგენილნი, რაც გამორიცხავს სილაბუსზე მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას. ასევე, არასათანადოდაა გამოყენებული მათი პრაქტიკული უნარ-ჩვეები და ცოდნა.

9. **რა მექანიზმით ხდება სამეწარმეო სფეროს ჩართვა სასწავლო კურსის შედგენაში/მოდერნიზაციაში?**

კვლევაში მონაწილე აკადემიური პირების ნაწილი თვლის, სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობის გარეშე **დამოუკიდებლად ახდენს ბაზრის საჭიროებების ასახვას და გათვალისწინებას პროგრამაში**. აკადემიური პირების ნაწილი კრიტიკულად უდგება დამსაქმებლის როლს პროგრამის განვითარებაში და თვლიან, რომ ბაზარზე პირველად მოთხოვნას ისინი სთავაზობენ და აწვდიან ბაზარს „მე თითონ ვარ დამპროექტებელი და კონსტრუქტორი და კარგად ვხედავ რა სჭირდება ბაზარს. თეორიული და პრაქტიკული ნაწილი არის ჩვენი მუშობის შედეგი“[77].

ერთი მხრივ, აკადემიური პირები აკადემიურ საქმიანობას უთავსებენ კერძო პრაქტიკას; ანუ **საკუთარ პრაქტიკას იყენებენ განათლებაში.** ისინი თვლიან, რომ აღნიშნული გზით თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს უახლოვდება, რადგან კერძო პრაქტიკის მქონე აკადემიური პირები, რიგ შემთხვევში პროგრამის ხელმძღვანელები არიან და ამ გზით უკეთ ახდენენ პროგრამების განახლებას. სხვა კოლეგების და ადმინისტრაციის აზრით, ასეთ პირობებში არსებობს პროგრამის მოდერნიზაციის შესახებ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების დიდი ალბათობა.

კვლევაში მონაწილე აკადემიური საზოგადოება აღნიშნავს, რომ სამეწარმეო სფეროს განვითარებისა და ინტერესის დაბალი დონე აქვს, და **მექანიზმი**, რომელიც ამ ურთიერთობას გამართავდა, **ფაქტობრივად არ არსებობს.** რაც არსებობს ქაოტური შეხვედრების სახით, იმართება დაუგეგმავად და ძირითადად ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებიან და არ იძლევა დეტალური განხილვის, ფუნდამენტალური ცვლილების საშუალებას.

ამავდროულად, აკადემიურ პირთა ნაწილი თვლის, რომ ურთიერთობის საწყისმა ეტაპმა, რომელიც პარტნიორი სამეწარმეო სფეროს ელექტონული გამოკითხვით შემოიფარგლა, გამოვლინა მრავალი საკითხის ისეთი მხარეები, რომელთა შესახებ მათ [აკადემიურ სამყაროს] სხვა ხედვა ჰქონდათ. რამდენიმე მათგანი აცხადებს, რომ რელობაში, მოძველებული და ბაზრის მოთხოვნის შეუსაბამო პროგრამით ნასწავლი

[77] გ.გ. ასოც.პროფესორი, დეკანი

კურსდამთავრებული განწირულია დაუსაქმების ან დიპლომისთვის შეუსაბამო პოზიციაზე დასაქმებისთვის.

მაშასადამე, აღმოჩნდა, რომ არ არსებობს სამეწარმეო სფეროს პროგრამის შემუშვება/მოდერნიზაციაში ჩართვის გამართული მექანიზმი; არსებული შეხვედრები ზედაპირულია. აკადემიური პირების ნაწილი, საკუთარი პრაქტიკის განათლებაში გამოყენებით ახდენს თეორიის და პრაქტიკის დაახლოებას და პროგრამის მოდერნიზებას ამ გზით. აკადემიურ პირთა ნაწილი კი თვლის, რომ თავად ხედავს ბაზრის მოთხოვნებს და თეორიული და პრაქტიკული ნაწილი არის მათ მუშობის შედეგი და არ სჭირდებათ ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, შესაბამისად, მექანიზმიც.

10. **გაქვთ რომელიმე პარტნიორთან ერთობლივი პროქტი, ერთობლივი სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომი ან სამეცნიერო სტატია?**

კვლევაში მონაწილე ფაკულტეტებზე ერთობლივი პროექტი, სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომი ან სტატია არ მოიპოვება.

11. **როგორ ხდება საკვლევი თემების განსაზღვრა (სადოქტორო, სამაგისტრო)?**

კვლევით გამოვლინდა, რომ საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო **კვლევის თემები უმეტესწილად დგება აკადემიური პირის კვლევის სფეროსა და გამოცდილების გათვალისწინებით.** აკადემიური პირები აღნიშნავენ, რომ აქტუალური და პერსპექტიული კვლევები შერჩეული უნდა იყოს რეგიონის და/ან ქვეყნის მოთხოვნების გათვალისწინებით, მაგრამ აღნიშნული მოთხოვნების დადგენის მექანიზმი ინტერვიუს დროს არ იკვეთება.

კვლევაში მონაწილე აკადემიური პირების მცირე ნაწილი ღიად აცხადებს, რომ კვლევების უმეტესობა კვლევისთვის ხორციელდება და **ეჭვქვეშ აყენებს შერჩეული სამაგისტრო ან სადოქტორო თემის აქტულობას (პრაქტიკულ ღირებულებას).** მათი

შეფასებით, შესაძლებელია განხორციელებული კვლევების გამოყენება და შესამუშავებელია რეალურად საჭირო კვლევის თემატიკის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მექანიზმი. „ის, რომ შენ შეურჩიე მაგისტრს თემა ან სტატია, ვის ჭირდება? ამაზე უნდა დავფიქრდეთ[78]. ადმინისტრაციის წარმომადგენლების აზრით, სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს ნოვაციის შემცველი და კვლევაზე დაფუძნებული. „ის რომ სამაგისტრო ნაშრომები ირჩევა პროფესორის მიერ მისი სამეცნიერო სფეროდან და არანაირი კავშირი არა ქვს პრაქტიკასთან, ეხება უნივერსიტეტის ძირითად ნაწილს მაინც. სამაგისტრო ნაშრომების ძირითადი ნაწილი არ არის ორიეტირებული კვლევაზე“[79].

გარდა ამისა, ერთი უნივერსიტეტის რამდენიმე აკადემიური პირი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ზოგ ფაკულტეტზე დანერგილია ნეგატიური პრაქტიკა: არსებობს ე.წ. **მუდმივი/უცვლელი თემები** - თემების უცვლელი სია, რომელიც მეორდება წლიდან წლამდე და არ ხდება თემის ცვლა, სურვილის შემთხვევაშიც კი. „ეს სია - რომელიც მეორდება ყოველწლიურად, რომც მოგინდეს შეცვლა თემის, უბრალოდ ვერ შეცვლი”[80]. აღნიშნულს ასევე იმეორებს კვლევაში მონაწილე იმავე ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტი, რომელთაც ჰქონდათ საკვლევი თემატიკის ინტერესთა თანხვედრა აკადემიურ პირებთან, მაგრამ ფაკულტეტის ადმინისტრაციის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, ნაშრომის თემატიკა არსებული სიიდან შეირჩა. რამდენიმე აკადემიურმა პირმა აღნიშნა, რომ მეცნიერთა უმეტესობა რუსთაველის ფონდის ან უცხოურ გრანტზეა ორიენტირებული, რომლის საკვლევი პრობლემატიკა კი ყალიბდება ფონდის მიერ უკვე განსაზღვული ზოგადი თემატიკის შესაბამისად და მხოლოდ დამუშვების შემდეგ იწყება იმის ძიება, ვის დასჭირდება მათი კვლევის შედეგები. არსებობს შემთხვევები, რომდესაც მიუხედავად როგორც ისინი ამბობენ, ბრწყინვალე ტექნიკური გადაწყვეტილებებისა, კონკრეტული მომხმარებელი არავინაა და ამიტომ მათი კვლევის თემატიკა უფრო მომავალზეა ორიენტირებული.

[78] ე. კ, ასოც.პროფესორი
[79] მ.გ. ადმინისტრაცია
[80] თ.ვ. ასისტ.პროფესორი

კვლევაში მონაწილე ტექნოლოგიური მიმართულების აკადემიური პირების ნაწილი აცხადებს, რომ ე.წ. **პროგრამული კავშირი**[81] ძალიან მნიშვნელოვანია სამაგისტრო და სადოქტორო თემების შერჩევის დროს. აგროეკოლოგიის და სატყეო დეპარტამენტის მიმართულების საკვლევ ბაზას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ შექმნილი სხვადასხვა ორგანიზაცია, მათ შორის მაგ. აგროსერვის ცენტრი[82], სადაც ინტროდუცირებული მრავალი სახეობის კულტურა წარმოადგენს საკვლევ მასალას აკადემიური პირებისთვის. აქედანვე შეირჩევა სამაგისტრო და საბაკალავრო თემები. მნიშვნელოვან საკვლევ ბაზად მიიჩნევა ასევე ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი, რომელთან თანამშრომლობა იძლევა საკვლევ მასალას და ხდება ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საკვლევი თემატიკა.

კვლევის დროს როგორც გამოიკვეთა, რომ ზოგ ფაკულტეტზე/დეპარტამენტში სამეწარმეო სფერო ახდენს გავლენას კვლევის თემების შერჩევაში. **იმ აკადემიური პირების ნაწილს, რომლებიც უნივერსიტეტის გარდა, ასევე მუშაობს სხვა კომპანიაში, ან თავად წარმოადგენს სამეწარმეო სფეროს, მოაქვს საკვლევი თემა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში,** რაც რამდენიმე შემთხვევაში გამხდარა სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი. მაგალითისთვის მოგვყავს პარტნიორი სკოლის წინადადება, რომლის მიხედვით ბსუ-ს პროგრამირების სპეციალისტებთან უნდა შექმნილიყო ისეთი ტესტირების სისტემა, რომელიც გამოცდიდა არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნას, არამედ სხვა უნარებს. ეს კვლევა მოგვიანებით გახდა სამაგისტრო ნაშრომის თემა. მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი როგორც აღნიშნავს, მართალია არ იყო ნოვაცია, მაგრამ მაგისტრანტის კრეატიული მიდგომის შედეგად შეიქმნა პროგრამა, რომელმაც მოთხოვნილი სხვადასხვა ტიპის ტესტი დაწერა. ასევე, აღიწერა რამდენიმე მაგალითი, როდესაც პირადი კავშირებით, აკადემიური პირები აკავშირებენ მაგისტრანტს და სამეწარმეო სფეროს წარმომადგენელს ერთმანეთთან. მაგისტრანტი მუშობს სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლის პრობლემაზე, რომლის გადაჭრის გზების დამუშავების შედეგად მუშავდება სამაგისტრო ნაშრომი.

[81]კავშირი, ფაკულტეტსა და ფაკულტეტის სპეციფიკის შესაბამის დაწესებულებასთან, რომელიც გამოიყენება სტუდენტური პრაპქტიკის მიზნით.
[82] http://agrosc.ge

აღნიშნულ ფაკულტეტზე მსგავსი ნაშრომები რეკლამირების მიზნით, გამოფენილია დერეფანში, პროექტის მოკლე აღწერის ბანერებზე.

კვლევაში მონაწილე სხვა ფაკულტეტის აკადემიური პირები ასევე თვლიან, რომ სამეწარმეო სფერო მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევის თემატიკისთვის. სამეწარმეო სფეროს, მათივე განცხადებით, **უნივერსიტეტები აღიქვამენ მხოლოდ დამსაქმებლად, მაგრამ ფიქრობენ, რომ ამ თანამშრომლობამ პრაქტიკის გარდა, კიდევ სხვა მრავალი პროდუქტი უნდა მოუტანოს:** „სამეწარმეო სფერო ჩვენი პარტნიორია. ამ თანამშრომლობამ, მე ვფიქრობ, სხვადასხვა პროდუქტი უნდა მოგვცეს, მათ შორის, საკვლევიც. ამ ურთიერთობით მეცნიერებს კვლევის საგანი ეძლევა”[83]. მათი აზრით, პროდუქცია, რომელსაც უნივერსიტეტი უშვებს, მისი სამეცნიერო საქმიანობა, მხოლოდ მოიგებს სიახლით და ნოვაციით, თუ ის მოწყვეტილი არ იქნება სამეწარმეო სფეროს, არამედ მჭიდროდ იქნება მასთან დაკავშირებული, ამით ბიზნესიც მოიგებს და უნივერსიტეტიც“[84].

მაშასადამე, როგორც ფუნდამენტალური, ასევე გამოყენებით კვლევების სპეციფიკა განისაზღვრება უნივესიტეტების მიერ. ამ მიზეზით საკვლევი პრომლებას განსაზღვრავს კონკრეტული პროფესორები, რომლის შეფასება ხორციელდება საფაკულტეტო- სადისერტაციო საბჭოების მიერ. კვლევით თემატიკის აქტუალობა მთლიანად არის დამოკიდებული პროფესორის პირად ინტერესსზე/შეხედულებაზე, რის გამოც ის შეიძლება აცდენილი იყოს ბაზრის მოთხოვნებთან. საქართველოში საკვლევი თემატიკის განსაზღვრის ორი ძირითადი გზა არსებობს: ა) პროფესორი ან პროფესორთა საბჭო, ბ) რუსთაველის ფონდი. სამეცნიერო კვლევების შეფასების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს რაოდენობრივი მაჩვენებელი, რასაც დაემატა მაღალ რეიტინგულ გამოცემებში გამოქვეყნების მაჩვნებელი და ციტირების ინდექსი. შეფასების არსებული მოდელები და სქემა მიმართულია საკონკურსო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, მათ შორის სამაგისტრო/სამაგისტრო რაოდენობის მხრივ. არსებული მოდელი პროფესორს არ უტოვებს საკუთარი სამეცნიერო მიმართულებით მუშაობის შესაძლებლობას.

[83] ბ.შ. ასოც.პროფესორი
[84] მ.ზ. ასოც.პროფესორი

12. თქვენ მიერ განხორციელებული კვლევების თემატიკა რელევანტურია სამეწარმეო სფეროს /რეგიონის საჭიროებებთან?

კვლევაში მონაწილე ტექნოლოგიური მიმართულების კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კვლევის თემატიკას ინსტიტუტი განსაზღვრავს აქტუალობიდან გამომდინარე, რაც არა მხოლოდ წმინდა პროფესიული, არამედ პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძველზე ხდება. „პათოგენი - მცენარე ხომ ყველას გვჭირდება - ქვეყნის სასურსათო უსაფრთხობა ქვეყნის ბიო და სასურსათო უსაფრთოების დაცვა არის მცენარეების შესწავლა, რადგან პათოგენური დამოუკიდებლად გადაადგილდება საზღვრებზე".[85] კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომლები მკვეთრად მიჯნავენ ერთმანეთისგან კვლევის პრაქტიკულ და თეორიულ მნიშვნელობას. პრაქტიკული ღირებულებების გარდა, როგორიცაა მაგ. მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტირება საკარანტინო სამსახურისთვის, მისი რეგისტირებება და ა.შ.სხვადასხვა კვლევებით მოპოვებული შედეგები წარმოადგენს მასალას შემდეგი კვლევებისთვის.

ასევე, ისინი აღნიშნავენ, რომ ფაქტობრივად მათი საქმიანობა იგნორირდება სახელმწიფოს მხრიდან, რის შედეგადაც ზარალდება ყველა მხარე: სახელმწიფო იღებს დამატებით ხარჯებს, რადგან არც სტრუქტურაა რაციონალურად აწყობილი, და არც საქმეზე ორიენტირებული ორგანიზაციული მოწყობაა. „სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს ცენტრალური ლაბორატორია თბილისში, რამდენიმე - აჭარაში, სააგენტო ცალკე ყავს. რატო ამდენი?"[86]. ასევე ცალკე საკითხად გამოიყო კოორდინაციის და კომუნიკაციის არარსებობის პრობლემა, არა მხოლოდ სამინისტროს და კვლევით დაწესებულებებს, არამე თავად სამინისტროს სტრუქტურებს შორის. „ვესაუბრები ხელმძღვანელს, გავა ერთ წელი და გვერდით ოთახში რომ სპეციალისტია, რომელმაც ეს უკვე უნდა იცოდეს, თავიდან ვუყვები ყველფერს. არავითარი კოორდინაცია და კომუნიკაცია. ახლაც კი დიდიხანს ჩვენს

[85] მ. ს, უფრო მეცნიერ-თანამშრომელი
[86] გ.ზ. უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ქვეყანაში არ იცოდნენ, რომ ჩვენი ინსტიტუტი არსებობდა[87]“. კვლევით დადგინდა, რომ კვლევის თემატიკის შერჩევასა და მის მაღალ დონზე თანამედროვე ტექნოლოგიებით განხორციელებაში, მნიშვნელობა ენიჭება უცხოური პარტნიორების ინტერესს საკვლევი თემატიკის მიმართ. იქ სადაც არსებობს უცხოელი პარტნიორის ინტერესი, კვლევის ხარისხი მაღალია და ასევე, არსებობს შემდგომი განვითარების შესაძლებლობა.

კვლევაში მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენლები სკეპტიკურად ეკიდებიან კვლევითი ინსტიტუტების მიერ წარმოებულ კვლევებს. მათი შეფასებით, ნაკლები ყურადღება ეთმობა სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ წარმოებული კვლევების პრაქტიკულ გამოყენებას. ერთეული მაგალითის სახით, ვარაუდის საფუძველზე, უნივერსიტეტითან არსებული კვლევითი ინსტიტუტი თუ შეძლებდა კვლევის კომპონენტის შესრულებას, სამინისტროს მიუმართავს კონკრეტული შეთავაზებით, ასეთი იყო სივრცითი დაგეგმარების კვლევის პროექტი, სადაც ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევითმა ინსტიტუტმა შეასრულა თავისი ნაწილი სივრცითი დაგეგმარების კვლევის პროექტში[88]. თითქმის ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს კვლევები სჭირდება სხვა მიმართულებით (განსაკუთრებით, ტექნოლოგიური მიმართულებით), ის მიმართავს სართაშორისო საკონსულატიო კომპანიებს. ზემოთ მოყვანილია ამონარიდი ბათუმის მუნიციპალიტეტის და აჭარის მთავრობის მიერ განხორციელებული საინვესიტიო ზომების ჩამონათვალიდან. სამინისტროს წარმომადგენლები ეჭვქვეშ აყენებენ უნივერსიტეტის ტექნიკური მიმართულებების მიერ მსგავსი კვლევების განხორციელების შესაძლებლობას. სახელმწიფოს, რომელიც ამ უკანასკნელის უმსხვილესი პარტნიორია, წარმომადგენლების მიხედვით, მის მიერ ჩატარებულ თითქმის არც ერთ კვლევას არა აქვს პრაქტიკული ღირებულება, რადგან არავინ იყენებს.

აკადემიური პირები, თავის მხრივ, სამეცნიერო კვლევების არარელევანტურობის მიზეზად სახელმწიფოს ასახელებენ, რამეთუ მათ ნაკლები ან საერთოდ არა აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რა ტიპის კვლევებს საჭიროებს სახელმწიფო. თავის მხრივ, სახელმწიფოს წარმომადგენლები (კვლევაში მონაწილე

[87] მ. ს, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
[88] http://grass.org.ge/wp-content/uploads/2017/10/programebi-danarthi-1.pdf

რამდენიმე მინისტრი/ყოფილი მინისტრი) აღიარებენ, რომ არსებობს ბევრი საკითხი, რომელიც არ რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. ამიტომ მეცნიერთა ეს მოსაზრება შესაძლოა იყოს მართალი სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა საკითხში ღრმად ჩაუხედაობის გამო გამოწვეული. მინისტრის განცხადებით, სახელმწიფო - უნივერსიტეტის -სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა იქნებოდა საინტერესო და სასურველი. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რეგიონის განვითარება უმეტესწილად ინვესტორის სურვილს არის მორგებული, გრძელვადიანი ძირითადი პრიორიტეტები/მიმართულებები არ არის განსაზღვრული. მაგრამ მაინც აღნიშნავენ, რომ პრიორიტეტების გარეშეც კვლევას არაფერი უდგას წინ და თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგ USAID დებს კვლევის შედეგებს, იგივე უნდა შეეძლოთ უნივერსიტეტის მეცნიერებს, რომელთაც უპირატესად, სახელმწიფო მოხელეების აზრით, სჭირდებათ რეპუტაციის აღდგენა. სახელმწიფო მოხელეების შეფასებების მიხედვით, სახელმწიფოს სურს მეცნიერება დაეხმაროს მას რეგიონის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვაში.

მაშასადამე,

- ტექნოლოგიური მიმართულების კვლევითი ინსტიტუტების ყოველდღიურ საქმიანობას განსაზღვრავს ანგარიშვალდებულება დამფინანსებლის წინაშე (უნივერსიტეტი და ფინანსთა სამინისტრო).
- ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოები განსაზღვრავენ რამდენიმეწლიან საინსტიტუტო კვლევით პრობლემას, რომლის ნაწილები საანგარიშო პერიოდებში, დასრულებული კვლევის სახით უნდა იყოს წარდგენილი თითოეული მეცნიერ თანამშრომლის მიერ. რაც ხშირად კვლევითი თავისუფლების და აქტუალობის ხარჯზე ხდება.
- მეორეს მხრივ, ცალკეული მკვლევარები ან მკლევართა ჯგუფი დაკვეთების ან საგრანტო პროექტების ფარგლებში მუშაობს აქტუალურ საკითხებზე. დადგინდა, რომ ამ შემთვევაში, თემატიკის შერჩევასა და განვითარებაში ასევე მნიშვნელობა ენიჭება უცხოური პარტნიორების ინტერესს საკვლევი თემატიკის მიმართ. ამ მიზეზით, ინსტიტუტები ერთდროულად ნაკლებად აქტუალურ და მეტად

აქტუალურ საკითხებზე მუშაობენ, რაც დამფინანსებლის, (მთავრობის, სამეწარმეო სფეროს) არაერთგვაროვან დამოკიდებულებას განაპირობებს.

- იმ მიმართულებებზე, სადაც არ არის კვლევითი ცენტრი, სახელმწიფო ახდენს, კვლევის, საკონსულტაციო მომსახურების და ტექნოლოგიებს შესყიდვას სხვა მომწოდებლიდან (კერძო, უცხოური საკონსულტაციო კომპანიები).
- გამოვლინდა სუსტი კოორდინაცია და კომუნიკაცია როგორც კვლევით დაწესებულებებს შორის, ასევე დამფინანსებელთან. რის შედეგადაც, ეფექტურად არ ხდება სახელმწიფო დაკვეთებზე და პროექტებზე რეაგირება. რასაც ორივე მხარე მიიჩნევს ერთმანეთის კომპეტენციის და კვლევების რელევანტურობის პრობლემად.

13. **აკადემიურ პირებს მოგმართავენ თუ არ პროფესიული კონსულტირებისთვის?**

კვლევაში მონაწილე ბსუ-ს აკადემიური პირების ნაწილი ამბობს, რომ მათ **ხშირად მიმართავენ პროფესიული კონსულტაციისთვის**/ტრენინგისთვის, მაგრამ აღნიშნულ მომსახურეობას ის ასრულებს უნივერსიტეტის პროფესორის სტატუსით, **არა უნივერსიტეტის სახელით**, არამედ როგორც ფიზიკური პირი. აღნიშნული კონსულტირება უმეტესწილად არის ანაზღაურებული. აწსუ-ს ტექნოლოგიური მიმართულების აკადემიური პირები აცხადებენ, რომ ხშირად მიმართავენ მათ კონსულტაციისთვის, რასაც ისინი ახორციელებენ უნივესიტეტის სახელით და ანაზღაურებას იღებენ უნივესიტეტის საფინანსო სტრუქტურების მეშვეობით.

ბსუ-ში კრიტიკულია უნივერსიტეტის სახელით ტრენინგების/პროფესიული კონსულტაციის გამართვის მიმართ აკადემიური პირების დამოკიდებულება. აქ გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი. უპირველესად, აკადემიური პირების უმეტესობა არ ფლობს ინფორმაციას, **რამდენად არსებობს უნივერსიტეტში აღნიშნული მექანიზმი** უნივერსიტეტის გავლით მოხდეს აღნიშნული სერვისის მიწოდება და ანაზღაურების მიღება. ნაწილმა აღნიშნა, რომ უკვე აქვს უნივერსიტეტის გავლით ფინანსური მექანიზმის გამოცდილება და ურჩევნია შემოთავაზებას უპასუხოს, როგორც კერძო პირმა და დამოუკიდებლად იმოქმედოს;

კვლევაში მონაწილე ბსუ-ს ტექნოლოგიური მიმართულების აკადემიური პირების ნაწილმა განაცხადა, რომ **არასდროს მიუმართავთ მათთვის** პროფესიული ტრენინგის/კონსულტაციისთვის. ისინი აცხადებენ, რომ სფერო (სახელმწიფო ორგანიზაციები, არსამთავრობო ორგანიზაციები) მათ უტარებს ტრენინგებს სფეროში არსებული სიახლეებისა და სხვა თემატიკის შესახებ. აღნიშნული აკადემიური პირები გამოთქვამენ სურვილს, თავად ჰქონდეთ მიმართვა პროფესიული ტრენინგის/კონსულტაციის ჩასატარებლად, ფინანსური შემოსავლის, იმიჯის და საკვლევი მასალის აკუმულირების მიზნით. აკადემიური პირების ნაწილი აცხადებს, რომ მის შესაბამის ფაკულტეტს ტრენინგის ჩატარების/პროფესიული **კონსულტაციის გაწევის უნარი არა აქვს,** რადგან მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრი, რომელსაც შეუძლია შეცვალოს სიტუაცია, არ მოდის ფაკულტეტზე (პროფესიულ საფუძველზე პიროვნული კონფლიქტის გამო) და ზოგადად, არსებული მიდგომა აკადემიური პირების უნივერსიტეტისადმი არის საკუთარი პოზიციის შენარჩუნება, ვიდრე საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებაზე ზრუნვა.

უნივერსიტეტის აკადემიური პირების კომპეტენციას გასწიოს უახლესი ცოდნის ან უნარების პროფესიული კონსულტაცია **კრიტიკულად უდგებიან სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლები.** ისინი აღნიშნულზე მსჯელობენ საკუთარი დაქვემდებარების ქვეში არსებულ კომპანიებში და/ან საჯარო სამსახურებში გამოცხადებულ ვაკანსიებზე მონაწილე კურსდამთავრებულთა დონით. თუმცა ჰიპოთეტურად უშვებენ, რომ უნივერსიტეტმა შეიძლება ბაზარს თავისი პროფესიული კონსულტაციის/ტრენინგის მომსახურება შესთავაზოს. რამდენიმე აკადემიურმა პირმა კრიტიკულად შეაფასა უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პირები უკმაყოფილებას გამოთქვამენ რეგიონში მიმდინარე საინვესტიციო პროექტებში უცხოური საკონსულტაციო კომპანიების მონაწილეობის გამო, აკადემიურ პერსონალს არა აქვს აღნიშნულის შესრულების პრაქტიკული უნარი.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გარკვეულ ფაკულტეტზე მიმართა კერძო კომპანიებს **საგანმანათლებლო პროფესიული საკონსულტაციო მომსახურებისთვის, რაც** ითვალისწინებდა სათანადო სასწავლო ლიტერატურის შერჩევასა და

საკვალიფიკაციო ტრენინგების ჩატარებას. მსგავსი საკონსულტაციო მომსახურებისთვის მიმართვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ახსნა შესაბამის ფაკულტეტზე კომპეტენციის არ არსებობით. ამავე ფაკულტეტის აკადემიურმა პირებმა კი, საკუთარი კომპეტენციის ვერ გამოვლენის მიზეზად ადმინისტრაციის არაკომპეტენტური საშუალო რგოლი, განვითარების გეგმის არ-არსებობა, საკუთარი პროფესიონალიზმისადმი უნდობლობა და ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის ნაკლებობა დაასახელეს.

მაშასადამე,

- უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით თანამედროვე უნივერსიტეტი უნდა წარმოადგენდეს გამოცდილებისა და პროფესიონალური ცოდნის გაზიარების წამყვან ცენტრს საზოგადოებისათვის. კვლევით გამოვლინდა, რომ კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტებში ამ მიზნით, გახსნილი იყო სხვადასხვა უფასო საკონსულტაციო მომსახურება კლინიკების სახით, რაც საერთაშორისო განხომილების შედეგს წარმოადგენს. კვლევით ასევე დადგინდა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლები უპირატესად ინდივიდუალური კონსულტაციებით ახდენენ საკუთარი პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების კომერციალიზაციას, რადგან შესაბამისი შეთანხმებების მიღწევა და ფინანსური ოპერაციების განხორციელება ინდივიდუალურად უფრო მარტივია, ვიდრე უნივერსიტეტის მეშვეობით. უნივერსიტეტის ფარგლებში მსგავსი საქმიანობის განხორციელება დიდ დროს, სპეციალურ კომპეტენციებს, ადმინისტრაციული პერსონალის მზაობას და სხვა ასპექტებს მოიცავს, რის გამოც პერსონალი ამაში გარკვევას არახელსაყრელად მიიჩნევს.
- უნივერსიტეტისთვის დაკვეთილი ანაზღაურებადი საექსპერტო მომსახურეობა ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში უნივერსიტეტის აკადემიური რესურსის და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამოყენებით. ამგვარი მომსახურება მხოლოდ ერთ სფეროს ეხება, რადგან მხოლოდ უნივერსიტეტის პერსონალს აქვს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული კომპეტენცია.

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შიდა კვლევების და სასწავლო პროგრამების შედეგებიდან გამომდინარე შეისყიდა საკონსულტაციო მომსახურება, რადგან კრტიკულად შეაფასა უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკა და კომპეტენცია. ეს პროცესი ნეგატიურად აისახა შესაბამის მიმართულების აკადემიური პირების ინდივიდუალური კონულტირების შესაძლებლოებზე. კიდევ ერთ შემთხვევაში უნივერსიტეტის ადმინისტაციამ კომპანიისგან მომსახურება შეიძინა უნივერსიტეტში არსებული ვითარების შესწავლისა და პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

14. ახდენთ თქვენი კვლევების კომერციალიზაციას?

კვლევების კომერციალიზაცია წარმოადგენს პროცესს, რომელიც პროდუქტს, ან სერვისს აქცევს კომერციულად სიცოცხლისუნარიან პროდუქტად. ის აუცილებლად პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს, კვლევის პროცესში შექმნილი ტექნოლოგია იქცევა საბაზრო პროდუქტად, და მოაქვს სარგებელი ხალხისთვის.

ორივე უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ მიმდინარეობს მუშაობა კომერციალიზაციის პროექტზე, მაგრამ თვლის, კანონი ვერ არეგულირებს აღნიშულ საკითხს სრულად. ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამბობენ, ისეთ სერვისთან მიმართებაში, როგორიცაა: სტამბა, კვლევით ინსტიტუტების მიერ მომზადებული დასკვნა ამა თუ იმ მცენარის შესახებ (კერძო მომართვის საფუძველზე) ან კურსები უწყვეტი განათლების ცენტრში, საქმე ადვილად წყდება. მაგრამ როცა საქმე გვაქვს კვლევის შედეგებთან ან ინტელექტუალურ საკუთრებასთან, არ არსებობს მექანიზმი, პრაქტიკა და გამოცდილება მათი კომერციალიზაციის. აკადემიური პირების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტს არა აქვს შესაბამისი მექანიზმი. ამავდროულად, ისინი ხაზს უსვამენ საკუთარ შესაძლებლობებს და გამოთქვამენ მზაობას, ინსტიტუციის სახელით მოახდინონ თავიანთი შრომის კომერციალიზაცია, მაგ. ჩაატარონ ტრენინგი.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არ არის შესაბამისი ცოდნა ან/და ცოდნის მატარებელი, რომელმაც იცის, როგორ

მუშაობს კომერციალიზაციის მექანიზმი. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფუნქციონირებს ფაბლაბის ლაბორატორია, ის აღიქმება, როგორც სტუდენტისთვის პრაქტიკის ადგილი, და აკადემიური პირები თვლიან, რომ ულტათანამედროვე ტექნოლოგიებზე გავლილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტი ყველგან იპოვის სამუშაოს. მათი შეხედულებით, ეს არის მხოლოდ ფაბლაბის დანიშნულება. ნაწილი ფიქრობს, რომ ისინი ძველი თაობის წარმომადგენელი არის და არ „გაეკიდა“ კომერციალიზაციას.

აკადემიურ პირთა უდიდესი ნაწილი თავისი შრომის პროდუქციად ასახელებს იმ პრაქტიკულ შედეგს - მეთოდოლოგიას, რომელიც შემუშვდა სხვადასხვა საკითხზე მუშობის დროს, მაგ. მენეჯმენტის ინფორმირების სისტემა, რომელიც გამოიცა წიგნის სახით. აღნიშნული პროდუქცია ხელმისაწვდომი და ფართო მოხმარებისაა. ასევე, სამეცნიერო ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლები მკვეთრად მიჯნავენ ერთმანეთისგან კვლევის პრაქტიკულ და თეორიულ მნიშვნელობას და სხვადასხვა კვლევით მოპოვებული შედეგი წარმოადგენს მასალას შემდეგი კვლევებისთვის.

აკადემიური პირების უმეტესობას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს კომერციალიზაციაზე. ტექნოლოგიური მიმართულების რამდენიმე აკადემიურმა პირმა საუბრის დროს აღნიშნა, რომ მზად აქვთ პროდუქცია. ნაწილს ჰქონდა კომერციალიზაციის მცდელობა ინდივიდუალურად, მაგრამ უშედეგოდ. ნაწილს არ ჰქონიათ კომერციალიზაციის მცდელობა და ამ მიზნით ისინი საჭიროებენ ბიზნესის მხარდაჭერას. ისინი ახდენენ აღნიშნული პროდუქციის დემონსტრირებას. ზოგ შემთხვევაში, მათ მიერ შექმნილი პროდუქციის (ხელსაწყოების) ჩვენ მიერ გადამოწმების დროს აღმოჩნდა, რომ მათზე საერთაშორისო პატენტი ან უკვე არსებობს, ან აღნიშნული ხელსაწყო წარმოადგენს უკვე არსებული ხელსაწყოების კომბინაციას. მოგვიანებით, დაზუსტების დროს საუბარში მათ აღნიშნეს: „ხანდახან არის ისეთი მომენტი, რომ არ არის საპატენტო დონის, პატენტს სხვა რაღაც უნდა. ან შეიძლება მსგავსი პატენტი არსებობს უკვე. შიგნით ახალი სქემა დევს მაგალითად ამ ჩვენს აპატარში არა, ავკრიბეთ რაღაცეებიდან“[89].

[89] ზ. დ. ასოცირებული პროფესორი

იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიურ პირთა უმეტესობა აცხადებს, რომ მას ინდივიდუალურად მიმართავს სამეწარმეო სფერო რაღაც საკითხების გადასაჭრელად, ორგანიზაციულად მეტად ორგანიზებული და კარგად გაშუქებული აქტივობის შედეგად, აკადემიური პირების ნაწილი თვლის, შესაძლებელია სამეწარმეო სფეროსთვის მათი სერვისის და პროდუქციის შეთავაზება. მაგ. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის აკადემიური პირების ნაწილს კომერციალიზაციის შემდეგი ხედვა აქვს: ისინი თვლიან, რომ სასურველი იქნებოდა ფაკულტეტთან შეიქმნას საპროექტო ბიურო. ერთი მხრივ, ამ ბიუროში აღიზრდება ახალი კადრები, და ასევე, ის იქნება ფინანსური შემოსავლის მომტანი. ნაწილი კი ასეთი ორგანიზაციის დაარსების წინააღმდეგია, რადგან თვლის, რომ საპროექტო ორგანიზაცია ვერ გაუწევს სატენდერო კონკურენციას სხვა კომპანიებს და თავიდანვე განწირულია წარუმატებლობისთვის.

კვლევაში მონაწილე ტექნოლოგიური ფაკულეტეტებიდან, საექსპერტო მომსახურება განსაკუთრებით დამახასიათებელია აგრარული მიმართულებისთვის და კვლევითი ინსტიტუტებისთვის. პირველი მაგალითის შემხთხვევაში დამკვეთი მიმართავს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სადაც არსებობს ლაბორატორია, მაგრამ ექსპერტის აზრის დასადგენად, მიმართავენ შესაბამის დეპარტამენტს. კონკრეტული მაგალითის შემთვევაში, აღნიშნული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება პირდაპირ ჩართული პირისთვის, როგორ ფიზიკური პირისთვის, საზღაურის გადახდით. მეორე შემთხვევაში, კვლევის დამკვეთი მიმართავს უნივერსისტეტის რექტორს, რომელიც აღნიშნულ წერილს გადააწერს შესაბამის ინსტიტუტს, სადაც კვლევა ხორციელდება. აღნიშნული დაწესებულების კვლევის საფასური ანაზღურდება ინსტიტუტის მიერ დადგენილ ფასთა კვოტირების შესაბამისად.

მაშასადამე,

- ბაზარზე არსებობს სხვადასხვა კვლევების/ტრენინგების/სასერტიფიკატო/ენის შემსწავლელ კურსებზე მოთხოვნა, რაც უნივერსიტეტში ნაწილობრივ რეალიზებულია უწყვეტი განათლების ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულების, კურსების) მეშვეობით. კვლევით დადგინდა, რომ

ბსუ-ს შემთხვევაში, უწყვეტი განათლების განვითარების საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნა დგება მხოლოდ პროფესორების პირადი გადაწყვეტილებით. ის ძირითადად ჰუმანიტარული და განათლების პროგრამებით არის დაკომპლექტებული. ასევე ხორციელდება შიდა საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების ეგიდით ინგლისური ენის შესწავლა ბსუ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. ცენტრში არ მოიპოვება ტექნოლოგიური მიმართულებით პროგრამა (მოდული, კურსი) რომელიც გამიზნულია სხვადასხვა ასაკის, სოციალური ფენის და განათლების პირებზე. (აწსუ-ს შემთხევაში უწყვეტი განათლების ცენტრის პროგრამები უფრო მრავალფეროვანია, და ბოლო პერიოდში, სამეწარმეო სფეროდან წამოსული საჭიროებების ანალიზის შედეგად, დამატებული კურსები მოიცავს: გაყიდვების მენეჯმენტი, ბუღალტრული აღრიცხვა, ორისის პროგრამა, ძვირფასი ლითონების და ქვების ექსპერტიზა, ელექტრიკოსი, შემდუღებელი, მეჯამბარე).

- კვლევების კომერციალიზაციას წარმოადგენს კვლევის პროცესში შექმნილი ტექნოლოგიის საბაზრო პროდუქტად ქცევა. კვლევების კომერციალიზაციისთვის უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს მოწესრიგებული შესაბამისი დებულება, ასევე უნდა ჰქონდეს გამართული სტრუქტურული ერთეულები (ცოდნის ტრანსფერის ოფისი), მაგრამ უპირველესად - უნდა ჰქონდეს შესწავლილი შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პოტენციალი. წინამდებარე კვლევით დადგინდა, რომ ორივე უნივერსიტეტი ამჟამად მუშაობს კვლევების კომერციალიზაციის დებულებაზე. ასევე, კვლევით დადგინდა, რომ არსებობს სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა პროდუქტი, მათ შორის ისეთიც, რომელიც მიღებულ იქნა რუსთაველის ფონდის საგრანტო პროგრამის შედეგად და ექვემდებარება კომერციალიზაციას, მაგრამ აღნიშნული ვერ განხორციელდა. კვლევით ასევე გამოვლინდა, არსებობს პროდუქცია, რომელზეც უკვე არსებობს სხვისი პატენტი.

15. რა იცით კურიკულუმის კომიტეტის შესახებ?

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამების განახლების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს კურიკულუმის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან აკადემიური პირები, სტუდენტები, დამსაქმებლების წარმომადგენლები.

კვლევაში მონაწილე **ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელი სრულად ფლობს ინფორმაციას კურიკულიუმის კომიტეტის** შესახებ. ადმინისტრაცია აცხადებს, რომ კომიტეტის შეხვედრა სისტემატურია, და მის შემადგენლობაში აკადემიური პირებთან ერთად დამსაქმებლები და სტუდენტები შედიან. ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, აღნიშნულ კომიტეტს უნდა ჰქონდეს მაკონტროლებელი სისტემის ფუნქცია, პროგრამაში საგნების დამატება/გამოკლების თვითნებობის აღსაკვეთად. ადმინისტრაციამ ასევე დაასახელა კურიკულუმის კომიტეტის **ერთ-ერთ ფუქნციად სამეწარმეო სფეროსთან საერთო კავშირების პოვნა და საერთო პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრა**.

აკადემიური პირების ნაწილი თვლის, რომ კურიკულუმის კომიტეტის უპირველესი ფუქციაა პროგრამებზე, კურიკულუმზე მუშობა. სილაბუსში განსახორციელებლი ნებისმიერ ცვლილებას სჭირდება კურიკულუმის კომიტეტის თანხმობა, ისევე როგორც ახალი სახელმძღვანელოს შექმნას ან ლიტერატურის სილაბუსზე დამატებას. აკადემიური პირები გამოხატავენ სურვილს, კურიკულუმის კომიტეტს ჰქოდეს მეტად აქტიურ როლი მომავალი მეთოდური ლიტერატურის გამოცემის დაგეგვაში.

კვლევაში მონაწილე აკადემიურ პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს, იდეის დონეზე ეს კარგი სტრუქტურაა, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს აკადემიური პირები, სტუდენტები და დამაქმებლები. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ამ ადამიანების შეკრება, დაინტერესება და დაკისრებული ვალდებულებების განხორციელებაც რთულია. შესაბამისად, კომიტეტი ამჟამად უსისტემოდ და გეგმის გარეშე ფუნქციონირებს, ჯერ არ გამოუვლენია აქტიური ქმედება რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ნაწილმა კი განაცხადა, რომ აღნიშნული კომიტეტი ფორმალური და ფიქტიურია, რომელიც რეალურად

მოქმედების შემთხვევაში განვითარების ბირთვი უნდა იყოს. აკადემიური პირების ნაწილი საერთოდ არ ფლობდა ინფორმაციას კურიკულუმის კომიტეტის არსებობის, დანიშნულების და ფუნქციების შესახებ.

მაშასადამე, უნივერსიტეტის არსებული პრობლემების გადალახვას ცდილობს სტრუქტურული ერთეულის შექმნით. უნდა წარმოადგენდეს სამეწარმეო სფეროსთან თანამრომლობოს მექანიზმის, განსაკუთრებით პროგრამის განახლების თვალსაზრისით, თუმცა, როგორც კვლევით გამოვლინდა აღნიშნული ერთეული ჯერ ჩამოყალიბების ეტაპზეა. მისი საქმიანობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

16. დაასახელეთ თქვენი ფაკულტეტის სამი ყველაზე მსხვილი პარტნიორი

უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს ურთიერთობის პრაქტიკის კვლევაში გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პირები უმსხვილეს პარტნიორად სახელმწიფო სტრუქტურებს თვლიან, რის გათვალისწინებით ქვემოთ განვიხილეთ სახელმწიფო - უნივრსიტეტის თანამშრომლობის თანამშრომლობა და ურთიერთდამოკიდებულება.

ბსუ-ს საუნივესიტეტო ინფრასტრუქტურაში თუ კვლევით პროექტებში ჩადებული პირდაპირი ინვესტიციების გარდა, სახელმწიფო აფინანსებს უმაღლესი განათლების ხელშეწყობის და სტუდენტთა საზღვარგარეთ სწავლის პროგრამებს, რათა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ირიბად მიიღოს დამატებითი დახმარება.

სახელმწიფო რჩება უპირატეს განმსაზღვრელად რა კვლევების გაკეთება შეუძლია/არ შეუძლია უნივერსიტეტს/კვლევით დაწესებულებებს. რამდენიმე შემთხვევაში ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ/სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიმართა შესაბამისი პროფილის კვლევით კვლევით ისნტიტუტებს იმ შეძლებდა მათ მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესრულებას. (მაგ. 2013-2014 წ. ქობულეთის ფიტოფატოლოგიის ინსტიტუტი სახელმწიფოს დაკვეთით მუშაობდა საკარანტინო ორგანიზმების გამოვლენაზე, რაც მოიცავდა სხვა ქვეყნებიდან

შემოტანილი ნიმუშების ლაბორატორიულ ანალიზს საკარანტინო ორგანიზმებზე[90]. როგორც მეცნიერ-თანანმშრომლები აცხადებენ, შედეგებმა მოიტანა უთანხმოება, რადგან ანალიზების შედეგად ბევრი ნიმუშის უკან დაბრუნება გახდა საჭირო. მოგვიანებით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თავისი ლაბორატორია გაამლიერა და აღნიშნულ საკითხს თავად კურირებს).

რეგიონის მთავრობა (ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო) კვლევით ინსტიტუტებს კვლევაზე დაფუძნებულ ანაზღაურებას სთავაზობდა, რაც აკადემიური პირების მიერ უარყოფილ იქნა, კანონთან შეუსაბამობების გამო. თუმცა სახელმწიფო მოხელეები თვლიან, რომ აკადემიურ პირებს/მეცნიერ თანამშრომელებს მხოლოდ იმიტომ არ სურთ ზემოთ აღნიშნულ შემოთავაზება დათანხმება, რომ ა) ურჩევნიათ ნაკლები პასუხისმგებლობა და ნაკლები ფული, ბ) არ არიან დარწმუნებულნი საკუთარ კომპეტენციაში, გ) მათი კვლევები უმეტესწილად არის არარელევანტური.

კვლევის მიხედვით, სახელმწიფო პირები, ერთი მხრივ, ისინი ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას რა კვლევები ტარდება უნივერსიტეტში. ამავდროულად, ისინი თვლიან, რომ უნვერსიტეტი რეგიონის პოლიტიკის გატარებაში მონაწილეობს მოცემული მომენტისთვის, ან მონაწილეობს მცირედით. რეგიონის მთავრობის მოხელეების პოზიციაა - **სახელმწიფო უფრო მეტს აკეთებს უნივერსიტეტისთვის, ვიდრე - პირიქით.** კვლევაში მონაწილე სახელმწიფო მოხელეების ნაწილი შეფასებით, მათთვის სახელმწიფო-უნივერსიტეტი-ბიზნესის თანამშრომლობა საინტერესო იქნებოდა. უმაღლესი რანგის მოხელეებმა განაცხადეს, რომ სახელმწიფოს შეუძლია დააინტერესოს ბიზნესი, ითანამშრომლოს უნივერსიტეტთან, გააზრდევინოს პრაქტიკაზე მისაღებ სტუდენტთა კვოტა. სავარაუდო მოტივაცია შესაძლოა იყოს ანაზღაურებული პრაქტიკის (უნივერსიტეტის ნაცვლად გადაიხადოს პრაქტიკის ფასი, ისევე როგორც ხორციელდება ეს პროცესი პროფესიული განათლების ეტაპზე) უზრუნველყოფა, რითაც შეიძლება მოიზიდოს კომპანიები თანამშრომლობისთვის.

[90] საკარანტინო ორგანიზმი - ორგანიზმი, რომელიც არ არის ან შეზღუდულადაა გავრცელებული საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე.

კვლევაში მონაწილე აკადემიური პირები კვლევების არარელევანტურობის მიზეზად ასახელებენ სახელმწიფოს, იმის გათვალისწინებით, რომ იგი როგორც უნივერსიტეტის ყველაზე მსხვილი პარტნიორი, არ აწვდის მას ინფორმაციას საკვლევი თემატიკის შესახებ. კვლევაში მონაწილე სახელმწიფო მოხელეები ერთი მხრივ, ადასტურებენ, რომ მსგავსი საკომუნიკაციო არხი ნაკლებად ეფექტურად მუშაობს, მეორე მხრივ, პრობლემაა თავად სახელმწიფოს მიერ მთელ რიგ საკითხებში ღრმად ჩაუხედაობა და ისეთი საკითხების, როგორიცაა მშენებლობის ნორმატივები და სხვა, დაურეგულირებლობა. შესაბამისად, როგორც ისინი აცხადებენ, შესაძლოა, მთელი რიგი საკვლევი თემატიკის საჭიროებას ვერ ხედავდეს სახელმწიფო. მეორე მხრივ, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ არსებობს განვითარების სტრატეგია[91], სახელმწიფო მოხელეები აღნიშნავენ, რეგიონის განვითარება მაინც ინვესტორის სურვილზეა დამოკიდებული და შესაბამისად კვლევების არარელევანტურობა სახელმწიფოს მიზეზით შესაძლოა საამართლიანი არგუმენტი იყოს. მაგრამ ისინი მაინც თვლიან, რომ უნივერსიტეტი ნაკლებად ატარებს გამოყენებით კვლევებს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პირები გამოთქვამენ სურვილს, ჩაერთოს რეგიონულ საინვესტიციო პროექტებში და უკვირთ, რატომ არ არიან ჩართულნი ამ პროცესებში. თუმცა ფიქრობენ, არსებობს ლოგიკა იმაში: შესაძლოა სახელმწიფო ნაკლებად ენდობა სამეცნიერო პოტენციალს, სავარაუდოდ იმ მიზეზით, რომ მისთვის შეიძლება ნაკლებად ცნობილი შეიძლება იყოს სამეცნიერო პოტენციალი. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ინტერესდება სამინისტროების მიერ სხვადასხვა ორგანიზაციისათვის დაკვეთილ კვლევების მოცემულობით და დანიშნულებით. ისინი აცხადებენ, რომ უნივერსიტეტი უნდა აკეთებდეს იმ კვლევებს, რომლებიც უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ რეკომენდაციის სახით მაინც. და თუ სახელმწიფო არ იყენებს მათ კვლევებს, ჩნდება შეკითხვა - რატომ კეთდება ასეთი კვლევები.

უნივერსიტეტის სხვადასხვა რგოლის წარმომადგენელთა აზრი რეგიონში მიმდინარე მსხვილ საინვესტიციო პროექტებში უნივესიტეტის მონაწილეობის შესახებ გაიყო. უმაღლესი დონის ადმინისტრაცია აცხადებს, როგორც ზემოთ იყო

[91]http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/მცირე_და_საშუალო_ბიზნესის_განვითარების_სტრატეგია.pdf

აღნიშნული, გამოთქვამს ასეთი ტიპის თანამშრომლობის სურვილს. კვლევაში მონაწილე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მათში უნივრსიტეტის ჩართულობა მნიშვნელოვანი არ არის, რადგან აღნიშნული საინვესიტიციო პროექტები ცოტა რაოდენობით სამუშაო ადგილებს ქმნიან. ამავდროულად, კვლევაში მონაწილე აკადემიური პირები თვლიან, რომ ისინი მზად არიან, გამოყონ დრო მსგავს პროექტებში ჩართვისათვის, რადგან ასეთი ზომის საინვესტიციო პროექტებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უნივესიტეტის აკადემიური პირების მონაწილეობა ევროპული ტექნოლოგიების ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებიც მსხვილ საინვესტიციო პროექტებს მოყვება. „ამ მსხვილ პროექტებს მოყვება ახალი, ევროპული ტექნოლოგიების შემოტანა საქართველოში. და ის უნდა იყოს გავრცელებული. თეორიის შესწავლით, ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ტექნოლოგია ვერ გავრცელდება - რეალურის ნახვა აამაღლებს ყველა მნახველის ცოდნის დონეს - სტუდენტი, პროფესორი, ყველა უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში“[92]. თუმცა ისინი აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტს არა აქვს ამ ინფორმაციის მიღების მექანიზმი და თვლიან, რომ სახელმწიფოს უნდა მოემართა უნივერსიტეტისთვის ამ მისიით.

აკადემიური პირები კრიტიკულად უდგებიან ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სახელმწიფო პოლიტიკას და უცხოელი ექსპერტების ჩართულობას საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში. სახელმწიფო პროექტი რომ არის, სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული, ჩართოს უნივერსიტეტი, რომ შენმა კადრმა იმუშაოს[93]. სახელმწიფო მოხელეების მოსაზრება, რამდენად შესაძლებელია უნივერსიტეტის წარმომადგენლების ჩართულობა აღნიშნული პროექტების მსვლელობის დროს, ორად იყოფა. ნაწილი მზად არის დაავალდებულოს უცხოელი საკონსულტაციო კომპანიები, რომლებიც ასრულებენ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ითანამშრომლოს უნივერსიტეტთან ინფორმირების და სტუდენტების პრაქტიკის დონეზე. ნაწილი კი ფიქრობს, უნივესიტეტს უნდა ჰქონდეს სწრაფვა გაყიდოს თავისი პროდუქცია, ცოდნა! და იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი გამოთქვამს სურვილს სახელმწიფოს მიმართ,

[92] ზ. დ. ასოც. პროფესორი
[93] თ. გ. ასისტ.პროფესორი

მასშტაბურ პროექტებში რაიმე ფორმით მონაწილეობის შესახებ, სახელმწიფო, რომელიც გრძნობს ვალდებულებას უნივერსიტეტის მიმართ, უფრო ადვილად წამოვა თანამშრომლობაზე. ნაწილი თვლის, რომ არ არის მიზეზი, რის გამოც სახელმწიფომ უნივერსიტეტი უნდა ჩართოს რეგიონალურ საინვესტიციო პროექტებში, და არ არსებობს აღნიშნულის მექანიზმი. ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს მსგავს თანამშრომლობას იმ მიზეზით, რომ ბიზნესს არა აქვს ინტერესი ჩართოს უნივესიტეტი თავის საქმიანობაში. ისინი ვარაუდობენ, რომ ინტერესი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ავტორები (მამები) ჩათვლიან, რომ უნივერსიტეტში არის ისეთი ცოდნა, რის გამოც ბიზნესი დაინახავს მის საჭიროებას და ჩართავს დიდი საინვესტიციო პროექტების მოსამზადებელ ეტაპებზე - როგორიცაა მოკლევის/კვლევის ანუ ტეგ-ის (ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის) ეტაპები. აღნიშნული ნაწილი კრიტიკულად უნივერსიტეტის აფასებს უნივერსიტეტის პოტენციალს, იმის გათვალისწინებით, რომ დღეისთვის საკონსულტაციო კომპანიებში, რომლებიც ძირითადად ახორციელებს საინვესტიციო პროექტებს, მეტი ცოდნაა, ვიდრე უნივერსიტეტში; „საინვესტიციო პროექტებიდან რატომ გაატანს კონტრაქტორი ცოდნას თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. ბიზნესიდან კი არ უნდა მიჰქონდეს უნივერსიტეტს, არამედ იქედან აქეთ უნდა მოჰქონდეს ბიზნესს ცოდნა. თუ ბიზნეს ცოდნა მაინც არ მოაქვს უნიდან, რატო ჩართავს მას, რატო ექნება ინტერესი, ვიღაცას რაღაც ასწავლოს, ან დაანახოს? პირიქით, უნიმ აქეთ უნდა გამიწიოს კარგი კონსულტაცია და რეკომენდაცია. ის ვერ დგას სათანადო სიმაღლზე. მაშინ, ჰუმანური გზით ვიაროთ - შევიტანო წვლილი მე, როგორც კომპანიამ, უმაღლესი სასწავლებლის სწავლების ხარისხის ამაღლებაში ან იმ ლექტორს მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაში, რომლებიც ამ სიახლეებს უკვე უნდა ფლობდნენ“[94].

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მხრიდან არის სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობის მცდელობები, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ. როგორც აღნიშნავენ, მიუხედავად ორმხრივი ინტერესისა, გადაკვეთის წერტილი ვერ მოიძებნა. „მიიყვან, აჩვენებ - მინისტრები იცვლებიან თან ყოველ წელს - აჩვენებ -

[94] ეკატერინე ბახტაძე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ბაღებში შეგვიძლია მივიტანოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი წვენის სახით. მოიწონებენ. მაგრამ აქ მთავრდება. ასეთი დამოკიდებულებაა. სადღაც წყდება- სულ არ აინტერესებთ რა კვლევები გვაქვს, ესეთია[95]. კვლევაში მონაწილე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე აკადემიური პირები თვლიან, რომ უნივერსიტეტში შესაძლოა საჭიროა სტრუქტურული ერთეული, რომელიც იქნება შემოსავლის მოტანაზე ორიექტირებული, მოძებნის კვლევით პროექტებს, მიიღებს მონაწილეობას და მოახდენს პროდუქციის რეალიზებას, მაგრამ აღნიშულის განხორციელების პოტენციალი შესწავლილი არ არის. კვლევში მონაწილე აკადემიური პირები თვლიან, რომ დიდია სახელმწიფოს როლი უნივერსიტეტის განვითარებაში, მაგრამ იგი არ არის ჩამოყალიბებული იმ მიმართულებით, თუ როგორი უნდა იყოს უნვერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის მექანიზმი. არც ბიზნეს ორგანიზაციებს აქვთ ისეთი ცოდნა, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტში მოვიდეს. სახელმწიფოს როლი კი ამ ცოდნის გავრცელებაში დიდია. მაგალითად მოყვანილია როფესიული განათლების სახელმწიფო პროგრამა, სადაც სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად არის მოთხოვნა პრაქტიკის საწამოო ობიექტებზე გავლის. აკადემიური პირები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მექანიზმი უნივერსიტეტს არ გააჩნია და არც ცოდნა არსებობს ამ თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ პროგრამების განახლების და კვლევებით თანამედროევების მიზნით. ისინი ხედავენ სახლემწიფოს მხრიდან აღნიშნული თანამშრომლობის ხელშეწყობის აუცილებლობას.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ რეგიონის ადგილობრივი მთავრობა გარკვეულად აფინანსებს პროგრამულად და ხელს უწყობს ინფრასტრუქტურული პროექტების, კვლევითი ინსიტიტუტების განვითარებას. მაგრამ ადმინისტრაცია თვლის, რომ სახელმწიფოს დამოკიდებულება აფიქრებინებს მათ, უნივერსიტეტისთვის მიცემულ თანხას სახელმწიფო დაკარგულ თანხად მიიჩნევს. სახელმწიფოს რამდენჯერმე ჰქონდა უნივერსიტეტთან არსებული კვლევით ინსტიტუტების შესაბამისი პროფილის სამინისტროსთვის შეერთების მცდელობა. მაგ. არგუმენტს წარმოადგენდა აღნიშნული კვლევითი ინსტიტუტის

[95] მ. გ. ადმინისტრაცია

მუშაობის მაღალი დონე და ერთპიროვნული გადაწყვეტილებით იყო მიერთების მცდელობა. „მინისტრს ეგონა, რომ მისი უნდა ყოფილიყო ეს ინსტიტუტი. თითქოს სხვა სახელმწიფოს არის ეს უნივერსიტეტი“[96]. მეორე მხრივ, ადმინისტრაცია საუბრობს სახელმწიფოს მხრივ ორმაგ ხარჯებზე. მაგალითად, აგროსერვისი ცენტრის შექმნა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, რომლისთვისაც საჭირო კვლევებს უნივერსიტეტი აკეთებს. ადმინისტრაცია თვლის, რომ აგროსერვისცენტრი სასურველია უნივერსიტეტთან ფუნქციონირებდეს.

აკადემიური პირების ნაწილი ასევე ასახელებს სახელმწიფო რეგულაციებს, როგორც სამეწარმეო სფეროსთვის უნივესიტეტთან აქტიურად თანამშრომლობის ხელშემშლელ ფაქტორს. კონკრეტული მაგალითის აღწერის შედეგად ერთ-ერთმა აკადემიურმა პირმა განაცხადა, რომ კვლევის შედეგების გასაჯაროების შედეგად კონკრეტული წარმოება, რომლის ბაზაზე განხორციელდა სამაგისტრო კვლევა, დაჯარიმდებოდა 400 ლარით ტონა ნარჩენ პროდუქტზე. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიურად და ფინანსურად კვლევის შედეგები კონკრეტული კომპანიისთვის მომგებიანი იყო, საკანონმდებლო ხარვეზების გამო იგი იძულებული იყო დაეფარა თავისი სახელი კვლევებში და შედეგების დანერგვისგან თავი შეიკავა.

მაშასადამე,

- პირდაპირი ინვესტიციების გარდა საუნივესიტეტო ინფრასტრუქტურაში თუ კვლევით პროექტებში, სახელმწიფო აფინანსებს უმაღლესი განათლების ხელშეწყობის და სტუდენტთა საზღვარგარეთ სწავლის პროგრამებს. ამავდროულად, სახელმწიფო რჩება უპირატეს განმსაზღვრელად რა კვლევების გაკეთება შეუძლია/არ შეუძლია უნივერსიტეტს/კვლევით დაწესებულებებს. ის სკეპტიკურად უყურებს უნივერსიტეტის პოტენციალის გამოყენებას და თვლის, საკონსულტაციო კომპანიებში, რომლებიც ძირითადად ახორციელებს საინვესტიციო პროექტებს, მეტი ცოდნაა, ვიდრე უნივერსიტეტში; კვლევაში მონაწილე სახელმწიფო მოხელეები ვარაუდობენ, რომ მთელი რიგი საკვლევი თემატიკის საჭიროებას შეიძლება ვერ ხედავდეს

[96] მ. ხალვაში, რექტორი

სახელმწიფო. სახელმწიფო-უნივერსიტეტი-ბიზნესის თანამშრომლობა საინტერესო იქნებოდა -სახელმწიფოსთვის და სახელმწიფო, როგორც ყველაზე მსხვილი პარტნიორი, უფრო ადვილად წამოვა თანამშრომლობაზე ვიდრე კერძო კომპანიები. მაგრამ არ არსებობს აღნიშნულზე არც დიალოგი, არც - მექანიზმი.

- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გამოთქვამს სურვილს უნივერსიტეტი ჩაერთოს რეგიონულ საინვესტიციო პროექტებში და ადმინისტრაცია ინტერესდება სამინისტროების მიერ სხვადასხვა უცხოური ორგანიზაციისთვის დაკვეთილ კვლევების მოცემულობით და დანიშნულებით. სახელმწიფო, როგორც უნივერსიტეტის ყველაზე მსხვილი პარტნიორი არ აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტს საკვლევი თემატიკის შესახებ.
- აკადემიური პირები თვლიან, ასეთი ზომის საინვესტიციო პროექტებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის აკადემიური პირების მონაწილეობა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, მაგრამ არ აქვს ამ ინფორმაციის მიღების მექანიზმი.
- არ არსებობს სტრუქტურული ერთეული/პირი ფაკულტეტის დონეზე, რომელიც იქნება შემოსავლის მოტანაზე ორიექტირებული, მოძებნის კვლევით პროექტებს, მიიღებს მონაწილეობას და გააკეთებს რეალიზებას, რადგან აღნიშულის განხორციელების პოტენციალი შესწავლილი არ არის.
- გამოიკვეთა სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ხელშეწყობის აუცილებლობა.

17. ფოკუს - ჯგუფი

კვლევის შედეგების გადამოწმების მიზნით, კვლევის დასკვნები და რეკომენდაციებიდან შევიმუშვეთ ფოკუს ჯგუფში განსახილველი პუნქტები, რომლებშიც შევიყვანეთ ფოკუს - ჯგუფში განსახილველი საკვანძო საკითხები. გამართულ ჯგუფურ დისკუსიაში, ერთობლივად იქნა მხარდაჭერილი ის რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტმა უნდა მოახდინოს სამეწარმეო სფეროსთან

თანამშრომლობის **გამართული მექანიზმის** ჩამოყალიბება. და რომ, არსებული მექანიზმი, არაეფექტურია. მონაწილეთა აზრი გაიყო იმის თაობაზე, რამდენად უნდა ჰყავდეს უნივერსიტეტს **პასუხისმგებელი პირ(ებ)ი,** რომლებიც მხოლოდ უნივერსიტეტი-სამეწარმეო გარემოს თანამშრომლობის აქტივობებით, იმის გათვალისწინებით, რომ ბსუ-ში უკვე არსებობს მსგავსი ან მომიჯნავე აქტივობების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული. მონაწილეთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ **მემორანდუმის** სხვა პუნქტების შესრულება, გარდა სტუდეტური პრაქტიკისა და დასაქმების შესაძლებობის ძიებისა, დამატებით დროსა და სახსრებს მოითხოვს უნივესიტეტის მხრიდან. ჯგუფი დაეთანხმა იმ დასკვნას, რომ კურსდამთავრებული უნივერსიტეტის ყველაზე საიმედო პარტნიორია, მაგრამ არსებული თანამშრომლობის მოდელი არაეფექტურია. არაერთგვაროვანი იყო ჯგუფის აზრი **სასწავლო კურიკულუმის ტრანსფორმაციაში** სამეწარმეო სფეროს ჩართულობასთან დაკავშირებით. სასურველ მიზნად იქნა აღნიშნული **ერთობლივი სტატიის/პროექტის არსებობა** და უახლეს თემებზე **სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების კვლევების** წარმოება. ჯგუფის აზრი გაიყო უნივერსიტეტის მიერ **საკონსულტაციო მომსახურების გაწევასთან** დაკავშირებით, და ძირითად პრობლემად დროის და ადამიანური რესურსის ნაკლებობა დასახელდა აკადემიური პირების მიერ. სამეწარმეო სფეროს თანამშრომლებმა თანამედროვე ცოდნის ნაკლებობა დაასახელეს ამის მიზეზად. ერთსულოვანი იყო ჯგუფი სამეწარმეო სფეროსთვის **საშეღავათო პოლიტიკის** შემუშავება/დანერგვასთან დაკავშირებით, თუმცა აღინიშნა ამ პროცესის ინიცირების და განხორციელების დიდი სირთულე. ასევე მოწონებულ იქნა რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილ **საინვესტიციო ზომების განხორციელების** პროცესში შესაბამისი პროფილის აკადემიური პირების ჩათულობა, აღინიშნა მექანიზმის შემუშავების აუცილებლობა. უნივესიტეტი-სამეწარმე სფეროს თანამშრომლობის საპრიზო დაჯილდოების ცერემონიის დაწესება უნივერსიტეტთან ერთად არაერთაროვნად იყო აღქმული ჯგუფის მიერ, რადგან გამოითქვა მოსაზრება, რომ შედეგად შეიძლება მხოლოდ პიარ ღონისძიების მივიღოთ.

დასკვნები

ჩვენ მიერ შესწავლილი თეორიული მასალის და ჩატარებული კვლევის შედეგების ანლიზის საფუძველზე, შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნები, სადაც ნათლად ჩანს საქართველოში უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის არსებული ვითარება.

1. საერთაშორისო გამოცდილებით, უნივერსიტეტი სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა გამოხატულია უნივერსიტეტის მისიაში, ხედვაში, და გაწერილია თანამშრომლობის გზები; ასევე, უნივერსიტეტი ქმნის სტრუქტურულ ერთეულებს/მახრდაჭერის სერვისებს სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობის რეალიზაციისთვის და განსაზღვრავს პირებს, რომლებიც მხოლოდ უნივერსიტეტსა და წარმოებას შორის თანამშრომლობის აქტივობებით არის დაკავებული. ამასთან, წარმოება ჩართულია სასწავლო პროგრამის განახლებასა შორის, ხორციელედება

ერთობლივი ღონისძიებები, მაგ. კვლევები, პროექტები. დგინდება აქტუალური სამაგისტრო და და სადოქტორო კვლევების თემატიკა. დამატებით, უნივერსიტეტი ახორციელებს თავისი მომსახურეობის (საკონსულტაციო, სატრენინგო, საექსპერტო) და კვლევების კომერციალიზაციას.

2. კვლევაში მონაწილე ორივე უნივერსიტეტს ინსტიტუციურად და თეორულიად აღნიშნული თანამშრომლობის მნიშვნელობა გათავისებული აქვს. სტრუქტურული ერთეულები, და, სახელმწიფო კანონთან შესაბამისობაში შიდა ინსტიტუტუციური დოკუმენტაცია გარკვეულწილად მოწესრიგებული აქვს ამ მიმართულებით.
   - **სტრატეგიაში, პოლიტიაში, მისიასა და ხედვაში** აღნიშნულია უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის მნიშნვნელობა.
   - მხოლოდ უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს შორის თანამშრომლობის აქტივობების განხორციელებით დაკავებული **პასუხისმგებელი პირები** არ გამოვლინდა.
   - წარმოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად საწავლო პროგრამის განახლებასა და მოდერნიზებაისთვის, ორივე უნივერსიტეტში შექმნილია **კურიკულუმის კომიტეტი.**
3. სასწავლო პროგრამების შრომის ბაზართან ჰარმონიზაციის მიზნით (აკრედიტაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად) **მემორანდუმის** გაფორმება უნივერსიტეტებისათვის იქცა აუცილებელ პირობად. შესაბამისად, უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტებში, უპირატესად, განპირობებულია მხოლოდ მემორანდუმით, რომლის ტექსტი როგორც ბათუმის, ისე ქუთაისის უნივერსიტეტისთვის არის სტანდარტული და სავსებით შეესაბამება უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის საერთაშორისო სივრცეში აღიარებულ მოთხოვნებს.

   ა) როგორც კვლევამ აჩვენა, მემორანდუმებში, რომელიც გაფორმებულია ორივე რეგიონული უნივერსიტეტსა და სამეწარმეო სფეროს შორის, გაწერილი ვალდებულებებიდან სრულდება მხოლოდ **სტუდენტური პრაქტიკისა და დასაქმების შესაძლებლობების ძიების პუნქტები.** არც ერთი სხვა ვალდებულება (ერთობლივი კვლევები, პროგრამების შემუშავება, და ა.შ.) არც ერთ უნივერსიტეტში არ

სრულდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში ამ თვალსაზრისით ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ბსუ-ში. კერძოდ, აწსუ-ში იგრძნობა მცდელობები მოკლევადიანი სასწავლო კურსების მორგებისა სამეწარმეო სფეროს მოთხოვნებზე. აწსუ უკეთ ხედავს საჭიროებას ამ თანამშრომლობისა და ცდილობს ნაბიჯ-ნაბიჯ გამართოს ეს თანამშრომლობა, თუმცა, არსებითად, დიდი წინსვლა არ აქვს.

ბ) იმ ფაკულტეტებზე, სადაც **სტუდენტური პრაქტიკა** არის სასწავლო პროგრამით სავალდებულო, ის წარმოადგენს უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის **მთავარ პრიორიტეტს**. კვლევის შედეგით გამოვლინდა, რომ აღნიშნული ფორმატით შესრულებული პრაქტიკის მოდელი იწვევს **ყველა მხარის უკმაყოფილებას, მათ შორის სტუდენტის.** პრაქტიკის განსხვავებული შეფასება დაფიქსირდა პირადი კონტაქტებით განხორციელებული პრაქტიკებით. არსებული მოდელის ფარგლებში ფაკულტეტის ადმინისტრაციას ევალება სასწავლო პროცესის შესრულების უზრუნველყოფა. პრაქტიკული კომპონენტის არაეფექტრობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები

- ფორმალური მოთხოვნების უპირატესობა;
- საშემსრულებლო დისციპლინა
- არსებულ საუნივესიტეტო კვლევებით მიღებულ ინფორმაციაზე არასაკმარისი რეაგირება

გ) უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს **თანამშრომლობა დამსაქმებელთან,** რაც სავალდებულოა და განპირობებულია შიდა დოკუმენტაციით, რომელიც ეფუძნება აკრედიტაციის სტანდარტს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობა ასევე სავალდებულოა **საერთაშორისო განზომილების** შედეგად. კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი მომხმარებლურად ეკიდება დამსაქმებელს, რადგან მიიჩნევს მას აკრედიტაციის სტანდარტის შესრულების რესურსად. უნივერსიტეტის ხედვა სამეწარმეო სფეროსთან დაკავშირებით არის **ცალსახად მომხმარებლური** და **დამოკიდებულია ცალსახად საკუთარ გადარჩენაზე.** კვლევით გამოვლინდა, მეწარმეობა თანამშრომლობის არსებულ მოდელში

ეკონომიკურად დაზარალებული მხარე გამოდის. ამავდროულად დადგინდა, რომ **სამეწარმეო სფეროს ინტერესი** უნივერსიტეტის მიმართ (იაფი მუშაო ხელი, სამომავლო კადრი, პატენტი, ინოვაცია, კვლევა, ექსპერტიზა, და. ა.შ.) არსებობს, მაგრამ არ არსებობს რეალიზების შესაბამისი მექანიზმები და სტრატეგია. მიუხედავად არსებული მოთხოვნებისა და რეგულაციებისა, **არ გამოიყენება** უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის მკაფიო მექანიზმი, იმის გამო რომ არ არსებობს ცილკურობის სტრატეგია - და ამიტომ ეს ურთიერთობები ატარებს, ერთი შეხედვით, **ქაოტურ ხასიათს.**

4. კვლევით დადგინდა, რომ **კურსდამთავრებული** წარმოადგენს უნივერსიტეტის ყველაზე საიმედო პარტნიორს სამეწარმეო სფეროში. მაგრამ უნივერსიტეტი მასთან მუშაობს, როგორც თავის რესურსთან. არ არსებობს აღნიშნულ რესურსთან მუშაობის მექანიზმი (წახალისების სქემა, მუდმივი კომუნიკაცია). აღნიშნული სისტემა განპირობებულია მხოლოდ არაფორმალური ვალდებულებებით. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე ეფექტურ, თუმცა არაფორმალიზებულ მექანიზმს წარმოადგენს **პირად კავშირებზე/ინტერესებზე** დამყარებული ურთიერთობები.
5. კვლევაში მონაწილე ტექნოლოგიურ ფაკულტეტებზე სამეწარმეო სფეროსთან **ერთობლივი პროექტი,** სამაგისტრო/სადოქტორო **ნაშრომი** ან **სტატია არ მოიპოვება.** კვლევით ასევე დადგინდა თანამშრომლობის **სხვა მოდელების** განხორციელების ერთეული მცდელობები, რომლებიც **წარუმატებლად** დასრულდა თანამშრომლობის გამართული მექანიზმის არ არსებობის გამო.
6. კვლევით დადგინდა, რომ **სასწავლო კურიკულუმების ტრანსფორმაცია** არაერთგვაროვნად აღიქმება აკადემიური პირების მიერ. რომელთა ნაწილი საჭიროდ მიიჩნევს გაუმჯობესებას, ნაწილი - განახლებას, ხოლო ნაწილი - ფორმალურ ცვლილებებს. ძირითადად, სამეწარმეო სფეროსთან თანამშრომლობა ამ უკანასკნელის აკადემიური კომპეტენციების არ ქონის გამო მიიჩნევა შეუსაბამოდ. თავის მხრივ, სამეწარმეო სფერო ბიზნეს-კომპეტენციების გაუთვალისწინებლობის გამო შეუსაბამოდ მიიჩნევს აკადემიურ სფეროსთან თანამშრომლობას. ასევე გამოვლინდა, რომ ადამინისტარციულ პოზიციებზე და საკუთარი პრაქტიკის მქონე პირები თანამშრომლობას, პროგრამების მოდერნიზაციას, სილაბუსების დახვეწას და

სხვა პროცესებზე არ ამახვილებენ ყურადღებას (მიაჩნიათ რა საკუთარი კომპეტენცია საკმარისად მსგავსი გამოწვევებთან გასამკლავებლად). **კურიკულუმის კომიტეტი** უნდა წარმოადგენდეს სამეწარმეო სფეროსთან თანამრომლობის მექანიზმს, განსაკუთრეიბთ პროგრამის განახლების თვალსაზრისით, თუმცა, როგორც კვლევით გამოვლინდა აღნიშნული ერთეული ჯერ ჩამოყალიბების ეტაპზეა. მისი საქმიანობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

7. უნივესიტეტი-სამეწარმეო სფეროს მჭიდრო თანამშრომლობის ერთ-ერთ სარგებელს უნივესიტეტისთვის წარმოადგენს სამეწარმეო სფეროდან წამოსულ, უახლეს თემებზე **სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების კვლევების** წარმოება. კვლევით დადგინდა, რომ სწავლების და კვლევის არსებული მოდელი (თემის ხარისხის შერჩევის და შეფასების სისტემა, საკონკურსო სისტემა) და პრაქტიკიდან მიღების შესაბამისი მექანიზმის არ არსებობის გამო აფერხებს აქტუალური საკითხების კვლევას, რის გამოც პრაქტიკულ ღირებულებას ვერ ხედავს ვერც სამეწარმეო სფერო, და ვერც სახელმწიფო. აღნიშულ კონტექსში ასევე გამოვიკვლიეთ ტექნოლოგიური მიმართულების **კვლევითი ინსტიტუტების საკვლევი თემების აქტუალობის საკითხი.** კვლევით დადგინდა, რომ უნივერსიტეტი - კვლევითი ინსტიტუტები - სახელმწიფოს თანამშრომლობის არაეფექტურობა განპირობებულია ჩართული მხარეების **ნაკლები მოქნილობით** (აქტუალობა, თანამშრომლობის მექანიზემბი და) და **მწირი კომუნიკაციით.** უნივერსიტეტის ეფექტურობა უკავშირდება მისი რესურსის (სამეცნიერო პოტენციალის) კომერციალიზაციას. უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის კომერციალიზაციის დაბალი მაჩვენებელი აისახება კი გამოყენებითი კვლევების აქტუალობაში და სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილში.

8. უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით **თანამედროვე უნივერსიტეტი** უნდა წარმოადგენდეს **გამოცდილებისა და პროფესიონალური ცოდნის გაზიარების წამყვან ცენტრს** საზოგადოებისათვის. კვლევით დადგინდა, რომ უნივერსიტეტს პროფესიული კონსულტაციის კომერციალიზაცია შეუძლია **მხოლოდ ექსკლუზიური პროდუქტის**

შემთხვევაში, რომელიც საგანგებო აღჭურვილობას საჭიროებს. სხვა სახის საკონსულტაციო მომსახურეობა მხოლოდ ინდივიდუალურად ხორციელდება.

9. რაც შეეხება **კვლევების კომერციალიზაციას,** უნივერსიტეტში როგორც ადმინისტრაციას, ისე აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს კვლევის შედეგების კომერციალიზაციის მიმართ **ჩამოყალიბებული ხედვა და სტრატეგია არა აქვს**. არსებული პრაქტიკა ინდივიდუალურია, რომლის შექმნაში ან შენარჩუნებაში უნივერსიტეტს მონაწილეობა არ მიუღია. კომერციალიზაციის პროცესიის უმთავრეს ხელმშემშლელ მიზეზად დასახელდა აღნიშნული პროცესისთვის საჭირო ცოდნის/კომპეტენცების და თავად პროცესის და კანონმდებლობის შესახებ ცოდნის სიმცირე. შემისაბამისი დებულების არ არსებობა ასევე, უნივერსიტეტში შესაბამისი სტრუქტურის არ არსებობა, რომლიც იმუშავებს პროდუქციის კომერციალიზაციაზე.

რეკომენდაციები

- **რეკომენდაციები რეგიონულ უნივერსიტეტს უნივერსიტეტი - სამეწარმეო სფეროს ხელშემწყობი პოლიტიკის განსავითარებლად:**

1. საერთაშორისო გამოცდილებით, რეკომენდირებულია უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულის, ე.წ. უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ცენტრის შექმნა, რომელიც მოემსახურება ყველა ფაკულტეტს, აკადემიური განათლების ხარისხის უწყვეტად გასაუმჯობესებლად, ცოდნის და ტექნოლოგიების ორმხრივი ტრანფერის ინიცირებით თანამშრომლობის მხარეებს შორის, სრულყოფისკენ და ინოვაციებისკენ სწრაფვით, კონტაქტების დამყარებით და თანამშრომლობითი აქტივობების გამარტივებით უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის;
2. შესაბამისი ფაკულტეტის მაგისტრატურის სასწავლო პროგრამაში სასურველია უნივერსიტეტი-სამეწრმეო გარემოს თანამშრომლობის საერთაშორისო გამოცდილებას დაეთმოს მცირეკრედიტიანი კურსი, როგორც ეს მიღებულია ბიზნეს-ადმინსიტრირების სხვადასხვა საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამაში.

3. სასურველია რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტთან თანამშრომლობის წახალისების მიზნით, სამეწარმეო სფეროსთვის საშეღავათო პოლიტიკის წინადადების პროექტის შემუშავება უნივერსიტეტის მიერ; მისი წარდგენა მთავრობისთვის და ერთობლივი დისკუსიების ინიცირება მთავრობის მიერ აღნიშნული საშეღავათო პოლიტიკის გატარების მიზნით;
4. რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილ საინვესტიციო ზომების განხორციელების პროცესში შესაბამისი პროფილის აკადემიური პირების ჩათულობის ინიცირება: მექანიზმის შემუშავება, შეთანხმება მთავრობასთან და ამოქმედება;
5. აუცილებლად მიგვაჩნია კონფერენციების/სემინარების რეგულარულად ორგანიზება ფაკულტეტის დონეზე წელიწადში მინიმუმ ერთჯერ, ხოლო უნივესიტეტის დონეზე წელიწადში მინიმუმ ორჯერ.
6. მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო არხების ჩამოყალიბება: უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს ფორუმის მოწყობა, უნივერსიტეტის პროფესიული კონსულტაციის და კვლევითი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის დაგზავნა სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლებისთვის; აკადემიური პირების საქმიანობის შესახებ რეგიონალურ საზოგადოებრივ მაუწყებელში სატელევიზიო პროფილის შექმნა;
7. სამეწარმეო სფეროს სასწავლო პროცესში ჩართულობის მიზნით მათი წარმომადგენლების მოწვევა ლექციების ჩასატარებლად, სამეწარმეო გარემოდან მოწვეული სპეციალისტების მიერ ჩასატარებელი ლექციებისთვის კრედიტების მცირე ოდენობის მინიჭება და სამეწარმეო გარემოს მოწვევა საკურსო ნაშრომის/თეზისის განვითარებაში მონაწილეობისთვის, ასევე კონფერენციების ორგანიზებისთვის;
8. სასურველია ერთობლივი აქტივობების განხორციელება: სამეცნიერო სემინარების/კონფერენციების ორგანიზება; ერთობლივი სამეცნიერო კვლევით პროექტების რეგისტრირება და მოკლევადიანი ტრენინგ კურსების ორგანიზება.
9. ტექნოლოგიების გადაცემის აქტივობების კოორდინირების მიზნით უნდა განისაზღვროს სამეწარმეო სფეროს მოთხოვნები და დაკვეთა, შესრულდეს უნივერსიტეტში და გადაეცეს პარტნიორს.

- **რეკომენდაციები მთავრობას უნივერსიტეტი - სამეწარმეო სფეროს ხელშემწყობი პოლიტიკის განსავითარებლად:**

10. სასურველია განსაზღვულ იყოს უნივესიტეტთან თანამშრომლობის მსურველი კომპანიების ვალდებულებები: ვალდებულება მიიღოს პრაქტიკანტი (სამუშაო ძალის %); ასევე, ვალდებულება, პერიოდიულად შეიმუშაოს დაქირავებული პერსონალის ხარისხის შემაფასებელი ანგარიშები ტრენინგების საჭიროებების გამოსავლენად;
11. საშეღავათო პოლიტიკის შემუშავება/განხილვა სამეწარმეო სფეროსთვის; იმ კომპანიებისთვის, რომლებიც განათლებას აფინანსებას და/ან თანამშრომლობს უნივესიტეტთან სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობით.
12. სასურველია უნივესიტეტი-სამეწარმე სფეროს თანამშრომლობის საპრიზო დაჯილდოების ცერემონიის დაწესება უნივერსიტეტთან ერთად;

- **თანამშრომლობის გაძლიერება კურსდამთავრებულთა მეშვეობით**

13. უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის ხელშეწყობა და განვითარება კურსდამთავრებულის მეშვეობით არის უმარტივესი და ყველაზე მეტად ეფექტური გზა. კურსდამთავრებული მნიშვნელოვან ხიდს წარმოადგენს, რადგან ის იცნობს ორთავე მხარეს: უნივერსიტეტს და წარმოებას და სურს უნივერსიტეტის ხელშეწყობა; ასევე, მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთობა ამარტივებს თანამშრომლობას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია კურსდამთავრებულთან მდგრადი ურთიერთობის შენარჩუნება, კურსდამთავრებულთან ასოციაციიების შექმნის და განვითარების გზით; და კურსდამთავრებულთან შემდეგი თანამშრომლობით აქტივობების განვითარება
    - ტრენინგის პროგრამების შინაარსის განვითარებაში წვლილის შეტანა
    - ლექციებში, კვლევებში მონაწილეობის მიღება
    - კურსდამთავრებულთათვის პროფესიული ტრენინგის უზრუნველსაყოფად პირობების შექმნა

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამაშუკელი მ., ლეჟავა დ. , გუგუშვილი ნ. განათლების ამონაგები, დასაქმების ბაზარი და შრომით კმაყოფილება საქართველოში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2017 წ.
2. ანდღულაძე ნ., ბრეგვაძე თ., აფაზავა რ. უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე, (კვლევის ანგარიში), თბილისი, 2013 წ. https://docs.google.com/file/d/0B9RC0lzxlY4ZaFFvalc4ZzRud2s/edit
3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აკადემიური საბჭოს დადგენილება No.37. ბათუმი, ივნისი 15, 2017წ. ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. ბათუმი. https://bsu.edu.ge/upload/saganmanatleblo_programebis_shemoshavebis_wesi_2017_2018.pdf

4. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება No.40. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024). ივნისი, 28, 2017, ცვლილება დადგენილება-No.14, თებერვალი, 14, 2018. ბათუმი https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_60_1.pdf
5. ბრეგვაძე თ, უმაღლესი განათლება და დასაქმება. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. 2013, თბილისი. https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/ganatlebis-politika-5.pdf
6. ბრეგვაძე თ., დალაქიშვილი მ. კვლევის კომერციალიზაციის შესაძლებლობები საქართველოში ბიოლოგიის და ბიოტექნოლოგიების მიმართულებით. საჭიროებათა კვლევა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ოფისი, 2015 წ. https://tco.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2016/06/needs-assessment-report_TCO_Iliauni.pdf
7. ბრეგვაძე თ, გურჩიანი ქ., გრძელიძე ი., კახიძე ა. უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში. ერაზმუს + ოფისი საქართველოში. თბილისი, 2017. http://erasmusplus.org.ge/files/publications/უნივერსიტეტების%20როლი%20რეგიონულ%20განვითარებაში.pdf
8. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები. თბილისი: ნოემბერი, 2008. http://www.mes.gov.ge/upload/multi/geo/1231224818_reforma.pdf
9. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. თბილისი: 2013. http://erasmusplus.org.ge/files/publications/Strategic%20Development%20of%20HE%20and%20Science%20in%20Georgia%20-%20ge.pdf

10. დარჩია ი. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ერაზმუს + ოფისი საქართველოში. თბილისი: 2009; http://erasmusplus.org.ge/files/publications/Guide%20ULLL%20-%20ge.pdf
11. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულება. 05/03/2014. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2269957
12. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2015-2018წწ). ბრძანება No. 704. 07.07.2014. http://mes.gov.ge/old/upload/editor/file/Brdzanebebi/2014/ivlisi/704.pdf
13. საქართველოს განათლების და მეცნიერებების სამინისტრო. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები; http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf
14. საქართველოს განათლების და მეცნიერებების სამინისტრო. განათლების და მეცნიერებების ერთიანი სტრატეგია 2017-2021. http://mes.gov.ge/uploads/სტრატეგია/განათლებისა%20და%20მეცნიერების%20სტრატეგია.pdf
15. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ანგარიში, ოქტომბერი 2013. http://mes.gov.ge/publicInfo/wp-content/uploads/2013/12/ანგარიში-2013.pdf
16. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ანგარიში, 2015 წ. http://mes.gov.ge/publicInfo/wp-content/uploads/2013/12/სამინისტროს-წლიური-ანგარიში.pdf
17. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ანგარიში. თბილისი: 2016 წ.
18. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის

ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. დოკუმენტის ნომერი 200/42. თბილისი: 2014 წ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959

19. საქართველოს მთავრობა. დადგენილება N400 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე; თბილისი: 2014 წლის 17 ივნისი. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
20. საქართველოს მთავრობა. დადგენილება #1451_Iს-"ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის სახელით, და საქართველოს შორის "ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების (კომპაქტის)" რატიფიცირების თაობაზე. ძალაშია 04/10/2013. https://my.gss.ge/GSSCode/Document?command=displaycommand&displaymode=auto&currentstate=1&baseid=352978&itemid=352978&modifierid=0&info=8b64e60a
21. საქართველოს მთავრობა. დადგენილება #172 - საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს შექმნის შესახებ. თბილისი: 19/02/2014. https://my.gss.ge/GSSCode/Document?command=displaycommand&displaymode=auto&currentstate=1&baseid=370473&itemid=370473&modifierid=0&info=893fd3c0
22. საქართველოს მთავრობის დადგენილება No.549. თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ. 26ოქტომბერი, 2015წ, თბილისი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3028846
23. საქართველოს მთავრობის დადგენილება No. 199. საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. თბილისი: 2 აგვისტო, 2013წ. http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/73.pdf
24. საქართველოს მთავრობის დადგენილება No.732. საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის

2013 წლის 2 აგვისტოს No.199 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. თბილისი: 26 დეკემბერი, 2014. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2659895

25. საქართველოს მთავრობის დადგენილება No400. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე. 17 ივნისი, 2014წ, თბილისი. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
26. საქართველოს მთავრობის დადგენილება No.206 დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიების შესახებ. 11 მაისი, 2016 წ თბილისი https://matsne.gov.ge/ka/document/view/3279819
27. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ. 09.06.1999 https://matsne.gov.ge/ka/document/view/19204
28. ხიჩიაური ს., კვლევების კომერციალიზაცია და მისი მნიშვნელობა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებისთვის. 11 დეკემბერი, 2017. http://rustaveli.org.ge/images/2017wlisconferencia/LASTVERSION/16-30_16-45%20-%20Technology%20Transfer_%20geo_Salome%20Kh..pdf
29. სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ანგარიში, 15.12. 2014. https://my.gss.ge/GSSCode/Document?command=displaycommand&displaymode=auto&currentstate=1&baseid=542407&itemid=542407&modifierid=0&info=4a24cc19
30. სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო; ანგარიში; 09/12/ 2016 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3456352
31. ჯავახიშვილი ნ. სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ. კვლევის ანგარიში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი: 2011. http://erasmusplus.org.ge/files/publications/Aiding%20Student%20Employment%20-%20ge.pdf

32. Abercrombie, R., Loebl, A. 2014: Systems Life Cycle and Its Relation with the Triple Helix; Springer: [book online] available from https://books.google.ge/books?id=oP05BQAAQBAJ&printsec=frontcover&dq=Measuring+Scholarly+Impact&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiE5IGtscLbAhWJL1AKHQUXA34Q6AEIJTAA#v=onepage&q=Measuring%20Scholarly%20Impact&f=false
33. Baychan, T. 2013: Knowledge Commercialization and vaporization in Regional Economic Development". UK: Edward Elgar Publishing, 2013
34. Belderbos, R., Carree, M., Diederen, B., Lokshin, B., Veugelers, R. 2004: Heterogeneity in R&D Cooperation Strategies, International Journal of Industrial Organization, 22, 2004.
35. Бертон Р. Кларк 2011: Система высшего образования: академическая организация в кросс национальной перспективе; Москва; Издательский дом НИУ ВШЭ, 2011.
36. Blumenthal, D. et al. 1986: Industrial Support of University Research in Biotechnology. Science, Vol. 231, Issue 4735, (January), 1986.
37. Clark, B. 1999: Creating Entrepreneurial Universities: Organizational Pathways of Transformation. New York: Pergamon Press, 1999.
38. Cohen W.M., Daniel A. Leventhal D.A. Absorptive Capacity: A New Perspective on Learning and Innovation; Administrative Science Quarterly, Vol. 35, No. 1, Special Issue: Technology, Organizations, and Innovation. 1990.
39. Commission of the European Communities: 2009: A new partnership for the modernisation of universities: the EU Forum for University Business Dialogue;; Brussels. 2009. Available at: http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2009_2014/documents/com/com_com(2009)0158_/com_com(2009)0158_en.pdf
40. Conference of European Ministers Responsible for Higher Education 2005: "From Berlin to Bergen"; General Report of the Bologna Follow-up Group to the Ministerial conference document. Bergen: 2005 available at:

http://media.ehea.info/file/2005_Bergen/37/9/2005_Bergen_BFUG_Report_577379.pdf

41. Croissant, J.L., Smith-Doerr, L. (2008): Organizational Contexts of Science: Boundaries and Relationships between University and Industry. The Handbook of Science and Technology Studies, 3rd edition. Cambridge u.a.: The MIT Press, 2008
42. Dzisah, J. & Etzkowitz, H. 2008: Triple Helix Circulation: The Heart of Innovation and Development. International Journal of Technology Management and Sustainable Development 7(2), 2008.
43. Etzkowitz, H., Leidesdorff, L. 2000: The Dynamics of Innovation: From National Systems and "Mode 2" to a Triple Helix of University-Industry-Government Relations. Research Policy, vol.29, issue 2. 2000.
44. Etzkowitz, H. 2003: Triple Helix: A Manifesto for Innovation, Incubation and Growth. Stockholm: SNS Press. 2003.
45. Etzkowitz, H. 2004: The evolution of the entrepreneurial university', Int. J. Technology and Globalisation. Vol. 1, No. 1. 2004.
46. Etzkowitz, H., Leydesdorff, L., 1997: The University in the Global Knowledge Economy. London: Pinter Press. 1997.
47. Etzkowitz H. 2003: Innovation in innovation: the Triple Helix of university industry government relations; Sage Journals, 2003.
48. European Commission 2003: The role of the universities in the Europe of knowledge: , Brussels: 05.02.2003 58 final, Communication from the Commission: 2003.
49. European Commission 2011: The State of European University-Business Cooperation, Münster: Science-to- Business Marketing Research Centre, 2003.
50. European Commission: 2009: The Knowledge Triangle Shaping the future of Europe, Conference Conclusions; 2009, Göteborg, Sweden. http://www.uka.se/download/18.12f25798156a345894e2bbb/1487841904645/0926R.pdf
51. European Union 2007: Linking the words of work and education through Tempus. Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, 2007.

52. EU Commission 2005: Mobilising the brainpower of Europe: enabling universities to make their full contribution to the Lisbon Strategy. Communication from the Commission. COM 152 final, 2005. Available at http://aei.pitt.edu/42884/
53. EU commission, 2001: Recognition of diplomas in the European Union [document online] available at https://www.ucc.ie/archive/hdsp/Recognition%20of%20diplomas%20in%20the%20European%20Union_introduction.htm
54. Evans, J.A. 2010: Industry Induces Academic Science to Know Less about More, The American Journal of Sociology, vol.116:2, 2010.
55. Fang L.C. 2005: Employment relations in small commercial businesses in China; Industrial Relations Journal; vol. 36:1, 2005.
56. Gibbons, M., Limoges, C., Nowotny, H., Schwartzman, S., Scott, P., Trow, M. 2005: The New Production of Knowledge: The Dynamics of Science and Research in Contemporary Societies. Sage Journals, 2005.
57. Leydesdorff, L. and Etzkowitz, H. 2002 The Transformation of University-Industry-Government Networks'', Electronic Journal of Sociology, 2002. available at: www.sociology.org/content/vol1005.004/th.html
58. Lewonthin R. 2000: The Triple Helix: Gene, Organism, and Environment. Cambridge, Masachuses: Harvard University Press 2000
59. Mandic V. 2010: WBC Regional Model of University-enterprise cooperation. University of Kraugujevac WBC-V Minet project . Kragujevac, 2010.
60. Montesinos, P., Carot, J. M., Martinez, J. M., & Mora, F. 2008: Third mission ranking for world class universities: Beyond teaching and research. Higher Education in Europe, Vol. 33 No2-3, 2008.
61. Ohkawa, Masazo 1978:Government-type and Market Type Higher Education: A comparative Survey of Financing Higher Education in the Soviet Union, Great Britain, the United States and Japan". Hitotsubashi Journal of Economics, vol: 19 (1/2), 1978.
62. Ortiz, A. 2012: Kooperation zwischen Unternehmen und Universitäten, Wiesbaden:

Springer Gabler, 2012.

63. Perkmann, M. and Walsh., K. 2008: Engaging the Scholar: Three Types of Academic Consulting and Their Impact on Universities and Industry, Research Policy, Vol. 37, 2008.
64. Peters M.A., Humes W. 2003: Education in Knowledge Economy, Policy Futures in Education, Volume 1, Number 1, 2003 available at http://journals.sagepub.com/doi/pdf/10.2304/pfie.2003.1.1.
65. Roberts, E. 1991: Entrepreneurs in High Technology. New York: Oxford University Press, 1991.
66. Slaughter, S., Rhoades, G. 2004: Academic Capitalism and the New Economy: Markets, State, and Higher Education. Baltimore/ london: Johns Hopkins University Press, 2004.
67. Shinn T., 2002: The Triple Helix and new production of knowledge: prepackaged thinking on science and technology. Sage Journals, Social Studies of Science, Vol 32, 2002.
68. The 6th Biennial International Triple Helix Conference on University-Industry Government-Links, 2007: Emerging Models for the Entrepreneurial University: Regional Diversities or Global Convergence. Available at http://www.triplehelixinstitute.org/index19ea.html?q=node/84 [last visited 05.07.2014].
69. Urayaa, E. 2010: Conceptualizing the Regional Roles of Universities, Implications and Contradictions. European Planning Studies, vol. 18 no.8, 2010.

კომუნიკეები

70. http://media.ehea.info/file/2005_Bergen/62/8/050519_Norway_Clemet_580628.pdf
71. http://www.ehea.info/cid100256/ministerial-conference-prague-2001.html
72. http://media.ehea.info/file/2003_Berlin/28/4/2003_Berlin_Communique_English_577284.pdf
73. http://www.ehea.info/cid101763/ministerial-conference-london-2007.html

74. http://www.ehea.info/cid101040/ministerial-conference-leuven-louvain-neuve-2009.html
75. https://media.ehea.info/file/2010_Budapest_Vienna/64/0/Budapest-Vienna_Declaration_598640.pdf
76. https://media.ehea.info/file/2012_Bucharest/67/3/Bucharest_Communique_2012_610673.pdf
77. https://media.ehea.info/file/2015_Yerevan/70/7/YerevanCommuniqueFinal_613707.pdf